

644
1970/3

20

Volks-A

11-12

(3)

11

1970

კაცა აგ ახალ საქართველოს!



ნახატი ზ. ფორჩინიძე.


ԱՐԵՎ

162

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀՅԱԼՅՈ

11598

11



ԵՐԵԱՆԱՀՈ

1970


Դ Տ Ը Ծ Ո Ւ Տ Ո



ՏԵՇ. ՀՀ ՕՃ-ՈՒ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀՆԱ

ՀԱՅԻ ԿԱՆԱԳԻ ՄԱԿԱՐԱՆ-ՄԽԱԳԻ ՄԱԿԱՐԱՆ ՀԱ ՍԱՀՐԱՎՈՐԱԿԻ-ԿՐՈՂԻ ՀԱՐԱՀԱ ՀԱՐԱՀԱ

ՀԱՅԱՀԱՐԱՀԱ ՀԱՅԱՀԱՐԱՀԱ ՀԱՅԱՀԱՐԱՀԱ ՀԱՅԱՀԱՐԱՀԱ ՀԱՅԱՀԱՐԱՀԱ ՀԱՅԱՀԱՐԱՀԱ



გინაკასტა

აპგავდი, ტურცა კვებანაა!

ოსი მწერლები „ტისპარში“

3. პავლე თაღევანი. ძმურ იჯახში
8. პაჭი-მურათ ქუთათი. მძლავრი და თვითმყოფადი
14. გიორგი ბასთავთი. რჩოლა საუკუნეთა... ლექსი. ოსურიდან თარგმნა გვივ ძელაძემ
16. ზინა ხოსტიურთი. ლექსიში. თარგმნა მორის ფოც-ხიშვილმა
17. ანათოლ შავითი. ალვის ხის ძირას. მოთხრობა. თარგმნა ე. სანდრიძემ
19. რიურიკ თაღევანი. ლექსიში. თარგმნა ტავუ შებურიშ-ვილმა
21. ხაჯუმარ ალგორთი. ლექსიში. თარგმნა ანჭორ აბულაშვილმა
23. ხალილი გაგულთი. ჩვესპელის სასახლის განძი. მოთხრობა. ოსურიდან თარგმნა გომრგი ბესთაუთიშ პროცესი
27. ვანო ურჯულაშვილი. ეჭმავი. მოთხრობა
39. დავით ჯავახიშვილი. მოთხროგვები
59. ლალი ბრეგვაძე. მოთხროგვები
64. ლალი კოკაია. კილვა ტიროდა ვიღაც... მოთხრობა
68. როდა ჩაჩანიძე. კამპერო. დოკუმენტური მოთხრობა. პროცესი
35. ნოდარ ნარიძა. ოდა საქართველოს...
37. გიორგი ალხაზიშვილი. ლექსიში
57. გიორგი გიგაური. საქართველოს გზები. ლექსიში ჰაშვილი
82. დავით მავდლური. ლექსიში
- ახალი თარგმანები
85. ალექსანდრ კუჭავინი. პოლტავა. პოემა. გაგრძელება. თარგმნა ოთარ ჭილაძემ ასცურცელას რევული
92. ჯანი როდარი. ტილეონით მოყოლილი ზღაპრი-ბი. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა ნარკვევი
116. ცეხარ მოსიძე. იაკონია — „ექსპო-70“
119. ლუდმილა ვერცხაძე. სვეტის არჭივი სტეპ XIX ფილივე მახარაძე. სამი მარადიული ცეცხლი წერილები
127. გავით მასელიშვილი. ცეოლალური ხანის საქართველოს და აგილერაბასის მნიშვნელობა საერთაშორისო ცაჟრობაში
138. გიორგი გერებელაძე. ცხოვრების ამჩავი, ფიჭრი და გულისტება
148. თამაზ კაჭახანიძე. ა. გამრაძის „პრიტიტული შენიშვნების“ გამო
- 150
155. საბა ჯაფარია. ურიდრის მნელი — გევიორული კომუნიზმის ფუნქციები
159. შოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი

ჯანე შლ ჩარეკვანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასამიანი,
პატარი გაგრავე,
გვივი გეგერაძენი,
გურამ გეგერაძენი,
გვივი გალავანი,
კარლო კალავა,

კონსტანტინე

ლორთიშვილინი,
ოტია აპარონია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგარ უოცხებაში,
ცოდარ ულევისებინი,
თარიელ განტურია,
სერგი კილაბა,

თავაზ კილაბა,
ლაშა ჯანაშია,

ქართველი, ტურცე ევენინგი!

პავლე თაღევაზი

საქართველოს კა სამხრეთ ოსეთის
საოლქო კომიტეტის მდივანი

ქართველი

ოსი ხალხის დღევანდელი ყოფის, ეკონო-
მიკისა და კულტურის გიგანტურ წინსვლა-
ზე როცა ვლაპარაკობთ, გვასენდება მისი
რევოლუციამდელი წარსული: სიღრიბე, ჩა-
მორჩენილობა, სიბნელე. გვიალური რუსი
პოეტი ა. ს. პუშკინი წერდა: კავკასიის ხალ-
ხებს შორის ყველაზე ღარიბად ისები ცხო-
ვრობენ.

ოსი ხალხის საამაყო შეილი კოსტა ხეთავა-
თი ხედავდა მშრომელი ხალხის აუტანელ ყო-
ფის, გრძნობდა, რომ თუ იგი ბორჯომებს არ
დაამსხრევდა, დაღუპვა ელოდა. მიტომაც
უხმობდა მასებს ბრძოლისაეკნ. მან იცოდა,
რომ ისტორიის ჩახსნა მშრომელი ხალხი უნდა
ატრიალებდეს, რომ ბოლოს და ბოლოს სიმართ-
ლე გაიმარჯვებს ქვეყნად. კოსტას მოწოდება:
— „ეჭი, სადა ხართ!“ — მართლაც გამოეხმაუ-
რა საუკუნეების მანძილზე ჩაგრული ისი ხა-
ლხი. ჩვენი საუკუნის გარიერაზე კაციბრიო-
ბის დიდი ბერლადის ვ. ი. ლენინის გენიალური
ხელმძღვანელობით, რუსეთის სხვა ჩაგრულ
ხალხებთან ერთად, ისმა ხალხმაც დაიწყო
ბრძოლა მონაბის უღლის გადასაგდებად, ახა-
ლი, ბეღინერი ცხოვრების დასაქვიდრებლად.
მოვარდა ოქტომბრის რევოლუციის მჩი-
სხანე ქარიშხალი და თან წარიტანა შავი
ლრუბლები, მზეს რომ ეფარებოდა და მშრო-
მელებამდე სინათლეს არ უშევდა. სამუდა-
მოდ დამსხრა მონაბის ბორჯომები.

მას შემდეგ გავიდა ნახევარი საუკუნე.
რა არის ნახევარი საუკუნე უამრა სელში?
ძალზე მცირე ღრო, მაგრამ რა უდიდესი ძვრე-

ბი, რა გიგანტური გარდატეხები მოხდა ამ
მოკლე ხანში! კომუნისტური პარტიის ხელმ-
ძღვნელობით გრანდიოზული ნაბიჯით წავე-
დით წინ. დიდი სიძნელეების გადალახვა მოკ-
ვიხდა, მაგრამ კომუნისტური პარტიის ბრძნუ-
ლი ხელმძღვანელობით ყოველგვარი სიძნელე
დავძლიერ და წარმატებით გადავწყვიტეთ
ჩვენს წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი პრ-
ოცემური, ეკონომიური, სოციალური, ერო-
ვნული და იდეოლოგიური საკითხები. ყოვე-
ლივე ეს ისტორიული განვითარების ის შედე-
გებია, რომელთაც დასაწყისი დიდმა ოქტომბ-
რის სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია
უდიდესი, ყველაზე უძედნიერესი მოვლენა
იყო კაციბრიობის ისტორიაში. მშრომელმა
ხალხმა შეძლო ექსპლოატატორთა უღლის-
გან თავის დაღუპვა, ხელისუფლების აღება და
პროლეტარული დეტატურის განმტკიცება,
დემოკრატიული წეს-წყობილების შექმნა და
ამსათან, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამა-
რჯვებისათვის ეკონომიური, პოლიტიკური და
კულტურული ნიაღავის მომზადება.

„რევოლუციის პირველმა ათმა დღემ შესძრა
მსოფლიო“, — წერდა ჭონ რიდი. რევოლუცია
გახდა ყველაზე მიმშიდველი ძალა ჩვენს პლა-
ნეტაზე, სოციალიზმი იქცა მილიონობით ადა-
მიანის დღევანდელობად და მთელი კაცობრი-
ობის გარევალ ხელინდელ დღედ.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციის
დიდი ბეღინერება მოტანა წარსულში ჩამორ-
ჩენილ ხალხებს, თუ რევოლუციამდელი რუ-

სეთი ხალხთა საპრობილე იყო, ახლა იგი ხალხთა მეცნიერების, ძმობის მტკიცე ბურჯია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე წინათ მოსახლე ეპონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ერები და ეროვნებანი თავიანთ განვითარებაში მოწინვეთა ღონიშე ავიდენ. განმტკიცდა მშობლიური ქვეყნის ყველა ხალხის მმობა.

ლენინი თავის ცნობილ წერილში, უკრაინის მუშებისა და გლეხებისადმი, გვასწავლიდა: „ჩვენ გვსურს ერთა ნებაყოფლობითი კავშირი, ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებს ერთი ერის მიერ მეორის ჩაგრძას“.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირში მტკიცედ დამკიდრდა ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. იგი ვლინდება ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეცნიერებასა და პატრიოტიზმში, საბჭოთა ადამიანები, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთი მიზნით მტკიცედ მიაბივებენ კომუნიზმის ნათელ გზაზე.

ისე როგორც სხვა ერებს, ოს ხალხსაც რევოლუციამ მოუტანა თავისუფლება და მისცა მმართველობის ავტონომიური ფორმა. ამის შედეგად მოკლე დროში საუკუნის სავალი გზა გავიარეთ. წარსულში ჩამორჩენილი, დაბეჭინებული სამხრეთ ისეთი ახლა მოწინავე კულტურის და განვითარებული ეკონომიკის ოლქები.

რევოლუციიდე ჩამორჩენილი იყო სოფლის მეურნეობა, არ იყო სამხრეწველო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ვამყენება არ ჰქონდა წიალისეულ სიმდიდრები. ისები მოკლებული იყენებოდა დედაენაზე სწავლისა და ეროვნული კულტურის განვითარების უფლებებს. ახლა კი სამხრეთ ისეთში მრავალი მნიშვნელოვანი სამხრეწველო მიზნებით. შორსა განაქმული ქაიისა და „საქტალიკის“ წნევლის საწარმოს მაღარიცლთა სახელი. ისეთის მთებიდან ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოს ეგზარქება ტალკი, ტკვა და თუთია.

გაიზარდა ჩვენი ოლქის აღმინისტრაციული ცენტრი — ცხინვალი. აქ აშენდა მომინანქრებული სადენებისა და ელექტრონიკაციული მანქანების ქარხები, რომელთა სახელიც რესპექტიერის საზღვრებს გასცდა. ვიბრომანენების ქარხანა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აწვდის თავის პროდუქციას. ახლო მომავალში კიდევ მრავალი სამრეწველო მიზეული აშენდება ცხინვალში!

ჩვენს ოლქში მჩერწველობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო კულტურული ცხოვრების ტეპბის დაჩქარებას, თუ ადრე თავის ტეპში წერა-კითხვის მცირები საძებარი იყო, ახლა ჩვენთან ასობით დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლა, სადაც კვალიფიციური პედაგოგი მოღვაწეობენ, ზრდიან ახალგაზრდა თაობას

კომუნისტური სულისკვეთებით. გვაქვს სასოფლო-სამეცნიერო, სამეცნიერო, სამხატვრო, მუსიკალური სასწავლებლები, სამხრეთ ისეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ახალგაზრდა კადრების სამშედლლა. აქ აღიზარდნენ თომბით მეცნიერი მუშაკები; სამხრეთ ისეთის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ადგილობრივი მეცნიერული კადრები მოღვაწეობენ. აქ მუშაობს ორი მეცნიერებათა დოქტორი და მეცნიერებათა მრავალი კანდიდატი.

გაიზარდა მშრომელთა სოციალისტური შეგნება. ეს კულტურული რევოლუციის გამარჯვების დიდი შედეგია. ოლქში ძლიერ წაიწია წინ მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ. ისმა მეცნიერება მუშაკებმა ბევრი ფუნდამენტური შრომა შექმნეს ეკონომიკის, ფილოსოფიის, ისური ლიტერატურისა და კულტურის, ენათმცოდნეობის, ისტორიის და სხვა დარგებში: ამ საქმეში დიდი წარმატებები მოიპოვეს აწერა სვენებულმა ცნობილმა მეცნიერებმა, პროფესიონებმა: ზაქარია ვანევეგმა და ვლადიმერ აბაცემა. ნაყოფიერად მუშაობენ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსლან გაბარათი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნაფუ ჯუსოთი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები: იური გაგლოითი, ბაგრატ ტეხთი, ივანე ცხოვრებოვი, ბაგრატ ფლიერი და სხვები. ისეთის სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით საქვეყნოდ ცნობილ სწავლულებს, პროფესიონებს: ვასო აბაევსა და გიორგი ახვლედიანს.

საქონთა კაშირის კომუნისტური პარტია ყოველვის ღია მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას. მათ ესოეტიკურ-მხატვრული გემოვნების ამაღლებას და ამ საქმეში დიდ ამოცანებს აკისრებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

სამხრეთ ისეთის პარტიულმა ორგანიზაციამ შექმნა ჩვენს ლოქში კულტურულ-საგანმანათლებლო კერძების ფართო ქსელის შექმნა. ამჟამად 177 ბიბლიოთეკა გვაქვს, სადაც 250 კაცი მუშაობს. ამ ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი მილიონ ტომს შეადგენს. ოლქის მშრომელებს ემსახურება 72 სასოფლო კლუბი, 9 კულტურის სახლი, სამხრეთ ისეთის მხარეთ მცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმღერა“, კასტა წეთაგათის სახელობის დრამატიული თეატრი, კინოთეატრები, ათობით თვითმოქმედი კოლექტივი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთელი სისრულით გამაშალა ის ხალხის ნიჭი და შესაძლებლობა. ისი მეცნიერების, მწერლების, კომპოზიტორების, მსახიობების სახელი ახლა შორსაა განვითარება.

ჩეენა ოლქმა სახელმწიფოს ცველაზე მა-
ღალი ჭილდო — ლენინის ორდენი მიიღო.
ეს ბრწყინვალე დამტანასტურებელია იმ მიღ-
წევებისა, რაც სამეურნეო და კულტურული
მშენებლობის დაგრძი მოვალეოვანი.

იმ მრავალრიცხვოვან სიკეთეთა შორის, რაც
ოს ხალხს აქტომშეერმ მშოტანა, ერთ-ერთია
ოსური საბჭოთა ლიტერატურა.

ოსური საბჭოთა ლიტერატურის ფუქმდებ-
ლები რევოლუციიდან მოვიდნენ. ესენი იყვნენ:
ცომაყ გადათი — სოციალისტური რეალიზმის
ფუქმდებელი ჩეენს მხატვრულ ლიტერატურა-
ში, მწერალი, რევოლუციონერი, რსევთის პირ-
ველი რევოლუციის დროს ხალხს რომ მოუწო-
დებდა: „გამოილვიძეთ ცველამ, დიღმა და პატ-
რამ...“ გინო ბარაკო — ალეგირის პარტიული
უწრედების დამაარსებელი; ჩეენმენ ბეჭიფათია --
მოძრაობის აქტიური მონაწილე, როის პარტიუ-
ლი ორგანიზაციის ხელმძღვანელი; სოჭირიყო
ყულათი — კომკავშირული მოძრაობის აქტივის-
ტი, გიორგი მალითი და სოჭირ ბარაკო —
პარტია „ქერმენის“ ხელმძღვანელები, ნიგე-
რი და სხვები. მათ გამოიარეს რევოლუციის
ქარცეცხლში, ახალი ცხოვრების შენებაში
მშრომელი ხალხის მედროშებად იქცნენ და
საბჭოთა ოსურ ლიტერატურას დასაწყისშივე
მისცეს რევოლუციური და ინტერნაციონალუ-
რი პათოსი. ამ ძვირფასი ტრადიციისათვის
შემდეგშიც არასოდეს უდალატით ოსური
ლიტერატურის წარმომადგენლებს.

ოსური საბჭოთა ლიტერატურა მძიმე, მაგრამ
შეღინიერ ისტორიულ ჟერიოდში იშვა. მას
შემდეგ ჩეენს ცხოვრებაში გიგანტური ცელი-
ლებები მოხდა. რაც ნათლად და თანმიმდევრ-
ობით ისახა ოსურ ლიტერატურაში, რომ-
ლის ცხოვრებულები ძალა რეალიზმია, უმა-
ღლესი ნიშანი კი — პარტიულობა, ადამიანუ-
რი პირნციპების დაცვა. ოსურ მხატვრულ
ლიტერატურაში საპატიო აღგილი დაიყავა
ლენინის, აქტომბრისა და პარტიის თემაშ.
ჩეენმა მწერლებმა ნათლად ასახეს სამოქალა-
ჭო მოის პერიოდი, ამ მოის გმირთა სახეები.
კოლექტივიზაციის პერიოდი, დიდი სამამუ-
ლო მოი, აღდგენის წლები, მშენიდვისათვის
ბრძოლა, ჩეენი დღევანდელობა, ჩეენი ხალ-
ხის გმირული ისტორია. მჭიდრო შემოქმე-
დებითი მეგობრული კაშირი იქვთ ის მწერ-
ლებს ქართველ მწერლებთან. ამ მეგობრობას
საფუძველი აღრიდანვე ჩაეყარა. ცნობილია,
თუ რა დიდ პატივს სცემდა კ. ხეთაგათა სახე-
ლოვან ქართველ მოღვაწეს დამიტრი ყიფიანს,
რომელსაც შესანიშნავი პოეტური სტრიქონე-
ბი უძღვნი. კოსტას შემოქმედებით დაინტერე-
სდა დ. არაუიშვილი და დაწერა პარველი რომან-
სები მის ტექსტებზე. ისიც ცნობლია, ქარ-
თულმა საზოგადოებამ რა გულითადობით და-
იტირა დიდი კოსტა.

წინაპართა შესანიშნავი ტრადიციები გრძე-

ლდება. ამ მეგობრობის დიდი ნაყოფია ის,
რომ ახლა ოსი მეოთხველი მშობლიურ ენაზე
კითხულობს შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბა-
რათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ლეო ქასელს,
კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბი-
ძეს, გიორგი ლეონიძეს. ქართველები კი ეც-
ნობიან კოსტა ხეთაგათას, გაფეზის, ბუგათის,
დავით ჭილიოთასა და სხვათა ნაწარმოებებს.

ოსეთს არა ერთი გულითადი მასპინძლობა
გაუწევია ქართველი მწერლებისათვის. ჩეენ
დიდად კმაყოფილები ვართ, რომ ქართული
საბჭოთა პოეზის კორიფეებს — გალაკტიონ
ტაბიძესა და გიორგი ლეონიძეს განსაკუთრე-
ბით უყვარდათ ოსეთი, მისი ხალხი და გულ-
წრეფი პოეტური სტრიქონები უძღვნეს მას.
ვ. ლეონიძეს კუმადლით ჩეენ ისი ხალხის
ზეპირსიტყვიერების დიდი საუნჯის — ნართე-
ბის გმირული ეპოსის ქართულად ადღერე-
ბას.

სიმოვნებით ვიგონებთ იმ ფაქტსაც, რომ
ისური პრიზის დედაბოძი არსენ ქოციოთი
თბილისში მოღვაწეობდა. აქ დაარჩა მან 1910
წელს ისური გაზეთი „აფსირ“ (თავთავი). და-
სანანია, რომ ისური მხატვრული სიტყვის ამ
დილასტატის ნაწარმოებს დღემდე არ იცნობს
ქართველი მკითხველი.

ამიერიდან ჩეენ გვეჯს საშუალება ცხინვა-
ლში ქართულად გამოიცეს ჩეენი კლასიკოსე-
ბის ნაწარმოებები, რასაც სახელმწიფო გამო-
ცემლობა „ირისთონი“ მომავალში თავის მიზ-
ნად სახავს.

ოსი მეთხველი დედანაზე კითხულობს აგ-
რეთვე სხვა მოძმე ხალხების ლიტერატურის
საუკეთესო ნიმუშებს, ეცნობა მსოფლიოს
კლასიკოსებს. ჩეენი ლიტერატურა მრავალდარ-
გოვანი და მრავალმხრივი გახდა. მის საგან-
ძურში თავისი წვლილი შეიტანეს თევლორე
გაგლოითმ, გიორგი ძუგათმ, ელიოზ ბეკო-
ითმ, რეზო ჩიჩითმ, დავით ჭილიოთმ, რევაზ
ასავეგა და სხვებმა. პოეზიის, პრიზისა და ლი-
ტერატურის კრიტიკის დარგში დიდი წარმატე-
ბები აქვთ ნაფი ჭუსოთისა და პაჭი-მურატი
ძუწათის, პოეზიასა და თარგმანში — გიორგი
ბესთაუთის, რომელმაც წარმატებით თარგმანა
გენალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყა-
ოსანი“. ბეკრი ისი მწერლის წიგნები ნათარ-
გებინა რუსულად, ქართულად და მეოთხველის
მოწოდებით სარგებლობს. თანამედროვე ოსურ
ლიტერატურაში წარმატებით მოღვაწეობენ
ალექსი ბუჭულთი, კოსტა მარლითი, ილია ფლი-
თი, ისიდორე ჭობათი, ზინა ხელიყოთი და
სხვები. ეს თაობა ლიტერატურაში მიღის იმ
გზით, რომელიც ვენიალურმა კოსტამ დაუ-
სახა ჩეენს მწერლობას.

პაგლე თაღლევი

ძმურ ოჯახში

საბჭოთა ეპოქაში ძლიერ გაიზარდა ოსური დრამატურგია, ლიტერატურის ამ დარგში წარმატებები ჰქონდა მუხტაზ შავლოხოვს, მისი კომედია „სასიძო“ ოც წელშე მეტია იღმება ჩვენს თეატრში და დღესაც წარმატებით სარგებლობს. ეს პიესა ქართველმა მაყურებელმც ნახა. მუხტაზ შავლოხოვს პიესის „ხანძერიფას“ მიხედვით დაწერა პირველი ოსური ოპერეტაც.

ამჟამად დრამატურგიაში მომუშავეთაგან კარგი წარმატებები აქვთ ვლადიმერ გაგლოვეს, ნაფი ჯუსოითის, გაფეზს და მიხეილ გურგაშვილს.

ჩვენი მწერლების რიგების ზრდას და ლიტერატურის წინსვლას დიდად უწყობს ხელს სამხრეთ თეატრი საკუთარი პრესის, შეკვეთითი საქმის მოვარება. საოლქო გაზეთები „სოვეთონ ირისთონი“ და „საბჭოთა ასეთი“, საოლქო რაიონმაუწყებლობის რედაქცია თვალიურს ადევნებენ ოსური ლიტერატურის განვითარებას, ექმარებიან ახალბედა ლიტერატორებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ასეთის განკოფილებას აქვს საკუთარი ორგანო, ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პილიტიკური უზრუნველი „ფილიური“. სამხრეთ ასეთის წიგნის გამომცემლობა „ირისთონი“ ხომ ფრიად უწყობს ხელს მწერლების, პოეტების ნაშრომების გამოქვეყნებას ისურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

ადრე ჩამორჩენილი ოსური კულტურა დღეს არნახულ სიმაღლეზე ავიდა. ამას ადასტურებს ისური თეატრულური ხელოვნების წინსვლაც.

ისური თეატრი მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1905-1907 წლების რევოლუციის წინა დღეებში დიბადა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისური თეატრულ მიმოყალიბების იდეა პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის პირველ რევოლუციურ სიტუაციასთან.

ლენინის უშაულ მითითებით 1918 წელს განსახუმის თეატრულმა განკოფილებაზ მიღობ აფიციალური მიმართვა რუსეთში მცხოვრებ კულტურა სახლისადმი, შეექმნა ეროვნული თეატრები. ამის საფუძველზე 1931 წელს თბილისში მოქმედი სახლობ თეატრის ბაზაზე შეიქმნა ცხინვალის პროფესიული თეატრი.

ისური პროფესიული თეატრის პირველ სპექტაკლებში აქტიურად მონაწილეობდნენ მახარებები თუღანოვი, ალექსანდრა გუგაევა, გიორგი გუბიევი, სონა ჭატიევა, ილია კახმაზოვი, თათარხან ქოქოევი, გრიგოლ კაბისოვი, დიმიტრი გაგიევი, ნინო ჩაბიევა, ნინო ჩიხიევა, მუხტაზ შავლოხოვი და სხვები. მოგვიანებით თეატრის შემოქმედებით კოლექტივში მოვიდნენ მხატვარი ცოფან გაზღანოვი. რეჟი-

სორი ვლადიმერ კაიროვი, მსახიობები ზინა და ვარვარა გაგლოვები, გაბრიელ თაუგაზოვი, სოსლან მარგევი და სხვები.

1939 წლიდან კოსტა ხეთაგათის სახელბის სახელმწიფო თეატრის ოსური კოლექტივი მტურ შემოქმედებით შრომას ეწევა ქართულ კოლექტივთან ერთად. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი მსახიობების მუშაობას. ბევრი მათგანი დაწილდობულია ორდენებითა და მედლებით. მინიჭებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის სახლობა არტისტისა და დამსახურებული არტისტის, აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებები.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ისეთის საოლქო კომიტეტი და შრომელთა დებულ-ტების საოლქო საბჭოს აღმასკომი ენგრაფულად ზრუნვენ თეატრულური კადრების მოშადებაზე. ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვის გორკის სახელბის აკადემიური სამხატვრო თეატრის სტუდიაში ხელოვნებით დაინტერესებული ჭაბუკიძისა და ქალიშვილების გვუფი გაიგზავნა. ახლა ისინი უფროს თაობასთან ერთად ენგრაფიულად მოღვაწეობენ ოსური თეატრის საუკეთესო ტრადიციების გასაგრძელებლად.

ჩვენი თეატრი თავის შემოქმედებით ცხოვრებაში ეყრდნობა ეროვნულ პიესებს და ამათ ნაციონალური დრამატურგიის განვითარებას უწყობს ხელს. მის რეპერტუარში დიდი აღგილი უკავია საბჭოთა ხალხების დრამატურგიასაც, დასავლეთ ევროპის კლასიკოთა პიესებსაც, რაც ნათლად გამოხატვას ჩვენი თეატრის ეროვნულ, პარტიონტულ და ინტერნაციონალურ მისწარაფებებს.

ოსურ მხატვრობას დიდი ტრადიციები აქვს, მის ისტორიაში საპატიო აღგილი უჭირავს გენიალურ პიესას და მთაზროვნებს კოსტა ხეთაგათის. მართალია, პროფესიული მხატვრობა რევოლუციამდევ გვქონდა, მაგრამ ისური მხატვრობის აკადემიური მინც აქტორებით პროფესიული ფართო პერსპექტივები მისცა მას.

ისური საბჭოთა მხატვრობის დაწყები მახარებები თუღანოვია. ჩვენი ეროვნული მხატვრობის ფუძემდებელი და კულტურული მრავალმხრივი მოღვაწე. მის შემოქმედებაში მთავარი აღგილი რევოლუციამდე დაიყიდა. იგი მტკიცედ, გაედულად უმღეროდა თავისი გრძელებული ფუნქით საბჭოური ისეთის ბეღნიერებას. „13 კომინარის დახვრეტა“, „ექცეს ვიწროებში მენშევიურ ჭართან ბრძოლა“, „1905 წელი“ და სხვა ტილოები შედევრებია ოსური ფრერის საგანძურში.

საბჭოთა ეროვან მისცა თავისი ჩანაფაქტრის შესრულების საშუალება. 30-იანი წლების დასწილებში მან ცინკალში გახსნა სამხატვრო სტუდია და ხატვას ასწავლიდა

ოს ახალგაზრდებს, შემდევ სტუდიის ბაზაზე შეიქმნა სამხატვრო სასწავლებელი. ახლა იყო მისი ორგანიზაციონის სახელს ატარებს.

წაყოფიერად მუშაობს საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ ისეთის განყოფილება. ისი მხატვრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქაფშირო და რესტურანტებში; ისეთში პოპულარობით სარგებლობენ ფერმწერი ბორის სანაკოვი (საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), მხატვრები: გრიგოლ კოტაევი, გიორგი ლოგუზოვი, სერგო მინასოვი, ხსარ გასიევი და სხვები. გრაფიკაში კარგი წარმატებები აქვთ ალექსანდრე ვინევკი, სოსლან ჭერიანის და ვატალი ცხოვრებოვს; ქანდაკებაში — ვასილ ქოქოევსა და ვლადიმერ ქელებსაევს;

სასიხარულო წარმატებებია მოპოვებული თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებშიც. ამ საქმეში დიდი ნიჭი გამოავლინეს ცოფან გაზღანოვმა, თაურბეგ გაგლოვმა (საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), ალექსანდრე ზასევმა და სხვებმა.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული მუ-

სიგალური ხელოვნების დარგში. მრავალი ნიჭიერი ისი მუსიკოსი აღიზარდა ცხინვალის მუსიკალურ სკოლაში, რომელიც აგრე მეორე წელია მუსიკალურ სასწავლებლად გარდაიქმნა. ისური ეროვნული მუსიკის განვითარებას დიდი ამაგი დასდო მხცოვანმა კომპოზიტორმა. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. გალავევმა. მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნეს ახალგაზრდა კომპოზიტორებმა ი. გაბარავმა, ბ. ფლიევმა, დ. ხახანოვმა, თ. ქოქიოთიძმა, ფ. ალბოროვმა.

ისური ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურა გრძნდიოზული ნაბიჯებით მიღის წინ. ამჟამად ჩვენი მწერლები და ხელოვნების მუშავები დიდი ენთუზიაზმით შრომობენ, რათა სრულყოფილად აისახოს ისურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში რევოლუციისათვის თავდადებულთა სახეები, მათი მიზანია მთელი სისრულით წარმოგვიდგინონ თანამედროვე ადამიანის სულიერი საუნჯე, მისი შემართება და თავდადება ნათელი მომავლის მშენებლობის საქმეში.



აპლავი და თვითაყოფაზე

ოქტომბრის რევოლუციიმ, საბჭოთა ხელი-სუფლების გამარჯვებამ თუ ხალხს არა მარტო მოუტანა თავისუფლება და გაუნათა აწმყო და მომავალი, არამედ ღრმად ჩაახდა საკუთარ სულში, თავისი გმირული ისტორიის, შემოქმედებითი მემკვიდრეობის საგანძურში და ყოველი კარგი და ტერიტორია, რაც მასში პოვა, ჩააყენებინა თავის სამსახურში.

ოსები ეკუთვნიან ჩევნი დიდი კაშირის იმ მცირებილცხვან ხალხებს, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციამდეც ჰერნდათ დაწერლობა და მაღალი პროფესიული ლიტერატურა.

ისტორიის დაუსაბამო სისხლიან გზებში თუ ხალხის წინაპრებმა — სკვითებმა, სარმატებმა, ალანებმა თავი ისახელეს ხმლით და ფარით, ქედმოუხრელი მეომრული შემართებით. მაგრამ მათ ვაკეაციას ტოლს არ უდებდა მათი მხატვრული ნიშიც. ხმალი და ფანდირი — ესაა დასაბამიდან თუ ხალხის გარიებული სიმბოლო.

მოფლიოში დიდად განთქმულმა ნართების ეპოხა, ხოლო შემდეგ ისტორიულმა საგმირო სიმღერებმა, ხალხურმა პოემებმა, მოთქმებმა, ზღაპრებმა და ხალხური ზეპირისტყვიერების სხვა განქულობამ მძლავრი საფუძველი შექმნეს ეპიურა და ლირიული სტყისების განვითარებისათვის ისურ ლიტერატურაში.

XIX საუკუნის გარიერაზე, როცა დიდ სოციალ-ეკონომიკურ ცვლილებებს იწყებს ის ხალხის ცხოვრება, როცა შეურიგებელი კლასობრივი წინაღმდეგობანი არღვევენ გვაროვნულ წყობილებას და წინა პლანზე დგება პიროვნების ინტერესები. როცა მეზობელ ხალხებთან, განსაკუთრებით კი რუსებთან და ქართველებთან ეკონომიკური და კულტურული კაშირურთობა მძლავრდება, და ეროვნული თვითშეგნების გრძნობა იღვიძებს თუ კაცის გულში, — იქმნება რეალური პირობები ისურ-

რი ლიტერატურის აღმოცენება-განვითარებისათვის. არ მყარ საფუძველს დაეყრდნო იგი: ერთის მხრივ, ისური ფოლკლორის მდიდარ მხატვრულ-ესთეტიკურ მიღწევებს, ხოლო მეორეს მხრივ, მეზობელი ხალხების მოწინავე კულტურის გამოცდილებას.

თუ ხალხის საუკეთესო შეილები ხარბად ეწაფები მეზობელი ხალხების კულტურას, მათ ხელვნებასა და ლიტერატურას. ეროვნული თვითშეგნების გრძნობამ უკარნახა ივანე თალღუზიძეს პოემს „იალღუზინი“. ავტორმა იგი დაწერა ქართულად, ეპიურ-გმირულ საღებავებით, უკვდავი რუსაველის „ვეფხისტყოსნის“ პოეტური ტრადიციის მიბაძვით. მეორე დიდმა მწერლმა და საზოგადო მოღვაწემ ინალ ყანიურყვათიმ კი შემოქმედებით იარაღად გამოიყენა რუსული ენა. თავის პუბლიცისტების, პროზასა და ლექსებს ქმნიდა რუსული მოწინავე დემოკრატიული ლიტერატურის იდეურ-მხატვერული შეგავლენით. ისინი ორივენი იყვნენ მეზნებარე მამულიშვილები, მშენებელი ხალხის კულტურის დიდი ქომაგნი. მთელი თავიანთი შემოქმედებითი აზრით და გრძნობით სისხლ-ხორციელად დაკავშირებული იყვნენ ის ხალხის სულთან, ისეთის ბედ-ილბალთან.

მაგრამ არამშობლიურ ენაზე შეუძლებელი იყო ისური ეროვნული ლიტერატურის შექმნა. ივანესა და ინალის ნაწარმოებებს, მათი თვალსაჩინო მნიშვნელობის მიუხედავად, არ შეეძლოთ ისური მხატვრულ აზროვნების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. თქმა არ უნდა, ერის ბედით და უბედობით წვა და დაგვა დიდი მამულიშვილური სექმერ, მაგრამ გადაშწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმასა აქვს, თუ რა ფორმით, — რა ენაზე ემსახურები შენს ხალხს, რადგან ეროვნული ლიტერატურის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ერისავე ენაზე შესაძლებელი.

ეს შემარიტება ნამდვილად დიდი პატრიოტისა და პოეტის ინტუიციით შეიგრძნო თემი-აბლოათ მასირათიშ. მან, რუსეთის შეფიცი ჯარის ოფიცერმა, მშვენივრად იცოდა აუსტრი ენა და ლიტერატურა, მაგრამ თურქეთის შორეულ მიწზე (სადაც გადასახლდა 1865 წელს მაჰმადიანი ისი ხალხის ნაწილთან ერთად), მან თავისი გულის ტრაგიული და პოეტური აღსარება იღალადა ისური ლექსით. მიმაკვდავი გვდის სიმღერის მსაგასი პოეზია თემირბოლათის იყო ისური ლექსის პირველი ამინათილი. უცხო ცის ქვეშ, უცხო ხალხში მისი პოეტური სული წმინდა კელაპტარივით იწვიოდა მშობლიური ისეთის სიყვარულით. მთელი მისი შემოქმედება ერთი მხურვალ ლოცვაა დაკარგულ საშობლოზე. სამწუხაროდ, თემირბოლათის ლექსებმა 1922 წლამდე ვერ მოაწიეს ისეთში, რის გამოც მას არ შეექმნო გავლენის მოხდენა მეცხრამეტე საუკუნის ისური პოეზიის განვითარებაზე.

მიუხედავად ამისა, ვინც თემირბოლათის შემდეგ მოვიდოდა ისურ პოზიაში, იგი იბიქეჭმურა უნდა გაცყოლოდა მის გზას. ამას მოითხოვდა ისტორია და ერის უკვდავება. ეს იყო მეტად მძიმე ტვირთი. ღატაკი და წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი დაქვეშავა მთის ბნელორჩებში. არავინ იცოდა, გადარჩებოდა თუ არა არა იგი როგორც ერი, იცოცხებდა თუ არა მისი ენა. ასეთ დროს საჭირო იყო გმირული თავაგნწირება, უკიდურესად გზნებარე პატრიოტული ენთუზიაზმი და ფანატიკური გამბედაობა, რომ ხალხს თვისისავე ენაზე გაეგო მისი ჭირი და შთანერგოდა აწმენა, წამომდგარიყო ბედნიერებისათვის საბრძოლველად. უნდა გამოჩენილიყო კაცი, რომელიც შეძლებდა ერის თვითშეგვების გალვივებას, პირადი მიგალითით ნამდვილი მამულიშვილობის ჩენებას. ასეთა დიდი ეროვნული მისა იტვირთა ისეთის ფენო-მენმა, გენიალურა კოსტა ხეთაგათიმ.

ისური ლიტერატურა კოსტამ ერთი გმირული დაკვრით მხარში ამოუყენა საუკუნოვნი ტრადიციების შენერ ლიტერატურებს. ასწლეოდების მანძილზე ისი ხალხის მიერ მოპოვებული ფასეულობებითა და სხვა მოწინავე ერების მხატვრული გამოცდილებით შეიარაღებულმა კოსტამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ისურ ლიტერატურას, დაუმკვიდრა მეღალი ტრადიციები.

კოსტამ გმირული შემართების შემდგომ ეჭვება აღარ იშვევდა ისი ხალხის მომავალი, მისი ლიტერატურის პერსპექტიულობა. ხალხმა და პოეტმა ერთმანეთს მიანიჭეს უკვდავება. კოსტამ მაგალითმა აღაფრთვონა და ხალხის წიაღში ფრთა შეასხა ძლიერ და თვითმყოფად შემოქმედთ, რომელიც მხატვა-ლორების ნოვატორიულად გაამდიდ-რეს. რესპუბლიკური დაუმკვიდრა მეთადი ტრადიციები. მათ სიგრძე-სიგანე შემატეს ეროვნუ-

ლი ლიტერატურის თითქმის ყველა უანრს, როგორც მოცულობის, ისე შინაგანის მხრივაც. პოეზიაში გაილევს უწმინდესმა სახელებმა. ბლაშვა გურჯიბეთი თავის ლექსებში გვიხატავს, ბლაშვა მშომელი ხალხის ცხოვრებას, მათს ცრე-ლატაკი მშომელი ხალხის ცხოვრებას, მაგრამ ამავ სევდას. სევა გადაათი გვე-ჩვენებს მთების მრისანებას, მრავალგვროვნებასა და მრავალმხრივობას. იგი გაბედული, მო-ულოდნერი პოეტური სახეებით უნთებდა ულოდნერი ლექსის. მგზებარე, ტეპერატურული გზას ისურ ლექსის. მგზებარე, ტეპერატურული „ალექსანდრე“ კუბალთი რომანტიკის პოემებში („ავხარდოთ ხასანა“, „ხოსავ“, „ამბაზიგ“, „უკანასკნელი სუფრა“) ადიდებს ძლიერი სულის ადამიანებს, თავისუ-ფლებისთვის თავდადებულ მებრძოლთ, მათ მორალურ სისპერაციას და უდრეკ ნებისყოფას. ისურ ლიტერატურაში მან მტკიცედ და-მეცვიდრა რომანტიკულ პოემის ეანრი. ცომაყ გადაათი — რევოლუციის ქრიშხალა, ვეტრ-რია ბრძოლის დაუცხრომელი წყურვილით ან-ტებული ლექსებისა. მის შემოქმედებას ქვეს თებული ლექსებისა. მის შემოქმედებას ქვეს თებული ლექსებისადაც მომდინარე, ფოლადისე-გულის სიღრმიდინ მომდინარე, ინტონაცია. ციმბირში გა-ბური ირატორულ მის „პატირის ლექ-დასახლებისას დაშერილ მის „პატირის ლექ-სებს“ ახასიათებს არალისტური საგნობრიობას. აღა მარტინ შესანიშნავი პოეტი, არავედ დიდი პრიზისაკისიც, მან შექმნა ძლიერი გმოციუ-რი ზეგავლენის მეონე ტილოები თავისი ღრის სოციალურ უსამართლობაზე. სევამ ამხილა შე-ბარონეთა გაუმაძლობა და დიდების შარავან-დედით შემოსა ისი გლოხების პატიოსნება, მისი გაუტეხელი ნებისყოფა და მორალუ-რეთელური სიწმინდე. მეორე სახელმოვანმა პრო-ზაიგოსმა ასენ ქოცოითიმ მზის სინათლეზე გამოიტანა ადამიანის საძრახისი, მეშმანური თვისებები, სოციალური ცხოვრების ნაკლოვა-ნებანი, ამხილა ცხოვრების ის მახინგი გარე-მოებანი, რომელთა გამოც პიროვნება ვერ ამა-ღლებულა ნამდვილი ადამიანის მორალურ ღონიშვილი დაუმკვიდრა ადამიანის მორალურ ღონიშვილი დაუმკვიდრა საფუძველი გვითხვის მისი მომა-ვლისაკენ დამასხიათებელი იყო ყველა ისი მწერლისათვის.

პაჭი მუზარა ძუძათი

მდლაპრი და თვითმყოფადი

მითიური ამირანიეთ ჭაჭვები დაწყვიტა და მზის სინათლეში გამოვიდა ოსური დრამატურგია; ლიტერატურის სხვა უანრებს გვერდში ამოუდგა მნენდ და გაბედულად. პრიმიტიული ხალხური სანახაობანი და თეატრალური წარმოდგენები შეცვალა ნამდვილად მაღალმა დრამატურგიამ. ელბიზდიყო ბრიტანთმ პირველმა შთაბერა სული ისურ ლიტერატურაში ტრაგედიის დრამისა და კომედიის უანრებს. მან წამოაყენა ისეთი დიდი ეროვნული და სოციალური პრობლემები, რომლებიც ერთოვად აღელვებენ ხალხის გულს, აღაზნებენ მას პატრიოტულ და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობის გრძნობას. ელბიზდიყოს გზით წავიდნენ ნიკეირი ოსი დრამატურგები დავით ყორიოთი („მე არ ვიყავ, კატა იყო“, „მყითხავი“) და პირველი ოსი მწერალი ქალი როზა ქოჩისათი („ჩვენი პრისტვი გაგიფდა“, „ჩემი სიყვარული თუ მამის სურვილი?“). ისინი ბაძვდნენ პრიტიათის ნაწარმოებთა აქტუალურ პრობლემურობასა და მაღალ მხატვრულობას.

აქტომბრის რევოლუციამდე გამოვიდნენ შემოქმედების საბილოზე ისური მხატვრული სიტყვის ისტატები: სოზიზ ბაღრათი, გინო ბარაკო, ნიკერი, გიორგი ცაგოლოი, გიორგი მალითი, ანდრიე გულუთი და სხვ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ინდივიდუალური შემოქმედებითი თვისებებით, მაგრამ ართიანებდათ ერთი მთავარი რამ, ცომაყის სიტყვებთი რომ ვთქვათ — „ისური ლიტერატურის უპირველესი სათქმელი — ჩვენი საბარალო ისეთის ბედ-ილბალი“.

განვითარების გზას დაადგა პუბლიცისტიკა. ოსი მწერლების უმრავლესობა პუბლიცისტის მახვილი სიტყვით აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხებში. წერდნენ გონებამაზევილურ სტატიებს, სვამინენ საჭირობოტო პრობლემებს.

აღნიშვნულმა მწერლებმა შექმნეს ისური კლასიკა, მათი შემოქმედება მნიშვნელოვანი სურვილი საუნდაო.

ასებული ისტორიულ-ეკონომიტი პირობების გამო რევოლუციამდელი ოსური ლიტერატურისა და კულტურის კერა ჩრდილო ისეთია. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე მას ფართო გასაქანი მიეცა სამხრეთშიც. რევოლუციამდე სამხრეთ ისეთის ინტელიგენციის ინიციატივით თბილისში ძალშე მცირე ხნით იცემოდა გზეთი „წოვ ცარზ“ („ახალი ცხოვრება“, 1907) და უურნალი „აფსირ“ („თავთავი“, 1910). 1920-30-იან წლებში კი ცხინვალში მასიურად იწყებენ გამოსვლას ბეჭდვითი სიტყვის მთელი რიც ირგანობა: გაზეთი „ხურზარინ“ („ოქრომზე“, შემდეგში „კომუნისტი“ და „სოვეთონ ირისთონი“), უურნალი „ფალუაგ“ („მაცნე“, გაზეთები: „ბოლშევიკონ იყვალ“ („ბოლშევიკური ხელოვნება“) და „ლე-

ნინონ“, უურნალი „ქაფურნდარ“ („ნიანგი“) და სხვ. ამ დროიდან იწყება და დღითიდღი ვათარდება წიგნის გამოცემის საქმეც.

ლიტერატურის წინაშე დაისახა საპატიო ამოცანა: რევოლუციური საბჭოთა სინამდვილის, ახალი ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩვენება. ამ ამოცანის გადაწყვეტა ძნელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისმა მწერლებმა გაბედულად მოჰკიდეს ხელი. და ეს იმიტომ, რომ მათი საუკეთესო წარშომადგენლები თვითონ იყვნენ რევოლუციის შემოქმედნიც. აქტიური პარტიული და საზოგადო მოღვაწენი, სიტყვით და საქმით წარმადგენლენ ახალი ადამიანის იდეალს. სამაშულო კლასიკური ლიტერატურის ჰუმანიზრი, პატრიოტულ-გმირული ტრადიციების ერთგულმა ისმა მწერლებმა, დადგნენ რა შტკიცედ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პიზიციებში, საბრძოლო იარაღიდ გამოიყენეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. უფროსი თაობას მწერლებთან (ცომაყი, არსენ ქოციოთა, გინო ბარაკო, ნიკერი და სხვ.) ერთად თავი ისახელეს ჩერმენ ბეგიზათიმ და სიკო ყულათიმ. ისინი დალებს ისინჯაედნენ პოეზიასა და დრამატურგიაშიც, მაგრამ კლასიკოსებად დამსახურებულად მოინათლენ პროზაში. მათ შექმნეს მხატვრული ისტორია ჩვენი ხალხისა, დაწყებული გვაროვნულ-პატრიარქალური ეპოქიდან კოლექტივიზაციის გამარჯვებამდე. მათს შემოქმედებაში თვალნათლივ ჩნდება მთის ორწოებში ჩაკეტილი ისმა მშრომელების ულიძლომო ყოფა, რევოლუციის წლებში თავისუფლებისათვის თავდადებული და ტრაგიკული ბრძოლა, მძიმე და რთული პროცესი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის რელსებზე დაყენებისა.

ისური პროზის შედევრებს განეკუთვნება ჩერმენ ბეგიზათის ლიტერატულ-რეალისტური დღიური „ცეკვლი მოკედა სიცოცხლეს“, დადი მოთხოვდა „ციხე-კაშუთა ღალაზი“, მოთხოვდა „სამი შემოხედვა“, „ქარიშხალმა გადატეხი ტირიფი“, სიკო ყულათის „სისხლით ნაყიდი“, „ცამეტინი“, „ცალხელა“, „რკინის დევი“. ამ ნაწარმოებში იშვიათი ისტორია და ახალი ცხოვრების შემოქმედი ხალხის განზოგადოებული, კოლექტიური სახე. ჩერმენისა და სიკოს შემოქმედება სინამდვილის რეალისტურად, ლრმად და სისხლს გასედ სახევის ბრწყინვალე მაგალითია.

ახალმა ყოვამ, ახალი ადამიანის მისწრაფებებში უკარნახეს ისურ პოეზიას ახალი შინაარსი და ფორმა. ცხოვრებაში მომხდარი სოციალური და მორალური გარდატეხანი თათარი ეფხითის, ბარინ ბოკითის, ციფუ ხუტინათის, იაკბ ხოზითის, ხაიძიათის არდასენთისა და სხვების პოეტური შთაგონების წყაროდ იცცა. სახერეთ ისეთში რევოლუციის ნაღრა განსაკუთრებით ძალუმად დაპკრა კოსტა ფარნიონმა. ცხოვრებისა და ადამიანის სულის რთული,

წინააღმდეგობანი კვებავთნენ
მის ცეცხლოვნი პოეზიას. მის შემოქმედებაში
ჩარსული, ერთმანეთს ვერ ეგუდიან წარსული,
აშშყო და მომავალი, თითქოს ირლევა ძროთა
კავშირი, რაც იწვევს ვეტორის პროტესტს. მა-
უხდავად იმისა, რომ ფარნიონი ზოგჯერ აქა-
ბებს, მეტისმეტად პარადოქსულია მისი ემიცი-
ური დასკანები, მაინც საერთოდ სწორად ასა-
ხავს იმ გონება-განწყობილებას, იმ ეჭვა და
შეჩერებას, რასაც გარკვეულ ისტორიულ ეტაპ-
ზე. იწვევდა ოს ინტელიგენციაში ძევლისა და
ახლის, სოფლის და ქალაქის, ეროვნულისა და
ინტერნაციონალურის ერთმანეთის პირისპირ
დადგომა. თსურ პოეზიაში თვალსაჩინო წვლი-
ლია მისი პოემები „ყობანის განვაში“, „თავი-
სუფლებისათვის“, „სახეიძინ“, რომლებშიც ვა-
ტორომა გვიჩვენა ჩვენი გმირული წარსული, რე-
ვოლუციის წლების ტრაგიზმი და თავდადება,
სოფლად სოციალიზმის გამარჯვება. ფარნიონი
იყო მუდმივ ძიებაში. იყენებდა კლ. მაიაკოვს-
კის ლექსის ფორმას.

1920 წლის დაუკიშყარი ამბები წარმოვიდნენ ხარიტონ ფილიოთმ თავის ცნობილ პოემაში „სალიმათა“. ეს აზის მაღალი ემოციური პათოსით შექმნილი ნაწარმოები, რომელშიც რომანტიკული აღტროვანება ისტატურად ერწყმის კონკრეტულ-ისტორიულ დეტალზეა, რაც ასელოებს მას რეალისტურ ლირიკასთან. ხარიტონშე აღრე მსგავსი პოეტური ხერხებით ააგეს თავიათი პოემები ნივერმა („მულდარი“) და მისოსთ ყამბერდიათმ („ფიცა“). რეალისტურისა და რომანტიკულის ორგანულად შერწყმა შესანიშნავ შესრულებულის უქმნიდა ისური პოემის განვითარებას. სინამდვილეს არიგინალური კუთხით უდგებოდნენ ისი საბჭოთა პოეტები; ახალგაზრდა მუშაობა კლისის შრომას და თავდადებას უმცეროდა ყაჩქებებ ყორთონ. გარდატეხები სოფლის ცხოვრებაში, სამშობლოს დასაცავად მზადყოფნა, ახალი სოციალისტური პეიზაჟი, ხალხის კულტურული წინავლა, მიუვალ მთებში გზათა მშენებლობა, ადამიანის დამატებირებელი, მოძველებული ზენ-ჩევაულებების მხილება — ის, ეს თემები ედო საჯუფვლად სოსლან გაზათის, სარდი ზალიოთის, გიორგი ხამიცათისა და სხვათა ლექსებსა და პოემებს.

20-იან და 30-იან წლებში ოსი მწერლების ერთმა ნაწილმა მკლავები დაიკაპიტა რომანის უძრავი სამუშაოდ. კოსტა ფარნონმა „ქარიშხალის გუაცხაში“ განიხილა აესახა პერიოდი პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან აქტოობრის ჩრევოლუციის გამარჯვებამდე; სურდა ენერგებინა თუ როგორ გადაიზარდა თანდათნობით მთიელი ოსი კაცის ფსიქიკაში სტიქიური პროცესტი რევოლუციონერის შეგნებულ ზიზანდასახულობამდე. სიკო ყულათის უნდოდა „1905 წელში“ დაეხატა რევოლუციისთვის მებრძოლ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების კლასობრივი ძმობა. ჩერმენ ბეკიზათი რომანში — „სხვა გზა არა“ — აპირებდა კოლეგიის ვიზუაციის პერიოდში გლეხაცის სულსა და გონებაში გმიშბადრ მკვეთრ ცვლილებათა ასახვას. ეს რომანები მათ ავტორებს დაუსრულებელი დარჩათ. მხოლოდ ცალკეული ნაწილები და თავები დაიბეჭდა. მაგრამ ამზე არ შეჩერდა ოსი ლიტერატურის ძლიერი მისწრაფულა ეროვნული რომანის შექმნისათვის. თანამედროვე ოსურ პროზა ამშენებს ბევრი მრავალპლანიანი, თანამედროვეობის ამა თუ იმ ეტაპის ამსახველი რომანი. ცალბილია დაბეჭდისისათვის, „მძიმე ოპერაცია“, „თაობები“, „ოქმელება მამაც ადამიანებზე“, ბარონ ბოკითის „დამსხერეული ბორკილი“, ქუაგ ძესთის, მექსიმ ცაგარათისა და სხვათ ფართო პროზაული ტილოები.

ერის გველ-ოლბალი ღიღ ისტორიულ გარდა-
ტეხებში. ეპოქის ტიპიურ წარმომადგენელთა
ხასიათები, მათი შრომა და ბრძოლა — ი, ასახ-
ვის საგანი ოსური ეპიური პროზისა.

ოსი ქალის მიერ გვალილი რთული გზა და-
წყებული პატრიარქალური წესჩვეულებების
ბორჯილებიდან თანამედროვე თავისუფალ ყო-
დამდე — ი, თემა ელიოზ ბეკონის ტრილო-
გიის „თარიიმა“.

შესრულებული ხალხის კლასობრივი ბრძოლის
ქარცეცხლში გამოიარა და გამოიწროთ დავით
ჯიოთის რომან „უძლევებული ძალის“ გმირი —
სოსლანი. რომანი ავტოლია ავტობიოგრაფი-
ულ მასალაზე, მაგრამ მწერალმა შეძლო მისი
განწყობადება და წარმოვაიღებანა საბჭოთა ადა-
მიანის ტიპიური თვისებები, უშიძემეს ფიზიკურ
და მორალურ გასაჭირებები მისი შეუძლებელო-
ბა. მისი კოსმოვალი კომინისტური შემართება.

ს ინდ უ უ ლ უ კ უ რ ი მ შ ე ნ ე ბ ლ ი ბ ი ს პ რ ი ც ე ს ს , ს ა ს -
კ ი ლ ი ს ა ს ა კ ი ს თ ა მ ბ ი ს ა ღ ზ ჩ რ დ ი ს პ რ ი ბ ლ ე გ მ ბ ი ს ,
მ ი რ ა ლ უ რ - ე თ ი კ უ რ ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს მ ე ტ - ნ ა კ ლ ე ბ ი ნ ი-
ჭ ი ე რ ე ბ ი ი გ ა ნ ი ნ ი ლ ა ვ ე ნ რ ე ზ მ ი ც ი თ ი („ ი ც-
ნ ე ბ ა “ , „ ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა “ , „ ს ი ყ ა რ უ ლ ი დ ა ს ი ძ უ ლ-
ვ ი ლ ი ”) , ნ ი გ ა („ ი რ ი ზ ა რ ი ”) , ვ ა ს მ ს ა ნ ა კ ი თ ი
(„ ი რ ქ მ ა კ ვ ა ლ ი ”); ს ა მ ქ ა ლ ა ქ მ დ ა ს ა მ ა შ უ ლ ი
ო მ ი ს თ ე გ მ ბ ს მ ი ე ძ ღ ნ ა ი ლ ი ა ფ ლ ი თ ი ს „ წ ი თ ე ლ ა

କୁଳୀ ପ୍ରକାଶ ପ୍ରକାଶନ
ପଲାତନ ଏବଂ ବିଜ୍ଞାନାଧିକାର

დორშაა, „ლაშქრული“, ნიკოლოზ გაგლოითის „ცეცხლში“ და „მხარდამხარ“. სამუშაოს რომანში რეალისტურ და ფიქციონურ კვლევა-ძიებას, მიწიერ კონკრეტულობას და ფილისონფიურ აზროვნებას, ინტრაციურ და სტილისტურ დაცვეშილობას უკანასკნელ წლებში ფართო გასაქანი მისცეს გაფეხმა („გამარჯობა, ხალხი!“), გოორგი ძუღათმ („დანის პირზე“), ნაფი ჯუსონითიმ („წინაპართა სისხლი“), ალექსი ბუქულოთმ („მთების ყვავილი“), მელიტონ გაბულოთმ („ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“) და სხვ.

თვალსაჩინო წარმატება აქვს მოთხოვნის უანრა. დასახულებულ პროზაიკოსებთან ერთად აქ ნაყოფიერად მოღვაწეობენ მიხალ ბულგათი, ანატოლი უჟითა, ზურ კაბისთი, რომლებსაც უნარი შესწევთ პროზის „მცირე ფართობზე“ გვიჩვენონ ადამიანის სიხარული და სევდა, სიამე და ტკვილი, წარმატება და მარცხი. მათს საუკეთესო მოთხოვნებს ახასიათებს გარკვეული ფსქოლოგიზმი; მცირე, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი დეტალები მათთან ხშირად იქცევა მრავლისმეტყველ სიმბოლოდ, ფართო განაზოგადებელ დეტალდ.

თანამედროვე ოსური პროზა ცდილობს ერთ მთლიან კავშირში, პირინონიულ შენაბუში წრმოადგინოს სოციალური და მორალურ-ეთიკური კონფლიქტები, მოქმედება, სოუკერი და გმორის გაწყვბილება, ისე რომ ერთი მათგანი გმომდინარეობდეს შეორისაგან, განაბირობებდნენ ერთმანეთს. უკანასკნელ ხანს ჩევნს პროზაიკოსებს ადამიანის შინაგან სამყაროში წვდომას რამდენადმე უადგილებო ლირიული მონალოგა, რომელსაც ფართოდ იყენებონ.

შესამჩნევად წაიდა წინ ისური დრამატურგია. ჩერქემენ ბეჭიზათის, სიკო ყულათის, ფარნიონის, ნიგერის შემდგომ დრამატურგიის უანრები მაღალ საფეხურზე აიყვანეს გიორგი ჯიმითიმ, დავით თუათმ, გრის ფილითმ და სხვებმა. სამხრეთ ისეთში დრამისა და კომედიის უანრში გარკვეული ადგილი დაიკავეს მუხტარ საულითის „ბეგამ“ და „სასიძომ“. რომანტიკულ-პათეთიკურ სახეებში წარმოდგვიდვენ რევოლუციისა და სამამულო მოის გმირებს ვლადმერ გაგლოითის პიესები; დრამის უანრს ფსქიოლოგიური სილმე მისცეს გაფეხმისა და ნაფი ჯუსონითის ნაწარმოებებმა მორალურ-ეთიკურ პრობლემებზე. მსუბუქი კომედიის უანრში მომუშვევთაგან შედარებით გამოირჩევა მიხალ გუცმაზთი.

უკანასკნელი იცდათ მანძილზე ისური მსატვრული აზროვნება საქმაოდ წინ წასწია პოეზიამ. ისეთში მოღვაწეობს უფროსი და უმცროსი თაობის მრავალი ორიგინალური ინდივიდუალობის მქონე პოეტი. მრავალი მათი ნაწარმოები იდეურ-ემოციური ღირებულებით, შინაარსისა და ფორმის სიახლით თამამად შევ-

ვიძლია დავაყენოთ ჩევნი მრავალეროვანი სამუშაოს ლიტერატურების საუკეთესო შედევრთა გვერდით. განსხვავებული პოეტური სამყარო გააჩნიათ გრის ფილითის, ალექსანდრე ცარუბათის, თაიშერაზ თეთკოითის, ახსარ ყოდათის, ვასი მალითის, ქამალ ხოდისა და სხვებს.

ომის შემდგომ გაიფურჩენა ძირითადად გაფეხის პოეტური ნიკი, თუმცა მისი შემოქმედების სათავე 30-იან წლებშია. მის ლექსებში რეალისტურად, ხან ამაღლებული, დაძაბული პათოსით, ხან რბილი იუმორით იხატება მოის სისხლიან გზებზე დაღლილი, შვიდობანი შეწებლობაში მცლავდაპიწებული ისი კაცის შინაგანი სამყარო. გაფეხის ლექსები გამსჭვალულია სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულისა და მოწიწების, თავისი დროის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. გაფეხზე დიდი წვლილი შეიტანა ლექსად დაწერილი ამბას უანრშიც. თავის მრავალსახოვან პოემებში ივი განიხილავს ჩევნი დღევანდელობის აქტუალურ პრობლემებს. ამ პოემებს აერთიანებს საშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, ოსტის გმირული, მაგრამ ტრაგიკული წარსულისადმი მოწიწება.

ისური ზეპირსიტყვიერების უკვდავების წყაროს ეწაფება პოეტი გიორგი ბეგათი. გ. მალითისა და ნიგერის შემდეგ ახალი დროის ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად მან თავისებურად განაგრძო და განვითარა ხალხური რბილი, სევდანარევი, მაგრამ ნათელი ლირიზმი. მისი ლექსები მომა, დედაზე, სატრუფოსა და სოფლის ცხვრებაზე აგებულია ხალხური ლექსის საუკეთოსა ტრადიციების შემოქმედებითად გამოყენებით. ხალხური ტიპიური ლირიზმი კვებავს მის პოემებსაც. სიუჟეტურობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია მუხტარის შემოძლებელი და მაღალი დაღუბულობით მის მომენტებისათვის, მდიდრებელია პოეტის ლირიული წიაღსვლებით. ასეთება მისი „სიყვარული“, შექმნილი ახალგაზრდობის მორალის საკითხებზე, „ბინძისიგ“, — სამამულ ომში დაღუბულთა მაღიდებელი.

ომის შთაბეჭდილებანი დღემდე კვებავენ კოსტა მარლითისა და რევზ ასათის პოეზიას. კოსტა მარლითის ლექსი გამოიჩინა პოეტური უშუალობით, ზოგჯერ უბრალობამდე დასული რეალურობით. მის ბალადებში „კორმიი“, „წყარო“, ლირიკულ პოემში „გულის გაერი“ ნაჩვენებია პოეტის თაობის სამარი გზა, მათი ნაფეხრალი და ნაოცნებაზ.

უკანასკნელ ხანს მსოფლიოს ხალხთა ინტერნაციონალურ ურთიერთობათა განმტკიცების უამს, როცა პლანეტის ბედ-ილბალს წყვეტის მსოფლიოს ხალხთა საერთო ნება, გაფართოვდა პოეზიის პორტონტებიც. ეროვნული ნაიაგაში ღრმად ფესვგადგმული პოეტი იმავ დროს ხდება მსოფლიოს მგოსანიც. მისი გული ემსაფუსება დედამიწის სფეროს. ასეთად გვევლინება

თანამედროვე ოსურ პოეზიაში ნაფი ჭუსოითი. მისთვის განუყოფელია ოქანი და მსოფლიო. ერთნაირად განიცდის სკუთარი თავისა და ყველა გულმართალი აღამანის სევდასა და სიხარულს.

ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთმანეთთან პარმნიული შერწყმა აღამაღლებას პოეზიას, აძლევს დღევანდელობის ელფერს ფრჩისა და შინაარსის მხრივ. თანამედროვების ასეთ ახალ ტალღს მოჰყვნენ ისურ ლიტერატურაში მიხალ ნართიხთი და გორგი ბესთაუთ. მრავალი კარგი პოეტური ნაწარმოებით გაახარეს ისი მყითხველი და დიდ იმედებს იძლევიან პოეტები ისიდორ ქოზათი და ლეონიძ ხარებათი, ზინა ხოსთიყოთი და ხავუმარ ალბორთი, გრისან ყოდალათი და იური თელეთი, ნუგზარ ბაყათი, ფელიქს ფლითი, სერგო მინდაშვილი და სხვ.

ეროვნულისა და ინტერნაციონალურის მტკიცე განუყოფლობა ისურ პოეზიას დიდმა კოსტამ ხეთაგათიმ უანდეგრა, ამ ანცერს განხორციელების უქარი პარობები შეექნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკის მეობებით. ისი საბჭოთა მწერლები სწავლობენ მომებ ერთა ლიტერატურის მდიდარ გამოცდილებას. ამით სრულადაც არ კარგავენ ეროვნულ სახეს.

ერთა სიახლოვე, ერთა თანამშრომლობა აფართოებს ეროვნულ ლიტერატურათ მასშტაბებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა ქართული და ისური ლიტერატურის მმური ურთიერთეკავშირი. 1932 წელს ცნობილი ქართველი მწერლები ტიციან და გალაკტიონ ტაბიძები, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვები ერთი კვირით ეწვევნენ სამხრეთის მას შემდეგ ტრადიციად იქცა ასეთი შეხვედრები ქართველ და ის ლიტერატურებს შორის. ისური ლიტერატურის მრავალ ნაწარმოებში ისები და ქართველები მოქმედებენ ერთად. მრავალი ლექსი და პოემა, მოთხრობა და რომანი დაწერილია ჩვენი ხალხების მმური

მეგობრობაზე. ისური ლიტერატურის განვითარებას დიდად უწყობს ხელს ქართული სიტყვის თარგატების მხატვრული საშუალებანი, მათი სახეობრივი ჭრები და ღრმა აზროვნება. ქართული ლექსის მაღალი კულტურის მაგალითზე იწვერთხმოდნენ მიხალ ნართიხთი და გიორგი ბესთაუთი.

ისური მხატვრული სიტყვის საგანგურში საპატიო ადგილი დაეთმო თარგმნილ ლიტერატურას. ისმა მწერლებმა მშობლიურ ენაზე აამეტყველეს მსოფლიო კლასიკის შედევრები, მათ შორის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები დაწყებული გენიალური შორია რუსთაველის „ვეფხისტუასნედან“, თანამედროვე ქართველი მწერლების თხზულებებამდე.

მრავალი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა ისურმა საბჭოთა ლიტერატურმ, მაგრამ ეს იღნავ საბაბასაც არ აძლევს მის შემოქმედთ გულდამშვიდებისათვის. მიღწევების მიუხედავად, დღემდე არადამაყმაყოფალებელი მდგრამარება გვაქვს საბაეშვილ ლიტერატურის, კრიტიკის, ნარკევებისა და პუბლიცისტიკის უანებში. გერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როცა მხატვრული პროდუქციის მოცულობასა და ხარისხს შორის მანძილი დიდია.

დღევანდელობა ლიტერატურის მოღვაწეთა წინაშე აკრიტიკაში, ახალ დიდ ამოცანების. იმ დაბაზულ ვითარებაში, როცა მსოფლიო სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის მიმდინარეობს მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლა. საბჭოთა მწერლის მოვალეობაა წმინდად დაიცეს ლენინური პარტიულობისა და ხალხურობის მაღალი პრიციპები. საკუთარი ეროვნული რეალისტური და მოქალაქეობრივი ტრადიციების ბოლომდე ერთგული ისური საბჭოთა ლიტერატურა შემოქმედებთად სწავლობს სხვა ხალხთა მხატვრული გამოცდილების საიდუმლოებებს და გაბედულად ესწრაფვის ახალი ეპოქის შესაფერის იდეურ-მხატვრულ ღირებულებათა შექმნას.



ქროლა საუკუნეთა...

1.

დროის გრიგალი
გუგუნ-გრიალით
მიაგორებს
დენთით დატენილ
ვარვარა დღეებს!..
გზა-გზა გრუხუნით ფეთქდებიან
ცხელი წუთები, —
საოცნებო და სანატრელი რაც იყო
გუშინ —
დღეს ერთიანად და გულგრილად
მივიწყებულა,
ჯით მოსაწყენი თამაში რამე!..

დრომ დაიტანა
მძღე ნართების მზეც, ცეცხლოვანი!

ნართების სული ზღაპრებში
ცოცხლობს, —
დროთა სიღრმიდან მოგვაშუქებს
ლეგენდა ზოგჯერ;
მაშინ ჩექნს სუნთქვას ემატება
შუქი და სითბო!..
დრო კი... დრო ისევ
გულმოდგინედ და გუგუნ-გრიალით
მიაგორებს
დენთით დატენილ,
ვარვარა დღეებს!...

2.

ჰა, მთათა მიღმა ცისკიდური
ამოხასხასდა.
ამოღამაზდა განთიადი
აღმოსავლეთით,
ერთმანეთს ჩხვერენ,
ირევიან ღრუბლები ცაზე,
ვით მოყრანტალე შავი ყორნები...
ბრძოლის ველიდან დროის ქარი
მოიტანს ჭიხვინს,
ფართა ჯახაჯუხს,

ჭახაჭუხს ხმალთა:

საუკუნეთა ფრთების ტყლაშუნში
ისმის დროდადრო სიმღერა
ბრძოლის!

უცებ ისარი იწიგლებს ცივად
და ის სიმღერა სიმივით წყდება! —
დაჭრილის მკერდზე საწყალობლად
აქვითინდება
დაღლილი ქარი!..

3.

ასე ნელი-ნელ და წვეთ-წვეთად
დაიწრიტა ალანთა სისხლი...
თავის ქალები, —
თეთრი, თეთრი თავის ქალები —
სიმწრით კბილებს ახრჭიალებენ
და დასცინიან
უდღეურ სიკვდილს.

4.

ნართების ჯიღაგს, —
გმირთაგმირ ალანს, —
უზედობასთან უღვთო ბრძოლაში
შემოელია,
შემოაცვდა სხეულზე ხორცი,
სული კი... სული გაექცა სირცევილს,
დაძაბუნებას და მორჩილებას!
დამცირებას და მონბის უღელს
სიღატაების და მარტოობის
მძიმე უღელი არჩია სულმა
და... შეეხიზნა უსიერ ტყეებს,
სადაც ოდითვე ბოინობდა არწივთა
გუნდი!...

დრო კი... დრო ისევ
გულმოდგინედ და
გუგუნ-გრიალით
მიაგორებს
დენთით დატენილ ვარვარა
დღეებს!..

5.

ოსეთის ღამეს, უმთვარო და ყიაშეთ
ღამეს,
ცვლიან დღეები
უმზენი,
ხორმაკოვანნი!..
შორს მყინვარები დამდგარან
ყინჩად, —

შოახლოვებულ სიკვდილივით
ციფად მომზირნი,
სულის მხუთველნი,
ამაზრზენნი,
ქუშნი და კუშტნი!
ადევ ბორკილი კოჟრიან ხელებს, —
ალანთა მოდგმას წურბელასაგით
წოვს სისხლს ბატონი!...
ძლიერია და ამაყია
ადამიანი! —
დარდი და ბოლმა ვულკანივით
ამოხეთქს ზოგჯერ,
გულილან მძლავრად ამოსცდება
სიმღერა ჩერმენს
და ერყევა და ელეჭება მრუმე
კედლები
ძალმომრეობის უბადრუკ ციხეს!..

ოსეთის მთებში
ფრთებს აფათქუნებს ლაღი არწივი
და ქარიშხალი ხევებში ბრუნავს!..


6.

და, აპა! —
ჩაგრულს წყვილი ცრემლი მოსწყდა
თვალთაგან! —
და როგორც მთიდნ დაგორებულ
გუნდას, თოვლისას,
ემატება და ემატება გზადაგზა
თოვლი;
და გუნდა იგი გადიქცევა ვეება
ზვავად, —
ასევე იმ ცრემლს —
ემატა და ემატა გზა-გზა
სხვათა ცრემლები, —
იქცა მდინარედ,
იძრა ერთბაშად,
წალევა ზღუდე,
მიღეწ-მოღეწა,
მიპყარ-მოპყარა,
რაც კი დამზრალი,
დაშრილული ხვდებოდა) გზაზე! —

ოსეთის მთებზეც აელგარდა
ოქტომბრის დილა!..

შზე აყვავილდა —
სიცოცხლის ნერგი!
და...
ახალ ხმაზე ამღერდა თერგი!..

ოსურიდან თარგმანა გივი პეტრევი



ზინა ხოსტიურთი

დ ე ლ ა

თვალს და ხელს შუა
ბერდებიან ჩვენი დედები,
ვერ ვამჩნევთ, როგორ
მიფრინავენ თეთრი მტრედები, —
როცა სიციკით აკანქალდები,
მზეს ფასი მხოლოდ მაშინ ედება...
თვალს და ხელს შუა
ბერდებიან ჩვენი დედები.
მზე პელავ ამოდის უფრო დიდი
ამ ქვეყანაზე,
დედა წავა და არ დაბრუნდება, —

გაი, მოელის ამ გულს
ხვალ, ან ზეგ
გაცამტვერება, განადგურება...
და მაინც, ვიდრე
დღეგრძელობენ ჩვენი დედები,
ვდღეგრძელობთ მათი
ძუძუს მადლით და იმედებით, —
ვერ ვამჩნევთ, როგორ
მიფრინავენ თეთრი მტრედები,
თვალს და ხელს შუა
ბერდებიან ჩვენი დედები.

გამიხანგრძლივდა სტუმრობა ვხედავ,
შორიდან მიხმობს მამული გზნებით, —
მეც მიყვარს ჩემი შშობელი დედა,
მეც მიყვარს ჩემი დები და ძმები!

უნდა დაეშორდეთ...
ო, თორემ შემშლის
მონატრებული სამშობლოს დარდი.
ჟავე მელიან თოვლიან მთებში,
ჩემი აქ ყოფნის საათი გადის...

მივდივირ... ქარი სილაში მღერის,
მივდივარ... რაღაც მინდოდა მეთქვა...
მივდივარ... დგება ზურგს უკან მტვერი,
რომელიც ჩემს თმებს შეღებავს თეთრად.

ჩემმა გაზაფხულმა დამღალა მე,
გული მოიქანცა, გული, —
დედა, მომიჩრდილე ცოტა ხნით მზე,
იქნებ მომეკიდოს რული!

ცოტა ხნით სიმშეიდე დამიბრუნე,
ცოტა ხნით დავხუჭავ თვალებს,

ო, ხვალ კი ცივ ქარებს დავიურვებ,
მე სულ სხვა ვიქნები ხვალე...

ცისკრით მინათდება ოთახი,
ჩიტების მოფრენას ველი,
დედა, დამიბრუნე ცოტა ხნით
ჩემი თხუთმეტი წელი!

ადვის ხისტიანის

ხევში მოჩხრიალე ნაკადულის პირას, თინარ ფლატეზე მარტოდმარტო მდგარი ბებერი ალვის ხე მხიარულად აშრიალებდა ფოთლებს და ჩეროში მითმობდა. სანადიროდ ვიყავი გამოსული. მთელი დღე ტყე-ლრეში დავეხეტებოდი, მაგრამ თოფი ერთხელაც ვერ დაფცალე.

დაღლილ-დაჭანცული ალვის ხისკენ გავემართე, მინდოდა, მზის მწველი სხივების თავმომახდეზრებელი ალერსისათვის თავი გამერიდებინა. როგორც იქნა, მივაღწი ჩრდილიანს, ხასხასა მოლზე გავიშოტე, თვალი დაეხუჭე და ოცნების სამყაროში შევცურე. უეცრად ზემოდან ბზრიალით წამოვიდა მწვანე ფოთოლი და სახეზე დამეცა, როგორ-დაც განაწყენებული ჩანდა.

— ნუთუ აქ დასაძინებლად მოხვე-დით? — მკითხა.

— ჰო, დაღლილი ვარ, — უკმაყოფილოდ მივუვე. გული დამწყდა, ფიქრი რომ შემაწყვეტინა.

— მე კი იმედი მქონდა, რამეს მომიუვებოდით. დედააჩემიც ისვენებს, ჩემთვის არ სცალია. როგორ მინდოდა, ზღაპარი მომესმინა!

— აბა, რა გიყო, ზღაპრები რომ არ ვიცი, თანაც, მართალი გითხრა, ვერაფერი შევილი მოხრობელი ვარ.

— არ იცით? — გაოცდა ფოთოლი, მაშინ, თუ გინდათ, ერთ ზღაპარს გიამბობდა.

— სიამოვნებით მოგისმენ, — დავეთანხმე. უარი რომ ვუთხრა, ეწყინება-მეოქვი ვეიჯრობდა.

— ეს ზღაპარი დედააჩემა მიამბო, დაიწყო მწვანე ფოთოლმა, — ერთ მთვარიან ღამით ამ ფლატეზე კოჭლო-

ბით ამოვიდა კაცი. დასუსტებული და ლონემიხდილი ბებერ ალვის ხეს მიეყრდნო და ღიდანან ათვალიერებდა ვარსკლსვებით მოჭიქულ ცას. მაგრამ ვაი რომ ცის მანათობნი იმ ღამეს მისთვის არ მდეროდნენ, არც ციმციმებდნენ. ნალვლიანი კრთომით ეჩურჩულებოდნენ ზემოადან: „წადი, საცაა მდევა-რი წამოგეწვა, იჩქარე, წადი!“ კაცი კი იდგა და ღიმილით აპურებდა ზე-ცას.

უეცრად მწვავე ტკივილმა სახე მოუღრიცა, სისხლით მოთხვრილ, ნატყვიარ ფეხზე დაიხედა, ალვის ხეს გაშორდა, ჩაბნელებულ ტყისკენ გააბიჯა, მაგრამ ფეხმა უმტყუნა, ვაიმეო, წამოიძახა და უგრძნობლად დაეცა.

მთელი ღამე ცონბამიხდილი ეგდო. გათეთრებული უსისხლო ხელით პისტოლეტი ჩაებლუჭა. დალის სიგრილეშ გონს მოიყვანა, თვალი გაახილა, ტყისკენ წაფორთხდა, ტკივილისაგან ტუჩებს იკვნეტდა.


მზის პირველი სხივები ალვის ხის კენწერობებს ელამუნებოდა. ხემ ტოტები დაუქნია, გამომშვიდობების ნიშნად ფოთლები აშრიალა.

მაგრამ დაჭრილმა ტყემდე ვერ მიაღწია, ვერ მოასწრო მიმალვა. ბილიკზე ცხენოსნები გამოჩნდნენ.

„ვინ უნდა იყვნენ, მტრები თუ მოკეთები?“ — ფიქრობდა ალვის ხე და ცხენოსნებს ძრწოლვით გაპყურებდა.

უეცრად სიჩუმე სროლის ხმამ დაარღვია.

„ვაიმე მტრები ყოფილან“, — თქვა ალვის ხემ და შეშინებულმა ფოთლები აშრიალა.



ნაღვლიანად ჩურჩულებდნენ ფერ-
მიძრთალი ვარსკვლავები დილაბნელ-
ზე, როცა ხედავდნენ, როგორ გვემდნენ
მტარვალები სულზე მიგდებულ კაცს
და თან გააფთრებით ყვიროდნენ: „ბოლშევიკია, ბოლშევიკი!“

კაცი სიცოცხლეს ესალმებოდა, თან
თვალს არ აშორებდა აღვის ხეს, თით-
ქოს ცდილობდა სულში ჩაეჭსოვა, თან
წაელო მისი მწვანე ზურმუხტი, შრიალა
ფოთლები, მთელი მისი ხატება.

მერე თავი წამოსწია. ლალად, შვების-
მომგვრელად გაიცინა. მაგრამ ხმალმა
იყლვა და თავგაბობილი კაცი სამუდა-
მოდ დადუმდა. სახეზე სისხლი მოჩქე-
ფდა, თვალთა მრისხანე მზერა კი სად-
ლაც შორეთში, თმაჭალარა მთებისა-
თვის მიეპყრო.

ალვის ხე დიდხანს გაპყურებდა
მკვლელებს, ცხენებს რომ მოახტენენ
და მოჰქმუსლეს. ამ სურათმა მძიმედ
დაუკოდა გული, მაგრამ ერთხელაც არ
აღმოხდენია კვენსა, არც ჭინობა შეპა-
რეია... ისევ ისე ამაყად იდგა და ყოველ
გაზაფხულზე მწვანით იმოსებოდა, სუ-
რდა ეცხოვრა მათვის, ვის ბედნიერ
ცხოვრებასაც სიცოცხლე შეალია უცნო-
ბმა.

ალვის ხის ძირას ნატანჯ-ნაგვემი
კაცი კეთილი მაცნე იყო. მთების გადა-
ლმიდან სასიხარულო ცნობა მოჰქონ-
და: ბოლშევიკები ახლოებებოდნენ...
წითელი არმია ჩვენს სახსნელად, ჩვენს
დასახმარებლად მოეშურებოდა.

...ფოთოლმა რა ხანია თხრობა დაას-
რულა. მე კი აღელვებული და ფიქრში
წასული ისევ ის გაუნძრევლად ვიჩექი.

ირგვლივ ყველაფერი დუმილს მოე-
ცვა. თითქოს ბუნებასაც ესმოდა ჩემი,
თითქოს ისიც იმავე განცდას შეეპყრო
და შეებოჭა. მხოლოდ ნაკადული მო-
ლიკლიკებდა ლხენით. იცინდა ლალი
სიცილით, იმ სიცილით, მწუხარ დილით
მოკლულის ბაგეს რომ გამოსტაცა.

— გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო
ფოთოლო, — ვუთხარი გულით და
ლოყაზე მივიხუტე, მერე ისევ ალვის
ხის ძირას დავდე და წასასვლელად მო-
ვემზადე. მზე უკვე მთებს ეფარებოდა, დალამებამდე შინ უნდა მიესულიყავო.

უეცრად გამახსენდა ბებია. მისი
ტკბილი ზღაპრები.

— ფოთოლო, ძალიან გიყვარს ზღა-
პრები?

— მიყვარს, როგორ არ მიყვარს.

— გინდა, წამოდი ჩემთან, ბებია-
ჩემმა საუცხოო ზღაპრები იცის.

— მინდა, მინდა! — დაიყვირა და სი-
ხარულით შეტოკდა.

ფრთხილად ჩავიდე ფოთოლი ჭიბე-
ში, თოფი მხიარილივ მოვიგდე და ვი-
წრო ბილიკით ნაკადულისკენ დავეშვი-
პეშვით წყალი ამოვილე, დავლიე. ფო-
თოლი ჭიბეში შეფართხალდა.

— რა იყო, მეგობარო, შენც მო-
გზურდა? თუ ჭიბე გევიწროვა?

— გამიშვი, მინდა გავცურო შორს,
ქვეყანა მოვიარო.

— რას ამბობ, დაიღუპები, თანაც
ზღაპრებს ვიღა მოგიყება? ცოტა მოი-
ომინე, ბებიაჩემი აქვე ახლოს ცხოვ-
რობს.

ამაოდ ვარწმუნებდი ჩემს ახალ მე-
გობარს, განზრახვაზე ხელი აელო. იძუ-
ლებული გავხდი, მოჩუხხუჭე ნაკადუ-
ლის ჩქერში ჩამესვა. იქ კი დატრია-
ლდა, დაბზრიალდა ფოთოლი და გას-
ცურს. სისხარულისაგან დამშვიდობე-
ბაც კი დაავიწყდა.

„დიახ, — ვფერობდი გულში, —
კარგია მოგზაურობა, რას არ გაიგებს,
რას არ ნახავს და ყველაფერი, რაც კი
გზად შეხვდება, მშვენიერი და თვალ-
წარმტაცი იქნება, რადგან ჩვენი
ცხოვრება გაგრძელება ზღაპრისა იმ
უსახელო გმირზე, ბებერი აღვის ხის
ძირას მტრებმა სიცოცხლე რომ მოუს-
ტრაფეს.

Վ Յ Ա Ր Ե Ա Բ

და დღე ხუჭავს თანდათან თვალებს,
კარსკვლავიანი
ცით იღვიძებს ვეება ღამე.
უცებ ერთბაშად
ამოგარდა შძვინვარე ქარი
და მდუშირება
აუკვნესა ხევებს და ხრამებს.
ხმელი ტოტები
ნეკნებივით ემტვრევა ხეხილს,
იელის მოწნულ
ღობეებში ქარი სისინებს.
თითქოსდა სივრცემ
ეს-ესაა აიდგა ფეხი
და სხეულიდან
დაიბერტყა ზამთრის სიცივე-
ყინულის ლურჯი
სამოსიდან გამომძერალები
თავჭვე მორბიან
წყაროები ქოშინ-ქოშინით.
მალე, სულ მალე
გაისმება მეხის პრძანება
და განათდება
ზეცა — წვიმის თმებჩამოშლილი.
ვხარობ... მზე ზამთრის
ტყვეობიდან გათავისუფლდა,
ზეცა დადაბლდა...
და უოვალავ ღრუბლის მწერივიდან
მსხვილი წვეთები
ჩამოცვივა, გრილი და სუფთა,
რომ... გაზაფხული
დაიბაზოს ლურჯი წვიმიდან.

ერთი სინჯე
ლაპარაკი რომ გწყურია, —
დამუნჯება.
როგორია, — ძნელია თუ ადგილია?
ერთი სინჯე

გულით რომ გსურს გაცინება, —
აქეთინდი.

როგორია — ძნელია თუ ადვილია?

ერთი სინჯე:

ამხედრება გინდა ბედზე
და არ ძალგიძს.

როგორია — ძნელია თუ ადვილია?

ერთი სინჯე:

გსურდა ხიფათს ასცდენოდი
და ვერ აცდი.

როგორია — ძნელია თუ ადვილია?

ერთი სინჯე:

ძლიერ გვიყვარს ქალიშვილი
და მკვდარს ხედავ.

როგორია — ძნელია თუ ადვილია?

კარგად იცი:

ეს ძნელია შენთვის ძალზე,
მაგრამ სინჯე...

შართლა თუკი

განგიცდია ყველაფერი,
მაშინ იტყვი,
ქვეყნად ყოფნა ძნელია თუ ადვილია.

თარგმნა ტაგუ ვაზურიშვილია



ა ნ თ ი ა უ ც ე ბ

გვიან ღამითაც აქლვარებს სინათლე ქალაქს,
ბრწყინავს ნათელი,

მთელი ღამე ანთია იგი.

იქნებ არც სურდეს ჩაძინებულ ქუჩებს სინათლე
ამ — გვიან ღამით, ამ გარინდულ

შუალამეში.

სახლში სიწყნარე, ჲიმშვილე სუფევს,
რომელშიც მერე ჩაქრა სინათლე;
წამსვე აივსო წყვდიადით სახლი,
თითქოს გაჰკვესეს ღამის შავმა თვალებმა უცებ;
იგი თავისთვის ექებდა ადგილს,
ავი სიბნელე თავის საფარ ჭერს დაექებდა...
და, თუ სინათლემ ერთი წამით მოხუჭა თვალი,
თუ ჩაეთვლომა და ჩაეძინა,
რა მოხდებოდა
მაშინ ამ ჩვენს დედამიწაზე?..

ანთია შუქი,
მთელი ღამე ციმციმებს იგი,

ირღვევა ბნელი,
როგორც მგლისგან დამფრთხალი ფარა...
მარადჟამს ებრძვის სინათლეს ბნელი,
მაგრამ ჩვენს ირგვლივ
სუფევს სიმშვილე,
დიდი სინათლე ბრიალებს რადგან.



ჩემი გზა, ქვეყნად, აბა, ვინ იცის
ციდან წარმოსდგა,
ზღვიდან

თუ ქვიდან.

მე მოველ, როგორც სიხარული
გვეწვევა ხოლმე,
ან, როგორც მწვანე გაზაფხული,
ან, როგორც სევდა,
სევდა — მოსული უმიზეზოდ და უადგილოდ.
ქვაზე ქვა დავდე,
ხეზე ხე დავდე,
დავანთე ცეცხლი,
ავარდა ალი

და მშობელ ზეცას დაკლაკნილი ბოლი შეუდგა.
მე ავაყოლე თვალი იმ კვამლსა;
დავლანდე ზეცა მოჭედილი უთვლელ ვარსკვლავით,
აალებული ყვავილების მორევის მსგავსი
და მოტორტმანე უცხო ტალღები.
მიწას პფარავდა უმწვანესი აღმონაცენი —
და ვერცხლისფერი, მოციმციმე კრთოდა მირაჟი,
ვით მარგალიტის მძივი, რომელიც
იღვრება ხოლმე ბრწყინავ სინაზედ.
მთერალი ვარ ახლა ამ სასწაულით,
დიდი სინათლე მეხლება მკერდზე;
ჩემს სულსა და ხორცს,
ჩემს სიცოცხლეს შევწირავ რასაც.

თარგმნა ანზორ აზულაშვილმა



ქვესპელის სასახლის განძი

ერთ საღამოს ჩვენი უბნის მამაკაცები, ჩვეულებისამებრ, ვისხედით ეზოში და ვსაუბრობდით. ახალი მეზობელი გვყავდა — საბა. საოცრად მჭევრმეტყველი და კეთილი აღამიანი გამოდგა. სწორედ მან გვამშო ეს ამბავიც.

— როცა პროფესორ თუთი ბორექათის არქეოლოგიურ ექსპედიციაში გამოწესეს, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. იმ წელს ვამთავრებდი უნივერსიტეტს და საშუალება მექლეოდა ფაქტური მასალით მესარგებლა ჩემი სადიპლომონ ნაშრომის წერისას. ემუშაობდით ოსეთის მაღალ მთიანეთში ეგრეთშოდებულ „ცარიციანთ ქალაქის“ გათხრებზე. დაგბინავდით „ქალაქთან“ ახლოს მდებარე სოფელში. სოფლელებმა დიდი პატივით მიგვიღეს. ბინაც შემოგვთავსზეს, მაგრამ ბორექათიმ იუარა. სოფლის ბოლოს წყლის-პირას ჩამოვამდინარეთ ჩვენი კარვები. სოფელი არას გვადლებდა: მოჰკონდათ რძე, ყველი, ზოგჯერ საკლავიც მოჰყავდათ.

როცა ექსპედიციაში წასვლა დავაპირე, წინასწარ გულდასმით წავიკითხე ბორექათის ნაშრომები. უბრალო, სადა ენით დაწერილმა გამოკვლევებმა ძალიან მიმიზიდა. პროფესორი ხშირად იყენებს უძველესი დროიდან ხალხში შემორჩენილ ლეგენდებსაც კი.

მაგალითად, როცა შუა საუკუნეებში მონღოლები და თაორები ცეცხლითა და მახვილით აპარტაქებდნენ ჭვეუნებს, ამ ძველი მქვდარი ქალაქის მახლობლად ისების წინაპრები მედგრად დასვედრიან მამას პირსახლიან ურდოებს. სად არ უბრალობით მონღოლებს, მაგრამა, ისე არსად უგრძ-

ნიათ ხმლის ფხა და ისრის მახვილი, როგორც აქ.

ოსების ამაყმა, მუხლუდრეკელმა და თავდაუხრელმა წინაპრებმა სისხლის მორებს მისცეს ურწმუნო და უღმერთო მონგოლი ურდოები. სწორედ ამ ადგილისო, ერთ მუჭა ისებზე თავისი გამარჯვების აღსანიშნავად, მამამი გააკეთა მიწისქვეშა სასახლეები და შიგ შეინახა ყაჩაღურ მოებში შეძენილი განძი: ოქრო, თვალმარგალიტი და ათასი სხვა ძვირფასეულობა. იმ მიწისქვეშა სასახლეებში არისონ ერთადურთი ჩასასვლელი, უზარმაზარი ლოდი ადევსო ზემოდან. ბრძოლებით წავიდნენ ამ ადგილიდან მამას ურდოები სხვა ხალხთა დასამონებლად. მიწისქვეშა სასახლე დავიწყებიათო, და მას შემდეგ ვერც ვერავის მიუგნიაონ მისივის...

ამბობენ, ვითომ გულბოროტ მამას სასახლეში დარაჯად დაუსვამს გრძნეული ჯადოსანი. მას ჩაღაც იდუმალი გრძნებით შიგ აუნთია პატარა მზე და სასახლის კედლები, ჭერი, იატაკი დღედაღამ ელავენ უცხო სინათლით. ზის გრძნეული ჯადოსანი ოქროს სავარეველში და მიწამდე სწვდებაონ მისი გრძელი ვერცხლის წვერი. ელოდებაონ მამას მოსვლას, დარაჯობს მის განძს.

ეს ლეგენდა მოდის თაობიდან თაობამდე. ბევრმა გულადმა ეუკაცია სცადა სასახლის მიგნება, მაგრამ აძაოდ.

ეს ლეგენდა მე მოვისმინე სოფლელებისაგანაც. ვინ მოთვლის, რამდენს უნატრია იმ განძის პოვნა! რამდენ თაობას გაჰყვა სამარეში განუხორციელებელი ოცნება!..

...ექსპედიციაში ყოფნისას ჩემი ძი-

როთადი მოვალეობა იყო მუშებისათვის
თვალ-ყურძნელი დევნება, ყველა პატარი
მიწის გათხრისას გულდასმით გასინჯვა.
ძალიან შემეჩერია ახალგაზრდა ჭან-მაგა-
რი ღამშემწყაზარა ქალი ასიათი, რომე-
ლიც ბორეკათს სადილ-ვახშებს უმზა-
დებდა. საჭმელს რომ შემოიტანდა, რა-
ღაც უცნაურად და დაჟინებით მიყუ-
რებდა ხოლმე. აუცილებლად ჩემს
ახლოს დაჯდებოდა და ისე ყვითლდე-
ბოდა და წითლდებოდა, თოთქოს სახეს
ცეცხლის ენები ულოკავენო. მაგრამ
ცუდი არაფერი გაითვიქროთ ასიათზე.
ქმარიც ჰყავდა, შვილებიც და ძალიან
ტკბილადაც ცხოვრობდნენ. ქმარი —
ანდოც ჩვენს ექსპერიციაში მუშაობდა.
ერთი ჰევიანი, უთქმელი, მზეზე გარუ-
ჭული კაცი იყო, სახე ხორკლებით
ქვინდა დაფარული, თმა აბურქვნოდა.
ყოველივე ეს რაღაც მეაცრ შეხედუ-
ლებს აძლევდა; იციქრებდით, მასზე
გულქვა ადამიანი ქვეყანაზე არ არისო.
მაგრამ ეს გარეგნულად. სინამდვილეში
საოცრად მერქნობიარე, პოეტური გუ-
ლის იყო. ამაში მე პირადად დაურწმუ-
ნდი, უბრალო სიტყვებს ვერ დაცდე-
ვინებდი პირიდან ანდოს. ყოველ წინა-
დადებას ამკობდა მოხდენილი, ზოგჯერ
მეტისმეტად უცნაური შედარუებებითა
და მეტაფორებით. ბიჭები რომ შეჯუ-
ფდებოდნენ და სიმღერას შემოსახებ-
დნენ, ანდო შორს გადგებოდა ხოლმე
და რაღაც წუხილს ეძლეოდა. კრიჭა
რომ შეეცვრებოდა, სიმღერას ვერას-
გზით ვერ ათქმევინებდით. მაგრამ თავს
მარტო დაიგულებდა საღმე თუ არა,
შეგ გულის სიღრმიდან სულ ნელა,
თითქოს ეშინოდა, ჰაერის ტალღა არ
გავგლიჯოთ, ისეთ მომახადოებელ ღი-
ლის წამოიწყებდა, რომ შემიტკვენია
მასთან ბულტულის სტვენა. ისე დღე არ
გავიდოდა, რომ ანდოს ხის ტოტი, ფეს-
ვი, ქვა ან სხვა ასეთი რამისაგან რა-
ღაც ზოატრული ორთავა დევების, ვე-
შაპებისა და ადამიანების ფიგურები არ
გაეკეთებინა. მიღიხარ ტყეში, შენს
ფეხქვეშ ყრია უსულო ხმელი ტოტე-
ბი, ძირკვები, ქვის ნატეხები. თუმცა

ესენი შენ მიგაჩნია უსულოებად
ანდოსთვის კა ისინი წარმოადგენენ
ათასნაირ ცოცხალ არსებას. ერთხელ
მეუბნება:

— საბა, შენ იცი, რომ ხეს სული
უდგას? იცი, რომ ხეებმაც იციან ლა-
პარაკა?

მე გავვოცდი. გამიკვირდა, რომ ამ
მუნჯსა და უთქმელ კაცს ასეთი პოე-
ტური გული ედო მქერდში.

— რას ამბობ, ანდო, ხე ხე არის და
რა ლაპარაკი უნდა იცოდეს? — უკა-
სუხე მე.

ანდოს ალბათ ეწყინა ჩემი ნათქვამი,
საყვედურით მომმართა.

— მშ აბა, სცადე და დილით ადრე
ტყის სიღრმეში შედი, ნახავ ხეები რო-
გორ საუბრობენ, როგორ უსურვებენ
ერთმანეთს მშვიდობის დილას...

არ ვიცი, როგორ უნდა მასლაათობდ-
ნენ ხეები, როგორ უნდა ესაღმებოდ-
ნენ ერთურის. ჩემთვის და ათასობით
ჩემისთანასათვის ტყე უტყვია. ანდო-
სათვის კი ყველა ხე სულმამდგრაია.
ამ გულთამხილავს ესმის მათი საუბარი,
მათი ნელი ჩურჩულიც კი. და ეს იქნე-
ბა მეექვე გრძნობა, უბრალო მოვდავ
ადამიანებს რომ არ გააჩნიათ, ის
გრძნობა. მართლაც რომ საოცრად პოე-
ტური სული აქვს ანდოს...

აი, ამიტომ გაგაფრთხილეთ, ასიათზე
ცუდი არაფერი გაითვიქროთ-მეთქი. ვი-
ცოლდი, ანდო ყველა მის გვერდითმყო-
უზე მაღლა იღვა, რომ ასიათს იგი ძლი-
ერ უყვარდა.

მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, ძა-
ლიან მაღლელვებდა ასიათის დაჟინებუ-
ლი, ცნობისმოყვარე მზერა და ვუ-
ფრთხოდი. ზოგჯერ ჩემს გვერდით
იქაც კი აღმოჩნდებოდა. საღაც სულ
არ მოველოდი. ასეთ ღრის რაიმეს მო-
ვიმიჩეზებდი და გავეცლებოდი ხოლმე.

ერთ დილაადრიან ვვარჯიშობდი და,
ის იყო, ერთ დიდ ლოდს დავწვდი, ვცა-
ლო-მეთქი მისი მაღლა აწევა, რომ ხელ-
ში წყლის ვეღროებით თავს წამომადგა
ასიათი. ჭურჭელი ძირს დადგა და მე-
კითხება:

— რას უყურებდი, ქვეშ რამეა?

მე სიცილი ძლივს შევიყვავე. არ ვიცი, ლოდს რომ დაწევდი, მაშინ ასიათმა რა იფიქრა, მაგრამ; იმ წამს თავში გამოიღლვა ლუგვნდის ამბავმა და ორი თითო ტუჩებზე მივიდე, ჩუმალ, ხმას ნე იღებმეთქი.

იგი უფრო დაეჭვდა თვალები გაუფართოვდა რაღაც საოცარი ამბის მოსმენის მოლოდინში და მომიახლოვდა. ტუჩები უდნავ შეუტოფდა, თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოს ამბობს და ეშინა, არავინ გაიგონოსო, ისე მომესმა მისი ჩურჩული:

— დედა მოუკედეს, ვინც დამიმალოს, რას უყურებდი?

უვალია, ამ ჯანმაგარ ანგელოზს, ამ დაუინებულ ცნობისმოყვარე ქალს ბევრის მცოდნე, შორსმჭვრეტელი კაცი ვვინივარ. მაგრამ იმ წამს ამაზე არ ვფიქრობდი. ლუგვნდა... მამაის განძი!

— ასიათ, შევიძლიათ თუ არა, ენას კბილი დააჭიროთ? — შიშისმომგვრელი ხმით ჩავეკითხე.

— ეჰ, შე კი სტუმარო, შენა, როგორ გვკარდება, მაგას როგორ მეკითხები? უდნავ ეჭვიც არა გქონდეს ჩემზე. — ვერცხლის ზარების წერიალი მოიღო ასიათის ხმამ.

— მაშ გეტყვი. დიდი ხანია, ამ დიდ ლოდზე გული მეთანალებოდა. როცა გადაწიე და მის ქვეშ ჩავიხედე... ღმერთო ჩემო, რა ვნახე... ქვესკნელის სასახლეში ჩასასვლელი ბროლის კიბე. სასახლე დღესავით ელავს. ზოს გრძნეული მოხუცი, გრძელი ვერცხლის წევერი უბრწყინავს. სასახლე ისე ელვარებდა, რომ თვალი დიდხანს ვერ გავუსწორე, ცრემლი მომადგა. უნებურად ლოდი ისევ თავის აუგილზე შევწიე, რომ ამ დროს შენც მოხვედი...

ასიათი გაოცებით მისმენდა. თვალები გადმოკარლოდა, პირი დაეღლო.

ხელი კვლავ ტუჩებთან მივიტანე:

— არაფერი გინახავს, არაფერი გაგიგონია...

— თვალი დამიღდა, მაგას რას მეუბნები, როგორ გვკარდება. ჩემი პირი-

დან ვერავინ ვერაფერს გაიგონებს. — სწრაფად თქვა ასიათმა, ველრიობს ხელი წამოავლო და გაძუგმული.

მე თვალი გავაყოლე, სიცილს ძლივს ვიკავებდი.

...ასიათს საღამომდე ხმა არ ამოულია. საღამოთი კი ანდოს გაანდო ჩვენი საიდუმლო, თან გააფრთხილა, კრინტი არავისთან დაძრაო, ანდომაც თავი ვერ შეიკავა და ყველაფერი უამბო თავის უახლოეს მეგობარს — ლექსოს. ასე დაასე, განძი, რომელსაც სოფელი დასაბამიდან ნატრობდა, გამოჩინდაო.

ის, რაც გავიხუმრე, უკვი დამციწყებოდა კილევაც, მაგრამ ჩვენი მუშებიდან ვინც ქალაქის გათხრაზე მუშაობდა, იმათ რაღაც დამაუკისეს. რაღაც თითქოს თავითნ თავს აღარ გვდნენ... პირქშები გახდნენ, სიტყვას შეუბრუნებლად აღარ მოგითმენდნენ. დასვენების დროს ერთთავად ხვრინავდნენ, ძლიერსა ვალვიძებდი ხოლმე.

ერთ საღამოს ჩემს ნაცნობ ლოდს ჩაუარე, მიწის ქვეშიდან ლაპარაკი, წერავისა და ბარის ხმა მომესმა. ვხედავ-ლოდი თავის ძველ ადგილზე აღარ არის. რაღა გამოცნობა მინდოდა, რა-შიც იყო საქმე. ანდოს ხელმძღვანელობით მუშები შეუდგნენ მამაის მიერ ქვესკნელის სასახლეში შენახული განძის თხრის. ხმაზე ვიცნი. ბეჭრი ეთხარათ, მთელი კვირა, მაგრამ განძი ვერ ენახათ. მე შიშმა ამიტანა. ამ გულზე მოსულმა ხალხმა არაფერი ამიტებოს-მეთქი, — რად მოგვატყვილეო და თავს ვარიდები. ერთ დღეს ანდომ ცალკე გამიხმო:

— ბიჭო, შენთან საქმე მაქვს.

ჩემს დღეში თქვენი მტერი ჩაგარდეს. ცემისა არ მეშინოდა, მაგრამ მაინც როგორლაც გული შემიქანდა.

— გისმენ, — ჩახლეჩილი, შონანიე ხმით ვუბასუხე მე.

— მითხარი ერთი, სად არის ის განძი — ქვესკნელის სასახლე?

რა ვუთხრა, რა ვუპასუხო? მოდი, რა-
მენაირად თავი დავიძებინო.

— შენ იცი, რა არის მირაჟი? მოჩვე-
ნება, სიზმრად ნანახი საოცრებანი?

— მოჩვენება და სიზმარი როგორ არ
ვიცი, რაა...

— ჰოდა, იმ დილით მეც ეგრე მო-
მეჩვენა სწორედ, თათქოს ის დიდი
ლოდი მსუბუქად გადამეწიოს გვერდზე
და ქვეშ მეხილოს საოცარი ბროლის
კიბე, რომელიც სასახლეში ჩადიოდა.
სასახლის ელვარებამ თვალი მომჭრა-
და როცა ლოდი უკან, თავის აღგილ-
ზე მივწიე, ასიათმა იქ გამოიარა. მჭი-
თხა, რას უყურებდი, რა ნახეო. ვუამბე
რაც ვნახე, მირაჟი.

ანდომ ხმამაღლა გადაიხარხარა, ფე-
რდები ხელით ეჭირა, ისე იცინოდა.
მანამდე არასოდეს მენახა, ასე გულია-

ნად ეცინოს... სიცილზე მისი ამხანა-
გებიც მოგროვდნენ. „მოჩვენება, მირა-
ჟი“ — ამბობდა ანდო და მეტი სიცი-
ლისგან თვალს მომდგარ ცრემლებს თი-
თით იწმენდდა.

მთელი თვე საკუთარი თავის ნაცვლად
მე დამცინოდნენ. მე კი სიხარულით
ცას ვეწეოდი, რომ ასე იოლად გადავ-
რჩი.

მას შემდეგ ასიათსაც ცნობისმოყვა-
რეობით აღარ შემოუხედავს ჩემთვის,
ჩვენი თვალები ერთმანეთს შემთხვე-
ვით რომ შეხვდებოდნენ, უმალ თავს
ხრიდა. ალბათ რცხვენოდა. სიტყვა
გატეხა. ან იქნებ როგორიც ვეგონე,
ისეთი არ აღმოვჩნდი, იმიტომ იქცეო-
და ასე, მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთი
იყო.

ოსურიდან თარგმნა გიორგი გასთაუთიძე.

მწერალ განო ურკუმელაშეიღს დაბა-
დების 50 წელი შეუსრულდა. უურნალი
„ცისკარი“ ულოცავს მწერალს ამ თარიღს,
უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედე-
ბით გამარჯვებებს.



316 ერავნული მუზეუმი

ი შ მ ა პ ი

დილიდანვე თოვდა.

მინდვრები შეჭალარავდნენ. მოებმა
თეთრი ყაბალახები მოიხვიეს. მოას-
ფალტებული გზა კი შავ არშიას დაე-
შვასა, რაღაც ზედ დაცემული ფიფ-
ქები უმალ დნებოდნენ.

იმ დღეს სოფელ №-ში გახლდით ნა-
რკვევისათვის მასალის ასაღებად.

რაკილა ჩემი მოთხრობისათვის არა-
ვითარი მნიშვნელობა არა აქვს,
თუ როგორ ჩავედი სოფელში, ვინ
ვნახე, ვინ გავიცანი, ან როგორი მასა-
ლა ავიღე, ამიტომ ამის აღწერით თავს
არ შეგაწყვენთ.

დღის ბოლოს კოლმეურნეობის თა-
ვმჯდომარე სახლში მეპატიუებოდა,
თბილ ღუმელს მოვუსხდეთ, თითო ჭი-
ქა ჭაჭის არაყი გადავკრათ, ცხელი კე-
ცის ჭადი გავტეხოთ, ნიგვზით შეზავე-
ბული ლობითით პირი დავიგემოვ-
ნოთ... მერე კი თბილად დაგაძინებ და
დილაზე პირველივე მატარებლით გაგი-
სტუმრებო.

სამართლე რომ გითხრათ, თბილი
ღუმელი და ჭაჭის არაყი ჩემთვის მის-
წრება იყო. თოვლ-ჭყაპში ვიარე და
ფეხი დამისველდა. ცხელი ჭადისა და

ლობიოს ხსენებაზე ნერწყვი მომადგა.
ჩვეულებრივ ცხრა საათზე ვსაუზმობ
ხოლმე. იმ დიღით კი ექვს საათზე წა-
მოეხტი. სულაც არ ვიყავ ჭამის ხასი-
ათზე, მაგრამ ძალით ერთი ჭიქა შინ-
დის მურაბიანი ჩაი დავლიე. თბილისი-
დან ხუთი-ექვსი საათი უნდა მევლო
მატარებლით. მგზავრობაში კი ჩვეუ-
ლებრივზე უფრო მეტ პაპიროსსა ვწევ
ხოლმე და არ მინდოდა ცარიელი კუში
ნიკოტინით მომეშამა.

მთელი დღე ღუმება არ ჩამედო პირ-
ში, მაგრამ თავმჯდომარეს მაინც უარი
ვთხოთხარი. იმ საღამოს ერთი ახლობ-
ლის ჭორწილში ვიყავი დაპატიჟებული
და ჩემი წაუსვლელობა არაფრით არ
ქნებოდა.

რაკილა მატარებელი სადგურამდე არ
იყო, გადავწყვიტე შემხვდურ მანქანას
გაყყოლოდი გორამდე.

კეთილი, რაკილა შენსას არ იშლი,
მალე ჩვენი მანქანა მოვა და იმითი გა-
გისტუმრებ. მანამ კი სასაუზმეში მაინც
შევიდეთ და ღვინით გზა დაგვალოცი-
ნეო, მაცივდებოდა მასპინძელი.

არც ამაზე დავთანხმდი. ჭერ ერთი,
ვინ არ იცის, რას ნიშნავს ქართველი

კაცისათვის ჭიქა ღვინით გზის დალოცვა. თან ისიც მაფიქრებდა, ნახევარ საათს შეუბნება, მაგრამ, ვაითუ, მანქანა შუაღამებდე არ მოვიდეს-მეთქი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, კოლმეურნების თავმჯდომარეს გამოვემშვიდობებს, სოფლის ბოლოს გავედი და გზად მიმავალ მანქანას დაუწყე ლოდინი.

წინ და უკან დავაძიგებდი. კოლმეურნების ნახულსა და მოთხოვნილს ვიხსენებდი, ყველაფერს გონების თვალით ვზომავდი. ვცდილობდი ნარკვევის ჩინჩხის შემედგინა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ქორწილის გარდა სხვა არაფერზე შემეძლო ფიქრი. თვალშინ გაშლილი სუფრა მესახებოდა. ისეთი ძლიერი იყო ეს წარმოდგენა, თვალებს ვხუჭავდი, რომ უფრო ნათლად დამენახა ნეფე-დედოფალი, სტუმრები, ლერწმი ქალიშვილები. წინასწარ ვტკბებოდი იმ სიხარულით, რაც ჩემი პრით, ქორწილში უნდა განმეცადა.

შეუმჩნევლად მოსაღამოვდა. ყინვამ მოუჭირა, სუსხი ძვალ-რბილში გამიჭდა, ფეხები დამიზრა.

გულში არაერთხელ ვთქვი, ხუთ წუთს კიდევ დაველოდები, თუ მანქანა არ გამოჩნდა, სადგურში წავალ და მატარებელს გაგყვები-მეთქი. გადიოდა და დათქმული დრო, მანქანა არ ჩანდა, მაგრამ მე მაინც ისევ ერთ ადგილს ვტკეპნიდი.

„ეჰ, ეტყობა უღელტეხილშე თოვლი დადო და გზა ჩაიკეტა, თორებ თუ იქით მიმავალი მანქანები გაწყდა, აქეთ ერთმა მანქანამ მაინც როგორ არ ამოიარა-მეთქი“ — ჩავილაპარაკე ბოლოს გუნებაში, უმიღდოდ ჩაიქნიე ხელი და სადგურისაკენ გავემურე. ოციოდე ნაბიჯიც არ მქონდა გავლილი, რომ მანქანის გულში შემომესმა. გახარებულმა უკან მოვიხედე და ჩეხური ტრაულერი დავინახე, დათოვლილ გზაზე მძიმედ რომ მოიჩინდა.

„ტრაულერი ისე მოზოზინობს, ალბათ შუაღამებდეც ვერ ჩავალთ გორში. თანაც იმდენს ვიჭანჭლარებ, ქეიფის

სასიათი წამიხდება. სოფელში მიბრუნებაც რომ მეუხერხულება! ლოდინით ისედაც გული გამიწყალდა და მატარებლის მოსვლამდე დაცარიელებულ სადგურში ორი საათი როგორლა ვიყურყუტო-მეთქი?“ — ეს ფიქრი მიტრიალებდა გულში და ვერ გადამეწყვიტა, გავყოლოდი თუ არა მანქანას. ტრაულერი კი ჩემგან უკვე ოციოდე ნაბიჯზე იყო. კაბინაში მარტო მძლოლი იჯდა. იგი ისე მიმზერდა, თითქოს ელოდა, გაჩერებას როდის ვთხოვდი.

რაც არი, არი, რაყილა მძლოლმა თვალი არ ამარიდა, გავყვები-მეთქი, გავიწიქრე და ერთბაშად ხელი ავწიე.

მანქანამ გვერდით ჩამიარა და შორიახლო შეხერდა. კაბინის ღია ფანჯარაში მძლოლმა თავი გამოჰყო და ახალმომწიფებული ბიჭის შებოხებული ხმით გადმომძახა, მეგობარო, სად მიღიხარო. გორში-მეთქი, მივუგე. ხელით მანიშნა, დაჭექით, და კარი თვითონვე გამოაღო. მაღალ კაბინას კიბე არ ჰქონდა. რის ვაი-ვაგლახით ავფოფხდი და მძლოლის გვერდით დავგექი. ასე ითქმის, თორემ, კაბინა ისეთი განიერი იყო, ჩვენს შორის სამი კაცი კიდევ დაეტეოდა.

მანქანა მძიმედ დაიძრა.

მძლოლი ხმას არ იღებდა, მეც ჩუმად ვიგექი.

სადღა არ ვყოფილვარ, სადღა არ მიმგზარია. ვიღასთან არ გამიბამს ნაცნობდა, ვიღას არ გამოვლაპარაკებივარ. ამჯერად კი საუბრის საგნის გამონახვა გამიძნელდა, რატომრაც თავს შებორკილად ვგრძნობდი. უხერხულობის დასაფარავად სადღაც სივრცეში ვიხედებოდი. ერთი ორჯერ მალულად მძლოლსაც შევავლე თვალი.

ოცდაოთხი წლისაც არ იქნებოდა. ფუნჩულა ლოები ოდნავ ასწითლებოდა. ყელზე ორი პატარა ხალი აჩნდა. თბილი ქუდის საყურეები უკან გაენასკვა. დაბამბული ქურთუკი ეცვა. ის, ისეთი, მშის ღრის რომ იყო მოღაში. რატომრაც მომეჩვენა, რომ შუბლს იჭმუხნიდა, წარბებს იკრავდა, თითქოს იმას ცდილობდა, რომ გორში სახე მიეღო,

მაგრამ არ გამოსდიოდა. ერთხვად გზას გასცეროდა, ვატყობლი, რომ ჩემი მალული მზერა არ ეჭაშნიკებოდა.

დათოვლილ გზაზე მანქანის უკანა თვლები დასრიალდნენ. მძღოლმა საჭე საწინააღმდეგო მიმართულებით მოსწია, სიჩქარე გამოცვალა და გაზს მოუმატა.

— თუ თვალნათლივ უდელტეხილზე გადავედით, მერე აღარა გვიჭირს რა! — თქვა მძღოლმა, მანქანა რომ სრული სიჩქარით წავიდა.

— რამდენ ხანს მოვუნდებით უდელტეხილზე გადასვლას?

— ორმოციოდე წუთი! — და უფრო მოხერხებულად დაჯდა, საჭეს გულმოლგინედ ჩავლო ხელი.

რაც უფრო მაღლა ავდიოდით, უფრო მეტად თოვდა, თან მოთეთრო-მოყვითალო ბურუსმაც იმატა, ბინდიც ერთბაშად ჩამოწვა და ორ ნაბიჯზე ჰერში დატრიალებული თვლის ფიფქების მეტი აღარაფერი ჩანდა.

მანქანა ბლუილით მიიკვლევდა გზას. დაღმართში დაშვება უფრო უჭირდა, ვიურე აღმართში ასვლა. დაუდილ დაღმართებს კი ბოლო არ უჩანდა.

მძღოლი მაღიმალ ამუხრუჭებდა მანქანას, სიჩქარეს უცვლიდა, აქეთ-იქით უცვევდა. თან ისეთი ყურადღებით ილირებოდა წინ, თითქოს თვლის ფიფქებს თვლიდა, აბრიალებულ ფარებს ღამის პეპლებივით რომ ეხვეოდნენ.

ერთგან, ციცაბო აღმართს რომ შევდექით, უკანა თვლები სახიფათოდ დასრიალდა.

მძღოლმა გაზს მოუმატა. მანქანა დაიძაბა, დაიჭიმა, საშინლად აბღულდა.. დაერილი ვეფხვივით მიბობდავდა. უცებ ძრავა აკვნესდა, აქოშინდა და ერთბაშად ჩაქრა.

— ვერ არის საქმე კარგად! — ხელი ჩაიქნია მძღოლმა, კარი გააღო და ძირს ჩახტა.

კაბინაში მსუსხავი სიცივეც შემოიჭრა. პაპიროსი გავაჩალე და პალტოში ჩაიგბულდნე. სანამ ძრავა მუშაობდა, ფეხზე სიცივე არ მიგრძნია. ახლა კი შემიმცივნა, თითის წვერები დამაზრა.

ამასბაში მძღოლმა ძრავა შეამოწმა, მერე საჯდომის ქვემოდან ჩაქუჩი, საჭემი და კიდევ რაღაც ხელსაწყოები ამოიღო, ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკა, ვერ არის საქმე კარგადო, და კაბინის უკან რაღაცის მოხსნას შეუდგა.

მეც ძირს ჩავედი, თუ მძღოლს ვერ დავეხმარები, გზაზე მაინც გავიღლება მოვივლი, ფეხებს გავითბობ-მეთქი.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. ქარი არ ჰქონდა, ოთხმხრივ მთები გვიმყუდროებდა. აღარც თოვდა. ცაზე ქა-იქ მოჩანდნენ ვარსკვლავები. ისე მომეჩვენა, თითქოს ყინვას ირგვლივ ყველაფერი გაეთოშა.

მძღოლთან მივედი, ხომ არაფერი დახმარება გესაჭიროება-მეთქი. არაო, მომიგო მშვიდად, ისე რომ ჩემთვის არ შემოუხედავს.

ვიდექი და თვალს ვალევნებდი მძღოლს, შიშველი თითებით რომ ხრახნებს უჭირდა. მერე კაბინის ქვეშ შეძრა და რაღაც შეამოწმა. მანქანის დაქოქვას არაერთხელ შეეცადა, მაგრამ ამაռდ, ძრავა უცებ ამზადებოდა, ოციოდე წამს ითუხთუხებდა და ქრებოდა.

სიცივე კი მატულობდა. ჯერ ადგილზე ვხტოდი. მერე გზაზე დავიწყე წინ და უკან სიარული, მაგრამ ვერც ამითი გავითბე გათოშილი ძვლები. მძღოლი კი ისევ ძრავას ჩაჭირკიტებდა.

სიბნელეში ვერ ვხედავდი მის სახეს, მაგრამ ვერმნობდი, თუ როგორ წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი ლოყებზე, მაგრამ ერთხელაც არ დაუწუწუნია, კრინტი არ დაუძრავს. მხოლოდ ეს თქვა, ნეტავ მანქანამ მაინც გამოიაროს, მე ვწვალობ-ვწვალობ, შენ რაღად უნდა გაწვალდეო.

მძღოლისადმი თავიდანვე სიმპათითა და თანაგრძნობით გავიმსჭვალე. მომწონდა მისი თავაზიანობა, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი. ის ამბავი კი, რომ ეს გამხდარი, სუსტი ჭაბუკი ასეთ

მძიმე საქმეს შესჭიდებოდა, ჩემში მისაღმი თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევდა. მძღოლის სიტყვები გულში ტკბილად ჩამეღვარა.

— ისეთი ბედი მაქვს, არაფერი გამოივლის! — მივუგე, გულში კი გავიფიქრე, მანქანამ კიდევაც რომ გამოიაროს, ამ საშინელ ჭურლმულში მძღოლს მარტო როგორ მივატოვებ-მეთქი.

— იგი თითქოს მიხვდა ჩემს ფიქრს და ოქვა:

— ჩემთვის ეს არაფერია, მიჩვეული ვარ!

— მე კი... რა უნდა დაგიმალო, გამიჭირდება აქ მარტო ღამის გათევა.

— მშიშარა ყოფილხარ, — მომიგორ რაღაც გაუბედავად, მაგრამ ეტყობა მიხვდა, რომ გადააჭარბა, ამიტომ უმაღლაშუამატა, — ადრინინ ყველაფერს ეგუება. ნუ მოგიწევს ღამე მარტო ყოფნა, თორემ ისე მშვენივრად გაათენებ, მზე მაღლა იყოს!

თავი რაღაც დამცირებულად ვიგრძენი. უნდა რამენაირად გამომესწორებინა შეცდომა. სხვა რომ ვერაფერი მოვითიქრე, ესლა ვთქვა:

— ის კი არა, მე ვერც შენოდეს შევძლებდი.

— ეს კი მჯერა!..

— რატომ?

— ასეა საერთოდ. ზორბა ვაჟკაცები იქ ვარგანან, საცა დიდი ღონეა საჭირო. თანაც ყინვას მსუქნებზე უფრო გამხდრები იტანენ. — და მის ირონიულ ხმაში თითქოს დამცინავი სიცილიც გაისმა.

მძღოლი ისევ კაბინის ქვეშ შეგვრა, თითქოს რაღაც გაახსენდა და ძრავას ამუშავების იმედი მიეცა.

მე კი გზაზე დავდიოდი, ხელებს ვიორქლებდი, მკლავებს გამეტებით მხრებზე ვირტყამდი, თან თავს ვსაყვედურობდი, ეს რა ღმერთი გამიწყრა, რომ ასეთ ამინდში მანქანას გამოვყევი-მეთქი.

მართლაც, რა უბედო ვარ! კაცი დიდის ამბით ქორწილში დროსტარებას

ვაპირებდი; ჩემი წინდაუხელაობით კი ეს რა საშინელ დღეში ჩავიგდე თავი. აი, ქორწილი და დროსტარებაც ამას ჰქვია. გათენებამდე აქაც ნაკლები ცეკვა-თამაში და ხტუნვა-კუნტრუში არ მომიწევს? ეჭ, რა მძიმე ყოფილა მძღოლის ცხოვრება?! ვთქვათ და მე არ გამოვყოლოდი, საწყალ ბიჭს მარტო როგორ უნდა გაეთია ღამე?!

— სანამ ჩვენი ბიჭები არ ჩამოივლიან, აქ მოგვიცდება ჯდომა! — ოქვა ბოლოს მძღოლმა და ისიც გზაზე სიარულს მოჰყვა.

— მეეძვება, რომ ღამით, ასეთ ამინდში, ვინმემ გაბედოს უღელტეხილზე გადმოსვლა!

— მართალი ხარ. ისინი ისედაც არჩეარობდნენ, დაღლილები ვართ, ამაღლამ უთუოდ უნდა ღავისვენოთო.

— არც შენ უნდა წამოსულიყავი.

— რა მექნა, დილაზე თბილისში საქმე მაქვს.

— განა ისეთი რა საქმე გაქვს?

— ამას კი ვერ გეტყვი!

ისე მომეჩვენა, მძღოლს სახეზე ღიმილი გადაეფინა, რითაც თითქოს უნდოდა ეთქვა, ყველაფერზე როდი ლაპარაკობენო. ვინ იცის, იქნებ მართლაც რა გადაუდებელ საქმეზე მიიჩქარის. ხომ შეიძლება ხვალ სატრიფოსთან პაემანი აქვს დანიშნული. მერე რა მოხდა! პაემანზე კიდევაც რომ დაიგვიანოს, ქვეყანა არ დაინგრევა. ეჭ, რა ადვილია სხვისი განსჭა! კარგად მახსოვს პირველი პაემანი! როგორ ვდელავდი, ვშფოთავდი, წამებს ვითვლიდი. თითქოს განგებ, ღროც ზლაზვნით გადიოდა. ორი საათით ადრე წავედიდანიშნულ ადგილზე. რაოდენ გატაცებით, გულისფანცელითა და მოუთმენლობით ველოდი სატრიფოს გამოჩენს! ვინ იცის, იქნებ მძღოლისათვისაც ეს პირველი პაემანია?! აბა, როგორ ალოდინებს, იმედს როგორ გაუცრუებს ლამაზ ქალიშვილს, პირველი სიყვარულის ძლიერი გრძნობით რომ აუძგერა ჭაბუკური გული?!

ღრო ნელა, ტატით მიიზლაზნებოდა.

რაღაზე არ ჩამოვაგდე სიტყვა. მინდოდა საუბარში დრო მომექლა, მაგრამ მძღოლი მხარს არ მიბამდა, თითქოს ფიქრით სხვაგან იყო და მხოლოდ ზრდილობის გულისათვის მისმენდა.

სიარულით მუხლები ჩამომაწყდა.

მძღოლიც მძიმედ დააბიჯებდა, თითქებს იორთქლებდა, ჩემი არ იყოს, მალიბალ მკლავებს გამეტებით მხრებზე ირტყამდა.

— ის კი არა, მოდი, ცეცხლი დავანთოთ! — ვთქვი მე.

მძღოლმა წინადადება მომიწონა, თან დაუმატა, ბენზინს გამოვნახავო.

ის ბენზინის ამოსადებად მივიდა მანქანასთან, მე კი ფერდობზე ავირბინე და გამხმარ ბუჩქის ძირებში ერთი მკლავის მოდება ფიჩხი მოვაგროვე.

რაღაც ათიოდე წუთში ცეცხლი გავაჩალეთ, კბინიდან ორი ბალიში გადმოვიდეთ და იბრიალებულ კოცონს მივუსხედით.

ხელ-ფეხი რომ გავითბე, პაპიროსი გავაჩალე და ჩემთვის წავილაპარაკე, დაილოცის ცეცხლის მომგონი! ადამიანისათვის რა დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია-მეთქი.

მართალს ბრძანებო, მომიგო მძღოლმა და თითქოს ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად ქუდის საყურეები აი-კეცა და ცეცხლთან უფრო ახლო მოიწია.

ქალიშვილებზე ჩამოვაგდე სიტყვა, გუდას პირი მოვხსენი და რაღა არ ვილაყბე.

მძღოლი თითქოს წახალისდა, ქალების საკითხში გამოუცდელი ჭაბუკივით დაინტერესდა, კითხვას კითხვაზე მაძლევდა. ეს მე სულაც არ მიკვირდა. განა ქვეყნად მოიძებნება ახალგაზრდა კაცი, ვისაც ქალიშვილებზე ლაპარაკი არ სიამოვნებდეს, მაგრამ ის ვერაფრით ამეხსნა, რომ იგი იმათხე არც კარგს ამზობდა, არც ავს, თან თითქოს რაღაც იცისო, დამცინავად მიმზერდა.

ბოლოს ისიც ვთქვი, ახლანდელი ქალიშვილები მარტო გარეგნობით და ჩაცმულობით კი არა, გრძნობებითაც

შეიცვალნენ, აღარც სიყვარული იციან თავდავიწყებით, აღარც ძველებური ერთგულება მოსდევთ-მეთქი. მძღოლმა ხელები გაასავსავა, ვერ დაგეთან-ხმები, რა საერთო აქვს ჩაცმულობას და ვარცხნილობას გრძნობებთან? როგორ, განა შეიძლება კაბებივით ვნებების გამოცვლათ.

რავილა ერთი ვთქვი, იხტიბარს არ ვიტეხდი და ჩემსაზე ვიდექი, მაგალითებს ვიშველიებდი, ის, როგორ მუხთლობენ ქმრებს ქალები-მეთქი.

— გამონაკლისი ქალებშიც არიან და კაცებშიც: არიან ქალები, რომლებიც ძლიერი სიყვარულისთვის სიცოცხლე-საც არ დაიშურებენ! — თქვა მძღოლმა.

— მჯერა, ქალი სიყვარულისთვისაა გაჩენილი!

— სევერა კაციც!

— რა თქმა უნდა, მაგრამ მათ შორის მაინც განსხვავებაა!

— რისი თქმა გინდა ამით?

— ქალი უფრო მერყევია სიყვარულში!

— ეს კაცებზე უფრო ითქმის!

— ჩემს სიცოცხლეში კაცი არ მინახავს, ქალებს რომ იცავდეს.

— ქალებს კი არა, სიმართლეს ვიცავ! ქალის ოდნავი უწესობა კაცებს ანრისხებს, მაშინ როცა თავად ბიშიერების მორევი უტრიალებთ გულში.

— ერიკა, ჩემო ძმაო, ჯერ ახალგაზრდა ხარ, როცა ჩემი ხნისა გახდები, მერე გაიგებ რა ცვალებადია ქალის გული.

ჯდომით კუნთები მეტკინა, ლაპარაკით ყბები მომელალა, თვალები მებლი-ტებოდა, თავს ვქინდრავდი.

მძღოლი უფრო უხიზლად იყო, ნაკერანხალს აქუჩებდა, ცეცხლს ფიჩხს უმარჯვებდა.

ძილი სულ უფრო მერეოდა. მალიმალ ტკბილ ბურანში წასული კაცივით კსერი მწყდებოდა. კიდევ კარგი,

მძღოლი ხელს მაშველებდა, თორემ ცხვირს ნამდვილად ცეცხლში წავყოფ-დი.

მოძალებულ ძილს რომ ველარ ვუმ-კლავდებოდი, მძღოლმა მითხრა, თუ გინდა კაბინაში წამოწექი და დაისვე-ნეო. ვიუარე, ამ ყინვაში რა დამაძი-ნებს, ხომ გავიფიჩხერმეთქი.

— ნუ გეშინია, ლეიის გაგიშლი, ქურთუქს გადაგაფარებ და სიცივე ვე-რაფერს დაგაფლებს! — თქვა მძღოლ-მა და წამოდგა.

— დასვენება შენთვის უფრო საჭი-როა, დილაზე გზას რომ გაუუდგებით, უძილობა შეგაწუხებს!

— არა უშავს რა, მიჩვეული ვარ ლამის თევას!

— მაშ, ბარემ ავდგეთ და ორივე დავწვეთ, კაბინა განიერია, დავეტევით.

მძღოლი დუმდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას.

— ჰო, ასე ემჯობინება. — ვუმტკი-ცებდი მე. — ფრონტზე ჯარისკაცები ორ-ორი ვწვებოდით. ერთ ფარავას ქვეშ ვიშლილით, მეორეს ზევიდან ვი-ფარებდით. გინდა დაიჭერე, გინდა არა, ჩემს სიცოცხლეში ისე თბილად და ტკბილად არ მძინებია, როგორც მა-შინ!

მძღოლი უარზე იყო, მაცივდებოდა, ჯერ შენ დაიძინეო. მეც ჩემსაზე ვი-დექი, ისედაც შუალამეა, რიგ-რიგობით რომ დავწვეთ, ორი საათი ძილი არ მო-გვზევს, ბარემ ორივე დავწვეთ და და-ვისვენოთ-მეთქი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, იმდენი ჩავაცივდი, თან ეტყობა იმასაც ეუხერ-ხულებოდა უარის თქმა და, ბოლოს, როგორც იყო, დავითანხმე, ოლონდ, მისი წინადადებით თავები აქეთ-იქით უნდა დაგვედო.

მძღოლმა კაბინის საჯდომიშე, ლეიიბი გაშალა, ერთ მხარეს მუთაქა დაღო, მეორე მხარეს — პატარა ბალიში.

ორივემ ფეხთ გავიხადეთ, ჩემი პალ-ტო და მისი ქურთუქი ზევიდან დავი-ფარეთ.

დაწოლისთანავე მძღოლი საზურგეს

გაეკრა. მეც განზე ვიწევდი, ტანით არ ვეხებოდი. ერთი სიტყვით, ორივე ვცდილობდით, რომ ერთმანეთი არ შე-გვეწუხებია.

როგორც საერთოდ შეცივნულ და ძილმორეულ ადამიანს სჩევევია, ჩავთ-ბი თუ არა, ძილმა თავი წამართვა.

ძილში რაღაც უცნაურ სიზმრებს ვხედავდი. საკირველება ის იყო, რომ ნახული მაშინვე მავიწყდებოდა. გონე-ბას ვაბავდი, მინდოდა სიზმრები და-მემახსოვრებინა, მაგრამ მიზანს ვერ ვაღწევდი.

ერთბაშად შეშფოთებულს გამომე-ლვიძა. გული გამალებით მიძგერდა, სა-ხეზე სიმხურვალე მომწოლოდა, სუნ-თქვა მეკვროდა. უცებ ვერ გავიგე, ვერ გავერკვევ, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს. ყური მივუგდე გულის მოძრაობას და მივხვდი, რომ იმ სიამისმომგვრელ ნეტარებას განვიცდიდი, კაცს რომ ვნებიანი ქალის სიახლოვე ანიჭებს. „ნამძინარევი ვარ და ასე იმიტომ მე-ჩენება-მეთქი!“ — ვაიმედებდი თავს. შინაგანი ხმა კი ჩამძახოდა, შე კაი კა-ცო, ვაუკაცი არა ხარ, ასეთი სულელუ-რი ფიქრი საიდან მოვიგიდაო. ძალ-ონებს ვიკრები, მინდოლა რამენაი-რად ჩამექრო ჩემში უცებ ცეცხლივით აგიზგიზებული ცრუ გრძნობა, მაგრამ ვერაფერს ვხდებოდი. როგორც კი მძღოლის სხეულს ოდნავ შევეხებოდი, უმალ ტანში დენივით გამირბენდა ხო-ლმე ურუანტელი, რაც ჭკუა-გონებას მიფორიაქებდა, თავბრუს მახვევდა. გა-ნზე ვიწევდი, კუნთებს ვძაბავდი, კბილს კბილზე ვაჭერდი, მინდოდა უც-ებ ავარდნილი კანკალი დამეფარა... თან თავს ვირწმუნებდი, ასეთი რამ ჩემ-თვის უცხოა, ასეთი რამ არასოდეს და-მმართნია, უნდა გავმაგრდე, გონება მო-ვიკრიბო და ყველაფერი გაივლის-მეთ-ქი. ასე კი ვფიქრობდი, მაგრამ, სამწუ-ხაროდ, ჩემს არსებაში მოქალათებული ეშმაკი სულ უფრო მდვინვარებდა, და-უძლეველი ხდებოდა.

კიდევ კარგი, მძღოლს სძინავს, თო-რემ რას იფიქრებს, ამითიღა ვინუგე-

შებდი თავს, მაგრამ უცებ გულში გამკრა, ვინ იცის, იქნებ არც იმას სძინავს, ყველაფერს მიხვედრილია და გატვრენილი წევს. ახლავე უნდა ავდგე, თბილად და რბილად წოლის ღირსი არ ვარ. ახია ჩემზე! ამ ყინვაში ძალლს არ გააგდებენ გარეთ, მე კი ცის ჭვეშ უნდა გავითვაჩხო და ისედაც უძილობით მოღლილ-მოქანულმა გზაზე სიარულით ფეხები ჩამოვაწყიტო-მეთქი.

ურთხილად წამოვდექი, ფეხთ ჩავიცვი და პალტო ავიღე.

კაბინის კარი რომ გამოვალე, მძღოლი შეიშმუშნა. ისე მომეჩვენა, თითქოს გაოცებული თვალებით შემომხედა კიდეც, მერე კი ჭურტუქში ჩაიბუდნა და ტკბილ ძილს მიეცა.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იღა, თითქოს ყველაფერი მკვდრულ ძილს მისცემოდა, მხოლოდ ყინვას გაუდიოდა ჭახაჭუხი... დიდხანს ვიღექი უძრავად. აღარაფრის ხალისი მქონდა, საყუთარი თავის მრცხვენოდა, სინდისი მქენჯნიდა.

სიცივემ ტანისამოსში გამატანა, ძვალ-რბილში დამიარა, კუნთებში გამიჯდა და ავძაგდაგდი.

„ემანდ ზეზეულა არ გავითოშო, არ გავხევდე-მეთქი!“ — გულში გამკრა და გზაზე გავიძეც-გამოვიძეცი.

თურმე ადამიანს ზეზეულაც შესძლებია ძილი. ჩვეულებრივად მივაბიჯებდი, თვალებიც მეხილა, მაგრამ ტკბილად ვხერინავდი. ერთგან შევჩერდი. არ ვიცი რამდენ ხანს ვიდექი, რადგან დროის ვარაუდი აღარ მქონდა. ალბათ დილამდე ასე ვიღებოდი, რომ ხელფეხი არ გამფიჩხოდა. ერთგან კიდევ ჭვას წამოვკარი ფეხი, წაგიფორხილე და ცოტას გაწყდა, გზაზე არ გავიშხლართე.

ცალკე უძილობით, ცალკე სიარულით დავიღოდე, არაქათი გამომეცალა და, ბოლოს, ისევ ცეცხლი გავაჩალე. ღრი რომ მოქეცა, რაღა არ გავიხსენე, გონების თვალით რაღას არ მივწვდი. ჩემი საყვარელი პოტების ლექსებიც კი ვთქვი ზეპირად, მაგრამ საქშეში ხარ, არა და არ დაიუერფლა და-

მე. თვალები თავისით მეხუჭებოდა. ცეცხლი ჩაინავლებოდა თუ არა, სიცივე ტანში მატანდა და უმაღლ მეღვიძებოდა. სახეზე თვალს ვისვამდი, გზაზე მივრბიმოვრბოდი, ფიჩხს ვამტრევდი და კოცონს ვუმარჯვებდი. ყველანაირად ვცდილობდი მოძალებული ძილის მოგრიებას, მაგრამ როგორც კი ცეცხლს მივუჯდებოდი, თავს ვქინდრავდი, კისერი მშეყდებოდა, ტკბილ ბურანში მივღიოდი. სიზმარიც კი ვნახე, ვითომ ისევ მძღოლის გვერდით ვიწევი და ტანში ისევ ის სასიამოვნო ურუანტელი მივღიოდა. შეშფოთებულმა თვალები დაგვჭიტე. „ვეღარაფერი გამიგია, ეს რა უბედურებაა ჩემს თავს? იქნებ ჭკუაზე აღარ ვარ, შევიშალე და ამიტომ მეჩვენება ასეთი სისულელები-მეთქი?! — ვეკითხებოდი ჩემს თავს და დაეცვებული საკუთარ გულის ძეგრასა და შინაგან ფიქრებს თვალყურს ვადევნებდი.

უცებ ზურგს უკან ფეხის ხმა შემომესმა, მიხედვაც ვერ მოვაწარი, რომ მძღოლის ხმა გავიგონე:

— გათენებამდე ორი საათიღაა და ურიოგ არ იქნება, შენც თუ ცოტა თვალს მოატყუებ.

— უმჯობესია ისევ შენ დაისვენო, მე კი ხვალ გზაშიც გამოვიძინებ!

— ბეგრიც რომ მოვინდომო, აღარ დამეძინება!

კაბინაში სიმყუდროვესთან ერთად, სითბოც ვიგრძენი. ქურქი წავიფარე თუ არა, ბურანში წავედი. ეჭ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ ნეტარებაში ჩამეძინა, მაგრამ ტანში ისევ იმ ურუანტელმა დამიარა და ამაფორიაქა.

ეს რა ღმერთი მიშეყრება, ახლა ხომ მარტო ვწევარ და ასეთი აზრები საიდანღა მებადება-მეთქი. ხან რაზე გადავიტანე ფიქრი, ხან—რაზე. ომში განცდილი მძიმე ამბებიც გავიხსენე, მინდოდა ეს გრძნობა, გრძნობა კი არა, ყოვლისმძლე ეშმაკი, ჩემს არსებიდან გამომედევნა, მაგრამ უძლური ვიყავი.

პირიქით, ეშმაკმა თანდათან იმძლავრა, დამიმორჩილა, დამიმორნა. ძალაგამოლეული ტებილ ბურანში წავედი და უცებ ბროლის ჭალებით გაჩაღებულ დარბაზში ამოვყავი თავი. აქვე იყო მძლოლი. აი, მე და ის ვაზის რქაფოთოლოვით ჩავხვევივარო ერთმანეთს და ტანგოს ვცევავთ. საოცრება მეტი გინდა?! ჩემს სიცოცხლეში არ მიცეკვია, ამჯერად კი, მე და ჩემი პარტნიორი ისეთ რთულ ილეთებს ვასრულებდით, ალბათ სახელმოხევის მოცეკვავებსაც შეშურდებოდათ.

სულში ჩამწვდომ ნეტარებას განვიცდიდი, უსახლვროდ გახარებული და კმაყოფილი ვიყავი და არ მინდოდა ამშვეუნად სხვა რამ ბეღნიერება. და უცებ... ისევ ეს უცებ! ამ ნეტარებაში მყოფს ხელში მძლოლი კი არა, ეშმაკი შემჩრა. როგორ მინდოდა მისთვის მებიძება, თავიღან მოვეცილებია, მაგრამ საამისო ძალა აღარ გამაჩნდა. ვცდილობდი სახეში შემეფურხებია, მაგრამ პირს ვერ ვაღებდი, ყელში ნერწყვი გამშრობოდა. ერთბაშად შეშტოთებულს გამომეღვიძა. მთებზე ჩამოწოლილი ოვალის კაშკაშა სინათლემ ოვალი მომჭრა... კაბინის კარმა გაიჩხაკუნა და ვიღაც შუასანს გადაცილებულმა ქალმა ნაცრისფერი თვალებით შემომანათა, რაღაც დამცინავად გამიღიმა და დილა მშვიდობისა მისურვა. მერე მაწვნის ქილებით სავსე კალათა კაბინაში შემოჰვა; ხრინწიანი ხმით მითხრა, ახალგაზრდავ, რა ხანია გათენდა, უცევ წასვლის დროაო.

ქალს მორცხვად მივესალმე, თვალი ვეარიდე და მძიმედ წამოვდექი. კაბინიდან ჩავედი და გაოცებულმა კინალმ შევძახე: „ეს რა უბეღურებაა ჩემს თავს, მეჩვენება თუ ცხადლივ ვხედავ ასას-მეთქი“. კოცონთან გაჩერებული ქალიშვილი, თოვლის ფონზე წითელ მიხაქს რომ პგავდა, მძლოლს მივამსგავსე. თითქოს ის იყო და არც ის იყო. ისევ დაბამბული შარვალი და ჩექმები ეცვა. წითელი ჭემპერი ამბობურცულ მკერდზე შემოტმასნოდა. მოკლედ შეკრეჭილ თმებზე წითელი ბაფთები ეკ-

თა. ფუნქციულა ლოყები მუგჭზლებივით აწითლებოდა. მომცინარე თვალებში დამცინავი სხივი უკრთოდა.

— მოდი, მეგობარო, გათბი, მალე წავალო! — მითხრა მძლოლმა. იმ განაზებული ხმით, სიზმარში ტანგოს ცეკვის დროს რომ მეტურჩებულებოდა.

„აი, ესეც შენი ეშმაკი?! მერე რა ლამაზი ეშმაკია!“ — გულში გამგრა და კაოცებული შევეკითხე:

— ეს შენ ხარ?!

— დიახ, მე გახლავარ!

თავს შებორკილად ვგრძნობდი. აღარ ვიცოდი, რა მეოქვა. ქალიშვილს თვალს ვარიდებდი, უაზროდ საღლაც სივრცეში ვიხედებოდი. უხერხულობის დასაფარავად ჩავილაპარავე:

— მერე მანქანა?

— წესრიგზეა, შევაკეთე!

მალე გზას გავუდექით. რაღაც ითიოდე წუთში ულელტეხილს თავზე მოვაქეცით. ქვეყანას ზეციდან გაღმოვხედეთ. ტყვიისფერ ცაზე ამოწვერილ მზის სხივებს თეორად აექაჭათებია დათოვლილი მთის მწვევვალები. ხევებში ნისლი იწვა. ტყეს ისევ ეძინა.

ისე მეჩვენებოდა, ჩვენს შესახვედრად მქროლავი ნაძვის ხეები, გზაზე მოჩეხილივით რომ ცვიონდნენ, დათოვლილ ტოტებით გულს მისერავდნენ.

„ეს რა ღმერთი გაგიწყრა, ასე რამ გამოგაშტერა, რომ მოწყვეტილი ვარსკვლავით ქალიშვილი ვაჟად ჩასთვალეო?“

სინაულით ტუჩსლა ვიკვეტდი. მალიმალ მძლოლისაკენ თვალს ვაპარებდი, მაგრამ ჩვენს შუა მჯდომი სქელი ქალი, მანქანაზე უფრო მეტად რომ ირწეოდა, თითქოს განგებ, დანაოჭებული ღაბაბით მეფარებოდა. თან, ვითომ მძლოლისათვის ხელი რომ არ შეეშალა, ნელ-ნელა ჩემკენ იწვედა.

ქალიშვილი კი მარჯვედ შართავდა მანქანას. ჩემთვის მიუწვდომელ, რაღაც ტებილი ოცნებით გასცეროდა გზას. და ისე მეჩვენებოდა, თითქოს მზესავით გაბრწყინებულ თვალებში ისევ დამცინავი სხივი უკრთოდა.

ოდა სა ქართველოს...

საქართველოს ცას
და ამ მიწის ცვარს,
ცაზე მზის მეფურ გამობრძანებას...
საქართველოს ზეარს,
საქართველოს გზას,
ჩემი თაყვანი და მოკრძალება.

ქართულ სიმღერას,
ქართულ მოლხენას,
ქართულ თვისებას,
ქართულ მორღვევას,
ქართული კაცის ფიქრს და ხასიათს,
ყველაფერს ქართულს,
რაც ძვირფასია,
ქართველი კაცის ჭირში გაძლებას —
— ჩემი თაყვანი და აღტაცება.

ამ ეკლესიებს,
ამ მაღალ ტაძრებს,
რომ უგვნესათ
და მაინც გაძლეს,
ქართველი კაცის იმედს და რწმენას,
ამ უძველეს და უწმინდეს ენას,
ამ მდინარეებს,
წვიმებს და ტალახს,
ამ მდიდარ ერის
სოფელს და ქალაქს,
ამ მაღალ მთებს და ამ მაღალ წარაფს,
წინაპრებს —
ახლა უხმოდ რომ წვანან...

ამ ბალახს,
ქარში რომ იკეცება
ცალ ფეხზე შემდგარ
ამ ლამაზ ყანჩას,
ამ მარხილს,
თოვლში რომ იქერცლება,
ამ მტკერს,
რომელიც მიწაზე დარჩა,
ჩაქუჩებს, ნამგლებს,
სახნისებს, გუთნებს,
გლეხგაცის ყოფას რომ არ სცილდება.
მოუღლელ მარჯვენს,
დაკუნთულ კუნთებს

და მშრომელ კაცის გამოცდილებას...
ქართულ ადათებს
და ქართულ წესებს,
ქართველ ასულებს
და ქართველ მწყემსებს,
ქართველი კაცის ფიქრს და ხასიათს,
ყველაფერს ქართულს,
რაც ძვირფასია...

ამ რძია-რძიას,
ბაბუაწერას...
რომელიც ქარში დგომასაც ბედავს,
მთასვლელის წრიაპს,
თუნდაც იმ წყველას,
ზოგჯერ ისე რომ დასცდება დედას...
ქართველ კაცის გულს,
ომებში ნაცალს,
თუნდაც ცრემლებსაც — სამარის გართან,
ამ ვენახს, ამ პურს,
კერიის ნაცარს,
კერიის თავზე დაკიდულ კარდალს,
უსაზღვრო სივრცეს,
უსაზღვრო მერმისს,
ყინვას თუ სიცხეს,
მამულის ჩემის...

არწივს,
რომელიც ლაჟვარდში ცურავს,
ჩემი მდინარის
შხვართალა კალმახს,
პედელზე გაკრულ
უბრალო სურათს,
ბოძებზე გაბმულ
უბრალო კანაფს,
ქართველი კაცის ბალსა და ბოსტანს,
— რასაც ქართული სახელი მოსდგამს,
ეზოს და ჭიშკარს,
ღობეს და მესერს,
უბრალო ჭის წყალს
და იმ ბიჭს, სესეს: —
რომელიც ახლა ჩიტუნებს აფრთხობს,
რომელიც ახლა დიღობას ნატრობს...
...საქართველოს ცას
და ამ მიწის ცვარს,
ცაზე მზის მეფურ გამობრძანებას...
საქართველოს ზვარს,
საქართველოს გზას,
— ჩემი თაყვანი და მოკრძალება.

აცრემლებულო ვენახებო,
 მე შემომესმა თქვენი ტირილი
 და დავბრუნდი შორეულ გზიდან.
 ვაზის ლერწიდან
 მზის საკსე წვეთი
 მოქონავს ისევ,
 რომ ჩაიღვაროს მიწის ჭიაღში,
 რომ კვლავაც პპოვოს ძლიერი ფქსვი
 და უსასრულოდ იდინოს მზისკენ.
 მე მეჩვენება,
 რომ იხედებით
 და ეს წვეთები
 გახელილი თვალებივით
 მზეს აგროვებენ.
 მე გავიგონე თქვენი ტირილი
 და გაზაფხულის ცისფერი ბგერა
 იქმით საკსე ჩირგვებთან ახლოს.
 და ახლა თითქოს
 აღარც მაწუხებს
 შებინდების მოახლოვება,
 ღამეზე ფიქრი,
 როცა სიბნელით და სიმარტოვით
 გაყინულ ოთახს
 ძველი საათი
 გულივით უცემს.

ვერ გავექეცი შორეულ ძახილს
 და ფიქრის თვალი შემჯრთალი გიცქერს
 და გაზაფხულის მაღალი ბაღი
 კენჭეროებით აღვიძებს სივრცეს.
 საკმარისია თვალის გახელა,
 ნაბიჯის მოცვლა და ისევ ვუსმენ,
 როგორ მეძახი, შენი ძახილი
 თითქოს ზარივით შემაბეს გულზე.

ღღღ უკავებ

იახსრის გორის
მაღალი ზეცა
ყვავ-ყორნებმა ჩამოაბნელეს
და შავი ფრთებით შეარსიეს
დუშილის ტბორი.

სად ხარ, იახსარ,
ლაღო იახსარ,
შენს გორს ყვავები დაეხვივნენ
და ლეშს ჯიჯნიან.

გუგუნებს ქარი,
იქნებ ეს შენ ხარ,
ჭიუხებზე რომ დევის ტოლ
ღრუბლებს მიედენები
და მიძინებულ ზვავებს აღვიძებ.
ლაღო იახსარ,
ერთხელ შენს გორზეც
ჩამობრძანდი,
როს მოეშვები დევების დევნას,
თორო ნათელი შენი გორი
ყვავ-ყორნებმა ჩამოაბნელეს
და შავი ფრთებით შეარსიეს
სიმშვიდე მისი.





Ե Ր Ա Խ Ե Բ Թ

Քոնասթառ մաղթվեծ էս, հուս ալֆերա-
սաց զաքորեթ. հոգոր զաքորեթ, քյու ձր-
բա մայքը եղորուանադ մոցոյիշեթպուլո, ցո-
լո կո զեղար մոտմենս, սօմ՛զուզ առ
մոցունու Շեսացերո ցորմուս գամուսաժեթ-
նադ. առ զուց հա ոյնեծ յև, մոտերոծա,
նահյացո, ու մոնագուրուս պիծրալու ჩա-
ճաշերո, սատացու կո չկաց թիալա մայքը:
Շուժնո, դա զերացերո զեղար Շեցուլուս
իս; հոգորու սուրպա, ոզո մելուզ մոմ-
ենծունազուա, զետունեմուզանո, աթրոծիրոց սո-
խոսթեշը հոմ ալարու կո զոլութարակութ
(լածա — լածունո — շուժնոն. պայլա-
ցրու նայելուս դա գասացեծ). Կոցուլ
սուրպաս աթրուս ցարլու տաշուս ցմենցա
պյա։ տաշուս սուրնելուց, հեմտզուս
“շուժնուս” ցագոնցեծաց սայմարուսուս, հոմ

մա՛նցը լա՛շեթից զօգրմնու երուուցեծուն
պեղու սլունքա, թիշելու ամեռու. թյ
մոյզահու օցո, հոգորու սաթրուու Շորու-
շուլու դա սանաժրելու. մոյզահու մուլուս-
նադ, տաշուս պայլա նայլուտ դա պայլա
լուրեծուտ. պայլու Շեեցելրա մաստան
իշմու նեմուս հյեմ պեղուրեծամո. յելուց
ուց զար, տույշու մա նեմուսուտուս զեմիա-
ցեցունց. ունեթեշնու յև Շեեցելրա նու-
թաց ուց մեծարեծա, հոգորու նամցուլու.
ամուրու ու զելուաց ան մլուր, տու-
յշու մարտունաց մանյանուս սակյու զուշուց դա
առա հյեմ մզուլութու, փոյծուս մոյր ցուլ-
ուն մոլցոնց դաերուլու մացունա. զելուրաս
ան զեցազ նու դալուցեծուն: զերու օմ
ցուրուցու, հոմելուցու զեշի, զերու Շո-
շնենուս ուսիրուր դաստա, զերու իշմուր-

თმიანი ქვის მტკრიან ნატეხს, ვერც ხოსტის ფრთხებსა და დათლილ ფანჯრებს, ყვავილებივით ჩაშეყობილს თიხის ქოთანწი. ჩემი შვილების სურათებსაც კი ვეღარ ვხედავ... ღია ფანჯრიდან შუაზაფხულის ცხელი ღამე ჩუმად შემოდის გაბოლილ ოთახში და ეს უფრო აძლიერებს ჩემს ილუზიას: სადღაც ძალიან ახლოს არის უკვე უდაბნო...

უკან დამრჩენია გზატკეცილის გასწრივ უშესებად გადაბმული სოფლების რიგი, აღარსად ჩანს შეყვითლებული ტყით დაფარული მაღალი მთებიც. მხოლოდ თრიმლის წითლად მოელვარე დაბალი ბუჩქი თუ გაიღვებს უცებ აქანქ და გამოაცოცხლებს საჭესთან მჯდომი დაღლილი კაცის ძილმორეულ თვალს.

შარაგზა ხრიოკ და ოთხუთხა ველს ირიბად სერავს, მერე ვრცელ და დამრეც ფერდზე მიიკლაპნება და პატარა კლდოვანი ქედის ერთ უნაგიზე უეცრად წყდება. აქ, ქედის გადაღმა იწყება სწორედ ჩემი უდაბნო.

აღმართი ბოლოში ციცაბო და საშიში ხდება. ცეცხლზე შემომდგარ ჩაიდანივით თუხოუხებს ძეველი რადიატორი; ნერვიულად ძაგძაგებს პირველში ჩაგდებული სიჩქარის ბერკეტი; საჭეძლივსღა მემორილება, ხან მარცხნივ ლამბის გაქცევას, ხან — მარჯვნივ, თითქოს უდაბნოს სისხლვით დაშინებული; ფეხის გულსა მწვავს აქსელერატორის უთოსავით ცხელი პედალი. ჩემს თანამგზავრთა შორის დაძაბული სიჩუმეა ჩამოვარდნილი. ცოტაც! ცოტაც! ცოტაც!—მესმის მათი აჩქარებული გულისცემის ხმა, რომელსაც ტაქტში უერთდება ჩემს საფრთხეებში გახურებული სისხლის კაკუნი. და ჰა, ეს „ცოტაც“ უკან არის, მანქანა ღმუილით ათვებს აღმართს, უღლიდან გამოშვებული კამებივით ხვეწის მისი დაღლილი ძრავა, მგზავრებიც თავისუფლად სუნთქავენ და იღიმებიან. შვება დიდია და სასიხარულო, მით უფრო, რაკი თვალშინ ესოდენ დიდებული ხედია გადაშლილი კიდით-კიდემდე.

უდაბნო...

პირველი, რაც აქ თვალში გხვდება ფერთა სიძუნწეა. საოცარი და უკიდურესი. თუმცა ეს უფრო სიმკაცრეა ან ზომიერება. მხატვრის უდავო ნიჭისა და გემოვნების მაჩვენებელი. სინამდვილეში. რა ფერი გინდა, რომ ვერ ნახო მის გრანდიოზულ პალიტრაზე!? დაუკიცირდები და... ფერთა გამა თურმე უფრო სიუხვით გაცებს, ვიდრე სიძუნწით, მაგრამ ტილოშე ეს ფერები ისე ოსტატურად არის შეხამებული, რომ ერთიდან მეორეში გადასვლას ვერც კი ამჩნევ. მაინც რუხი და მღვვენისფერი ანუ ოხრა სჭარბობს დანარჩენთ. ეს არის უდაბნოს ძირითადი, მთავარი ფერი. ცაც კი ამფერია აქ შუადღეზე; დილაობით, სამავიეროდ, ისეთი ლურჯია, როგორც ალბათ არსად მთელ ქვეყანაზე; სალამობით ხდება სოსანი, იისფერი; ბოლოს შავდება. ვარსკვლავთა შუქიც აქ რაღაც თავისებურია. მომწვანოა და არ ციმურიმებს, მზეც დღეში რამდენჯერმე იცვლის ფერს: ამოსვლისას წითელია, მთლად სისხლისფერი. მერე თანდათან თეთრდება და ისე კაშკაშებს, თვალს ვერ გაუსწორებ და ვერც მის ფერს განსაზღვრავ, რაღა თქმა უნდა; ნელ-ნელა გაყვითლდება და შუბისწვერზე ბაჯაღლო ოქროსაგან ჩამოსხმულ ბურთად აელვარდება; ძირს დაგორებულს კი სიმწიფესავით შეუშჩნევლად ეპარება კვლავ მოწითალო, და ბოლოს მუქ ნარინჯისფერ მანათობელ ლაქად ჩაიღვენთება, ჩაიღვრება პორტინტს უკან, ჩაიღვრება, რათა ხვალ იგივე ფერიცვალება გაიმეოროს.

უსასრულოა, ჭეშმარიტად უსასრულოა ჩვენი სამყარო! განსაკუთრებული ძალითა გრძნობს ამას უდაბნოში მოსული კაცი. ამიტომ თუ ეტანებოლნენ აქაურობას ამქეცებიური ფუსფუსისაგან განდგომილი ბერები ძეველად. ისინი ვითომ გაურბოლნენ ადამიანთა მოღვგმის სიჭრელეს, სიმდაბლეს, ბიწიერებას და უდაბნოს ღვთაებრივად მაცდურ სიმარტოვესა და ერთფეროვნებას აფარებდნენ თავს. მაგრამ შენ თავს ვერ გაექცევი, და ვეჭვობ, რომ თუნდაც ერთმა

ჰპოვა იგი, რასაც ეძებდა. ცხოვრება, ბოლოსღაბოლოს, უდაბნშიც იმავე გზით მიეღინება, რომლითაც ყველგან, იქნებ ოდნავ განსხვავებულით. შეგრძნება თუნდაც ამ ოდნავი განსხვავებისა ღრრ და ღრრ ისეთ აუცილებლობად იქცევა ჩემთვის, როგორიცაა გაზაფხული ბუნებისათვის.

და აი, მე კვლავ უდაბნში ვარ.

ჩემს გარდა მანქანაში კიდევ სამი კაცი ზის და ორიც — ძალი. მგზვარობის საბას ამჯერად ნადირობა შეადგენს და საუბარიც ამ თემის ვიწრო საზღვრებს არა სცილდება.

— ხუთი კაცი მოვკალი ერთხელ ადგილიდან ფეხმოუცვლელად! — ტრაბახობს ვიღაც უკანმჯდომი.

— ია! კარგი ერთი! — აღტაცება და უნდობლობა ერთად ისმის ამ შეძახილში.

— თუ არა გჯერათ, მიტოს ჰყითხეთ!

— მელამ თავის კუდიო... — იცინიან დანარჩენები.

... ირგვლივ კი ისეთი საოცარი სილამზეა!

დილაა ადრიანი და ლურჯი-ლურჯი მოწმენდილი ცა უკვე თრთოლვით ელოდება აღმოსავლეთის ბორცვებიდან მზის გამოჩენას. რაღაც სიოსმაგვარი იგრძნება გრილ ჰყარში და ოდნავ, სულ ოდნავ, იდუმალ ხმაზე აშრიალებს გადამხმარ ბალას. ეს ხმა ჩურჩულსა ჰყავს, ლამისეულ ჩურჩულს უდაბნოს ბოროტი თუ კეთილი სულებისა, რომელთაც უკვე უთავდებათ აქ ყოფნის ვაღა და შორეული მოგაურობისათვის თითქოს სინაცულით ემზადებიან.

ამოდის მზე — სისხლით საესე თვალი უდაბნოს მძვინვარე და ულმიბელი მბრძანებელისა. წყდება ჩურჩული. ყოველივე გარინდულა ირგვლივ, გარდაუვალი განაჩენის ძნელ მოლოდინში.

სად არ მინახავს მზის ამოსვლა — ეს საოცება, — მთაშიც და ზღვაზეც, ქალაქშიც, ტყეშიც, ვინ მოთვლის — რამდენჯერ! მაგრამ ვერა და ვერ შევეჩივ ამ ყოველდღიურ და ჩვეულებრივ სანახაობას.

გაღვიყებულ ნაღვერდალისფრად ამოენთო უდაბნოს ცაზე ვეებერთელა მზე და თანდათან მიიწევს მაღლა. ვუყურებ და მიკვირს, რომ ასეთი დიდებული რამ ასე ჩუმად ხდება, ასე დინჯად, ასე უბრალოდ. და ვფიქრობ: როგორც ყველაფერი, უბრალობაც ბუნებისგან უნდა გადმოიღოს აღამიანმა.

ეცხელებაო დღეს, ამბობს ვიღაცა ჩემს ზურგსუკან.

— ჰოდა, კარგია, — უხარია მეორეს, — კაკაბი ნოტიო ხევებს მიეტანება, ბერვრი ძებნა არ დაგვჭირდება.

კანტიკუნტად აღწევს ჩემს სმენამდე მონადირეთა იმედიანი საუბარი, ხმაურობა, სიცილი.

— ამბობენ, წელს უამრავი კაკაბიაო.

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა!

— შენი ძალი კარგად მუშაობს?

— საუცხოოდ!

— გაგიგიათ, ვინმეს თავის ძალი ეძაგვებინოს?

— მარცხნივ წადი! — მკარნახობს გვერდით მჯდომი და მეც ჭარისკაცივით დაუფიქრებლად ვასრულებ ბრძანებას.

აღგილი ვაკეა და არც გზის არჩევაზე მიხდება ზრუნვა, არც სიჩქარეებს სჭირდება ცვლა, რბილად და უხმაუროდ მიგორავს მანქანა მაღალი, ხმელი ბალანით დაფარულ ველზე. არაფერი უშლის ხელს ჩემს უცნაურად ტებილსა და სასიამოვნო გაოგნებას. მაშინდა ვოჭიზლდები, როცა ვამჩნევ, რომ ვაკე გათავებულა და ღრმა ხევებით დასერილ, დაქანებულ ველს წავდგომივართ თავს; ფეხი თვითონ აწვება მუხრუჭს. მანქანა ჩერდება. კარის გალება და ძალების გარეთ გავარღნა ერთია. ჩერც გადავდივართ, გემრიელად ვიზმორებით ხანგრძლივი ჭდომით დაქანცულნი, და ყურადღებით ვათვალიერებთ ხრიოებით მიღამოს: ქვებით მოფენილი ძეძვიანი ბორცვების მწკრივებს, ფლატე-ნაპირებიან უწყლო ხევებს, გალავნის ნაშთებივით შემორჩენილ კლდოვან ქედებს, აქა-იქ შემკულთ

ჭუჭა ღვიებითა და ქარისა და წვიმის შეირ ქვაში გამოთლილი რაღაც ქიმერებით.... საღდაც მათ შორის ჩაკარგულა აღამიანის ხელით ნაშენი მონასტრის ნანგრევებიც, რომელიც ისე შეხამებიან გარემოს, რომ ერთბაშად მათი შემჩნევა ძნელზე ძნელია.

ბურანში მყოფს თითქოს შორიდან მესმის ჩემს გარშემო მოფუსტუს მონადირეთა ხმა, საუბარი: ზოგი თოფს მართავს და მოუთმენლობისაგან ამ იოლ საქმეს ვერ მორევია; ზოგი ზურგჩანთაში იქექება, საუზმეს ეძებს. ძალუებიც მოუსვენრად მიმორბიან წინ და უკან, მომეტებული აზარტისაგან ძაგაგებენ, წკმუტუნებენ, მიწასა თხრიან. თანდათან მეც მედება მოუთმენლობის ეს საერთო განწყობილება. ვიცი, საჩქარო დანამდვილებით არაფერია, და მაინც ვერა და ვეღარ ვიჭერ თავს, ვღელავ, ვნერვიულობ, ვჩქარობ....

— ჰე! აბა ჰე! — ისმის შეძახილი და დაუმთავრებელი საუზმე ფაცი-ფუცით ლაგდება ჩანთაში.

შივლივართ იქით, საითკენაც ღრმავდება ხევები, საითკენაც ქედები მაღლდება. ძალებიც უკვე ჭინკებივით დაძრებიან ძეძვნარსა და ლვიანში და ეძებენ, გაშმაგებით ეძებენ კაჯაბს.

იწყება, იწყება ნადირობა!

ნუთუ მართლა უდაბნოში ვარ, თუ ყოველივე ნაყოფია მხოლოდ ჩემი აღგზებული წარმოდგენისა!?

თუმცა, რა აზრი აქვს ამის დადგენას, თუკი ასე მკაფიოდ, ასე ცხადად ვხედავ უველაფერს, რაც ჩემს წინ ხდება. აი, ის კურცხარი უფრო ყოჩაღი ჩანს ამ პოინტერზე (მაშ პატრონი არა ცდებოდა) — დაურიდებლად შედის ძეგმები, სწრაფად და ენერგიულად ეძებს. ეეჭ! მეც მყავდა ერთ დროს კარგი მექებარი, ეხლა კი ასე, სსვის იმედზე უნდა ვიარო. ძნელია მერვე სართულზე ძალის შენახვა. რაც დრო გადის უფრო და უფრო მაღლდება და დიდდება ქალაქი, უფრო და უფრო შორდება ბუნებას აღამიანი. ყოველდღიურ, განუწყვეტილ ხმაურსა და ორომტრიალში ბევრი სულ უბრალო

რამ ზოგჯერ სამუდამოდ იძირება დავიწყების მღვრიე მორევში. აქ კი ყველა-ფერი ჩამკვდარა თითქმის და ფიქრს უდიდესი გასაქანი აქვს. მიღიხარ და გარევით გესმის შენი საკუთარი მაგის-ცემის ხმა, შენი სუნთქვა, შენი ნაბიჯი. ჩერდები და... სამარისებური სიჩუმე ისაღვურებს წამსვე შენს ირვლივ. ამ უცცრად ჩამოვარდნილი სიჩუმის წყალობით უფრო მძაფრად გრძნობ შენს სხეულში ჩამდგარ სიცოცხლეს, ექიმი-ვით უსმენ თითქოს მას. რა უნდა იყოს ამაზე უბრალო და უფრო სანატრელი!?

მზე უკვე თვალისმომჭრელად კაშკაშებს ცაჟე.

კარგა დრო გასულა, კაკაბი კი არა და არ ჩანს. თანდათან იკლებს ნადირობის ხალისი და მეტყევე რწმენა იღმლისა. ძალებსაც უფრები ჩამოყერიათ, ისე გულმოდგინედ აღარ ყონსავენ თვითეულ ბუჩქს, როგორც აქადეგ. გულგატეხილი მონადირენი ფერდებზე ძრომიალს თავს არიდებენ და ქედებს ან ხევის ძირებს ეტანებიან. ყველაფერი გაწყვეტილა აქ, ერთი კურდღელიც კი არ-სად შეგვეველრია ამდენ ხანს, ან თუნდაც — გულზა, შემოღვომის სიგრილისაგან ქანცგაცლილი და გაზანტებული.

რა იქნა ის დრო, როცა აქ თითქმის ყოველ ნაპიჯზე სიცოცხლას დასტურს ნახულობდა აღამიანი? ნუთუ მსგავსად მონასტერის ნანგრევებისა მთელი უდაბნოც უსულდგმულო ძეგლად ქცეულა ერთ დროს არსებულისა და აუგამერალისა? სადღა გაექცევი კაცი უსიკოცხლობის ხილვისაგან შემოწოლილ ამ სევდის სიმძიმეს? სადღა შეაფარებ თავს, ან სად დაემალები?

ფეხები ძლიერს მემორიჩილება. სინანული მიბორკავს სხეულს, სუნთქვას მიძნელებს. ყოველი ნაბიჯი სულ ახალ და ახალ იარას მიხსნის ნაღვლით პირამდე აუსებულ გულში.

— რა მოგივიდა? — მეკითხება ძალის პატრონი.

— დავიღალე. — ვცრუობ და მიწაზე მოწყვეტით ვჭლები.

— რა დროს დაღლაა?

— ნუ მიცდით, არ დავიკარგები.

... და ეხლა უკვე სულ მარტო ვარ
ჩემს უდაბნოში.

მარტობისას უფრო ძლიერია გან-
ცდა სევდისა და არც ვცდილობ მის გა-
ქარებას. ან რა აზრი აქვს!? თვით მი-
ზეს ხომ ამით არაფერიც არ მოაკლდე-
ბა და არც არამეტება.

მზე თავის ზენიტს გასცდენია. მაინც
არ ცხელა ისე, როგორც უნდა ცხელო-
დეს. წუთუ აქ სიცხეც სანატრელი გამხ-
დარა უკვე? ეს კი ნამდვილად დასსტუ-
ლია!..

ირგვლივ ისევ სიჩქმეა და სიცარიე-
ლე. არავითარი ნიშანი სიცოცხლისა,
თუ არ ჩავთვლი ჩემს საკუთარ თავს,
რაც არც თუ ისე ცოტა არის, თუმც...
არც ბევრია.

ძალას ვიტრებ, ვდგები და განვაგრძობ
ამ უახრო სვლას, არც ვიცი საით. მარ-
ცხნივ მონასტრის ნაგრევები გამოჩენი-
ლა და უნებურად მიუპყრია ჩემი ყურა-
დლება. ღმერთი რომ მწამდეს, ხომ დაუ-
ფიქრებლად გადავუხვევდი იქით, საკუ-
რთხევლის გახეთქილ თაღქვეშ მოწი-
შებით მოვიდრებდი მუხლს და დიდხანს,
მხურავლედ ვილოცებდი გამჭრალი სი-
ცოცხლის განახლებაზე. მაგრამ მე, ჩემივ
ნებით, ამ მცირე იმედის უფლებაც არ
დავიტოვე და ეხლა ისღა დამრჩენია,
რაც შეიძლება სწრაფად და უხმოდ გან-
ვერიდო აქურებას.

ვცდილობ ნაბიჯის აჩქარებას, მაგ-
რამ სამისო ძალა არ შემცევს, ქანც-
გამოცლილი მივლასლასებ უშნოდ
აჩნიჩილ ძეგებს შორის და მეჩვენება,
რომ ამ დაღვრემილ სასაფლაოს არასო-
დეს ექნება ბოლო. და სწორედ ამ
დროს ერთ-ერთ ბუჩქში რაღაც ჩუმი
ფაჩუნი მესმის, ჩუმი მზადება. ან იქ-
ნებ ესეც მეჩვენება? სმენაძეცელლი
ვშეშდგი ადგილზე, ძლივსლა ვიოკებ
საიდანლაც მოზღვავებულ ძალას და
ხალისს. უფრო და უფრო იძაბება ირგვ-
ლივ სიჩქმე, მძიმდება ჰაერი და
უცებ... რაღაც ფეხჭდება ჩემს ფეხ-
ქვეშ, საღაფისფრად მოელვარე შად-

რევანგით ამოდის ბალახიდან და მაშ-
ხალასავით ხმაურით იშლება ცის ნა-
თელ ფონზე.

არც გამიგია, ისე დავცალე ორივე
ლულა და მერელა მოვეგე გონს: კაკაბი
აფრინდა! კაკბის გუნდი! დიდზე დიდი
გუნდი! ყველაფერი გაცოცხლდა ერთ-
ბაშად ირგვლივ, ყველაფერი ამოძრავ-
და, აელვარდა, აელერდა.

აგერ, ხმაურისაგან დამფრთხალი
კურდლელი წამომხტარა ბუჩქის ძი-
რიდან და გამალებული მიხტის ქვიან
აღმართზე.

აგერ, გუნდს ჩამორჩენილი და აქა-
მდე გარინდული ბოლო კაკაბიც ფარ-
თხა-ფურთხით ამოწრა ძეგვიდან, ელ-
გვასავით გადამისერა ცა თვალშინ და
გაქრა.

მე კი, ნაცვლად იმისა, რომ რომე-
ლიმე ამოვილო მიზანში, თოფი გავაყო-
ლო, ვესროლო, გაუნძრევლად ვდგა-
ვარ ადგილზე, ვაზებიც კი არ შემიც-
ვლია, და ვცდილობ გული საგულედან
არ ამოუშვა. ვინე მონადირე რომ
მხედავდეს, მახსრად ამიგდებს.

შორიდან კი უკვე ისმის დაფანტუ-
ლი გუნდის კაკანი.

როგორც იქნა, ვმშვიდდები და მივ-
ყვები აღმართს. უკვე ვიცი, საღაც ჩას-
ხდებოლნენ ჩემი კაკბები. მივალ, ებ-
ლა სათითაოდ ამოვაფრენ მათ და ზე-
ლიზედ, კიდევ და კიდევ, დავტკბები
ამ მშვენების ხილვით. ერთ-ორ ცალს
ვესვრი, მერე მიწაზე მძიმედ ზანარც-
ხებულს ფრთხილად ავიღებ, ბუმბულს
გავუსწორებ და საბოლოოდ დავრწ-
მუნდები, რომ ეს ყველაფერი სინამდ-
ვილეა, არ მეჩვენება. ამით მოვიდა
ჩემს ძარღვებში აღუღებულ ნაღირო-
ბის ეინს და კმაყოფილი გავუღები
გზას ისევ უკან. საიდანაც ვარ აქ მო-
სული. საღმე აღბათ გდურზასაც გადა-
ვეყრები, ეჭვიც აღარ მეპარება ეხლა
ამაში, და ხელს არ ვახლებ. მისი მოკვ-
ლა ამ დროს იოლზე იოლია და არაფ-

რით, სულ არაფრით არ იქნება გამართლებული.

თანდაონა იზრდება ჩემი სიხარული, თრგუნავს დაღლილობას, სპობს სევდასა და უიმედობას.

არა! არ გამქრალა სიცოცხლე უდაბნოში, მხოლოდ გარინდულა, მიმალულა, გარემოსთან შეხამებულა და ფერგავს, ფერგავს თავისი ჩვეული, ნელი, მაგრამ მარადიული რიტმით.

გ ე რ ე ს ი

ნადირობამ, ადამიანის ამ ერთ დროს უმთავრესმა, დღეს კი ძირითადად სპორტადჭეულმა საქმიანობამ, გვიანდა მოულოდნელად გაიტაცა გიორგი მეტრეველი. გვინდ იმ თვალსაზრისით, რომ იგი უკვე ორმოც წელს მიღწეული კაცი გახდათ, და გარდა ამისა, სანადიროც ბევრი აღარაფერი დარჩენილოყო ამ ქვეყანაზე. ძნელი დასაჯერებელი გახდა მოხუცების ნამბობი, რომ თითქოს მათ ჭელობაში კაცი სოფლის განაპირასვე უეჭველად გადაეყრებოდა გარეულ ფრინველსა თუ ნაღირს. დღეს უამრავი დრო და ენერგია უნდა დახარჯო, რათა მიაღწიო გაპარტიაზებული ბუნების ამა თუ იმ შორეულ და მცირე აზისის, სადაც ჩართული უსაბორო ჯური შორის გნოლის ან დურაჭის აფრენის მომაჯადვებელ ხმას, თვალი შეასწრო შვლის მომხიბლავ კამარას ტყეში, ან ტახის ჭურვისებურ გავარდნას გაუვალ ღიჭიანში.

მაგრამ გატაცება გატაცებაა და, თუ იგი ნამდვილია, მასაც გარეულ ტახსავით ვერაფერი დაკავებს, ვერც ვერავინ დაუდგება წინ.

ორმოცი წელი სიბერე არ არისო, უყვარდა თქმა გიორგის, როცა ვინმე მის ასაკშე გადაკრულ სიტყვას გაიმეტებდა; არც ის არისო აუცილებელი, ნანადირევით დატვირთული ბრუნდებოდეს შინ მონადირე. არ ეპუებოდა იგი იმასაც, რომ თანდათან უფრო და უფრო მცირდებოდა ნადირობის ვადები და იზლუდებოდა წესები, რომელთა დამრღვევი მაღლე ლამის სიკვდილითაც დაისჯებოდა. არც ნინოს მუდარა სჭრიდა, მისი ცოლისა, მოაშორეო სახლიდან თოფი და

ტყვია-წამალი, ბიჭები წამოიზარდნენ, რამე უბედურებას არ გადავეყაროთ, შენი ჭირიმეო... ერთი სიტყვით, ამ განუკურნავმა სენმა გვიან, მაგრამ სამუდამოდ შეიძყრო გიორგი მეტრეველი.

ერთი რამით გიორგი მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა ასეთსავე ავაღმყოფთაგან: ვერ იტანდა ბევრ ლაპარაკს ნადირობაზე და გულში ყველა მონადირეს ბაქიად და ტრაბახად თვლიდა. სამავიეროდ, თავისი სანადირო ფათერაკების უხმოდ გახსენება მისი ფიქრისა და ოცნების მთავარ საგანს წარმოადგენდა. საათობით შეეძლო გაუნძრევლად ჭდომა და თითქოს უაზროდ ცქერა ერთ წერტილში, რის გამოც თავის ნაცნობთა შორის ცალებაზური კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. იგი სრულ გულგრილობას იჩენდა ამ მცდარი აზრისადმი, რითაც სხვების თვალში კიდევ ერთხელ ადასტურებდა მის სისწორეს. არასოდეს და არავის დამდურებია გიორგი ამისათვის, პირიქით, კიდევაც ამართლებდა მათ. აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ მათ, ქალაქის მარწუხებში მოქცეულო, რა ზღაპრული სურათები იშლებოდა გიორგის თვალშინ სწორედ მაშინ, როცა ფიქრებში გართული, იგი გარშემომყოფთა ყურადღებას იცყრობდა და მათი უქმი ცნობისმოყვარეობის მსხვერპლი ხდებოდა!? ან ის საიდანა უნდა სცოდნოდათ, რა მკვეთრად იცვლებოდა გიორგი ქალაქიდან გასვლისთანავე, რა ხალისიან და ზოგჯერ პოეტურ განწყობაზეც კი მოჰყავდა იგი, უბრალოდ, მიწის სუნსა და სუფთა ჰაერს?! ყოველ ადამიანს ხომ რაღაცა აკლია იმისათვის, რომ სრულფასოვან, ნორმალურ კაცად

იგრძნოს თავი? ზოგს — ასი გრამი არა-
ყი, ზოგს — ცოლი, ზოგსაც — სამოთა-
ხიანი ბინა ან მანქანა... გიორგის კი მხო-
ლოდ ბუნება აკლდა, მასთან სიახლოვე,
მისი შეგრძნება, სხვა არაფერი. ვისაც
ეს უბრალო რამ არ ემოდა, ის ვერც
იმ სურათების რეალობას დაიჯერებდა,
რომლებსაც „ხედავდა“ ხოლმე ფიქრებ-
ში წასული გიორგი. მას კი... მას მართ-
ლა უნახავს, საკუთარი თვალით უნახავს
უსაზღვროდ გაშლილი ველი და ზედ—
ჩამავალი მზისგან ალმოდებულ ცის
ფონზე შავ სილუეტადქცეული ცხენის
თავგანწირული ჭენება... უნახავს გვი-
რილებისაგან თვალისმომჭრელად გადა-
თეთრებული პატარა ახოს უეცარი გა-
მონათება შავად დაბურულ შრიალა
ტყეში, ზემოთ კი — გამჭვირვალე ლე-
ჩაქივით — ცის მომცრო ნაფლეთი, ისე-
თი ნაზი, ისეთი ცისფერი, როგორიც
მხოლოდ ცა არის ზოგჯერ და სხვა არა-
ფერი... უნახავს საღამოს ღმედ ჭევა
ლამაზ ტბის პირას და ის უცაური,
შქრქალი ბინდი, რომელიც რამდენიმე
წუთით აჩერებს ხოლმე თითქოსდა
მთელი სამყაროს ჩეარ მაჯისცემას...
უნახავს პირიქითაც: ერთადერთი კაბის
აფრენისაგან იქამდე სრულიად მკვდარი
და ხრიოყი უდაბნოს უეცარი, ჯადოს-
ნური გამოცოცხლებაც... ეეეპ! რა ჩამო-
თვლის, და მით უშეტეს, რა აღწერს ყო-
ველივე იმას, რაც გიორგის უნახავს!?
რას უნდა შეადარო, მაგალითად, და-
თოვლილი ნაძვების თვლემა მთვარიან
ღამეში? ანდა — პიტალო კლდეზე და-
მფრთხალი ჭიხვების გრაციოზული ანა-
ვარდება?

ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება,
სხვა არაფერი.

ამიტომაც არ უცდია გიორგის დღიუ-
რების წერა, არც ფოტოპატი დაუჩ-
ხაუნებია საღმე და როდისმე. ყოვე-
ლივე, რაც მას ენახა და განეცადა თვით
მასში იყო უკლებლივ დაცული და თა-
ვის მომავალს უშფოთველად ელოდე-
ბოდა. როდისმე იქნებ მასაც ვერ გაეძ-
ლო ამ წვერწვეთად დაგროვილი სიძ-
ძიმისათვის და სხვებსავით ეცადა რო-

მელიმე ცნობილი ხერხის საშუალებით
განცდილისათვის გარეგნული სახის მი-
ცემა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში —
ჯერჯერობით, ეს საშიშროება მას არ
ელოდა.

ამა თუ იმ მიზეზის გამო, გიორგის
ხშირად უწევდა ნადირობა მარტოს და
არასოდეს დაუხევია უკან ბევრისათვის
ამ ძნელად გადასალახი დაბრკოლების
წინაშეც. მალე კი ისე შეეჩვია ამას, რომ
ხალხმრავალ სანადირო ექსპედიციებს,
უკვე თავის ნებით, მარტოობას ამჯობი-
ნებდა.

იმ ღირსშესანიშნავ შაბათსაც, როდე-
საც მას გადახდა ის თითქოსდა არაფ-
რისმოქმედი და მონალირისათვის საქმა-
ოდ ჩვეულებრივი თავგადასავალი, რო-
მელიც, მიუხედავად ამისა, მაინც ჩვე-
ნი ყურადღების სფეროში მოქმედა, გი-
ორგი მარტოდმარტო ეწვია ერთი მაღ-
ლობი რაიონის ვრცელ ზეგანს, განთქ-
მულს თავისი საიხვე აღგილებით, ანუ
პატარ-პატარა ტბების სიმრავლითა და,
რაც მთავარია, უკაცურობით.

თუმც, მთლად მარტოობა გიორგის
ყოფნას მაინც ვერ დაერქმეოდა, რაღაც
თავისი განუყრელი თანამგზავრი —
სპანიელი სანჩო ეხლაც თან ახლდა. ხო-
ლო ამ სასაცილო არსების გონიერება
მრავლისმნახველ ადამიანსაც უეჭველად
გააკვირვებდა.

ავტობუსი, რომლითაც სანჩომ იმ აფ-
რიანი დილის სიბნელეში დასტოვა მის-
თვის საძულველი ჰერმოწამლული დი-
ლი ქალაქი, საბედნიეროდ, არ იყო ხალ-
ხით სავსე, რის წყალობითაც იგი მთე-
ლი ორი საათის მანძილზე — ავტოსად-
გურიდან ვიდრე გზის ოსტატის ნაცნობ
სახლამდე, არხეინად იყო გაშელართუ-
ლი სავარძლებს შორის დარჩენილ ვიწ-
რო გასასვლელში და ტკბილად ეძინა.

ეძინა გიორგისაც და ერთიმეორეში
არეულად ესიზმრებოდა ნადირობის
სცენები, თავისი შვილების ონები და,
აგრეთვე ცალკეული ელემენტები შუა-

გზაში იმ რთული და მომახეზრებელი ექსპერიმენტისა, რომელიც ორშაბათს მას ისევ თავიდან უნდა დაწყო და რომლის დაზუსტებას ჩვენი ამბავი სულ არ საჭიროებს, მით უმეტეს, რომ ნაღირობის დროს ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს ხოლმე ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა, ანუ პროფესია, და ზოგჯერ — თვით ვინაობაც კი.

საბოლოოდ გიორგი მხოლოდ მაშინადა გამოფხიზლდა, როცა ავტობუსმა დილის ბინდში კვლავ გზა განაგრძო და მერე მისი ორი წითელი შუქი ციმციმ-ციმციმით შორეულ მოსახვევში გაუჩინარდა.

თვით ავტობუსში კი, ხანმოკლე გაჩერებით გამოფხიზლებულ მგზავრებს კი-სრები მოერიცათ უკან ყურებით: დონკიხოტის მოლანდებასა ჰგავდა გზის პირს ერთხანს უძრავად მდგარი მონადირე: მაღალ-მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი გამხდარი კაცი, თოფითა და ზურგჩანთით მხარზე, მაღალყელიანი რეზინის ჩექმებით, ყურებამდე ჩამოფხატული ჩაჩისმაგვარი ნაქსოვი ქუდით... მის გვერდით მოუსვენრად ცქმუტავდა რაღაც უცხო ჯიშის დაბალი და ბანჯგვლიანი გრძელყურა ძალი. გარშემო არც სოფელი მოჩანდა რამე, არც გადასახვევი გზა საითვენე. მხოლოდ გზის ოსტატის დაბრეცილი სახლი ეგულებოდათ ზოგიერთებს სადღაც აქ. ამ მიღამოებში ეე! რამდენი დარტყმული დაღის ამ ქვეყანაზე, ვინ რას გაიგებს! ყველას თავისი დარღი აქვს და თვითონ იდარდოს!... ავტობუსშა სიჩქარეს უმატა, მგზავრებს კვლავ ძილი მოერიათ და ვერავინ შეიტყო როგორ უნებურად ჩაეწვეთა მას გულში კიდევ ერთი პატარა დარღი, დარღი სადღაც ტრიალზე ამ დილაადრიან მარტო დარჩენილი უცხო კაცისა. რომელიც მეონი დაბნეული იდგა სიბნელეში და არ იცოდა საით იდო გზა მისთვის განკუთვნილი.

დილა კი ისეთი ცივი იყო.

წელს, საერთოდ, ცივი შემოდგომა იდგა ყველგან, და მით უმეტეს — ნოემბრის ბოლოს ასეთ მაღლობზე.

მანქანა ღმუილით განაგრძობდა გზას და, მალე მონაღირე მტრედისფერება ბინდმა ჩაყლაა.



გზის ოსტატი, ხანმიშესული ცალთვა-ლა რუსი, ისე უცებ და დიდის ამბით გამოეგება ძველ ნაცნობებს — სანჩის და გიორგის, თითქოს მთელი ღამე კართან ატუზული იდგა და ამ წუთს ელოდა. მზისაგან გარუსულ, დანაკებულ სახეზე გულწრფელი ღიმილი უთამაშებდა და ერთადერთი ცისცერი თვალი მხიარულად უბრწყინავდა შუბლზე ჩამოშლილ ქერა თმის ქვემოდან. ყოველი მონაღირე მისთვის სასურველი სტუმარი იყო მუდამ, განსაკუთრებით კი ასეთ ცივ დღეებში, როცა საეჭვოა, რომ მათარა ვინწეს ჩვეულებრივი წყლით ჰქონდეს სავსე.

გიორგის განზრახული ჰქონდა გათენებისათვის უახლოეს ტბამდე მიესწრო და მასპინძლის ათასნაირ შეპატიუებას ათასნაირივე უარი შეაგება წინ. ოთაში შეუსვლელად ამოალაგა ზურგჩანთიდან ვაზნებით სავსე ფალასკა, სანადირო ჩანთა და სხვა თანწასალები წვრილმანები, მერე ბუდიდან თოფიც ამოიღო, გამართა და მხარზე გადაიკიდა, ხოლო დანარჩენი — არყიანი მათარაცა და ორი დღის საქმარი სანოვაგე — მასპინძელს „მძევლად“ დაუტოვა. ოლონდაც დილის ნაღირობას ნუ გამაცდევინებ, ერთ-ორ საათში დაგბრუნდები. დავსხდეთ და, სხვა საქმე რა გვაქვს! — საღამომდე გემრიელად ვისაუბროთო, დააიმედა ერთობ გულდაწყვეტილი გზის ოსტატი, შემდეგ სანჩის შეუსტვინა, წავიდეთო და ღინჯი ნაბიჯით გაუყვა ლოდებშუა აღმართ-აღმართ მიმავალ ძლივსშესამჩნევ ბილიკს.

გათენებამდე სულ ცოტა, ერთი საათი მაინც ჩჩებოდა, ისე რომ ადგილზე გიორგი სწორედ კარგ დროს მივიღოდა. რა არის ამაზე კარგი, — ფიქრობდა იგი. — როცა ასე აუჩქარებლად, თითქმის თვალდახუჭული მიყვები ნაცნობ ბილიკს; მხარზე თოფის სიმძიმესა ჰგრძ-

ნობ, წინ მხიარულად მიძუნდულებს ერთგული მექებარი; დამოუკიდებელი კაცი ხარ, ლალი და თავისუფალი, თვისი უფალი!.. მიღინარ და არც ისე შორს გვეცება ლამაზნაპირებიანი პატარა ტბა. თითქოს უკვე გესმის კიდევაც ნიავისაგან უეცრად აწეშილი ლერწმების ნაზი შრიალი და აქა-იქ წამოფრენილი იხვების ძლიერი ფრთხების ხმა. უნებურად უჩქარებ ნაბიჭს. უფრო და უფრო ახლოვდება გათენების ზღაპრული წუთი. ფილტვებს ნაწვიმარი ღილის ცავი და ნოტიო ჰაერი გივსებს, გულს — რა-რაც უცნაური, უსახელო, პირველყოფილი. თითქმის მტკიცნეული სიხარული თუ ბეღნიერება, არც იცი ზუსტად — რა?! ასეთ დროს მნიშვნელობა აღარა აქვს ამინდს, მერე რა, თუ ისევ წამოჟინულა?!

ამ ფიქრებში გართულს სავალი შეუმნინებლად შემოლეოდა და ცოტა აღრეც კი მოსვლოდა ზეგნზე ფეხის შედგმა. ჯერ კიდევ ბნელოდა, ტბა არ მოჩანდა, მაგრამ აქა-იქ წამომართული თივის ზვინები გიორგისთვის უკვე მისი სიახლოვის ნიშანი იყო. რამდენი ღამე უთენებია ამ ზვინებში მწყერობის დროს! ებლაც ცოცხლად გრძნობდა თივის მათრობელა სურნელსა და გემრიელ სითბოს.

მოულოდნელად წვიმამ იმატა. მერე ისევ იქლო და მალე სულ შეწყდა.

პირქუშად დაჰყურებდა ნაცრისფერი კა სიბრელეში ჩაძირულ მიწას და დილა მოსვლას აგვიანებდა.

გიორგი უკვე ტბასთან იყო, როცა ცამ მკვეთრად იწყო ნათება. უცნაურად გათეთრდა ყველაფერი ირგვლივ და რიგრიგობით, მოჩვენებებივით გაქრნნენ ჯერ მოშორებით, მერე კი — უკვე ახლომახლოს მდგარი ზვინებიც. უცებ ვერც მიხვდა გიორგი, რა ხდებოდა და მხოლოდ მაშინ, როცა მის წინ მყოფი სანჩიოც თვალ და ხელ შუა გაუჩინარდა, ცხადი გახდა, რომ ეს საოცრება ერთბაშად და სქლად ჩამოწოლილი ბურუსის ჩეცულებრივი ოინი იყო.

ორ საათზე მეტ ხანს გიორგი ამაოდ დაექებდა ბურუსში ჯერ ტბას, რომელიც საღლაც აქვე. ცხვირწინ ეგულებოდა, ბოლოს კი — უკან, ცალთვალა ისტატის სახლისაკენ მიმავალ ბილიკს. იხვები უკვე დატოვებდნენ ალბათ ამ პატარა ტბას, ცუდ ამინდში დგება სწორედ მათი აღდგომა, მაგრამ რა დროს ნადირობაზე ფიქრი იყო, როცა საკუთარი წინგაწვდილი ხელი ძლიერს ჩანდა.

თავიდან სანჩიო უბრალოდ, უკმაყოფილო იყო ამდენი სიარულით, მაგრამ ითმენდა და მორჩილად დასდევდა პატრონს კუდში; მალე იგი ვეღარ ფარავდა გაყვირვებას, გამოწვეულს ამ უთავბოლო ხეტიალით; ბოლოს კი, როცა გიორგიმ, ვინ იცის, უკვე მერამდენედ იცვალა გეზი, იგი ჯიუტად დაჯდა ერთ ადგილზე და ფეხს არ იცვლიდა. რა არა სცადა გიორგიმ: თხოვნა, დაპირება, მუქარაც კი... არათერმა გაჭრა. სანჩიო იჭდა და არ ინძრეოდა. იგი საყვედურით სავსე თვალებით შესცემოდა პატრონს, რომელიც დაღლილობისაგან ფეხზე ძლიერს იდგა, და ძალის წინ ჩაცუცჭული, ხმამაღლა ფიქრობდა:

— უკომპასოდ მაინც რამ წამომიყვანა?! თან, თითქოს ჯიბრზე, ასეთი სქელი ბურუსი არასოდეს შემხვედრია აქ. კარგი, მაგრამ ეხლა რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ვძსხდეთ ასე გულხელდაკრეცილები? არ გვარგებს. ვინ იცის, ერთ კვირასაც არ გადაიდაროს. საჭმელიც რომ არათერმა წამოგვილია. შენ ეგა თქვი, თორებ სხვას კიდევ რამე ეშველებოდა; არც იმ ცალთვალას ადგია უკეთესი დღე: ზის ალბათ საწყალი, შესცემერის მათარას და ნერწყვი ახრჩობს. თუმცა იმას რა უჭირს! დაგვიცდის, მოითმენს, მერე ერთხელაც მოხსნის თავს, მიიყუდებს და გადაპერავს ერთსა და ორს ჩვენს მოსაგონებლად. ჩვენ კი...

ტანში უეცრად დავლილმა უსიამოვნო ჟრუანტელმა გიორგის სიტყვა გააწყვე-

დაგით ჯავახიზვილი
აო თ გ რ ე ბ ი

ტინა. ეს სანჩის ბრალი იყო. ტრაგიკული სახით შესცემულდა იგი პატრონს, ყურადღებით ისმენდა მის ყოველ სიტყვას და ბოლოს შემზარავი ხმით დაიყმულა.

— ფუჭ! შენ რა გითხარი! — გაჭავრდა გიორგი, — ხუმრობაც აღარ გესმის! ადექი ეხლავე, შე მშიშარავ, შენა!

სანჩიონაც გამნევდა, მაგრამ წამოდგომას ჯერ მაინც არ აპირებდა. მოთმინებადაკარგულმა გიორგიმ ძალს საყელოში ძეწვე ჩააბა და ღონივრად დაითრია. შეურაცხყოფილი სანჩიონ ზლაზვნით წამოდგა ზეზე, ნაწყენმა აარიდა პატრონს თვალი და კუდამოძუბული გაჰყვა უკან. განახლდა მათი უთავბოლო ხეტიალი იმასობაში უფრო და უფრო გასქელებულ რძისფერ ბურუსში.

ასე გავიდა კიდევ ალბათ ნახევარი დღე. გიორგიმ გვიანდა შეამჩნია, რომ საათი გასჩერებოდა: ორივე ისარი სადღაც თერთმეტსა და თორმეტსა შუა გაერთიანებულიყო და ეხლა მხოლოდ ეშმაქმა იცოდა, რა იყო სინამდვილეში, არაფერი ჩანდა ირგვლივ გარდა ბურუსისა, საკუთარ ჩემებსაც კი ვეღარ ხედავდა ხანდახან გიორგი, და მხოლოდ ფეხებში მოდებული სველი ბალახის ჭრაჟუნი თუ აგრძნობინებდა კაცს, რომ მიწაზე იდგა იგი და ღრუბლებში არ იყო რაღაც ღვთაებასავით გამოკიდებული. გიორგი ატყობდა თავს, როგორ თანდათან უჩლუნგლებოდა ეს განცდაცა და მ მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილიც. უცნაურად, თითქოს თვალდახელშუა ეკარგებოდა ღრიოსა და სივრცის შეგრძნება და ვინმეს რომ ეკითხა, ვერც კი უბასუხებდა, მიღიოდა თუ უძრავად იდგა ამ წუთში, სად იყო, რისთვის იყო ან რას აპირებდა.

აი, მის წინ ბურუსიდან უცებ მკაფიოდ გამიინაკვთა რაღაც ვეებერთელა ლანდი, ნელა დაიძრა ადგილიდან და, ხომალდივით რწევით გამოცურდა მისკენ. შემკრთალი შედგა გიორგი ადგილზე და, ძლივს გონსმოსული მიხვდა, რომ ეს თივის ერთ-ერთი ზვინი იყო, რომელსაც იგი თავის ფეხით უახლოვ-

დებოდა. მაშ თურმე მაინც მოძრაობდა და არა მდგარა. იმიტომაც ასე ძლიერ სტეხდა ხანგრძლივ სიარულს გადახვეული მთელი სხეული, ტყვიასავით დამძიმებოდა და ძლიერდა ემორჩილებოდა ფეხები, მარცხენა მაინც — განსაკუთრებით. არც ხელები ჰქონდა უკეთეს დღეში: ჯიბიდან ჩიბუხისა და ასანთის ამოლებაც კი გაუჭირდა. ცხადია, სიარულს არავითარი აზრი არ ჰქონდა. ციონდა, მაგრამ მაინც ჯდომა და ცდა ჯობდა. კი, მაგრამ... როდემდე?

ბურუსი უფრო და უფრო სქელდებოდა, ღამეც ნელ-ნელა, მაგრამ გარდულად ახლოვდებოდა.

გიორგიმ თავს ძალა დაატანა, ზვინთან ჩაიმუხლა და გათოშილი თითებით ბლუჭა-ბლუჭა იწყო თივის გამოგლეგა. სანჩის დახმარებით პატარა, მაგრამ შედარებით მშრალი თავშესაფარი ზვინის კედელში მალე მზად იყო.

— ესეც ასე! — ხელები ცხეირსახოცე შეიმშრალა გიორგიმ, საფარში ზურგით შეძერა და ჩბილ, სურნელოვან სარეცელზე მოხერხებულად მოიკალათ.

ძალმაც არ დააყოვნა და პატრონის გვერდით კმაყოფილების გამომხატველი ხვენეშითა და კრუსუნით წაკოტრიალდა.

— ჩვენს ბედს ეხლა ძალიც არ დაჰყებს! — თქვა გიორგიმ, როცა როგორც იქნა, გააბოლა თავისი ჩიბუხი.

თანმიმდევრის ნიშნალ სანჩიონ მოკლე კუდი გააქიცინა.

— ისე კი, — განაგრძო გიორგიმ, — კა სიგრილე გველის ამაღამ!

ძალმა საცოდავად დაიწყმუტუნა.

— სსსუ! — დატუქსა პატრონმა, — შენ ა გეთქმის, მატყულივით ბეწვი გაქვს! მე რაღა ვენა, თბილი რომ არაფერი წამომილია? ჩიბუხის წევაც მშიერ კუჭზე დიდი ვერაფერი შეღავაოია, ასე რომ, ნუ გშურს!

სანჩის თვალებში აშკარად უნდობლობა იყითხებოდა, რასაც გიორგიმ ყურადღება არ მიაქცია და ისევ განაგრძო:

— არაყი მაინც რამ დამატოვებინა მე სულელს! უჲ, რას გავთხებოდით! გინ

იცის, ცალთვალამ უკვე ბოლომდე გა-
მოწრუპა ჩვენი მათარა. ო, რა ლოთია!
ეგეთი ოსტატის ნაკეთებ გზაზე კაცს
ტვინიც რომ გელრძოს, საკვირველი
არაფერია. აბა ასე გადარეულივით წა-
მოსვლა ჭიუათმყოფელ ხალხს გვეკად-
რებოდა? არა უშავს, ჩემო სანჩი! შეც-
დომებშე ვსწავლობთო, რუსები ამბო-
ბენ. ერთი ამ ოხერ ბურუსს დავუძერე-
ბოდეთ და მერე ჩვენ ვიცით! სულ ტიპ-
ჭორით ვატარებთ თან არაყსა და
სპირტს...

სანჩი ამპარტავნულად დუმდა და
ღროდადრო იბლვირებოდა.

— კარგი ერთი! — დაუყვავა გიორ-
გიმ, — ნუ მებუტები. ჩემი ბრალი კი არ
არის, რომ ასე მოხდა?! დაგიჩემებია ეს
კომპასი-კომპასი! ერთი დროს ადა-
მიანს, შე კი კაცო, არამცუ კომპასი,
უბრალო ნემსიც არა ჰქონდა, იცი თუ
არა შენ? არც ასანთი ჰქონდა, არც თო-
ფი და დავიდარაბა! აი როდის იყო საინ-
ტერესო ცხოვრება, მე თუ მკითხავ. ეხ-
ლა ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ
დიდი წარმოდგენა გვქონდეს ჩვენ თავ-
ზე. და ეგეცა გვაქვს! მოვარეზე ავდე-
რით. შე დალოცვილო, მოვარეზე, გეს-
მის?! და მაინც...

სანჩომ საცოდავად დაიწყმუტუნა.

— შენ რა, ყველაფერს პირდაპირ
იგებდი! — ჩაიცინა გიორგიმ, — გადატა-
ნითი მნიშვნელობით ვამბობ, შე კაცო,
თორემ...

სანჩომ დიდის გულისყურით ისმენდა
პატრიონის ამ ბრძნულ მსჯელობას და
ღროდადრო, იძულებითი დასტურის
ნიშნად, კუდი უხალისოდ აქიცინებდა.

ბურუსი კი უფრო და უფრო სქელ-
დებოდა და სქელდებოდა. იგი უკვე მძი-
მე ფარდად ეკიდა ზგინში მოწყობილი
საფარის კარზე და გველეშაბივით ზე-
დიზედ ყლაპავდა გიორგის გულში
ძლიერს მდებუტავ იმედებს, თავისი თი-
თქოსდა აქსიომური აზრების მცდარო-
ბისას.

სიმართლეც ზოგჯერ ბუნებასავით
მკაცრი ყოფილა და დაუნდობელი!..

ამასობაში დღის მეორე ნახევარიც

შეუმჩნევლად ამოწურულიყო და ჭურ-
ლულად, თითის წვერებზე მოპარულიყო
ნათელი ღმიე, უცნაურად ნათელი და
თან ცივი და ჩუმი, როგორც...

— ... სამარე. — ხმამაღლა წამოსცდა
გიორგის და მერე, მართლაც რომ სამა-
რისებურ სიჩუმეს უნებურად დაძაბუ-
ლმა მიუვდო ყური.

იმედისმომცემი არსაიდან არაფერი
ისმოდა და არც ჩანდა რამე. ყოველივე,
რაც თავს გადახდა, გიორგისთვის უკვე
დავიწყების სქელ ბურუსში იძირებოდა,
წინ კი არაფერი სახარბიელო მას არ
ელოდა. არასოდეს უგვრძნია ასე მწა-
რედ ბედის ძალა და თავისი უსუსურო-
ბა; იგი თითქოს ნათლად ხედავდა საი-
დანლაც ბურუსის ზემოდან ჩამოშვე-
ბულ იმ უშვრილეს ძაფებს, რომლებზე-
ლაც მარიონეტებივით ჰყიდია ადამია-
ნები და, რაც მთავარია, ხედავდა იმ ერ-
თადერთ ძაფსაც, რომელიც მისი იყო
და რომელიც ეხლა განსაკუთრებით
წვრილად, ლამის ბეჭვად ეჩვენებოდა.

სიცივემ იმატა, წვიმაც წამოვიდა,
ბურუსი კი არა და არ იფანტებოდა.

გიორგიმ დასამშვიდებლად თვალის
დახუჭევა სცადა, მაგრამ ამას ეხლა არა-
ვითარი აზრი არ ჰქონდა. ისევ გაახილა
და ისევ დახუჭა. არაფერი შეცვლილა
ამით მის გარშემო. მანც ერთხელ კი-
დევ სცადა თვალის გახელა და ჭრუტად
ჩაშტერდა ბურუსში დაკარგულ სიბნე-
ლეს. უცნაური ცვლილებები მოხდა
ერთბაშად! და მოეჩვენა: მთელი სამყა-
რო გადაშლილიყო თითქოს მის თვალ-
წინ: უცხო, საშიში, * შეუცნობელი და
— ახლობელი, გასაგები, საყვარელიც კი
— ერთსა და იმავე ძროს. საოცარი სი-
ცხადით წარმოიდგინა, მთელი არსებით
იგრძნო ეს ყოვლისმომცველი ერთობ-
ლიობა, რომლის გარეთ აღარაფერი
აღარ ჩებოდა, ისეთი განყენებული რა-
მაც კი, როგორიც ფიქრია, თვით დიდი
ფიქრი, აზრის მშობელი.

როგორც ყველაფერს, ფიქრსაც თავი-
სი საწყისები აქვს, სრულიად უბრალო,
დავით ჯაგარიშვილი
ა მ თ ხ რ თ გ ა ბ ი

მარტივი, მიწიერი. უმაღლესი აღმაფრენის დროსაც კი კაცის ფიქრი ხშირად და უნებურად უბრუნდება თავის საწყისებს.

...ნინო ალბათ უკვე დააწვენდა ბავშვებს, თვითონ კი, ალბათ ვერა და ვერ მიიკარა თვალებზე ძილი. თავისი ჭუბილით იგი, ცხადია, სადღაც აქ არის, ამ ზვინის მახლობლად, ან სადმე სხვაგან, პეტლოდ მის წარმოდგენაში არსებულ უარეს ადგილის... — გიორგის გაელიმა და სანჩის უფრო მაგრად მიეკრა გაყინული ზურგით. იგრძნო, როგორ საცოლვად უთხოთოდა ძალს სველი სხეული და ამან, რატომლაც მხნეობა შემატა მას.

...ბავშვებს ალბათ ტკბილად ჩაეძინათ და ეხლა ორივენი ცალ-ცალკე თავიანთ არასებულ სამეფოებში მოგზაურობენ. ზოგჯერ აღლვევნ კიდეც ალბათ ამ სამეფოთა საზღვრებს, მაგრამ რა უშავს, ეს ხომ კონფლიქტს არ გამოიწვევს? იქ აჩვეურია გასაყოფი ან სადავო, იქ ყველაფერი ნათელია და გამჭვირვალე, როგორიც არის ხოლმე პარი გაფანტული ბურუსის შემდეგ. იქვეა ალბათ ის ზღაპრული ქვეყანაც, რომლისკენაც მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა მიიღოვოდეს ადამიანი. ეს ლტოლვა ერთადერთი ნამდვილი აზრი სიცოცხლისა, ერთადერთი მისი გამართლება. მიუხედავად თავისი იშვიათი გრანიტებისა, სანჩი მას, რა თქმა უნდა. ვერ გაიგებს. თუმცა რაღა სანჩი! ბევრ ადამიანსაც არ ესმის ეს, არ ესმის აზრი თავისი არსებობისა, ვერ ესმის ან არც სურს გაიგოს. გაებას ფიქრი უნდა, ფრქს — დრო, სად არის ამდენი დრო? — ასე მსჯელობენ ისინი და მაინცდამაინც ვერ გაამტკუნებ. დღეს ისეთი ტემპი იქვე ცხოვრებას, ისეთი თავბრუს-დამხვევი სისწრაფით მიჰქრის დრო, რომ განკუნებულ საგნებზე ფიქრისათვის მართლაც ძნელია გამონახვა თავისუფალი საათისა ან თუნდაც წუთის, ძნელია, მაგრამ შესაძლებელი.

საჭიროა კი?

აქვს ვითომ აზრი, ვთქვათ, გიორგი

მეტრეველის ამ აბდაუბდა საუბარს სან-ჩისთან და საკუთარ თავთან?

აქვს, რა თქმა უნდა!

პირადად მისთვის, ყოველ შემთხვევაში, ეს უბრალოდ აუცილებელია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ნათლად გრძნობდეს განსხვავებას იმ ერთგული პირუტყვისაგან, რომელიც ეხლა ასე ეკვრის მას და საწყლად კანკალებს, და კიდევ იმისათვის, რათა ოდნავ მაინც მიუახლოვდეს, სადღაც ბურუსის მიღმა არსებულ იმ მიუწვდომელ ქვეყანას, რომელსაც ჭეშმარიტება ჰქვია. ეგონოს მაინც, რომ მიუახლოვდა. ეცავდის მაინც, რომ მიუახლოვდა. ეცავდის მონახევრები, ნათქვამია...

გათენებამდე ჭერ შორს იყო. წარმოუდგენლად გრძელი ღამეები იცოდა მულგამ აქაურმა გვიანმა შემოღვომაში.

შუაღამისას რაღაც ამოგარდა ქარივით, მაგრამ ბურუსს ვერა დააკლო რა და ისევ ჩადგა.

უფრო და უფრო მატულობდა სიცივე, მატულობდა წვიმაც და გიორგის იმედიან ფიქრსაც თანდათან ისევ ფრთხები ვკვეცებოდა. მისი იცნება, თუ კი მას ეხლა კვლავ ოცნება დაერქმეოდა, თბილ ლოგისნად დასტრიიალებდა თავს, რანაირად არ სწყევლიდა, რანაირად არ დასცინოდა გიორგი თავის წინდაუხედაობასა და უგუნურობას. გვიანდა იყო. ულმობელი სიცივე დაუბრკოლებლად ატანდა ყველგან და ყველაფერში, ბოლომდე შეკრულ საყელოშიც, თითებამდე ჩამოჩახულ სახელოებშიც, მჭიდროდ შემოჟერილ ქამარშიცა და მაღალყელიან რეზინის ჩემებშიც.

ღამეს კი ბოლო არ უჩანდა. არ უჩანდა ბოლო წვიმასაც.

დანარჩენი მიხდა უცირად.

ყველაზე გაუგებარი ამ „დანარჩენში“ იყო ის, რომ ბოლოს და ბოლოს გიორგის მაინც ჩასძინებოდა, და როცა გამოეღვიძა... ო, როცა გამოეღვიძა... სინამდვილებ მის ყველაზე გაბედულ ოცნებასაც გადააჭარბა.

მძინარე გიორგის შეუმჩნევლად წამოჰქმარვოდა სწორედ ის ზღაპრული

წუთი, ყველა მონადირისათვის სანატ-რელი და სანუკვარი წუთი, როცა ჭერ კიდევ ას გათენებულა, მაგრამ როცა ოლარც ღამეა უკვე, ხოლო ბურუსი, ბურუსი თითქმის უკვალოდ გაფანტულიყო. აქა-იქ დარჩენილი მისი მცირე ნაფლეთები ღამის მოჩერებებივით მიიჩქაროდნენ სადღაც მაღლა, ადამიანის თვალს მოფარებულ თვითინ საიდუმლო თავშესაფრებისაკენ.

უღრუბლო და მზიანი ღილა უთენ-დებოდა სველ თვიაში ღამენათევ ჩვენს მონადირეს: ოდნავ შესამჩნევად, მოწი-თალოდ შეფაკლულიყო ჰორიზონტი აღ-მოსავლეთით. თეთრად ღაპლაპებდა მისგან თურმე ოციოდე ნაბიჯითოდა და-შორებული პატარა ტბის წყნარი ზედა-პირი და უკვე იწყებდნენ ჩუმ შრიალს ლერწები. სადაცაა დაიწყებოდა დი-ლის გადაფრენაც: თითო-თითო, წყვილ-წყვილად ან ერთიან გუნდად იშლებო-დნენ იხვები ამ ჭერ კიდევ ბნელ, მუქ სოსან ცაში და შავ ლანდებალქცეულ-ნი სისინით გადაუვლიდნენ თავზე გიორ-გის. თვალის დახამხაშებაში გაიჩენდა.

თვეობით ნანატრი ეს რამდენიმე წუთი; რომლის განმავლობაშიც ალარაფრისთვის ეცლებოდა მას, გარდა ვაზნების გა-მოცვლისა, გულმოღვინე დამიზნებისა და ღროული სროლის.

ფეხმორთხმული წამომჯდარიყო გო-ორგი იქვე, საღაც ღამე ათია: უკეთეს საფარს, რომც ეძებნა, ვერ იპოვიდა,— და სუნთქვაშეკრული ცდილობდა წამი-თაც არ მოეცილებინა მზერა ჰორიზონ-ტის ნათელი ზოლისგან. ამ მოლოდინით ბედს უკვე მთლიანად გამოისყიდა მის მიმართ თაგისი წუხანდელი თამაშის მზაკვრობა. გრძნობდა მონადირე, რა სასიამოვნოდ ეღვრებოდა გათოშილ სხეულში ცანდათან ამოძრავებულ სისხ-ლთან ერთად სიცოცხლის სითბო და საკეთებით ბედნიერ კაცად მიაჩნდა თავი: ალარაფრი აწუხებდა გიორგი მეტრე-ველს: არც შიმშილი, არც სიცივე, არც რთული ფიქრები და არც მათი გაურკ-ვევლობა. მთელი მისი ასება ეხლა ერ-თი მთლიანი მიზნით, ერთი დიდი სურ-ვილით იყო შეკრული: ღირსეულად შეხვედროდა მომავალ დილის.

კლასიკური და დრამტურგი

დღე იწურება, გვიანი შემოდ-გომის უღიმდამო დღე. ნაადრევი ბინ-დი ჩამოწოლილი მანქანებითა და ხალ-ხით სასეს ქალაქის ქუჩებში. მანქანე-ბი მაინც ისე მომრავლდა, ღამის საა-თობით მოუხდეს კაცს გადასასვლელთან დგომა და ლოდინი. ავტოები მალე განდევნიან ცხენებს ქალაქიდანო, მა-გონდება ერთი თანამედროვე მწერლის არც ისე დიდი ხნის წინანდელი და აშ-უკვე ახლენილი წინასწარმეტყველე-ბა და ნაღვლიანად მეღიმება. ცხენებს ვიღა ჩივის, ჩემისთანა ხალხსაც იგივე ბედი. მოელის მგონი.

უკანმოუხედავად გარბის ყველა, ყვე-ლის სადღაც აგვიანდება. მეჩვენება: მე ვარ თითქმის ერთადერთი ადამიანი ამ

თვებრუდამხვევი ფერხულის რიტმი-დან ამოვარდნილი, რატომდაც ამ მოჯა-დოებული წრის გარეთ ღარჩენილი, ნელ-ნელა მივყვები სანაპიროს, ზოგ-ჯერ ვჩერდები და, ქვეს მოაჭირზე და-ყრდნობილი, შეუგნებლად ვაყოლებ თვალს ტალახისფერი მდინარის დუ-ლუნა ტალღებს. ჩემი ფიქრებიც ახლა ამ მდინარესავით მდორეა და ამღ-რეული. მიზეზი ამისა სულ უბრალოა: დღეს შაბათია, ჩემი შვებულების პირ-ველი და მოსაწყენი დღე, მოსაწყენი, რაღგან ნაღირობის თვალსაზრისით არავითარი პერსპექტივა არ გამაჩნია.

დაგით ვარაიზვილი
აოთრობაზე

სად არ ვიყავი, ვინ არ ვნახე, რა არა ვცადე, არაფერი გამომივიდა. ყველგან რაღაც გადამეღობა. ეს — ქოჩწილიო, ეს — დაკრძალვაო, ესეც — დისერტაციის დაცვაო და სხვა წვრილმანი და დავიდარაბა... პოდა, იჯეჭი ეხლა სახლში მთელი კვირადღე. ვიცი, რაც მელის. დილააღრიან ზარების რეკვა გამომაღვიძებს. კათოლიკურ ექლესიაში, ჩვენს პირდაპირ, კვირაობით მუდამ წირვაა. დღიინ! დღიიან! დაიწყებს დიდი, ხრინწიანი, ბებერი ზარი. წლინქ! წლინქ! აჲყვებიან ლაშტირაკები და... მშვიდობით სიწყნარევ! საოცარია პირდაპირ, როგორ ექმნებათ მორწმუნებს სამოთხის ილუზია ასეთ ჭოქონეთურ აურზაურში! ხეირიანი ზარები მაინც დაჲკიდონ. მერე კიდევ, ტრამვაის გრიალი წაიღებს ტვინს და ტელეფონი დამაწყვეტს ნერვებს. ბავშვები სხვისიც მიყვარს და ჩემებზე აბარა მეთქმის, მაგრამ მთელი დღე მათთან თამაშს მტერს არ ვუსურვებ... მოკლედ, სახარბიელო არაფერი მელოდება და ამ ფიქრით დამძიმებული ძლიერდა მიგბარბაცებ სანაპიროზე.

ქველად ასე იცოდნენ უგუნდობის გაქარწყლება: ტივს გაატანდნენ ხოლმე ყარაჩოხულ დარღებსა და ნახატივით ლამაზ ნასუფრალს. ეხლა სხვა დროა და ჩემი დღევანდელი განწყობაც არ არას იმდენად სავალალო, რომ ალკოჰოლით განელებას საჭიროებდეს. ამიტომ არც კი ვთერდები იქით, სადაც ჭყეტია ფერებით აჭრელებული კიდევ ერთი ახალი რესტორანი წამოჭიმულა.

მდორედ მიღელავს და მიღუღუნებს მღვრიე მდინარე და ფიქრებიც თუმცა თან მიაქვს, მაგრამ ამით ჩემი დარღიუფრო მუქდება. აი, იგი უკვე გასცდა ქალაქის საზღვრებს, გასცდა ადამიანის ხელით ნაშენ ვიწრო კალპოტს, შვებით ამოისუნთქა, ლაღად გაიშალა ვრცელ ტრამალებზე და, თითქოს თავისუფლებით გახარებულმა, ულამაზესი, ატეხილი ჭალებით დასახუჭრა ეს ხრიოკი მიღამოები. ჩემი ფიქრიც ახლა სწორედ იქა ტრიალებს. იქ,

სადაც ზღაპრული სანადირო სანახებია, სადაც არა ერთ და ორ ადგილას იხილავს კაცი ხელუხლებელ, პირველ ქმნილ მშვენებას ბუნებისა, და სადაც სამუდამოდ დატოვებს თავისი სულის რაღაც ნაწილს, იქნებ ყველაზე ჭირფასსა და ძნელად შესალევს.



ძალიან აღრე, და თან უცბათ შემოკლდა წელს დღე და გაგრძელდა ლამე. სულ კოტა ხნის შინ ამ დროს უკვე ნათდებოდა აღმოსავლეთი, ეხლა კი ჭვარტლივით შავი ღამე იჭვრიტება ფანჯრებიდან ჩემს ათახებში.

სანადირო ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩემებიანად ვწევარ ტახტზე და ძილგატეხილი ველი მანქანას, რომელიც, რა თქმა უნდა, კვლავ იგვიანებს. აივნის კარი საგანგებოდ ლიადა მაქს დატოვებული. ვდელავ. ვცდილობ არ ვიფიქრო ამ მოლოდინზე, მაგრამ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, სხვაზე ვერაფერზე ვამახვილებ ჩემს ყურადღებას. უცნაურ თრთოლვას აუტანია მთელი სხეული. არ ვიცი, რას უნდა მივაწერო ის, ნაღირობის ყინსა თუ გარედან შემოსული შემოდგომის უკვე მომძლავრებულ სუსხს. მეორე ოთახიდან ცოლისა და ბავშვების მშვიდი სუნთქვა მესმის და მალმოდ მედება გულზე. მაგონდება წუხანდელი დღე, ირონიულად მელომება ჩემს პესიმიზმზე და ვფიქრობ: არასდროს ვარგა თურმე ფარხმალის დაყრა ბოლო წუთამდე; ათასერაც რომ გიმუხთლოს ზედიზედ ბედმა, კიდევ სცადე, ნუთუ ერთხელ არ გაგიღიმებს?! და თითქოს პასუხად ამ ეითხვაზე, აღრიანი დილის სიჩრუმეს უეცრად მუხრუჭების უსიამოვნო ხრჭიალი ფხრეწავს.

თვალის დახამხამებაში გარეთა ვარ, ფეხაკრეფით ჩავრბივარ კიბეზე. ელექტრონის შუქით მკრთალად განათებულ ქუჩაში პატარა ლცხვირპირო მანქანა დგას და მის გარშემო მგზავრობისწინა რიტუალურ ცეკვას ასრულებს ჩემი ერთგული მეგობარი, სახელად კვალისა. გარეგნობით იგი ეზოს უგიშო ძალებ-

სა ჰერი, ნადირობაში კი უწმინდესი სისხლის მღვრები და მექებრებიც ვერ ედრებიან.

უხმოდ მივძრები მანქანის ბნელ ძარაში, ვესალმები მის ძირზე თევზებივით ჩალაგებულ მონადირებს და მოური-დებლად ვეტენები სადღაც მათ შუა. ლოყაზე უცხო ძალლის სველი დრუნჩის მოკარებას ვგრძნობ, ვვერდში — ვიღაცის არც თუ ისე თავაზიან და ნაზ მუჭ-ლუგუნს, მეც ვიღაცას უნებურად იგი-ვეთი უუმასპინძლდები, ამსობაში მანქანაც იძვრის და... ეხლალა მჯერა, რომ ნამდვილად სანადიროდ მივემგზავრები.

მგზავრობა ერთ-ერთი მომხიბლავი ნაწილია ნადირობისა. ოხუნჯობისა და სიცილის მოყვარულნი არიან უშეტესად მონადირენი და მხიარულება ვერ ასც-დება მათ წრეში თუნდაც უცაბედად მოხვედრილ მგზავრსაც. სრულიად ძალ-დაუტანებლადა და უსისხლოდ ხდება ხოლმე ამ დროს რაღაც უცნაური, ძნელად ასახსნელი რევოლუცია ადამიანთა ურთიერთობაში, დროებით ქრება ყოველგვარი სიყალტე და პირობითობა, იშლება მორალური იერარქიის დამღლავი საფეხურები... არა მგონია, მხოლოდ სიბრძელე იყოს ამის მიზეზი თუ ხელისშემწყობი.

— თოფი ხომ არ დაგრჩა, ბიჭო, როგორც შარშანწინ? — ჰკიოთხავს ვინმე ვინმეს და ნურავის გაუკირდება, თუ ეს „ბიჭი“, ღლის სინათლეზე, ხანში-შესულ, თმაჭალარა ეაცად იქცევა.

— შენც აქა ხარ, კაცო? — ხმითა სცნობს ვიღაც ვიღაცას და ვითომ უკ-ვირს, — რა ბაბაჯანას ქოშებივით გადა-მეკიდ?

— მომაშორეთ ეგ ძუნკალი, თორებ გადავსვამ მანქანიდან პატრონიანად! — იმუქრება ვიღაცა და მერე, სიბრძელეში, რომელიღაც ძალლი საწყლად წამუტუნებს.

— მოეშვი მაგ ძალლს, უმაღურო, თორებ მე ვიცი შენი! — იქანება ეხლა დაჩაგრული ძალლის პატრონი, — რამდენენერ მაგას შენთვის ძმობა გაუწევია, იმდენი... ეხლა გინება არ დამაწყებინო!

— შენი წონა საუანტი მწყერზე მაქეს მარტო დახარჯული და რეებს მიბედავ!?

— საფანტის რომ დახარჯავდი, კი მგერა, მაგრამ ეს მითხარი, თუ გიჭა-მია მწყერი, ან ისე, თუ გინახავს მაინც, როგორია!?

— შენი თოფის პატრონს, სამართალი თუა, ხმაც არ ამოგედება!

— ჩემი თოფი! თორებ შენ სულ „გოლანდ-გოლანდის“ ტარებამ გაგწყვიტა წელში!

— „გოლანდ-გოლანდია“ თუ რაღაც, შენს ცალპირა ბადენ-ბადენს მაინც ჯობია!

კიდევ დიდხანს არ თავდება სიბრძელეში გამართული ეს ბავშვური კინკ-ლაბა და სიცილ-ხითხითი. იავანანაზე უტკეცესია ეხლა ის ჩემთვის. ვეება აკ-ვანივით ირწევა მანქანა და თანდათან მიმძიმდება ქუთუთოები. ცა ნელ-ნელა იწყებს ნათებას, მაგრამ ჩემს ძილს ვერაფერი ერევა უკვე. იმის შემჩენევას ვასწრებ, რომ ქალაქს კარგა დიდ მანძილზე დავშორებივართ და მერე ტკბილ სიზმრებში ისე ვეხვევი, როგორც აბრეშუმის ჭია თავის მმზინავ აბლაბუდაში.



შესანიშნავი რამ არის ძილი მგზავრობის ღროს. მისი წყალობით იკარგება ღროისა და სივრცის ყოველგვარი განხომილება და ეფეტი გარემოს უცა-რი ცვლილებისა და გაღვიძებისთანავე მთლიანია და საოცარი.

ასეა ეხლაც.

ღლის სინათლე თვალს მჭრის, მაბრ-მავებს, თითქოს არ სურს ჩემი შემოწვება სინამდვილეში. გვიანღაა, მე უკვე გადმოვლახე ძილის საზღვრი. თვალდასუჭულიც აშკარად ვგრძნობ ჩემს გარ-შემო რაღაც სიახლეს, თუმცა ისევ იქა ვწევარ, სადაც ვიწევი. ეს შეგრძნება ფილტებში ჩნდება, მერე სისხლთან

ერთად ედება მთელ სხეულს და უფრო
მათრობს, იმის ნაცვლად, რომ გამომა-
ფეხილოს. თავს ძალას ვატან, სწრაფად
კლგები და თვალებს ვახელ. გაჩერებულ
მანქანაში მხოლოდ მე და კვალისა ვართ
დარჩენილები, სხვა არავინ ჩანს. წარ-
მოუდგენელი არეულობა სუფეს ძარა-
ში: თოფები, ჩანთები, ქურქები, უსაშ-
ველოდ გადაზელილა ერთიმეორეში...
ვარედან ლაპარაკისა და სიცილის შო-
რეული ხმები მომესმის, ვიხედები და...
სუნთქვა მეცვრება.

დგას შემოღვომის უღრუბლო და
თბილი შუაღლე, გემოვნებით ნაქსოვ,
თვალწარმტაც ხალიჩასავით გადაშლი-
ლა მდინარის ურცელი ვალი, ფერდობი,
საიღანაც მე გადავყურებ ამ სილამაზეს,
საღსაღაზის გაძარცულ ხეებსა და გა-
რეული ბრძოლებით გადახუნდლულ
ბუჩქებს უცყრიათ. სიმწიფისაგან დახე-
თქილი ნაყოფების სისხლისფერი მარც-
ლები ლალის ძვირფასი თვლებივით
ელავნენ მზეზე. ფერდობის ძირას ყვითე-
ლი ბალახით დაფარული მინდორი იწ-
ყება, რომელიც შორით თანდათან მუქ-
ლება და მდინარისპირა ხუცუჭა ჭალებს
ურთდება. ალაგ-ალაგ თეთრად ლაპლა-
პებს მდინარის წყნარი ზედაპირი და ყი-
რამალა იმეორებს მშვენიერ სურათს.
უკან კი, ჩემს უკან, ფერდობის თავზე,
ურთულესი რელიეფის მქონე მიღამოა
გადაჭიმული. მეცნიერულად არც ვიცი
რა ეწოდება ასეთ ლანდშაფტს და, სხვა-
თაშორის, არც მსურს ვიცოდე. ასე მგო-
ნია, რაღაც მოაკლდება ამით მის საო-
ცარ მომხიბლავობას. ხალხი კი, აქაუ-
რულად, ალესილებსა და ღრანტეებს
უწოდებს თურმე. ეს არის ქარისა და
ნიაღვრების ერთობლივი ნამუშევარი
უბაღლო და განუმეორებელი მათი ქმნი-
ლება.

ლრანტე ხევია, ვიწრო, ღრმა და
სშირტობიანი. მშრალ ამინდში ღრან-
ტეც მშრალია, ხრიოკი და მარადმწვანე
ჭუჭა ღვისის გარდა ვერაფერი ხარობს
მის ძირზე, ვერც ნაპირებზე. ალესილე-
ბი კი ღანის პირივით ბასრ თხემიან ქე-
ლებსა ჰყვით, რომელიც ღრანტეებს

ორივ მხრიდან მიუკებიან, მათ კლაკ-
ნილობას იმეორებენ და ერთს მეორისა-
გან დროებით ჰყოფენ. ღროებით-მეო-
ქი, რადგან ნიაღაგი აქ ძალზე ჩბილია
და აღვილად გამოსაფიტი. ალესილის
სიმაღლე ზღვის დონიდან არ არის დი-
დი, მაგრამ მასზედ ფეხშედგმული კა-
ცისთვის თავგრუდისახვევად საქმარისია.
თითქოს მართლაც ვიღიაც დევჭაცს აუ-
ლესიათ ყოველი ქედი. ძნელია მათვის
უკეთესი სახელის დარქმევა და არც
არის ალბათ საჭირო.

შჟვენიერია სანადიოროდ ეს ღრანტეე-
ბი. ღვიის ყოველ ტანმორჩილ და დაძა-
რღვულ ბუჩქში უნდა მოელოდე ღამის
ნავაგაშმის მოსანელებლად ჩაწოლილ
და გარინდებულ ღორს. თოფი მუდამ
მზად უნდა გქონდეს, რადგან ნადირს აქ
ხშირად უკანდასახევი გზაც აღარა აქვს,
მთვარეზე აღრე აღგომა კი მას არაფრად
ეპიტნავება და ამიტომ სასიამოვნოს
მისაგან ნურაფერს ელი. არც ამ ღრან-
ტეს სიგიშროვე გიტოვებს იმედს სხი-
ფათო შეტაკების აცილებისა, და ხერ-
თოდაც, სჭობს ტახთან შეხვედრის მო-
ლოდინში სასაცილოდ შეგართოს კუ-
რდღლის წამოხტომამ ან კაყბის აურე-
ნამ, ვიდრე უშიშარი კაცის ნიღბით მია-
ბიჯებდე და გვიანდა იყოს მერე, რო-
გორც ამბობენ, თითზე კბენანი.

... ვიდრე მე ამ ფიქრებში ვიყავ გარ-
თული, დანარჩენებს უკვე მოუსწრიათ
დაბანაცხა: კარავიც გაუშლიათ, კოცო-
ნიც დაუნთიათ, სასმელი წყალიც უშო-
ვიათ სადღაც და პირამდე გაუვსიათ
ყველა მათარა. მზამზარეული კომფორ-
ტი ყოველთვის მბოჭავს და ეხლაც ოლ-
ნავ დარცხვენილი ვუერთდები მათ. ჩემს
უქნარობას არვინ მაყვედრის, ცეცხლის
გარშემო მდგართ მომავალ ნადირობაზე
ცხარე სჯა-ბასი გაუმართიათ. თანდათა-
ნობით ზუსტდება ყველა წვრილმანი.
დღეს ნალირობა, როგორცა ჩანს, ვეღარ
ესწრება და მხოლოდ მიღამოს დაზვერ-
ვაა გადაწყვეტილი. უნდა ინახოს ბილი-
კები, რომლებითაც ღამე ღორი მდინა-
რისაკენ გაემართება, მერე მათ გასწვ-
რივ საფარები უნდა აირჩის. ეს არც ისე

თოლი სავარაუდო და და-
დავად, მონაღირისაგან სიღინჯესა და და-
კვირვებას მოითხოვს მუდას. ათასი რა-
მაა ამ დროს გასათვალისწინებელი: სა-
ჭურველის მზადყოფნა, მთვარის ამოსვ-
ლისა და ჩასვლის საკითხი, კვალის სიახ-
ლე, ქარის ან თუნდაც ნიავის მიმართუ-
ლება... ბანაკში ძალლების დატოვებაც
არ არის აღვილი. როგორ გინდა გააგი-
ბინო, დამე მათი დახმარება რომ არ
ვპირდება? მათმა წეტუტუნმა შესაძ-
ლოა ღორის კოლტი შორსვე დააფრთ-
ხოს და მაშინ გათენებამდე პირში ჩალა-
გმოვლებულს მოგიწევს ჯდომა, დამ-
ღამობით კი აქ ისეთი სიცივე იცის,
რომ ეს ვერაფერი გასართობია.

ရွှေကြော်အပေါ် ၁၇၇၅ ခုနှစ် မြတ်သူများ
ဗျာတွေ့ဆုံး ပို့ဆောင်ရန် ပေးပို့ဆောင်ရန် မြတ်သူများ

10

უკანასკნელ სიგარეტს ვატრობ და მო-
ხერხებულად ვეწყობი ჩემს საფარში,
შაქარივით ფხვიერი ქვიშაქვის დიდი
ლოდის უკან.

ମହାଦେବ.

მოწმენდილ ცას სავსე მთვარე ეპატ-
რონება. თოვლივით უხმოდ ეფინება
მისი ცივი შუქი მძინარე მიწას და კი-
დევ უფრო უცნაურ ელფერს აღებს ამ
ისედაც ზღაპრულ მიდამოს: ახლადგათ-
ხრილ საფლავებივით ჩაშავებულან მუ-
ქი ჩრდილებით ამოვსებული ღრმა
ღრანტები; საომრად ამოწვდილი ბას-
რი ხანგლებივით ლაპლაპებენ მთვარის
შუქზე აღლესილები; რიგრიგობით ინთე-
ბიან ცაზე დიღრონი კაშკაშა ვარსკვლა-
ვები; მცირედი ჩქამიც არ მოისმის არ-
საიდან; ნიავიც დაშოშმინდა, ღვევების
დაძარღვულ მყლავებში მომწყვდეული...

უკვდავებისა და მარადიულობის შეგ-
რჩებას ჰგავებს ჩემში ამ ღამის რაოდ
ლეთაებრივად სრული სიწყნარე. მეჩვე-
ნება, თოთქოს უსხეულო სულთა სამე-
ფოში ვიძყოფები და მეც თოთქოს უკვ-
დავი ვარ, ვითარცა სული. და მხოლოდ
უკრად ატკივებული კბილი მარწმუ-
ნებს ამ შეგრძნების სრულ სიცრუეში,
თორემ სიწყნარის გარდა სხვა ყველა-
ფერიც მის დასტურად მეტყველებს თი-
თქოს. მაგრამ ი, ეს სიწყნარეც ირღვე-
ვა უცებ: ჩემს ახლოს ორჯერ ისმის თო-
ფის გასროლა და მერე — სასიკვდი-
ლოდ დაკოლილი ღორის ჭყვიტინი.
სწრაფად მავიწყდება ყოველივე: კბი-
ლის ტკივილიც, ჩემი მოკვდავობაცა და
სამყაროს ჩაუწვდომი უსასრულობაც.
გული საგულეს აღარა მაქვს. კედავ,
როგორ ზვავივით მოდის ჩემსკენ დაოთ-
ხილი ვეება ტახი. თათქოს ფოსფორი
უსციაო, ისე ანათებენ სიბნელეში მისი

ରୂପର ଜୀବାଳେଷଣ
ଅନ୍ତର୍ମାଲାକାଳ

ეშვები. ტყვია თუ გააჩერებს მას, მხოლოდ ტყვია, სხვა ვერაფერი. თხუთმეტიოდე წამიღა რჩება იქამდე, ვიდრე იგი სათოფეზე გამისწორდება; უამრავი რაღაცის გაფიქრებას ასწრებს ჩემი გონება ამ მცირე დროში...

ვინ იცის, — ვფიქრობ, — იქნებ ეს ტახი ბედისწერაა, ხოლო მას, როგორც ცნობილია, ვერც ტყვიით გააჩერებ, ვერც გაეჭცევი. მაშ, მოდი, გადავხედო განვლილ ცხოვრებას. არა! ამას მერეც ჰოვასწრებ, ეს „მერე“ თუ კი მაწერაა, რა თქმა უნდა; თუ არა და აზრიც არა აქეს. სჯობს ისევ მომავალზე ვიფიქრო, მშვიდად ვიფიქრო, ისე, ვითომ არაფერი მემუქრებოდეს.

ცხოვრება გზაა და მომავალიც ამის გამო, ორნაირია: ახლო და შორი. მხოლოდ მოსახვევი ჰყოფს ერთს მეორისაგან. ახლო სავალს ხედავ და ამიტომ იცი, რა გელის, შორი გზა კი უჩინარია და მას ვარაუდით ითვალისწინებ. მაგრამ რა ხშირად გატყუებს თვალი! და მაშინ უახლოესი ორი ნაბიჭიც შორეული ვარაუდივით ბუნდოვანია. აი, თუნდაც ეხლა, ამ წუთში: წამებიღა დაგრჩე-

ნია მოსახვევამდე და მაინც ვერ იტყვი, მიაღწევ კი მას? მიაღწევ, თუ კი არ შედრები, არ დაყოვნდები, თუ არ გიღალატებს თვალი ანდა გამბედაობა... რამდენი ასეთი „თუ“ აღიმართება შენს წინაშე აღესილივით, რამდენი ღრანტე შემოგხვდება ცხოვრების გზაზე! მათ დაძლევას სიღინჯე და ძალა სჭირია, ხოლო ერთსაც და მეორესაც — ფოლადივით გულმოდგინე და ნელი წრთობა. მრავალი ხერხი არსებობს სამისოდ და მათ შორის ნადირობაც ერთ-ერთი ძველთაგანვე ნაცადი და საიმედოა.

...და აი, მე ვდგევარ დაძლეული შიშის პირისპირ. გული ისევ საგულესა მაქვს და მასთან ერთად ჩემში კვლავ მძლავრად ფეთქავს უკვდავების მცდარი შეგრძნება, მცდარი, მაგრამ მაინც მუდამ საჭირო, როგორც ჰაერი.

ახლად გათხრილი საფლავებივით ჩაშვებულან ჩემს გარშემო მუქი ჩრდილებივით ამოვსებული ღრმა ღრანტეები და მთვარის შუქზე საომრად ამოწვდილი ბასრი ხანჭლებივით ლაპლაპებენ აღესილები.

ს ა ქ ა რ ი თ ვ ე ლ რ ს გ ზ ე ბ ზ ე

ჸ ა 3 ა

მოვედი,
მომყვა შზე და ამინდი,
ეღვრება სხივი მთებს და ხეობებს,
ახლა ლიახვი სხვა გზით არ მიდის,
შავი ღრუბლები არა ღრეობენ.

ჯავას აყრია მწვანე ჯავარი,
მიახლოვდება გაშლის ბალებით
და მიხმობს როკის გადასავალი,
მწვერვალი შორეთს გადასახედი.

ყველას ღია აქვს სახლის კარები,
მსვდება,
მალალება,
მესალბუნება
ოსის ასულის შავი თვალები,
სტუმართმოყვარე კაცის ბუნება...

და მიხმობს შორეთს გადასახედი,
როკი ბილიკით გადასერილი...
გაიკაშებს შენი სახება,
გზაში მეწევა შენი წერილი.

ვბრუნდები,
ვტოვებ ქედებს, მუხიანს,
ლიახვის ჩქერი მიმატებს ღონეს,
შინ დაბრუნებულს ქარის მუხლი აქვს
და ეს აწუხებს მასპინძელს სწორედ.

სახსოვრად რჩება მხოლოდ სურათი,
(თუმც ერთად ყოფნა გულით გვეწადა),
ცა იცრემლება,
თითქოს სტუმართან
გამოთხვება უმძიმს ზეცასაც.

თბილად მაცილებს მხარე გულღია,
ჯავის ხეობის აგრიალება,
შინ დაბრუნებულს ქარის მუხლი აქვს,
ნუმც მიწერია დაგვიანება.

დგანან კოშკები,
ვით კელაპტრები,
ცადაშოლტილნი ამაყ იქრით,
დღეს სხვაგან ყოფნას არ ვინატრებდი,
კოშკთა ალყაში ვარ ბედნიერი.

კოშკია სგანთა იშედი, რწმენა,
სინდის-ნამუსი და გულადობა,
ქვის ქონგურებმა აიღეს ენა,
ახსოვთ ბრძოლებიც და პურადობაც.

ჭარსულის აჩრდილს კარებთან სძინავს,
სათოფურებთან ოვლემენ ტყვიები,
ბობოქრობს კოშკი,
არ იცის, ვინ ვარ,
იქნებ მელაქს ბოლმა შურისძიების.

იქნებ დაპყრობის ვიყო მოსურნე —
მოსისხლე ტომის ავგული მეფე...
ვწურჩულებ:
— არა, საძმოდ მოგსულვარ
და მზის სხივები აჩრდილებს ფლეთუ.

— მომაქვს სალამი ბლოსა და როშკის,
წინჩადუსა და ჭიმლის ბუნების, —
ჩემს მოსახვევად იხრება კოშკი,
წელში წყდებიან ქვის ქონგურები.

შენ მეგებები ღიმილის მჩენა,
მართალი გულით,
გაშლილ მკლავებით,
ხავსიან ლოდებს ეცვლებათ ფჟრი
და ასკდებიან კოშკს ვარსკვლავები.

ვგრძნობ რაღაც სხვაგვარ
სითბოს და რწმენას,
ხან მთას აქედავ,
ხან ბარს დავხედავ...
ბაღში ხეებმა აიღეს ენა,
მათაც სცოდნიათ სტუმრის დაჭვედრა.

— აი, ეს ჩემი საგვარო ციხე,
ჩემი სახლკარი,
ჩემი საუფლო,
შენს შესახვედრად მზის მანდილს იხვევს,
შენზე მღერის და შენზე საუბრობს.

იგრძენი თავი საკუთარ სახლში,
ჰა, მიეახლე კოშკის კიბეთა,
ცივად მიგიღებს რომელი მახეში,
ცერად შეხედვას ვინ გაგიბედავს, —

სთქვი და ააესე ვერცხლის სურები,
ამოაგვესე ლექსი ძლიერი...
დღეს სხვაგან ყოფნას არ ვისურვებდი,
კოშკთა ალყაში ვარ ბედნიერი.



მ ე რ ქ ე ნ ი

ბიჭები მოედნის განაპირას, პატარა, სამკუთხა მდელოზე გაშოტილიყვნენ, გულისპირები გაეღელათ და გაოფლილ სახეებს აყოლებდნენ მანქანას, რომელიც უკვე მერამდენედ უვლიდა წრეს მოედანზე.

საჭესთან გოგო იჭდა. მეორე მხარეს, კაცი ფერდით მიქრობოდა კარებს. პაპიროსიანი ხელი ფანჯარაზე გაეყო და ბოლსაც გარეთ უშევებდა.

როცა მანქანა ბიჭებისაკენ მობრუნდა, კაცმა ხელებით აუხსნა გოგოს რაღაც. მერე ისევ ფანჯარაზე შემოდოიდაყვი და პაპიროსი საჩვენებელი თოთით დაბერტყა.

— ოჰ! — თქვა ბრტყელცხვირა ბიჭმა. შორიახლო დადებული, გვერდებიაქექილი ბურთი ფეხით მოიგორა, ზედ დაჯდა და იმ მხარეს შემობზრიალდა, საათაც მანქანა მიღიოდა. — ბიძას თავისი ჰერონია ახლა ქვეყანა.

ბიჭები ისევ მანქანას აღევნებდნენ თვალს.

აგვისტოს ბული იდგა. ლია ფანჯრები სასიათვენოლ უგრილებდა შეუბლებს მანქანაში მსხდომთ. გოგომ სიჩქარეს უმარტა.

— ჯერ ნუ, — გააფრთხილა კაცმა, — მოესწრები.

გოგომ იცოდა. ბიჭები თვალს აღევნებდნენ და ცდილობდა, რაც შეიძლება თავისუფლად მფდარიყო. საჭესთან. არ იხედებოდა მათკენ.

კაცი ფანჯარაში იყურებოდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. ბიჭებისაკენ რომ შემობრუნდნენ, მოსახვევში გოგომ სიჩქარეს უკლო. უნდოდა, მერე ისევ სწრაფად და მსუბუქად ჩაექროლა. მზე ზენიტიდან გადახრილიყო და მანქანის

საჭარე მინაზე, მზის დამჭერ ბრტყელ ზოლში ლურჯად ბრდოვიალებდა. და ისინი უყურებდნენ ფერად მზეს, ალმურად რომ ვარგარებდა მანქანის კაპოზე. მოულონდნელად დაინახეს მზით გაფერებულ და გაღვივებულ ჰაერში როგორ ბზრიალით მოფრინავდა კარგა მოგორ ბზრიალით მოფრინავდა კარგა მოზრდილი ქვა. სულ ახლოს მძიმედ დაეცა და მანქანამაც იძწამსვე გადაუარა.

— ვაიმე, რომ მოვახვედროდა?! — თქვა გოგომ და კაცს გაკვირვებით შეხედა:

— გააჩერე.

გოგომ დაამუხრუჭა.

კაცი სწრაფად გაღმოვიდა და ბიჭებისაკენ წავიდა. ისინი შეგზულიყვნენ.

— მოდის, — თქვა ვიღაცამ და ყველამ შავხალათიანს შეხედა.

— მოვიდეს, მაგისი... — ხმამაღლა შეიფურთხა შავხალათიანმა.

კაცი სულ ახლოს დადგა ბიჭებთან. ფეხები გააბაჭიფა, ხელები უკან დაიწყო და დინჯად იკითხა:

— რომელი იყო?

კაცს ბოხი ხმა ჰერონდა. შავხალათიანმა თვალით მოუსინგა მხერები, მკერდი, კუნთები, კარგად რომ ემჩნეოდა თხელ პერანგში. ბიჭმა იგრძნო, გინება ნამეტანი მოუვიდა. წამის წინ სულ არ ენალდებოდა, მაგრამ ახლა... კაცს ძალიან ბოხი ხმა ჰერონდა.

— თქვით, რომელი იყო, თორემ სულერთია, ერთ-ორს მაინც დაგიმტვრევთ ყბებს.

ხმას არავინ იღებდა.

კაცს ნესტოები ებერებოდა, ღრმად სუნთქვადა. ხელი მომუშტა და ნაბიჯი წინ წადგა. შავხალათიანმა მის დიდ

მუშტს გაუშტერა თვალი. მერე უცებ მიბრუნდა და მოუსვა. კაცი დაედევნა. ბიჭები ჭერ გაშტერებულები იყურებოდნენ, მერე თანდათან აწრიალდნენ და ისინიც გამოუდგნენ.

გოგო საჭეს იდაყვებით დაყრდნობოდა. უყურებდა, როგორ გარბოდა და დროდადრო უკან იხედებოდა ბიჭი. კაცი მისდევდა. მთა შორის მაინც კარგა მანძილი იყო დარჩენილი.

„ღმერთო ჩემო... რა სწრაფად გარბის, როგორი გაბრაზება სცოდნია, ნეტავი დაეწიოს, ნეტავი...“ — ახლა უფრო დაუინებით დაუწყო ყურება.

„მიყურებს“, — გაიფიქრა კაცმა. მეტი აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც გარბოდა. თუმცა შედარებით ნელა.

ბიჭი თავქვე დაეშვა და აღარ ჩანდა. კაცი შეჩერდა. ცოტა ხანს იდგა, მერე უკან გამობრუნდა. გოგომ მძლოლის საკონტროლო სარკეში გაიჭვრიტა, თმა შეისწორა.

კაცმა მანქანის კარი გააღო. — გადაჭექი, — თქვა ქოშინით, — ასე არ გავუშვებ. მანქანა გააქროლა და იმ ადგილზე დაამუხრუჭა, საიდანაც წელან ბიჭი გაჭრა. სწრაფად გადმოვიდა და კარები მსუბუქად მიხურა. მანქანის წინ, რამდენიმე მეტრის მოშორებით გაჩერდა და დაბლა გადაიხედა.

— ამოდი, თუ ვაჟკაცი ხარ, — დაიძახა, — ამოდი!

გოგო მივიდა და გვერდით დაუდგა. აქედან დამრეცი ფერდი პატარ-პატარა ბუჩქებით ჩადიოდა ხევში, საღაც ბუჩქნარი სქელდებოდა. გოგომ დაინახა, როგორ მოსჭიდებოდა ბიჭი მიწიდან გრძლად ამოშვერილ ფესვს. დამფრთხალ კურდღლელს ჰგავდა.

— ამოდი, ამოდი! — იმეორებდა კაცი.

ხალხი მოგროვდა. ბიჭებიც აქ იდგნენ.

— რა მოხდა? — იყითხა ვიღაც ახალმოსულმა დარბაისელმა.

— შემაგინა. — თქვა კაცმა და ბარძაყზე დაირტყა ხელი, — შვილი მიზის გვერდით და შემაგინა მაგ ლაშირაკმა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— არა, კაცო, ხულიგნებია, — თქვა დარბაისელმა, — აღარ ლირს არაფერი. კაცი ახლა იმ ნაწიბურს გადასცდა, დაქანება რომ ქმნიდა მოედნის სიბრტყესთან. ღორღიან ფერდზე ნაბიჯი ჩადგა. ფლატე ჩაიშალა და კენჭები ბზრიალით წავიდა ძირს. კაცი ისევ ამობრუნდა.

— გეშინია? — დაიძახა. — ამოდი.

— წამო, მამა, დაანებებ თავი. მაგის გულისთვის იშლი ნერვებს? — თქვა გოგომ. წავიდა და მანქანაში ჩაჭდა. კაციც უხმოდ მიჰყვა. საჭეს მიუჭდა. მანქანა დაიძრა. კაცმა ცალი ხელით გაპრერა ასანთი და პაპიროს მოუკიდა.

გოგო ზურგით მიეყრდნო კარებს. კაცისათვის არც შეუხედავს, ისე თქვა ჩუმაღ:

— ჩემი ბრალია...

კაცმა განიერი მხრები აზიდა, ქვედა ტუჩი ოდნავ წინ წამოსწია:

— შენ რა შუაში ხარ...

გოგომ თამამად შეხედა კაცს. პერანგის ლილი შეხსნოდა და ბალნანი, მამაკაცური მკერდი მოუხანდა. ერთხანს უყურა, მერე ჩაიღიმა, სწორედ ისე, როდესაც რაიმე ახალს აღმოაჩენ იქ, სადაც არ ელი... კაცის საფეთქელს გაუშტერა თვალი. მოეწონა მისი შეჭიდარავებული თმა, დიდი, ცისფერი თვალები. „რა სიმპათიურია“. — გოგომ მოედანი მოათვალიერა. ქველ ადგილას ისევ ჭიგუფად იდგნენ ბიჭები.

— წავიდეთ აქედან, — თქვა გოგომ.

— რატომ?

— რა ვიცი...

— გაღმოდი. — კაცმა მანქანას წინიდან მოუარა და გოგოს აღგილას დაჭდა.

ახლა გოგო მართავდა მანქანას. კაცი იჯდა და პაპიროს ეწეოდა. წრეზე რომ შემობრუნდნენ, კაცმა თქვა:

— პირდაპირ გადაჭერი! — და ხელით მოედნის დიაგონალზე ანიშნა. სწორედ იქედან მოდიოდნენ ბიჭები. შუაში შავხალათანი იდგა. გაცხარებით კამათობდნენ. მანქანა რომ მიუახლოვდათ, შედგნენ. კაცი დინგად გადმოვიდა, ბიჭებთან მივიღა. ხუჭუჭეომიანი ბიჭი გვერ-

დაზე გასწია, თვალები მოწყურა და ისუ შეხედა შავხალათიანს. ისიც მორჩილად იღგა. კაცმა მარტენა ხელით მისი გულისპირი ჩაბლუჭა, მარჯვენა მოიქნია და სილა გააწნა. ბიჭი წაბარბაცდა. ხმა არა-გის ამოულია. ბიჭები სერიოზულად იდ-გნენ და ისე უყურებდნენ ყველაფერს, თითქოს კაცი კანონს ასრულებსო. ბიჭები არც უცდია თვეის დაცვა. ტუჩები მაგრად მოეკუმა და კაცს თვალს ვერ უს-ტორებდა.

— ააა, ვის გაუტედე... — თქვა კაცმა. — ძმაკაცების იმედი გქონდა? ერთიც მიაყოლა სახეში და უკან გამობრუნდა.

როცა გოგომ მანქანა გზაზე გადაიყვანა, ბიჭები ისევ იდგნენ და მათ უყურებდნენ.

— ვიჭერე გული, — თქვა კაცმა. — რომ არ დამერტყა, გავგიუდებოდი.

გოგომ გაიღია და კაცს შეხედა. კაცმა იგრძნო, გოგო გამოცვლილიყო, გაევლო შებოჭილობას. კაცი კარგ ხასიათზე დადგა.

— როგორ იყო, მამა რომ დამიძახე? — კაცმა გაიცინა.

„კეთილი სიცილი აქვს“. — გაიფიქ-რა გოგომ. მერე მასაც გადაედო სიცილი.

კაცმა ფრთხილად შეახო ხელი გო-გოს მხრებზე დაფენილ თმას. ისე ფრთ-ხილად, თითქოს ასაფეოქებელ პატრუქს ცეცხლს უკიდებსო.

— წავიდეთ. — თქვა კაცმა. — დღეს უეხბურთი რომ არ იყოს, მეტხანს გა-ტარებდი.

იმ სამკუთხა მდელოსთან უნდა გაე-ვლოთ, საცა აღრე ბიჭები ისხდნენ. იქიდან კი ვიწრო გზა უხვევდა მთავარი ქუჩისაფენ. საჭესთან კაცი დაგდა. გო-გომ მოედანი მოათვალიერა. ბიჭები ისევ ისხდნენ მდელოზე, კლავ მანქანას უყურებდნენ. შავხალაოიანი გულ-აღმა დამხობილიყო.

— კარგი კაცი იყო. არა? — თქვა ერ-თოა დაბალი ხმით.

— ხო, იცი? ვაუკაცური იყო...

მერე გაჩუმდნენ. მანქანა უკვე მოა-ფალტებულ გზაზე მისრიალებდა და სულ მალე აღარ ჩანდა.

ლ ტ ლ ი ა ნ

ბიჭი ჩაბნელებულ ქუჩაში მიდიოდა. ფიცრით შეღობილ ეზოსთან ნაბიჯს შე-უნელა, ფიცრსა და ფიცარს შუა ზო-ლად დატოვებულ ღრიჭოში შეიჭყიტა და მელოდიურად დაუსტვინა.

გოგო ლოგინზე წამოჭდა. დედის სა-წოლისაკენ გაიხედა. სიბნელეში მის სუნთქვას დაყურადა და მიხვდა, ეძინა. მერე ფრთხილად გაღმოცურდა იატკზე, საჩქაროდ მოირგო სარაფანი, ზემოდან ხალათი შემოიცვა. ხელის ფათურით მოძებნა ფეხსაცმელები, ცალ ხელში დაიკავა. კვლავ დედას გახედა. თვალი მიჩვეოდა სიბნელეს. გარკვევით გაარ-ჩია მისი სახე. პირი გაეღო და ისე სუნ-თქავდა.

წინა ოთახის კარები მუდამ ჭრია-

ლებდა, ამიტომ ნელა გააღო. მაინც გა-ისმა ჭრიალი და მაშინვე სტვენაც.

დერეფნის კიბეები რომ ჩაიარა, ფეხ-საცმელები ჩაიცვა, ეზოდან ქუჩაში გა-სასვლელ კარს მიაღვა და შეყოვნდა, უკან მოიხედა. დერეფნში შუქი ენთო და ზოლად გარბოდა ღიად დარჩენილ კარგიდან ერთმანეთში გამავალ ოთა-ხებში.

გასაღები გადაატრიალა. ისევ უკან მოიხედა. სიწყნარე იყო. ალაყაფის კუ-ტიკარი გამოაღო.

ბიჭი იღვა, ხელები შარვლის ჭიბეებ-ში ჩაეწყო. ხმას არ იღებდა.

— რა გინდა, — ჩურჩულით თქვა გოგომ.

ლალი გრევავა

აოთხოეთში

ბიჭმა პაპიროსს მოუკიდა.

— წადი ახლავე, — გოგო ეზოდან გა-
მოვიდა, კარები ზურგსუქან მოიხურა,
— წადი!

ბიჭმა მის ფეხსაცმელებზე შეაჩერა
თვალი.

— შეიძნიე.

— არ რის შენი საქმე, წადი ახლავე.

— რად გამოიპარე, ხომ არ შეგჰამდი....

— ჰო, შემეტინდა.

გოგომ კარები ორნავ შეაღო და თვი-
თონაც შებრუნდა.

— მოიცა, — თქვა ბიჭმა, — სერიო-
ზულად უნდა მოგელაპარაკო.

თავი უკან გადასწია, წარბები აზიდა
და ისევ შეხედა გოგოს.

— გისმენ. — გოგომ ისევ მოიხურა
კარები.

— აქ არა, წამოდი. — თითით უჩვენა
ქუჩის გაგრძელებაზე. გოგომ ხალათის
ჯიბეებში ჩაიყო ხელები და უსიტყვოდ
წავიდა. ბიჭი აეღვნა.

გოგო ნელა მიაბიჯებდა. ხანდახან
მთვარეს რომ ღრუბელი ჩამოსცილდე-
ბოდა, მოჩანდა გზა და ზედ გართხმული
ორი ჩრდილი. ბიჭი გოგოს ლანდს
უყურებდა და ღრმად ურტყამდა ნა-
ფას. გოგო ცდილობდა ისე ევლო,
ჩრდილები რაც შეიძლება შორს ყოფი-
ლიყვნენ ერთმანეთისაგან.

გზა სულ მაღლა და მაღლა მიღიოდა.
ჩამოხნელდა. აღარც ლანდები ჩანდა,
აღარც მიმვალნი. ბიჭის ფეხის ხმა ის-
მოდა. გოგო ცდილობდა, რაც შეიძლე-
ბა უხმოდ ევლო. ღროდალრო აყურა-
დებდა ფეხის ხმის რიტმს. ბიჭი სულ
ჭომიერი, ერთნაირი ნაბიჯებით მისდევ-
და.

ქუჩა გათავდა. გზა მარჯვნივ უჩვევდა.
აქ ბოშათა დასახლება იყო. პატარ-პატა-
რა ფიცრულები შორი-შორს დაედგათ.
„სძინავთ“, — გოგო შეეცადა, წარმოე-
დგინა ხალხი, მთელი დღის ხმაური
ფუტკრის სკებივით სხლების ჭრებვეშ
რომ მოეტანათ და ჭუჭყიან საბნებში
გაეხვიათ. — „ალბათ არცერთი ცარიე-
ლი საწოლი არ ექნებათ, თუმცა რა შუა-
შია“...

დასახლება გაიარეს და აღმართი და-
წყო. აღარსად იყო სახლი. გოგო უცებ
შედგა, მობრუნდა. ბიჭისათვის არც შე-
უხედავს, ისე იკითხა:

— კადევ?

— წადი...

სწრაფად შეტრიალდა. ინანა, რატომ
გავჩერდიო. უნდოდა შეცდომის გამოს-
წორება. თავი ასწია, შეეცადა თამამად
ევლო, თან უდარდელი ადამიანის სახე
მიეღო. მერე გაასხენდა, რომ სიბნელე
იყო და ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.
ტანში გააურეოლა, მალე მუხლებიც
აუცახცახდა. ნაბიჭს შეუნელა. დედა გა-
ახსენდა: ლიად დატოვებული სახლის
კარები, ღერეფანში ანთებული შუქი,
თავისი საწოლი... მოეჩვენა რომ შორს,
ძალიან შორს დარჩა ყველაფერი.

ტრიალ მინდორზე გავიღნენ. „ნუთუ
ზღვაზე უნდა ამიყვანოს, ნეტავი რა
ძევს გუნებაში.“ ძირს, მიწაზე, სულ
პირდაპირ, თეთრად მოჩანდა რაღაც-
მალე მიუახლოვდა; ღიდი თეთრი ლოდი
იყო. გვერდი აუარა.

— გაჩერდი, — თქვა ბიჭმა.

შედგა. მობრუნდა, ბიჭის წინ გაჩერ-
და.

— ღაფექი, — ბრძანა ბიჭმა.

გოგო უსიტყვოდ ჩამოჯდა ლოუზე.
ბიჭიც ღაფლა. გოგომ ფეხსაცმლის თას-
მების შეკრი დაიწყო. ხელები უკანკა-
ლებდა: ქურდულად, ირიბად გახედა
სიერცეს ბიჭის მხარეს. უნდოდა გაეგო,
უყურებდა თუ არა. ცალი ლოყა და ყუ-
რი აეწვა. ახლა ბიჭის ფეხსაცმელს მია-
შტერა თვალი. „როგორ მეზიზლება ასე-
თი გაბრიალებული“.

— იცი რა? — თქვა ბიჭმა, — ვერ გა-
ვიგი, რა ტიპის გოგო ხარ.

— ამის გასაგებად ამომიყვანე აქ?

— კარგი რა, კარგი, ნუ მექცევი ასე.

გოგომ იგრძნო, იმდენად აღარ უკან-
კალებდა ხელები, მთელი სახე გაუხურ-
და მხოლოდ.

— შენთან არაფერი არ ჭრის. — თქვა
ბიჭმა.

გოგომ სახეში შეხედა ბიჭს:

— მოკლედ თქვი, რა ვინდა.

ბიჭს ტუჩები აუცახცახდა.
გოგომ გაიცინა. მერე კიდევ და კიდევ·
ბიჭი წამოვარდა, წინ აეტუზა გოგოს

და იყვირა:

— მოგვლავ!... მოგვლავ, იცოდე!
გოგო იჯდა და უყურებდა ბიჭს.
— ვერ მოქმლავ. — თვითონაც გაუ-
კვირდა, ისეთი მშვიდი ხმა ჰქონდა.
— მოგვლავ, — ისევ იყვირა ბიჭმა.
ჯიბილან დანა დაიძრო, ღილაკს დააჭირა
და პირი გამოუშალა. ლითონი მთვარის
შუქზე ალაპლაპდა.

გოგო არ განძრეულა, ოლონდ ისევ
აუტყდა კანკალი, მხრებიც აუცახცახდა.
თვალებში უყურებდა, ბიჭს ფეხები გა-
ეფარჩხა და ქანდაკებას ჰგავდა.

გოგომ ხელები მუხლებზე შემოიჭ-
დო და თავი მკლავებში ჩარგო. ახლა
ბიჭი მის ვიწრო, ბავშვურ მხრებს დაშ-
ტერებოდა. ნაბიჯი გადადგა... ბნელში
კარგად არჩევდა კაბაზე მოჩითულ
წვრილ-წვრილ, ლია ფერის ყვავილებს.
უცებ, მაგრად მოუჭირა ხელი დანის
ტანს. ნელა ასწია მკლავი. შუბლზე
მოისვა... ოფლმა ხელისზურგი მოუსვე-
ლა.

გოგოს ალარ აკანკალებდა, მხოლოდ
ბეჭები გაუხდა საოცრად მგრძნობიარე.
შეხების მოლოდინში ნაწილ-ნაწილ
ეკუმშებოდა კუნთები.

მაგრად დახუჭა თვალები და დედის
შავი, ძალიან შავი ლანდი დაინახა.
მოეჩვენა, რომ ასე არასოდეს არ ყვა-
რებია დედა. „ვაჟკაცი, რალას უყურებს
ნეტა“. კვლავ შეეცადა წარმოედგინა

დედა. ბეჭებზე ისევ ეკუმშებოდა კუნ-
თები, ძალიან მოუნდა, დიდი ტკივილი
ეგრძნო. წამები გაიწელა.

ტკაცანმა გაბზარა სიჩუმე. „დაკეცა“...
— და გოგოს მოეჩვენა, რომ დამთავრ-
და უსასრულოდ გრძელი თამაში....
იცოდა: ბიჭი ისევ ქანდაკებასავით იღვა
და უყურებდა.

გოგომ თავი ასწია, თმები შეისწორა.
აღგა და დაღმართს დაუყვა. ბიჭი ერთ-
ხანს შეჩეკიფდა, მერე ისიც აედევნა.

გოგოს სარაფანზე მოცმული ხალა-
თის ღილები ჩახსნილი ჰქონდა ზა როცა
კარი კალთებს აუფრიალებდა, ასე ეგო-
ნა, ფრთები ესხა.

ახლა ჩრდილები მათ უკან მოცო-
ცავდნენ.

ჩქარა მოდიოდა გოგო, მუხლები ისევ
უცახცახებდა, მაგრამ მაინც გამართუ-
ლი ნაბიჯით მოდიოდა. უკან მოიტოვა
ბოშათა პატარა სახლები, წელან რომ
ისევე იმედად ეგულებოდა, როგორც
ახლა ის ფეხის ხმა, ზურგს უკან რომ
ესმოდა. აღარ უკვირდებოდა ნაბიჯების
რიტმს.

როცა თავის ეზოს კარებს შიაღგა,
მოეჩვენა, თითქოს ქუჩა საგანგებოდ
დაემოკლებინათ. კარები შეაღო. უძან
არც მოუხედავს, ისე გადაბიჯა
ზოლურბლს, რომელიც ახლა საზღვრად
იღდ მასსა და ბიჭს შორის. ეზოში შევი-
და, კარები მიხურა და როცა გასაღები
გადაატრიალა, გაიფიქრა: ცუდია, რომ
ლამეა და ყვილას სძინავს.



პირევ ტიროდა ვიღაც...

გახსოვს, ეკა, ჩვენი ჭადარი? იქნებ გახსოვს, ან იქნებ არ გინდა გაიხსენო? მაგრამ მე მახსოვს, რადგან ჭადარი ჩემი სახლის სარკმლიდანაც კარგად მოჩანს. მიკვირს, როგორ შეეგუა უჩვენობას. ჩვენ ხომ მის ძირში ავიდგით ენა და პირველად გავიგე შენგან სიტყვები:

— გიგა, იცი, მიყვარხარ!

ასე მგონია, საუკუნე გავიდა მას შემდეგ.

მაშინ მეორე კლასში ვიყავით. გაჭვთილების შემდეგ, როცა ეზოში გამოვედით, დავინახეთ ჩვენი მშობლები, რომლებიც ორმოებს თხრიდნენ და ხეებს რგავდნენ. მამაჩემმა შორიდანვე შეგვამჩნია, დავვიძახა და ორივეს ნიჩაბი მოვგააჩეჩა ხელში, თვითონ კი ხის მაღალი ნერგი ჩაღო ორმოში.

— მიაყარეთ მიწა, აბა, სწრაფად!

ჩვენ ჩანთები გვერდზე მივაწყვეთ და ფაფუკი ხელებით ჩავბლუჭეთ ნიჩბის ტარი, რომელიც ჩვენზე ბევრად მაღალი იყო.

— ეს თქვენი ჭადარი იქნება, — გვითხრა მამამ.

მარტის სუსტიანი ამინდი იყო. თოვლა ჭყაპი გვასველებდა.

იმ ჭადარს ჩვენი სახელი დავარქვით. გახსოვს გაზაფხული, ის პირველი გაზაფხული, როცა ჭადარმა კვირტები ამოყრა? შემდეგ იყო თუ არა საჭირო, გამუდმებით ვრწყავლით, რომ მაღალებაზრდილიყო.

იზრდებოდა ჭადარი, ვიზრდებოდით ჩვენც.

შრომის გაჭვეთილზე რაღაც სკამის-მაგვარი გამოეჩორქნე და ჭაღრის ძირში დავდგი. ჩვენ გვიყვარდა იმ სკამზე ჩამოსხლომა და საუბარი. ვეჯიბრებოლით ერთმანეთს ლექსების სწრაფად დაზეპირებაში.

ჭაღრის ფოთლების შარიშური, მოწმენდილი ცა, მზის ჭიატი გვახარებდა და ნათელი თვალებით შევყურებდით ჩვენი სკოლის სამსართულიან შენობას, მასწავლებლებს, სიცოცხლეს.

ჩვენ ხომ ერთ მერჩხე ვიჯექით ფანჯარასთან, მესამე რიგში. შენ ჩემზე უფრო გვიან მოდიოდი, დამაღგებოდი თავზე და მეტყოდი:

— გიგა, შემთხვენი ღილები, გამხადე პალტო. — და მე ვემორჩილებოდი შენს ყოველ ბრძანებას.

ფანჯარაში ცქერა მიყვარდა და მასწავლებელმა არა ერთხელ ამიწა ყური.

— ეყოფა მასწ! — წამოიკავლებდი და ჩემს ტკივილს იზიარებდი.

გერკინა? — შეკითხებოდი და აწითლებულ ყურებზე შენს ფაფუკ ხელებს მისვამდი.

— ახლა არა.

შენ გჯეროდა, რომ ასე მაღვ მიყუჩდებოდა ტკივილი და დედის კილოთი მეტყოდი:

— გაჭვეთილზე ყურადღებით უნდა იყო, წელში ნუ იხრები, მერხს ნუ ეყრდნობი, მელნით ხელებს ნუ ითხუპნი...

მე კი არ გისმენდი, სახეში შემოგყურებდი.

შენ გრძელი ნაწნავები გქონდა, ეკა.

მე მიყვარდა მისი წვალება. შენ ბრაზ-დებოდი და გაბუტული ტუჩებიდან გა-მოსცრიდია:

— იცოდე, აწი ხმას არ გაგცემ.

მეორე გაცვეთილზე დაქაღნებული გაფრიპდებოდა და ჩუმად მკარნახობდი „ორი ჯამის სხვაობის კვადრატს“.

ჭადარი კი იზრდებოდა, მისი კენჭერო უკვე მეორე სართულს აღწევდა და ფანგრიდან ვხედავდით მის სამკუთხა ფოთლებს.

გვიხაროდა გაზაფხულის მოსვლა. ჭადარიც იზიარებდა ჩვენს სიხარულს. ზამთრის სუსხიანი ჭარებისაგან თავმობეზრებული ხარბად ისუნთქვდა თბილ ჰაერს.

გახსოვს, ეკა, — გალაკტიონის ლექსი, „მერი“? შენ მათემატიკა უფრო გიზიდავდა, „მერი“ კი მოგეწონა და ორი დღის შემდეგ ზეპირად მითხარი. ჭადარის ძირში ვუზიარებდით ერთმანეთს სიხარულსა და გულისტიკივილს.

როგორ მიიღია წლები, ჩვენც არ გვახსოვს, ეკა. მე უკვე აღარ მთხოვდი ღილების შეხსნას და პალტოს გახდას. პირველ ხანებში მეუცხვოა ეს. ერთხელ ჭადარის ძირში ჩემთან მარტო დგომას თავი აარიდე და მითხარი.

— უხერხულია, მუდამ მარტონი რომ ვდგვართ აქ.

მაშინ მე ვერ მივხვდი, თუ რატომ იყო უხერხული ჩემთან მარტო დგომა. ზოგჯერ ქრისტიან ლიას ჩასჭიდებდი ხელს და რაღაცას ეჩურჩულებოდი, მე კი თითქოს ვერ მაჩინევდი.

გახსოვს ის პირველი სექტემბერი, როცა მეათე კლასში მივუსხედით მერხებს? შენ სოფელში იყავი იმ ზაფხულს. შეცვლილი მეჩვენე. შემდეგ, როცა გვერდით მომიჯექი, შევამჩნიე, ნაწნავები, ჩემი ბავშვობის ძრონიდელი საყვარელი ნაწნავები, აღარ გქონდა.

შენ ონდავ შეგავიანდა იმ დღეს. მე კი მოუთმენლად გელოდი. ეს შეამჩნია ლიამ და მითხარა.

— გაფრინდა შენი მერცხალი.

ამ ღროს შენც შემოხვედი კლასში.

ზაფხულის ორი თვე ზღვისპირეთ-

ში გავატარე. ხშირად გიგონებდი. გამსაყურებით მაშინ, როცა ნაპირზე შენს ტოლ გოგონებს მოკრავდი თვალს. მინდოდა შენც იქ ყოფილიყავი.

შემპირდი, წერილებს მოგწერო, მაგრამ ზაფხული ისე დაილია, შენ არაფერი გამიგია. განა წერილის მოწერას და გზარდებოდი. უბრალოდ არ ვიცოდი, საღ იყავი. რატომღაც გულში ჩამრჩა შენი ცივი გამომშვიდობება ჩემთან, იქ, ჭადარის ძირში.

იმ ორ თვეში ჭადარი უფრო გაზრდოლიყო და აქა-იქ ყვითელი ფოთოლიც გარეოლა.

მე ორი დღით ადრე ჩამოვედი სოხუმიდან. იმ ორ დღეს ჩემს პატარა დასთან ერთად დიდხანს ვიზექი ჭადარის ძირში და მის გაუთავებელ ტიკტიქს ვაყოლებდი გულს. გელოდით შენ — მე და ჭადარი.

სკოლაში მისვლისთანავე დაგეძებდი. მომიახლოვდა საბა, შენი სოფლელი, ნახევრად ყრუ-მუნჯი საბა, თავისებურად გაიცინა და ძილის გამაგებინა:

— არ არის.

საბას ჩემზე გულითადი მეგობარი არ გააჩნდა, მაგრამ ვატყობდი, რაღაცას მიმალავდა.

სახელდობრ, რას? პირველმა ეჭვემა გამერა გულში. დაონებული და ჩაფიქრებული რომ ვუჭექი მერხს, ამ ღროს გამოჩნდი შენც.

ვგრძნობლი, როგორ გამებადრა სახე, გადამავიწყდა წელანდელი გულის ტკივილი. შენ გალიმებული პირდაპირ ჩემს კენჭავედი და ხელი გამომიწოდე.

— გამარჯობა, გიგა.

სხვა ღროს აუცილებლად მაკოცებდი. ცივი მეჩვენა ჩვენი შეხვედრაც. ის მიამიტური და ბავშური გამოხედვა, რომლითაც ჩვენ დაგშორდით ერთმანეთს ზაფხულის დამდეგს, თითქოს საღლაც გამჭრალიყო.

ლარო კოკაი

კიდევ თიროდა ვიღაც...

შენ ორ თვეში დაქალიშვილებული-
ყავი, ეკა.

შესვენებაზე ჩვენი ჭადრის ძირში
იდექი ლიასთან. რაღაცას ეჩურჩულე-
ბოდი. სხვა დროს შენთვის მეტოქე იყო
ლია, ამიტომ მეც არ ვაქცევდი ყურად-
ლებას. იმ შემოღომაზე, ყაზბეგში რომ
წავედიო ექსკურსიაზე, შენ საბას გვერ-
დით დაჭექი ავტობუსში, ჩემთან კი...
ლია.

— რაო, გიგა, ეკას გარდა ვერავის ამ-
ჩნევ? — მითხრა მან და მრავალმნიშვნე-
ლოვნად გამიღიმა.

— არა. — აგდებულად მივუგე.

ახლა კი რა გქონდა საერთო მასთან?

ჭადარი კვლავ შრიალებდა. გაძარცუ-
ლი და სევდიანი ეთხოვებოდა შემოდ-
გომას. მის ძირში გაყვითლებული ფოთ-
ლები ეყარა. ჩვენ მას ფეხით ვთელავ-
დით.

ახლა მივხვდი, თურმე ვეთხოვებო-
დით ბავშვობას.

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა და
ჩვენი ჭადარი სარჩე წამოცმულ პირა-
მიდას დაემსგავსა.

შესვენებაზე კვლავ ვიდექით მის ძირ-
ში შენ, ლია, საბა და მე. ირგვლივ ხვა-
ვიანი ფანტელები ირეოდა და ბუნების
ეს რომანტიკა გარკვეულ სიამოვნებას
გვანიჭებდა. შენ კისკისებდი, როცა ჭა-
დარს შევარხევდი და თოვლის ზვავი
დაგვემხობოდა თავზე.

გადიოდა დრო და ვხედავდი შენ ის
ეკა არ იყავი, მე რომ მახსოვდა. საბას
და ლიას ძალზე დაუახლოვდი. ლიას სი-
თამამე არ აკლდა. ბოლო ხანებში, არ
ვიცი შენთან შეთანხმებული იყო თუ
არა, მოუხშირა ჩემს გვერდით გაკვეთი-
ლებზე ჯდომას. შენ კი საბასთან გადა-
ჭექი. ალბათ შენც არ მოგითმინა გულ-
მა. გრძნობდი, რომ განაწყენებული ვი-
ყავი და კვლავ გამახარე შენი ახლოს
ყოფნით.

მაგრამ ბავშვური და გულუბრყვილო
ეჭვი სადღაც გულის სიღრმეში მიკუნ-
ჭულიყო და ღროდაღრო ამოყოფდა
თავს.

იმ გაზაფხულზე უკანასკნელად ამწ-
ვანდა ჩვენთვის ჭადარი. დღებს ვითვ-
ლიდით. როგორ აიყარა ტანი იმ პატარა
ლერომ, მე და შენ რომ ფუნჩულა ხე-
ლებით მივაყარეთ მიწა.

გაიზარდა ჭადარი. გავიზარდეთ
ჩვენც.

შენ ხანდახან მოსწავლის ფორმას ღა-
ლატობდი და თეატრსა და კინოში ყოფ-
ნისას ცისფერ კაბას იცვამდი, თმასაც
თავისებურად ივარცხნილი და ბაბულია
მასწავლებელი გეტყოდა:

— თმებში გაქვს ჭკუა? ნუ ცემუტავ,
მოესწრები.

მეოთხე მეოთხედი კი ზღაზვნით მი-
იწევდა წინ. ზაფხულის პირველ დღეს
გვიანობამდის შევრჩით ჭადრის ძირში.

ჩემმა პატარა დამ — ნანამ და მისმა
კლასელმა ბუბამ ორჯერ მოირბინეს და
მამა გიბარებსო, მითხრეს. ჩვენ კი ვერ
ვშორდებოდით ბავშვობას და როცა
ბინდი დაეუფლა მიდამოს და ელექტრო-
ნის ბოძე დამაგრებული ნათურის შუ-
ჭი ძალში შევიდა, ჭადარების ფოთლე-
ბის შრიალში ოდნავ გასაგონად ჩამიტურ-
ჩულე.

— მიყვარხარ, გიგა, მაგრამ ლიას
უფრო მეტად უყვარხარ, იცოდე.

ეს მოულოდნელი არ იყო ჩემთვის,
მაგრამ რატომ მითხარი ჩურჩულითა და
ათროთოლებული ხმით?

ასე დაშორდით ერთმანეთს.

უნივერსიტეტში მისაღებ გამოცჟებ-
ზე ერთად გავედით. შენ პირველ გა-
მოცდაზე ჩაიჭერი, მაგრამ თითქოს არც
შეწუხებულხარ. მე კი მოგვიანებით გა-
მოვედი და შენც გამოვეშურე. შენ-
თან ვიღაც მხარბეჭიანი, შავგვრემანი
ბიჭი იდგა.

— გაიცანი გიგა, საბას ძმა არის.

პირველად გავიგე, საბას ძმა თუ ჰყავ-
და.

მას შემდეგ ხშირად გავყურებ ფან-
ჯრიდან ჭაღარს, რომლის ძირში ხშირად
თამაშობენ ნანა და ბუბა.

შენი გათხოვების ამბავი ჯერ ლიამ,
შემდეგ საბამ „მახარა“.

შემოდგომის იმ წვიმიან დღეს ჩვენს
ქუჩაზე მანქანების ნაირნაირი საყვირე-
ბის ხმა გაისმა.

— ეკა ბრუნდება შინ. დიდი ქორწი-
ლი აქვთ. — მითხრა დედამ და გაუკვირ-
და, მე რომ არ დამპატიუეს.

ვეცი ფანჯარას.

მანქანების რიგი ნელა მიიწევდა წინ.

ნათურების შუქზე ვხედავდი ციდან
წამოსულ წვიმის გადაბმულ მძივებს,
რომლებიც ეცემოდნენ ჭაღრის გაყვით-
ლებულ ფოთლებს, ფოთლებიდან კი
მიწაზე წვეთავდნენ.

სარკმლის მინაზე წკანწკარით მოედი-
ნებოდა წყლის ზოლები, როგორც მო-
ხუცის დაღარულ სახეზე ცრემლები...
ტიროდა ჭაღარი...

ტიროდა ზეცა...
და...
კიდევ ტიროდა ვიღაც.



Հ Ա Յ Ա Յ Ե Ր Ծ

ଭୂଷାନାଥ ମହାନାନ୍ଦିତ

ას შეგაცდინოთ ამ ლამაზმა სახელმა, რომელიც მსოფლიოს ყველა ასულს დაამშენებდა. პატერო დედამიწაზე ყველაზე ცოდვილი გრიგალია. თხრის ხეებს, სახურავს ხდის შენობებს, ძირავს გემებს...

თუმცა შეა მაისი იყო, მაინც თბილოდა (მა-ისი სამხრეთ ნახევარსფეროში შემოღვმების უკანასკნელი თვეები) მე და ლუდა მთელი ღლე-ვხეტიალობდით. ლუდა „ბალაკლავაზე“ მუშა-ობს. ერთი მალალი, კოხტა ტანის გოგოა. მხერებამდე აყრია ოლნავ ხევული ჩალისფერი თბა. ხორბლისფერი სახე აქვს. ლამაზი, რო-მაული ცხვირი, დიღრუნი ცისფერი თვალება, რომელსაც ხანდახან ეშმაკურად მოჰუტავს ხოლმე. თუ ამას დაუვარავთ, რომ ლუდას დაი-ქმარს ყირიმში დიდი პოსტი უკავია და მამაც მეცნიერი მუშავი ჰყავს, მაშინ გასაგები იქ-ნება. თუ რატომ ჰყავდა ლუდას „ბალაკლავაზე“ ესოლენ ბევრი თავიანისმცემელი.

ლუდას ხელოვნება უყვარს. დიღხანს ვიღე-
ჭით სანაპიროზე გაუჩინს ძეგლთან.

ଲୋଳ, ସାମକ୍ରତ୍ତାମୟରିଷୁଳୀ ଗାଢାକୁରୁଳୀ
ଶ୍ରୀରମ. ଗାୟହିଲେ ଶିଗ ପ୍ରେସି କାରି ଶ୍ରେବଦାମି, ତାଙ୍କ
କାନ୍ଦ ପ୍ରାଣଶ୍ଵର ଧାରମାରୀ, ଫଳାବନ୍ଦା ଶିଗ
ଶ୍ରୀରମଶି ମନ୍ତ୍ରତାଙ୍ଗସବୀ ଏବଂ ମୀର୍ଯ୍ୟକ୍ରେଦିବ. ତୁମୁ-
ଳ କାମିଦିଶ ମନ୍ତ୍ରେତୀଲ୍ଲା ଗାୟହିଲା.

შევღებ დაღუპული მეზოვაურის ძეგლს 33-
სტუმრეთ. შეერთი ძეგლი მინახავს! დაღუპული
შეზღოვაურის ძეგლი ალბათ ერთ-ერთი საუკე-
თესოა. რაც ჩვენს საუკუნეს შეუქმნია. ცხოვ-
რების დიდებულება და ვერაცობა, სიხარული
და ტანკება, ადამიანის ძლიერება და უკვდა-
ვება — აა, რას განკუცლევინებთ ეს ძეგლი.

8 საათზე უჩუგვაის პარლამენტის შენობას-
თან სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან მომუშავე

საბჭოთა ფლოტის უფროსს ჰორგი მიხედვის ქედზე, მთვარის სამართველოს აწმუნებულს ალექსანდრე ნიკოლოზის ქედზეც, „ბალაკლავას“ კაპიტანს ვალენტინ ვასილის ქედზეც, „კოლხეთის“ კაპიტანს შაბური გუნას და ჩემი გემის უფროსს მექანიკის ნიკოლოზ ხებუას უნდა შევხვედროდით. ახლა რვას უკვე გადასული იყო.

სასტუმრო „კოლუმბიასთან“ ტაქსი დავი-
შირავეთ და პარლამენტისაკენ გავეშურეთ.

କୁଟି ଶାଶ୍ଵତର ଶେଷନିର୍ଦ୍ଦୀ ଏହିପରିବାସି କ୍ଷେତ୍ରରେ
ବିନିର୍ଦ୍ଦାତିର ହାମିଶ୍ରଣିଗ୍ରହଣିତ ତତ୍ତ୍ଵରେ ବିନିର୍ଦ୍ଦ
ପାତ୍ରିତ ଯାହାକୁଳମିଶି ଘାଗାନାନ୍. ଶିଖରୀର ନିର୍ମାଣ ଶେଷ
ଦ୍ୱାରା ବନ୍ଦନ୍ତ ଏ ଶାଶ୍ଵତୀ ରାଜାଙ୍କୁ 16 ମାହିର
ଶୂନ୍ୟତାରେ ଉଚ୍ଛବିତ ଏହିପରିବାସି କ୍ଷେତ୍ରରେ

— სად დაიკარგეთ, როგორ შეუვარებულებივით დაეხეტებით? — ღიმილით ვვათხრა გირჩა ითვალისწინება.

ლიტერატურა ლომის თელავ ჩიაკვინა

— ხელოვნების ძეგლებს ვათვალიერებდით. მამაჩრემი ხელოვნებას ასწავლის და არა პელენ- ისის კუთხისა — თობებრა ლოტომი

— რაოდ მაგაშინია ხელოვნებას ასწავლის?

— ଏହା, କୁଳ ତାଙ୍କ ମାନ୍ଦିଲେଖ, ଶୁଣ ବାନ୍ଦାରି-
ଶବ୍ଦ ଶୁଣିବାକୁଣ୍ଠିତ ହେଲା. ଡେବିଟ୍, କର୍ଗଲିଂଗ ଓ ଏବ୍ୟା
ଶେଷମୁଦ୍ରାକୁ... ଏହିତ କେବଳ ମିତକାରିତ, ପରିବର୍ତ୍ତନକିଛିବା ଏବ୍ୟା
ନିମିତ୍ତିରେ — ଯାହାକୁ ଉପରେଥିଲା.

ପ୍ରାଚୀନ ମହାକାଵ୍ୟ ମହାକାବ୍ୟ ମହାକାବ୍ୟ

— Ըստո პაოგნოზօս, Տամპերը օწյածա...
ուստի Տանը մը կմռաց Տամպերայի կղութեան Տա-

შინელი გრიგალის პამპეროს შესახებ, „შევტბი... ჩევნი ბიჭები, იქ, გემზე არან, აქედან ორასი მილის დაშორებით. პამპეროს რომ მოესწორო, მაშინ, „ბალაკლავაზე“ უნდა დაერჩნილიყავი, „შოთა რუსთაველით“ საშობლოში დაბრუნება აღარ მეტერა. „ბალაკლავა“ სულ ახალი მოსული იყო რეწვის რაიონში, ჩევნ კი უკვე ვამთავრებდით რეწვებს. ესე იგი, მთელი შვიდი თვე კიდევ უნდა ვყოფილიყავი სამხრეთ ამერიკაში.

როგად. რაღაც სიტყვამ ჩეშვა მოიტანა, ერთ ამ-ბავიც უნდა გავიხსენო, ქართულ გემებს ჩვენი საცნობარი ვეჭნდა, რასკვირველია, არა ოფიციალური. როგორ რომელიმე გმირ თევზის ლიდერადან წარწყდებოდა, ეთერში ვაისმოდა

მეგრული სიტყვა — „აბა მუჭო“. ეს იყო ჩვენი საცნობარი. ერთმანეთს ვეძახდით თევზის დიდ ქარავანთან. მთელი ფლოტი რომ მოგვეხმო, არავის არ გვეყოფოდა. თუმცა მარტო ქართულ გემებს კი არა, ზოგ ისეთ გემებსაც ვეძახდით, რომელთა კაპიტენებს პირადად ვიცნობდით და კარგი მეგობრობაც გვეწონდა. ასეთი იყო, მაგალითად, გემი „რეპინი“, რომლის კაპიტანი ალექსანდრე თევდორეს ძე გურექო ჩვენი ახლო მეგობარი განლდათ და ახლც სიამოგნებით ვიგონებ. ასეთი იყო „ბალაკლავა“ და კიდევ სხვები, სულ რამდენიმე გემი.

ქართულ გემებზე რუსი შტურმანებიც მუშაობდნენ. ისინი ასო „ჭ“-ს ვერ წარმოსთვევამდნენ და როცა ეთერში გადასცემდნენ ჩვენს ნიშანს, „მუჭოს“ მაგივრად „მუჩის“ ამბობდნენ. მუჩინ კი ესპანურად შევხს ნიშანას. პირდა, როცა სულ პირველად დავდგი ფეხი სამხრეთ ამერიკის მიწაზე, პირტის მუშაკები მეკითხებოდნენ, რატომ ვიძახდით ასე ხშირად ესპანურ სიტყვას — „მუჩის“. სახრეთ ამერიკის კონტინენტზე კარგად ისმოდა ჩვენი ფლოტის საუბარი ეთერში და ალბათ ყურსაც გვიგდებდნენ, ვისაც ვევალებოდა და ვისაც არა.

მე სუმრიბთ ვუთხარი, რომ ქართველ ტომებს შორის არს ერთი ტომი, რომელიც ესპანელებს ენათესავება. ამ სიტყვასაც ამ ტომის შეიღები იყენებენ-მეთქი. ისიც დავშემატე, რომ რიარია მეგრულად რევოლუციას ნიშანას (რიარია ესპანურშიაც არის). რამდენად გამიგებს ეს ხუმრიბა, ამას ვერ გატყვით.

— გემზე წაგიდეთ, შიმშილისაგან სული მდერება, — თქვა ლისიცინშა.

— გემზე რატომ? სადმეთ რესტორანში შევიდეთ, — ვთქვი მე.

— ბიჭოს, რესტორნის ფული გვაქვს! — გაიკვირვა ილგოვმა.

— მე გეპატიუებით, თხუთმეტი ფუნტი მაქვს, თავს გადაგვიგა.

შევტრხა ილგოვმა აშკარა კმაყოფილებით გამიღმით.

— მეც მაქვს ფული, — ჩაილაპარაკა კოლია ხუბუამ.

— მეც! — დაიყვირა შაბურიმ.

— და მეც, — ეს მომხიბლავი სოპრანო უკვე ლუდას ხმა იყო.

— მორჩა, წავედით რესტორან „მორინი“, — დაიდიხე მე და საქმისათვის უფრო საჭეომ იქრი რომ მიმეცა, ესპანურად შევყვირე, — Viva „Morini“!

ჩვენი შესანიშნავი შევიდეული „მორინისაკენ“ დაიძრა.

როგორც იუდა არ წასულა სამი ლურსმანის საშოგნელად შორს, ასევე არც ჩვენ გვიხეტიალია ბევრი, „მორინიც“ იქვეა, — ურუგვაელ მეზოგაურთა საყვარელი ადგილი. ორმა რფიციანტმა შეკვეთის მიღება იწყო.

შეკვეთას ყველა აძლევდა. ზოგი რუსულად, ზოგი ქართულად, მგონი მეგრულადაც... უკვე-თავდა ვის რა სურდა. დაბნეული რფიციანტები თავაზიანად იღიმებოდნენ, ეჭვი მეპარებოდნა ამ დომხალიდან ცოტა რამ მაინც რომ გაგოთ.

— შენ ეი, რა თავს იღებ, უთხარი რამე, — დამიძახა ილგოვმა.

მე მთელი ეს ტაიმაუტი გამოვიყენ იმისათვის, რომ მთელი ჩემი ესპანური გადამექექა.

— სენიორ!

— დიახ, გისმენთ, სენიორ.

— შვიდი ასადო (ისიც უნდა შევნიშნო, შვიდი თათებით ვიღოვხატე). მაღლობა ღმერთს, ჩვენ მხოლოდ შვიდი ვიყავით და გამჩენმა თით თით მომცა. ათზე მეტი რომ ვყვითლიყავით, მაშინ უკველად ფეხსაცმლის გაძრობა მომიწევდა).

— შვიდი ასადო.

— Si seniore. (დიახ, სენიორ).

— Patato. (კარტოფილი).

— Si seniore.

— Tomato. (ბამიღორი).

— Si seniore.

შემდეგ საქმე უფრო იოლად წავიდა.

— ვისკო.

სამი თითი აღვმართე და ლუდამ მაშინვე გააპროტესტა, მაგრამ შაბურმა ლუდა შერსონა ნინ გრატად გამოაცხადა.

— პეპსიორლა.

აქ კი კანალამ დამჭირდა ფეხსაცმლის გაძრობა, მაგრამ ესპანურმა სიტყვამ „მუჩიმ“ მიშევდა.

დიდებულმა კაბალერომ თავი დაიქნია; ლუდას გაულიმა. თოქოს თქვა, ეს საქმე მე მომანდეთო.

ის იყო იფიციანტი უნდა შასულიყო, რომ კოლია ხუბუამ დაიყვირა:

— სინიორებო, ეს რა ხდება — წიწილები!

— მართლაც, წიწილები როგორ დავგვიწყდა! რაულ, რა ჰქვა წიწილებს ესპანურად? — დამიძახა ლისიცინმა.

— მე ვიცი, — დაიყვირა კოლია ხუბუამ.

წამოდგა და რფიციანტთან მივიდა.

— შენ გეუბნები, იდევ რა გესურს, იცი — ყიყლიყორო... — გაგრძელა კოლიამ.

ორი რფიციანტი სიცილისაგან კინალაში იქვე გამოეხოვა სიცილისებრი. ჩვენც ბლომად ვიციონეთ. მიზანი მიღწეული იყო.

დიდებული სუფრა გავვიშალეს. ორი სუფთად გაბარსული რფიციანტი ჩვენს უკან იდგა და როგორც კი ჭიქებს გავლილით, მაშინვე გვივისებდნენ.

სამხრეთამერიკული ასადო მაყალზე შემწვა-

როდებ ჩაჩინდა

კამპარი

რი, სულ ცოტა, რვაასი გრამი ხორცია. ჩეენ
ისე ენერგიულად შევსტიეთ ცვრაან მწვადს,
რომ თვალისდაბას მხამებაში გააქვრეთ. მერე
სალათას მოვდევთ.

— დიდებული რამაა, ჩემმა მზემ, — თქვა
შაბურიმ და ვისკი გადაპერა.

იღვომ რაღაც სადღეგრძელო თქვა, მაგ-
რამ მოსმენით არავის შევწუხებია თავი. ყვე-
ლა თავის სატკიარს ამბობდა და სვამდა.

მერე შვიდი წიწილაც მოგვიტანეს. ეს უკვე
მეტისმეტი იყო. უკანდასახევი გზა არ გვქონ-
და...

ლუდმ ფიჯაკის კალთაზე მოქააჩა.

— გაიხედე ხელმარჯვნივ, ჩეენმა მადამ
პირდაპირ ჭეუაზე შეშალა მაგიდასთან მჯდომი
ორი ღალაბიანი სენიორი.

გავიხედე. ორ სამხრეთეულს ზრდილობის ყო-
ველგვარი საზღვარი დაყრაგათ. კუს ბაკანის
საოვალებიდნო ორი წყვილი გაოცებული თვა-
ლი გვიყურებდა.

წიწილას ბარკალი ივახიე.

— მშვენიერია, — მიჩურჩულა ლუდმ.

— მართლაც, კარგი შემწვარია.

— საშობლოს გაუმარჯოს! — დაიყვირა შა-
ბურმა.

ყველა გაირინდა.

— Viva Patria! — დაესჭირე.

— Viva, viva! — მაშინვე დამეთანხმა ორი
ოფიციანტი.

მერე ოჯახის წევრების სადღეგრძელო შევ-
ვით და სანამ ხილს მოგვიტანდნენ, სული მო-
ვითქით.

ბოლოს თავაზიან ოფიციანტებს ანგარიში
გაუსწორე. ლუდა მელოდიებოდა, დანარჩე-
ნები კიბეებზე ჩადიოდნენ და მე და ლუდა
მხოლოდ ჭებაში დავეწიოთ.

კარგ ხასიათზე იყო ლუდა. დალოცვილმა
ვისკიმ ენა აადგევენა. თუმცა უენობა მაინც
და მაინც არ შემიჩნევია.

— ჰეი, ამხანავო ფლაგმან!

იღვოვი შეჩერდა.

მის გვერდით მაღალი, ლამაზი ვალენტინ
დროინი იდგა. დროინისთანა კაპიტანი ჩემი
სამი წლის ნაოსნობის განმავლობაში, ერთიც არ
შემხვედრია.

ელეგანტური აგებულობისა გახლდათ. კოხ-
ტა, მომხიბლავი, ჭკვიანი, კარგად აღზრდილი
და ტატტიანი.

ერთხელ ვუთხარი კიდეც, ყველაფერზე გე-
ტყობათ, რომ განათლებულ ოჯაზში აღზრდი-
ლი ხართ-მეტვი. გაიცინა „იყით რა, რაულ,
მამაქემი ბურლაკთა ნაშიერი იყო, ხეებს აცუ-
რებდა ვოლგაზე“. სახტად დაგნიჩი.

ჰოდა, ახლა ვალენტინმა ღიმილით ჩათვა-
ლიერა ლუდა.

— ლუდა ივანოვნა, რა მოხდა?

— არაფერი, დროუინ! ცოტა ვავმხიარულდა.

— წავედით, — თქვა დროუინმა.

ბორტისკენ მიმავალ ჭუჩას დავყევით.

ტრამზე ვედით თუ არა, დროუინმა მორიგე
შტურმანს ჰქითხა, უკვე კველა დაბრუნდა თუ
არაო.

— ყველანი გემზეა, ამხანავო კაპიტანი!

— კიდევ ერთხელ გასინჯეთ და დაუყოვნებ-
ლივ მომახსენეთ. მანქანები მოამზალონ!

— გასაგებია!

მე და კოლია ხუბუა კაპიტანის პირველი თა-
ნაშემწის კაიუტაში შევედით. მე „ბალაკლა-
ვაზე“ ჩემი კოლეგის კაიუტაში ვცხოვრობდი.
ტელეფონის ყურმილი ავიღე. მორიგე შტურ-
მანს ვთხვე, რადიოთი ჩემთან გამოეძხები-
ნა „შოთა რუსთაველის“ მომარაგების უფრო-
სი შალვა ბიბილეიშვილი, რომელიც თან
მყავდა წყვანილი მონტევიდეოში პროდუქ-
ტების საყიდლად.

ბიბილეიშვილი გამოაცხადეს თუ არა რა-
დიონი, კაიუტის კარზე კაცუნი მაშინვე გა-
ისმა.

— Да, да! — დავუძახე.

ბიბილეიშვილი შემვიდა. მთლად გათეთ-
რებული, სამოც წლამდე მიღწეული კაცი,
მაგრამ მხნე და გამრჩე.

— თქვენ მეძხდით, ამხანავო რაულ?

— ყველაფერი მოიტანეს?

— ყველაფერი: ყველი, კვერცხი, ქათმები,
ხორცი. ნეტავ გენახათ რა ხორცა... ხილი,
მწვანილი, ბოსტონული და...

— და კიდევ რა?

— სამი ყუთი ვისკი და კონიაკი, საჩუქრად,
შვიდი მოწეული შოთაფი — შავი ლინით.

— ავაშენის ღმერიმა.

— ხომ არ გაგემინჯა, ამხანავო რაულ?

— ჯერ ხილი მოგვიტანე, ზღვაში რომ გა-
ვალთ, ლვინის მერე ავულოთ ჭაშინიკო.

— ვისხნებით?

— ჰო, მივდივართ, პამპერო იწყება, რო-
გორმე ჩეენს გემადე უნდა მივაწრიოთ.

— რა კანდაბაა ეს პამპერო? — წარბები
შეჰყარა შალვა.

— პამპერო გრიგალია... თანაც ისეთი, ხეებს
რომ ძირფესევიანად თხრის. რაღანაც ნაეს
ვერ ჩაუშეგებრ, „ბალაკლაზე“ დავრჩებით.

— როდემდე?

— სანამ გრიგალი არ ჩადგება.

— კი მარა, როდის ჩადგება?

— როცა გამოზაფხულდება.

— კარგად ყოფილა ჩვენი საქმე.

შალვა წვიდა. მე და კოლია ხუბუამ სიგა-
რეტები ამოვილეთ. კოლიამ ხელი ჭიბუში მოა-
ფათურა ასანთის ამისალებად, ბარათი ამოჟყ-
ვა.

— ცოლის წერილი წამომყოლია.

— მოიტა, ერთი, კიდევ წყვიკითხოთ.

კოლიას ქართულად კითხვა უჭირდა, წერი-

ლებს მე მაკითხებდა ხოლმე. ერთხელ, ორჯერ, საჭერ, ათჯერ და ასჯერ.

სანამ სივარუტს მოვუკიდებდი, წერილი გავ-შალე. ეს წერილიც ბევრჯერ გვქონდა წაკი-თხული.

„სალამი, ძვირებასო კოლია!

როგორ ხაჩ? შენი დარღით აღარა ვართ. რომ ღავშვებით, ბავშვები სულ შეწე მეკი-თხებიან, მამა როდის მოვა. მერე ათასნაირ მშებს ვუყები და სამივენი შენ გიგონებთ, გიგონებთ და გიგონებთ. აი, „ფოთი“ დაბრუნდა. როგორ გაიხარეს მათმა ოჯახებმა. შენ კი, უკვე ექვის თვეა ზღვაში ხარ და თავი მოგვანატერე. არა, აწი კი ნამდვილად ვეღარ ვაგიშვებთ. ჩემს პაწებს ვეფიცები“.

ვკითხულობდი და ჩემი ცოლ-შვილი მაგონ-დებოდა. იგვევ სიტყვები „აწი ვეღარ გაგიშვებთ“ და მაინც მიღიარ ზღვაში. ზღვაში კი არა, ბობოქარ რევანეში.

ნელ-ნელა შემებარა ხრინწი, მერე ხმა მთლად გამებარა და თვალები ცრემლებით ამეცსო. გავიხედე, კოლიაც ტირილა. ამ ალა-ლი ცრემლის ფასი მხოლოდ მეზღვაურმა იცის.

ბიბილიშვილი შემოვიდა. მაგიდაზე ხილი დაყარა.

— წერილს კითხულობთ? — თქვა და გავი-და.

მერე ლუდა მოვიდა. თვალები სწავად ამოვიმშალეთ.

— რად მოვიწყენიათ, რაინდებო? ჩენი გაწყობა ლუდასაც გადაედო.

— ხილი მიირვით.

ლუდამ მსხალი იონ და ჩაბინა.

— გინდათ, საპელენგო ხიდურზე ივიდეთ, გავხდოთ სიბნელეში ჩაკარგულ მონტეს.

— წავიდეთ!

სამივენი საპელენგო ხიდურზე ივედით. სწორედ სამართავი ხიდურის თავზე დავდე-ჭით, გრძელ, მაღალ მოაკირთან. შუაში მე ვიდები, აქე-იქით ლუდა და კოლია. წინ ჩანდა ურუგვალთა სამი სამხედრო კატარლა. კატარლები სადღესასწაულო ჭრელ-ჭრელი დრო-შებით იყო მორთული.

უფრო იქით, გრძელი, შვიდასართულიანი შენობა. შენობის მეშვიდე სართულზე ყო-ველ სამ წუთში ინთებოდა და ქრებოდა რეკ-ლამა:

„Tome pepsicola, Tome cocacola!“

მარჯვნივ და მარცნივ, ცაში და სახლებზე, რეკლამა, რეკლამა. როგორც ჭუნგ-ლში ყოველი ხე მისწრაფის ცისკენ, რომ როგორმე დედა მზეს შეხედოს, ასევე ქაცა, ყველა ცდილობს თავის ნაცოდვილას ყაღრა დასძოს.

ცა იყო ძალიან ლამაზი, სულ ვარსკვლავი-

ბით მოჰკედილი. ჩენგან სამხრეთ-დასავლეთი სადღაც დრეიფით თუ დედოფალ მონდის მწის თავზე ეკიდა სამხრეთის კვარი და მთე-ლი სამხრეთ ნახევარსფერო ზედ ქრისტესავით გაეკრა.

ლუდა სულ ახლოს მოვიდა. ჩალისფერი თმე-ბი ყურის ბიბილოზე მიღიტინებდნენ.

— შენ ეი, რომანტიკოსო, ხომ ამაზაზია სი-ცოცხლე. როგორ თქვი ერთხელ, მოვრალი რომ იყავი — ქვეყნად სიცოცხლე რომ არ ყო-ლომი იყავი — ქვეყნად სიცოცხლები ფილიკო, მე შევმინდიო. გავაცოცხლებილი ულევი, ჩენებს, ჩანქერებს, ზვიგენებს, დალი-ლამაზ ხეებს, ჩანქერებს, ზვიგენებს... ულევანგებსაც კი, გაუმარჯოს სიცოცხ-ლების! მაშინ ძალიან აგზნებული სახე გმინდა... არ ლაპარაკობდი, ყვირილი, მაგრამ ლმა-ზად კი ყვირილი, შენში ძალა იგრძნობოდა და გულაზილად რომ გითხრა, მომეწონე.

რაღაც ჩავიჩიტრებულ.

— ახლა კარგად გიცნობ, რა ზვიგენიცა ხარ! ბეჭებზე ლუდას ხელი ვიგრძენა...

ჩენება გემა გამოსათხოვარი საყიძირი მისცა. აუგუსტა საყიძირი. ნელა დავიძრით.

რიო-დე ლა პლატის ყურე, სადაც ორი ქვეყნის დედაქალაქი — ბუენოს აირესი და მონტევიდეო მდებარეობს, თხელია. ამიტომ არგენტინისა და ურუგვაის დედაქალაქებში შე-ასავლელად ყურეში გათხრილია არხები. არ-ასავლელად ურუგვაი ახალი ლე-დაფები. მონტეს შეასავლელში ახალი ლე-დაფები. მონტეს შეასავლელში არ არმდენმე წლის წინათ თავთხელზე დაჭადა. გემის კორპუსი წყალ-ში დევს, დანარჩენი — ზევით.

ლმერთო, დაიფარე ყველა გემი!...

„ბალაკლავა“ ნელა მიცურავდა წინ, რიო-დე ლა პლატის გასასვლელისაკენ. სულ ახლოს ჩავუარეთ ყურეში ჩაძირულ გემს. მოელი სკლით მიღდიოდით წინ, რეწვის რაიონისაკენ, სადაც ჩენი „შოთა რუსთაველიც“ შემობ-თავით დარიგდით საბაზო სამონებით ვისუნ-თქადით იზინონ საგენერაციო სუფთა პატას და რო-მორც წყალში ხელახლა გაშვებული თევზები, ისე ვიმეტავდით.

„შოთა რუსთაველის“ კაპიტანის პირველ თანშემწეს იწვევენ კაპიტანის კაიუტაში, — გაისმა რადიოში.

ლუდამ შემომხედა.

— თქვენ გთხოვენ, — რატომდაც თქვენობით მომმართა.

კაპიტანის კაიუტაში ილგოვი, ლისიცინი და

როდამ ჩაჩნიდე

პამპი რო

„ბალაკლავას“ კაპიტნის პირველი თანაშემწერე იყდა. გიორგი ილგოვს პატაგონიის შელფის დიდი რუკა მაგიდაზე გაეშალა.

— რაულ, ჩვენ ასეთი გეგმა გვაქვს. მივდივა ვართ ბაზა „სევასტოპოლისაცენ“. იგი ახლა ჩვენსკენ მოდის. მას შევხედებით ოცდათევეცს შეტი საათის შემდეგ. ჩვენ დავდებით 217 კვადრატული. დალით გადაეცით თქვენს კაპიტანს, დაუყოვნებლივ წამოიდეს 217 კვადრატისაცენ. ერთ წუთსაც ნუ დააყოვნებს, ყოველ წუთს მოსალოდნელია გრიგალი პამპერო, მერე ყველაფერი ამამ იქნება, გემზე ველარ დაბრუნდებით.

— მესმის, გიორგი მიხეილის ძეებ!

„ბალაკლავას“ ტრიუმები საგეს აქვს თევზით. ნეტავ გრიგალის დაწყებამდე მოვგასწრებინა დაცულა. თქვენ ამდენი გავჭოთ?

ჩვენ წამოსვლამდე 100 ტონა გვქონდა, რეწვა კარგი იყო, ახლა ალბათ 240 ტონამდე იქნება. კიდევ ორასი ტონა და წავალო სამშობლოსკენ.

სიხარული ვერ დავფარე, სახეზე ბედნიერმა ღიმილმა გადამიჩნანა და ილგოვსაც გაეცინა.

— დიახ, კარგი საქმეა შინ დაბრუნება. ვეგმასაც კარგად ასრულებთ:

— 119 პროცენტით. სხვათა შორის „შოთა რუსთაველი“ თავისი ასებობის მთელს ისტორიაში, ახლა პირველად ასრულებს გეგმას. ეს მაშინ, როცა ამჟამად შეშვიდე რეისში იმყოფება.

კაიუტაში ვალენტინ დროებინ შემოვიდა.

— სტუმებიც ყველანი არიან, არა? — მიუბრუნდა მას ილგოვი.

— ყველანი.

„ბალაკლავაზე“ „შოთა რუსთაველისა“ და „კოლხეთის“ გარდა კიდევ სხვა სამი გემის წარმომადგენლებიც იმურებებოდნენ. ისინი მონტევადეოში თავიანთი გემების ეყაბავებისათვის პროდუქტის საყიდლად იყვნენ წამოსული.

— ახლა დავშალოთ, ყველანი დალლილები ვართ, ძილი ნებისა, მეგობრებო, — თქვა ილგოვმა.

— ძილი ნებისა, — ვთქვი მეც და კაპიტნის კაიუტიდან გამოვეღი. პირველი თანაშემწის კაიუტაში შევედი, ტანთ გაინადე და დივანზე დაგწერი. საწოლში კი მასინძელი იძინებდა.

სხვათა შორის ნაოსნობაში ძალიან მივეჩვეუ დივანს, ჩვენ კაიუტაშიც კი, საწოლში იშვიათად ვიძინებდი. წამოწვებოდი გაუხდელად დივანზე, თავს მივდებდი სალდათურ თბილ ბაბულაზე, სამი-ოთხი საათი დავიძინებდი. შერე ავდგებოდი და გემს შემოუვლიდი, გაგსინვადი, რომ ყველაფერი წესრიგზე ყოფილიყო. სულ ბოლოს თევზის სააქტო ჩაიდიდოდი. გემზე ხომ დღედღამ სულ ერთნაირი მუშაობა და შრომა არც თევზის სააქტოში წყდებოდა.

ჩავიდოდი იქ, ბიჭებს გავამხნევებდი, მეც წავიმუშავებდი ცოტას და ისევ უკან ვპრონდებოდი. ამ პროცედურას მთელი ღამის განმავლობაში სამუშარ-ოთხეგრ მაინც ვიმეორებდი.

ას პრდანტურად რომ ვიცეოლი, ვასრულებდი ჭევიანი ზღვასნების ნათევებს: „ზღვას ხუმრიბა არ უყვარს. იგი მკაცრი მამა და პატარა შეცდომასც კი არ გაბატიებს“. ეს „პატარა შეცდომა“ ზევრს დაუჭდა ძეირად.

კაიუტაში „ბალაკლავას“ კაპიტნის პირველი

თანაშემწე შემოვიდა. ზანტად იწყო გახდა.

— გძინვაში?

— არა, ასე თათარიახნად რა დამაძინებს!

— კერგა ჩაგატარეთ. თუ ორ დღე-თაბეში არ დავცალეთ ტრიუმები, მერე ალბათ შეუძლებელი გახდება. რა ცუდ დროს მოვედით, ერთი ტვირთის ალება ძლივს მოვასტაროთ. თქვენ ბეჭნიერი ხალხი ხართ, ბოლო ტვირთის როგორმე აიღებთ. კილოობით რომ აგროვოთ, მაინც აიღებთ.

— ჰო, თუმცა დაცდილი მაქვს, ყოველთვის ძნელდება ბოლო ტვირთის აღება. თითქოსდა ითარებები.

იგი ლოგინში ჩაწვა.

— მაინც აიღებთ. ხომ არ შეგციდა? თუ გინდა, ილუმინაროს დაგხურავ?

— არა, მე საერთოდ არ ვხურავ ილუმინაროს.

— მეც ასე ვარ.

ერთბაშად დივანზე წამოვჭერი.

— რა კარგი გოგოა ლუდი.

— ეს, შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა გოგოა, პირდაპირ საცრებაა.

— მაგას უნდა ესწავლა, ზღვაში რა უნდოდ!

— არ გითხრა? იყო სწავლობს. დაუსწრებდა სწავლობს, მეორე კურსზე. სულ ხუთები ჰყავს.

— ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— საცავი გოგოა, სხვათა შორის, მეორე შტურმანი სულ ლექს მაგაზე, ეგ კი ზედაც არ უყურებს. კადევ ბევრი ეკურურება. მიკვირს, შენ როგორ დაგიახლოვდა. შენთან ძალიან შინაურულადა.

— უბრალოდ, მეგობრულად. ჩვენ, ორივენი მეცნენები ვართ.

— შენც ოცნებამ წამოვიყვანა აქ, არა? ლუდა ამბობს, მე მსურდა ზღვის გემი გმესინჯა და ა, მოვედი კიდეცო.

— მიხედა, მარილიანი რომა?

— თუ ძმა ხარ, ლისიცინივით ნუ ლაპარაკობ. ზღვის მარილიანობასაც მიხედა და მის ვერა-გობასაც, სუ, მგონი დაიწყო...

ზღვა ნელა იშვებდა ბუბუნს, თუ ერთი საოთის უკან მთლად ასფალტივით გადაჭიმულ წყალზე მიგურულიდათ, ახლა გემი უკეთ იჩწეოდა და ზღვაც ბუბუნებდა.

— არა, ეს უბრალოდ, პამპერო ჭერ არ დაიწყებოდა. ალბათ უკვე გავედით ოკეანეში, იმის ბრალია.

— შენ ასე ფიქრობ?

— თუ მას ხარ, მიშა, დამტესენი, არაფერსაც არ ვფიქრობ, — უთქვი ნერვიულად და დივანზე მივეგდე. განერვიულებულსა და დაღლილ-დაჭანცულს დამტენა. უკვე დროც იყო ძილისა, რა ხანია, ისარი სამს გადაშორებოდა.

გულიანად მემინა, ფეხიც კი არ გამინტერევია. დილით, როცა თვალი გავაჩილე, პირველი რაც იყო, ვიგრძენი, რომ ქარი უბრავდა, მაგრამ არც ისე ძლიერი ქარი.

ხელ-პირი დავიძანე, კაიურიდან გამოვედი და ხიდურისაკენ გავსწირ. ხიდურის სქელ, განიერ მინებთან იდგნენ ილგოვი, ლისიცინი, ღრუჟინი და მეორე ზტურმინი. მესაჭეს საჭე ავტომატურ მართვაზე გადაერთო, თვითონ მინაზე ცხვირი მიეცყლოტა და ყურადღებით იყურებოდა წინ.

მისალების შემდეგ მეც მინათან დადგევი მესაჭეს გვერდით, ცას გავხდე. ღრუბლები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიისწრავიდნენ. გულმა სიხარულის რეჩხი მიყო. მერე ხიდურის მარჯვენა კარი გამოვალე და მოაგირთან გავხერდი, ქვევით გადავიხდე. ტალღებიც სამხრეთიდან მობათქუნებდნენ. სახეში აშკარად მცემდა ანტარქტიკიდნ მონაბერი ცივი, გამჭილო ქარი. რასაკირეველი, ეს არ იყო პამპერო, ეს ჩევლებრივი ზურიდი იყო (სამხრეთის ქაჩი). ზურიდი არ გახლდათ საშიში და გული ღამიშვილდა.

ისევ ხიდურზე დავბრუნდი. კარგ გუნდაზე რომ დამინახა, ილგოვმა გაიცინა.

— დამშვიდლი?

— რასაკირეველია, რომ ავდექი, მეგონა პამპერო იშყებოდა, თურმე ჩევლებრივი ზურიდია.

— ეგ ნუ დაგამშვიდებს, პამპერო ვერავი ძია, ისე წამოგებარება, რომ სულისმოთქმასაც არ გაცილის. აბრამისა დაუკავშირდი?

რაციათან მივდიდ. სალაპარაკო ავილე, კნობზე რამდენერმე დავჭირე თითო.

— „რუსთაველი“, „რუსთაველი“, უსმინე „ბალაკლავა!“ „ბალაკლავა“ გიხმობს!

იმწამსვე გაისმა ჩევნი მეორე რადისტის ჩახრინწული ჩხა.

— მე „რუსთაველი“ ვარ, გისმენთ „ბალაკლავა“.

— ვანო, კაპიტანი სად არის? დაუძახე!

— ახლავე, ამხანაგო რაულ, ამ წუთში.

— რაულ, გისმენ, კუკა ვარ.

— გამარჯობა, კუკა. მისმინე, ძალიან ცუდი პროგნოზია, ყოველწუთს მოსალოდნელია პამპეროს დაწყება. თუ დაუყოვნებლივ არ დავბრუნდით შინ, მერე გვინდ იქნება, ნავს ვეღარ ჩაუშებ. ახლავე წამოდი ჩევნსკენ,

ხეგალ დილით 217 კვადრატზე დავდგებით, ბაზა „სევასტოპოლის“.

— ბიჭო, ძალიან მიჭირს წამოსვლა. თევზი კარგად მოდის, სულ ბესუგია... ახლაც ტრალით მივდივარ.

— თუ კარგი ტრალი იქნება, მაშინ მეორეს ნულაზ ჩავგდებ, წამოდი!

— ჰო, თუ კარგი იქნება, აღარ ჩავგდებ. თუ არა და...

— მშინ კიდევ ერთიც და, თუ მას ხარ იჩქარე. ამ გრიგოლში სხვის გემშე არ მინდა, სახლში მინდა ვიყო...

— რაულ, გამარჯობა, — რაციაში ახლა სამხრეთ ამერიკის საბირებთან მომშავე ქართული ფლოტის უფროსის იაშა ფაციას ხმა გაისმა.

— გამარჯობათ, ამხანაგო იაშა!

— ყველაფერი წესრიგზეა?

— რასაკირეველია, მხოლოდ შინ მომერქარება.

— ჰოდა, ჩვენც წამოვალთ. პამპერო რას გვიზამს.

სალაპარაკო დავკიდე.

— როგორ შეთანხმდით? — მკითხა ილგოვმა.

— წამოვლენ.

— მაში, ყველაფერი კარგად მოეწყობა. მგონი თევზის გადატვირთვაც მოვასწროთ და თევენი გადასხმაც. ისაუზმე?

— არა, სულ ეს წუთია ავდექი. ძალიან გულიანად კი მემინა.

— ხელ-პირიც არ დაგიბანია?

— არც სულ მასეა საქმე, ხელ-პირი კი დავიბანე.

— აბა, წავიდეთ, ვისაუზმოთ. მასპინძელო, წინ გავვიდეხი!

ღრუჟინი წინ გავიძიღოლეთ და კაიურტკამპანიას მივაშურეთ. იქ უკვე საუზმობდა გემის მეთაურთა შემაღენლობა. ჩვენც ვემრიელად ეისაუზმეთ და რაღიონეს დაჭრა, თავისი განუყრელი, ილგოვი რაციასთან დაჭრა, თავისი განუყრელი, დიდი ბლოკნოტი გაშალა, გემების კაპიტენების გამოძახებს შეუდგა. სათითაოდ იძახდა ყველას. მიმართავდა სახელითა და მამის სახელით. ეკითხებოდა, რამდენი ჰქონდათ გემზე თევზი, რა დახმარება ესაჭიროებოდათ და შემდეგ აფრთხილებდა მოსალოდნელი გრიგალის გამო.

ეს საუბარი თითქმის სამი საათი გაგრძელდა. მერე ბუნკერები გავსინჯეთ. საიმედო იყო, მთელი წელიწადი რომ ეთარეშა გემბაზე იკავანის ტალღებს — წევ წყალსაც არ გაატარებდნენ. მერე ლუკები შევამოწმეთ,

როგორ ჩარჩოდა

პამპერო

სლიპი და სასადილო. კაიუტეამპანიისაკენ რომ
წამოვედით, უკე თხი სათი იწყებოდა.

კაიუტეამპანია დაკეტილი დაგვხვდა. გემზე
სადილი პირველის ნახევარზე მთავრდება, აბა,
თხის ათ წუთამდე ვინ შევინახავდა.

— ძალიან კი მომშევდა, — თქვა ლისიცინ-
შა.

— ოც წუთში სამხარი იქნება, — ცოტაც
მოითმინე, — უთხა იღვოვმა.

— ჩემს კაიუტეში შევიდეთ, მზარეულს რა-
ღაცას მოგამზადებინებ, — თქვა დროინმა.

ქალების კაიუტასთან რომ გავიარე, ვიოლი-
ნის ხმა მომესმა, ვიღაც უკრავდა. უკრავდა
დიდი ისტატობით.

ვუალატე გემზე შემუშავებულ კარგ
ეთიკას და პირველად ჩემს სიცოცლეში და-
უკავშებლად შევაღე კარი. ძალზე ფრთხი-
ლად შევაღე.

ილუმინატორთან ლუდა იღვა. მხოლოდ
ლუდა და მეტი არავინ. მარტენა ბეჭედზე ვიო-
ლინოს ბოლო დაედო. მრგვალი, ლამზი ნიკა-
პით ენერგიულად აწვებოდა. თავი მკვეთრად
ჰქონდა მარცხნივ დახრილი, ქამანს სწრაფად
იქნევდა.

მინახავს ლუდა მხიარული, უდარდელი, ზოგ-
ჯერ ფუქსავატიც მომჩენებია. მინახავს ლუ-
და სევდიანი, როცა დიდორნ, ცისფერ თვა-
ლებს ფართოდ გაახელდა და ნაღვლიან მზერას
მომაპყრობდა.

ასეთი ლუდა ჭერ არ მენახა...
ეს სულ სხვა ლუდა იყო...

დამინახა.

მგონი ეწყინა კაიუტაში შეპარვა. ცოტათი
ილუმინატორისაკენ შებრუნდა. ახლა მის ლა-
მაზ პროფილს ვხედავდი, ვხედავდი, თუ რო-
გორ დაცურავდნენ რბილი, ჩალისფერი თმე-
ბი მხრებზე.

ივი მთელი იგზებით უკრავდა, მთელი გატა-
ცებით. უკრავდა თავისთვის და მეტი არავის-
თვის.

მერე დაამთავრა.

მავიდას მიეყრდნო და ქვეშიდან ამომხედა.

— რას უკრავდი, ლუდა? — რაც შემეძლო
თბილად ვუთხარი.

— ძალიან გაინტერესებს?

— რასაკირველია.

— ჩემი პიესაა, წუხელ დაწერე.

— შენი?

— ჰო, ხანდახან ვწვალობ.

— რას ამბობ! შესანშავი მუსიკაა.

— აბა, თქვი, რა განგაცდევინა?

— უპირველეს ყოვლისა, ზღვა, ტალღები...

— ეს ისე ამშობ.

— შვილებს გეფიცები.

— იცი, ვის უუძლებელი?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე!

— დალუპული მეზღვაურის ძეგლს, მონტე-
ში რომ ვნახეთ.

— დიდებულია, თითქოსდა მეც ეგ უნდა
მეტევა.

— ახლა მთლად ნუ გამასულელებ. ისე კი
ვცადე, თბილი ყოფილიყო.

— არც სითბო აყლია და, როგორც მუსიკო-
სები იტყვიან, გამომხატველობა.

ვიოლინო მაგიდაზე დადო.

— იცი რა, რაულ, არ გეწყინოს, ახლა ცო-
ტა ხნით დამტოვე, როცა ვინმეა, ვერ ვმუშა-
ობ. მთლად დახვეწილი როდის, კიდევ უნდა
გავკრა ხელი. არ გეწყინოს, რა...

ლუდას კაიუტიდნ გამოვედი თუ არა, გა-
საღების ჩხაუნი გაისმა. კართან შევიცადე. მა-
ლე ისევ სამოდ აუღერდა ვიოლინო.

კარს მივეყრდნე და უკრავდებით ვუსმენ-
დო.

— აქ რას აყეოებ, გოგოებს ყარაულობ? —
მომესმა შაბურის ხმა.

შაბურის ხელში ვისკის ორი ბოთლი ეკავა

— სად მიგაქვს?

— ოკეანეში უნდა გადავყარო. სად წავილებ,
მაინც ტყურიად ვართ, ყელი მაინც ჩავისვე-
ლოთ. გჭიმე-გამოჭიმე ერთი დღე დაგვრჩა. მერე
დაიწყება ისევ თვეზეწერა.

— სულრა უკვე გააწყეს?

— აწყობენ.

— მეც მოვიტან ვისკის.

— ჭერ ეს დავლიოო, მერე ვნახოთ. წამო-
დი!

— კოლიას მოვიყვან.

— კოლია უკვე იქ არის.

შაბურის გავყევი.

კაპიტნის კაიუტაში მაგიდას უკვე უგდა
დროინ, ილგოვი, კოლია ხუბუა და ლისიცი-
ნი. ეს ოთხელი მე და შაბურიმ შევასეთ. მე-
ბუჟეტებმ შემწერი ხორცი, კარტოფილი და
ყველი შემოვეიტანა. მებუჟეტეს ფეხდაფეხ
კაპიტნის უფროსი თანშემწე მოჰყვა...

მაღანად შევექეცით საჭმელს.

კარზე დაკავუნეს, გაილო და ლუდა გამოჩი-
და.

— შეიძლება? მთელი კამპანია აქ შეკრები-
ლა, მე კი...

დროინი ჩემს ვერდით იჭდა. ლუდა რომ

შემოვიდა, შაბურის გვერდით გადაჭდა და აღ-
ვილი გათავისუფლა. ლუდა დაჭდა და მაშნევ
ჩემს ჟიქაში ცოტათდენი ვისკი ჩაასხა.

— აქვენი გამარჯვებისა იყოს, ზღვის მგლე-
ბი! როგორ მოიწყინეთ, ჩემი შემოსწრება
ვერაციანთ?

ვეღაცამ მაგრიტოფონი ჩართო.

მე და ლუდა ავდეჭით. ორივე ხელი წელზე
შემოვხვევი, მან კი ბეჭებზე დამატყო ხელები.
საცყვავა აღგილი ჰილოფისოდენა იყო, მაგ-
რამ ვიყმარეთ.

— იცი, რა უნდა გითხრა, ლუდა?

— არა, არ ვიცი.

— ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც უნდა გი-
თხრა.

— რაო, კომპლიმენტის თქმას ხომ არ პი-
რებ?

— არა, საქმე უფრო სერიოზულადა.

და ლუდამაც მაშინვე სერიოზული სახე მი-
ოღო, თვალში გამისწორა.

ლუდა ცოლად უნდა გააჰვეს „ბალაკლავას“
შეორე შტურმანს, რომელსაც ეს აბეზარა გო-
ვნოა სულით ხორცამდე უყვარს. დედამიწის
ზურგზე არავინ არ შეიყვარებს ლუდას ისე,
როგორც კოსტია.

დილით მაგარ ნაბახუსევზე გამომედვიდა. ყე-
ლი მთლად გამშრალი შენდა. ვასკისა და სი-
გარეტის მყრალი სუნი მიღიტინებდა. მაგრამ
ყველაფერმა ერთბაშად გამიარა, როცა ოკეანის
ბუბნი მომეშა. ეს არ იყო გრიგალის ღრია-
ლი, მაგრამ მაინც კარგად მივხვდი, რასაც ნი-
შნავდა საეჭვო ხები იყენიდან.

სწრაფად წამოვარდი და ილუმინატორში
გადაიხედე.

უკვე ბაზა „სევასტოპოლის“ ვიდეჭით.
შექახარე ტალღებს ჩევნი გემი აქტონდათ სულ
ზევით და ზევით, „სევასტოპოლის“ კორპუს-
ზე ზევით და შემდეგ მიექანებოდა უფსკრულ-
ში. ეს უკვე არ იყო ზუიდი, აშკარად ჩანდა,
რომ ბაზაზინი პაპერო იშევებდა ჭირით.

პირი არც კი დამიბანა, ისე გავვარდი ხი-
ფურზე. ხიღური ნახევრად ჩაბნელებული იყო.
მეზღვაურებს უკვე აეხადათ ტივინდექის (მთა-
ვარი ტრიუმფი) უზარმაზარი ლუკა. ეს ლუკა
მოელს წინა ფანჯრებს ფარავს.

ხიღურზე მორიგე მატრისი და დროენი
დამხვდა. დროენი უხასითოდ იყო.

— მიდგმა როგორ ჩატარდა, ვალენტინ ვა-
ნილევიჩ? — გვითხე მას.

— შესანშანვალ. ეს არის, ამინდმა აგვი-
რია. ძალიან ვეკირს თევზით სავსე ყუთების
ვადატია ბაზაზე.

— ცუდი საქმეა.

— ცუდზე ცუდი. თქვენები ჯერ არ ჩანა,

მაგრამ კიდეც რომ მოგვადგენ, ნავს მაინც ვერ
ჩაუშებენ, გაიხედე, რა ტალღებია.

მე აივნები გავედი. დროენიც გამომყვა.

ქარი კარგა ბარაქიანად უტერავდა. ოკეანე
ზანზარებდა, გემები ტოკავდნენ.

— არა, ასე თუ იქნა, ჩაუშებენ, ამ ღელვას
გავუძლებო, — ვუთხარი დროენის.

— საშინია, ძალზე სარისკო. მე ასე რისკს
არ გაშევდი. მით უმეტეს, ბარომეტრი სულ
დაბლა და დაბლა იწევს. სანამ თქვენები მოვ-
ლებ, მანამ აღბა პამბერო მთელ თავის ძლე-
ვამისილებას გვანახება.

— შორს ხედავთ? ვალენტინ ვასილევიჩ, აი,
ჩევნებიც.

— შორს, პორიზონტზე პატარა ლაქა შეენი-
შნე. ზღვისა და ცის ფონზე გამოკლებული,
ეს ლაქა უეცველად გემი უნდა ყოფილყო.
ხიღურზე შემოვარდი და ჭოგრიტი გავტანე.

მართლაც გემი იყო, თანაც „ტრიპიკის“ ტრი-
პის. ე. ი. „შორთა რუსთაველი“ მოდიოდა ჩევნ-
ენ. მალე ზინ ვიქენებოდი...

ბიბილეიშვილი გამოვიდახე და ვუთხარი,
ჩევნი სურსათი ჩასატერითად მოემზადებანა,
მერე უფროსი მექანიკის კაიუტაში ჩავედი.
ეს კოლია ხუბუას გარდა ლისიცინი და ილგო-
ვიც დამხვდა.

— „რუსთაველი“ მოვიდა, — შეეყვირე მე.

— კი, მოვიდა, მაგრამ ნავს როგორ ჩაუშე-
ბენ? ეს შეუძლებელი ამბავია, რაულ, ასეთ ღე-
ლვაში ნავის ჩაშება, სიკდილს ნიშნავს. არ ვა-
ცი, რა სჭობია.

— არა, ნავს ჩაუშებენ. თუ გადაბრუნდა,
უილეტები გვეცმევა, შორს მაინც არ ჭავალთ.

— დინგბაში თუ მოხვდი, მდინარესავით გა-
გაქანებას.

გაეჩიმდი.

„რუსთაველი“ მალე სულ ახლოს მოვიდა.
თუ შეიძლება ახლოს ეწოდოს ნახევარ კოლ-
მეტრს. ასეთ ცუდ ამინდში უფრო ახლოს მო-
სკლა საშიში იყო. ყველანი სულგანაბული ვუ-
ყურებდით მის მანევრებს. სიხარულით შეეპა-
ხე, როცა დავინახე, როგორ ჩაუშევს ბობოქარ
ოქეანეში მოტორიანი ნავი.

ილგომა ჭოგრიტი მოითხოვა და პირელად
მოვისმინე მისგნ მაგარი, მეზღვაურული გინე-
ბა. ოკეანეს აგინებდა თუ პამპეროს, ეს კი ვერ
გავიგო.

შემდეგ დავინახეთ, თუ როგორ გამოჩნდა
ნავი, „შორთა რუსთაველის“ სატრალო ხიღურ-
თან. ჩევნი მმაცი შეზღვაურები პირდაპირ
ხიღურის მოაჭირიდან ხეტებოდნენ ნავში. ერთ
წუთს პატეში გაიცლებდა მათი ალისფერი
საცურაო უილეტები და შემდეგ სწრაფად
უჩინარდებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქ-
მნებოდა, თითქოსდა პირდაპირ ოკეანეში სტე-

როდაზ ჩაჩანიდა

კამპირო

ბოდნენ და ილგოვმა ისევ შეუკურთხა, შეუკურთხა მაგარი, მეზღვაურული გინებით პამპეროსაც, უკალსაც, მუსონებსაც და მორნი უწყინარ პასატსაც.

— შენ გეუძნები, ქართველები ნამდგილი ალექსები ხართ, წყლის აქეაჯები. ამ ორობრიოლში ვინ გატელავდა ნავის ჩაშვებას!

ის ჩენი საბედისწერო ნავი კი ძლივს მოლასლასებდა უზარმაზარ ტალღებში. ხანდახან მთლიან გაუჩინარდებოდა ხოლმე. მაშინ შიშით გაყიურებდით ოქეანეს, ვფაქტობდით კიდევ გამოჩნდებოდა თუ არა იქვინის ზედაპირზე. როცა ალისურ უილეტებს დავინახვილო, სულს მოვითქვამდით. მერე კლავ გაუჩინარდებოდა ნავი და ისევ და ისევ სულმოუთქმელად ველოდით.

ბოლოს, როგორც იქნა, ნავი სულ ახლოს ამოტივგრივდა. დავინახე უფროსი შტურმანი როინ იოსავა (ახლა ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ კაპიტან-დირექტორი), ბოტანი ნორდარ მაქაცარია, რეფერენციისი როლანდ ჩარგივილი (ახლა „ახუნის“ კაპიტანის პირველი თანაშემწერი); მატროსი ანდრო გაბოშილი და მეოთხე მექანიკოსი ვალერი ბასილაძა.

— ჰერ, ალექსებო, აქეთ, აქეთ! — თავი ვეღარ შევიავე და მოელი ხმით გავძახე.

ბიჭები მთლიან გალუბმეული იყვნენ თავით ფეხებმადლე. ანდრო გაბოშილისა და ბოტანის ხელში დიდი ვეღარები ეკავათ და ნავიდან წყალს ხახავდნენ. წყალი კი, მოგვუათ ლხენა, ბლომად იღვირებოდა ნავში.

ილგოვმა უკანასკნელად ერთხელ კიდევ შეიგინა და ბრძანა გემი ასე შეიძლებოდა ჩრდილოეთისაკენ შეებრუნებინათ ისე რომ აღმოსავლეთის მხარე, სადაც ჩენი ნავი უნდა მოდგომდა, ცოტათი მაინც ყოფილიყო და-ცული ტალღებისა და ქარისაგან.

„ბალაკლავას“ უკანა გემბანი „სევასტოპოლის“ მიებინა და ცხვირით ცოტათი შებრუნდა ჩრდილოეთისაკენ. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს ჩენენა მეზღვაურებმა და „ბალაკლავას“ უკანა გემბანის მარჯვენა მხარეს მოადგნენ. სწრაფად ისროლეს საბმელები, ნავი გემბანს მომაგრეს, მაგრამ ას მომაგრება იყო, ტალღები ერთს წამოიდებდნენ ჩენენს ნავს და კორპუსის სიმაღლეზე ისროდნენ, ისე რომ მისი ერთი ბორტი ტრაპის სამაგრეს წყდებოდა.

გაბედე და ამოყევი ასეთ ორობრიალში ტრაპის. ნავს შეეძლო ზედ გემის ბორტზე მიკეჩევე. ისე მიეჩეჩევ, რომ ხერხემალიც დაემსხვრია და მოელი სახსრები და ძვლები. დიას, ტრაპზე ამოსვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, როცა ნა-

ვი ტალღამ ზევით მოისროლა, როინმა შესძლო ტრაპის თავს მისჭიდებოდა, მერე, სანამ ნავი მეორედ ამოყურყუმელავდებოდა ოკენის უფსკრულიდან, მოასწრო გემბანზე გაღმოხმა:

— გამარჯობა, როინ!

— გვიარგობა, რაულ! დროს ნუ დავგარებავთ. შალვა, სწრაფად ჩაგრევირთოთ. ეს საცურაო უილეტი ზევენთვის წამოვიდე.

როინმა ალისფერი უილეტი მომატოდა. სწრაფად ჩავიცვი ნაილონის ქურქის ზემოდან და დასამშვიდობებლად ილგოვის ჭგუფს მივა-შურე.

— ნახვამდის, მეგობრებო, მომავალ შეხვე-დრამდე.

ილგოვი გადავკოცნე, მერე ლისიცინი, დროებინი, ჩემი კოლეგა და სხვები. როცა სატრალო ხილურზე დავპირუნდი, ჩატვირთვა მთავრდებოდა, ძროხის უკანასკნელი ბარკალი მოისროლეს ნავში და მას შალვა ბიბილეიშვილიც მიჰყეა.

ნავი მძლავრად ასკდებოდა „ბალაკლავას“ ბირტს და საშიში იყო ზედ არ შემსხერეულიყო. საჭირო იყო სწრაფად მოვშორებოდით „ბალაკლავას“. მართალი გითხრაო, ლუდასთან გამომშვიდობება მსურდა, ის კი არ ჩანდა. ლრო აღარ იყო და ტრაპთან მივეღი. ნოვემბრზე, როგორც კი ნავი იკვანის უფსკრულიდან გამოჩენას დაწყებდა, მშინვე შეგ რომ ჩაგ-მხებარიყავი. კოლია ხუბუა და შალვა ბიბილეიშვილი უკვე შეგ ისედნენ. ად, წამოვდა ნავი, მოაგირზე გადავედი და ის იყო უნდა მესკუპა, რომ ლუდა გამოჩნდა. იგი ერთ წამში მოგრება და მეოცე. ამ ერთმა წამში კი კნალმ სამუდამო ხეიბრად მაქცია. უკანასკნელ წამს, სულ უკანასკნელ წამს, როცა ნავს ბორტზე უნდა მიიღესრისე, გისკუპე. ფეხებით ძროხის ბეჭებ დაეცეც და სანამ იკვანეში გა-დატრიალებას მოვასტრებდი, ორმა წყვილმა მძლავრმა ხელმა შემაჩერა. მარჯვენი ანდრო გაბოშილი მიდგა, ხელმარცხენივ — როლანდ ჩარგეიშვილი.

— როგორ ხართ, ამხანავო რაულ?

— არა მიშავს, — სული მოვითქვი და მერე უკანასკნელ როლანდ ჩარგეიშვილს.

— მოხსენით საბმელები! — დაიძახა როინმა.

საბმელები სწრაფად აითრიეს ჩენენა ბიჭებმა და ნავი ათულუხდა. გამოვედით თუ არა იმ „მყუდროებილან“, რომელსაც „ბალაკლავა“ ვვიქმნიდა, მაშინვე უზარმაზარი ტალღა დავგვეხანა. ტალღამ ნავი მთელი 45 გრადუსით შეაბრუნა და მერე ციც ჩემერებში გაგვანვია. ერთ წუთს ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, რომ მეგონა იკვანეში ვეგდე და არა ჩენენ ნავში.

ମେଲ୍ଲାଙ୍ଗ ଗୁରୁତ୍ବପୂର୍ଣ୍ଣ ବୀପ୍ତି ବୀପ୍ତି ବୀପ୍ତି ବୀପ୍ତି ବୀପ୍ତି
ଦିନା ଦିନ ଜ୍ଞାନେବଳ ମହାକାଶ ଗାନ୍ଧୀଯିନୀ ଅନ୍ଧରା ଦିନ
ଶକ୍ତିବାନୀ, ରହ୍ଯୁକାରୁ ଶୈଖଳିତ ବ୍ୟାପକର୍ଣ୍ଣ, ମାତ୍ରା
କାଥ ଯେ ସାହେବ ମାଲୀନ ନେଇଲେ ପୁର, ରାଧାକନ୍ତ
ତାତୋକ୍ଷମି ପ୍ରକାଶର ପ୍ରାଣରେ ପ୍ରାଣରେ ପ୍ରାଣରେ
ମୁଣ୍ଡ ସକିନ୍ଦାରୁ.

საცივემ მთლად ამიტანა. ქარიც სახეში
მცემდა. თუ, რა დაწყევლილი მგზავრობა იყო.

საბმელები ვტყოჩინეთ. გერხე კარაცი თა ტაცეს კაპირინის მაჭის სიმსხო საბმელები და მსხვილ ძელაყინებზე დაახვიეთ.

პირველი მე უნდა აგსულიყავი. მიზანი კეთილდღიურებიდა, როგორ ეხეთქმბოდა ჩვენი მიმედინავი გემს. ასელის დროს ნავსა და გემს შორის რომ მოგმეცდარიყავი... ნახვამდის, ატლანტი!

ნაგება წელ-წელად იშვით ზევით აგორება. ტკ
ვაკეშადე და როცა კორპუსს ვაუსწორდა
ტრაპისაკენ ვისუქებ. ნახტომი კარგად მოზო
მილი გამოდგა. ახლა მთვარი იყო ფეხები მა
ნამ გადამეტანა გემბანზე, სანამ ნავი კვლა
მოეხერხებოდა ბორტს. მიუხედავად იმის,
რომ მთლიან სველი ვიყავი (საცლებელიძ მო
ყოლებული), მიუხედავად იმისა, რომ გალი
იძას. რომ წინა პერიოდებისაგან განსხვავებით
ბიზანტიისთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთო-
ბაში ჩაბმულია არა მხოლოდ საქართველო და
სომხეთი, არამედ ძეველი ალვანეთის სამეფოს
სამხრეთი პროვინციებიც.

ამავე დროს აღსანშავია ისიც, რომ X ს.
აკევებული ვაჭრობა ხალიფატისა ჩრდილოეთ-
თან, XI ს-ის დასაწყისიდანვე კვეთოსად ეცემა.
ეს გამოწვევული უნდა ყოფილიყო პოლიტიკუ-
რი მოვლენებით ჩრდილოეთ კავკასიის სტეპე-
ბში (მომთაბარე ყიბჩაყების შემსევე).

X I ს-ის მეორე ნახევრიში ვითარება იცვლება
ამიერკავკასიაშიც. ველური თურქ-სელჩუკების
გამნადურებელმა — შემოსევებმა (60-80-იანი
წლები), შეარყის ამიერკავკასიის ქვეყნების
ეკონომიკური კეთილდღეობა, რასაც, რა თქმა
უნდა, ძლიერ უარყოფითი გავლენა უნდა მო-
ენდინა სატრანზიტო ვაჭრობაზეც.

მიუხედავად ამისა XI ს-ის ბოლოდან, თურქ-

დაგით მუსელიზაციი

ფეოდალური ხანის საქართველოს და
ამიერკავკასიის მიზანების საერთაშო-
რისო გაჭრობაში

სახელმწიფოს სახელმწიფოს შედარებითი სისუსტისა და დაშლილობის პირობებში საქართველოს სამეცნ კვლავ დაადგა ეკონომიკური და პოლიტიკური ოლორძინების გზას და პრეწინგვა-ლე პოლიტიკური მოღვაწის, დავით აღმაშენებლის ენერგიული მცდელობის შედეგად XII ს-ის ოციანი წლებისთვის თთქმის მთელი ამიერკავკასია გაერთიანდა. საქართველომ უშუალოდ შემოირთა ქრისტიანული სომხეთი (მდ. არაქსმდე) და დასავლეთი შირვანი (ძველი ალვანქითის სამეცნის შტაცარსჩრდილოეთი პროვინცია) ქალაქ შამახამდე. XII ს-ში და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოს, რომლის სუვერენიტეტის ემარჩილებოდნენ მუსლიმიანური ვასალური სახელმწიფოები: შირვანის სამეცნო, განძის, არზაქუმის და ერზანჯინის საამიროები, ხლათის სასულთნო. მისი გავლენა კრცელდებოდა მისი ინიციატივითვე შექმნილ ტრაქეზუნტის იმპერიაზე და, აგრეთვე, იმიერკავკასაზე. ცხადია, ეს იყო უაღრესად ხელსაყრელი ხანა საერთაშორისო სატრანზიტო ვაჟრობისათვის, რაც მოწმდება წერილობითი წყაროებით და მარტინალური ძეგლებითაც.

მათლაც, ერთერთი თანამედროვე ისტორიკოსი მიგვითითებს, რომ საქართველო ვაჭრობა განვითარებული იყო ერანსა და ამიერკავკასიულ ქალაქებს, თბილისს, დმანისსა და განძის შორის. დმანისი იმ დროს ფრიად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა და იქიდან ისევე, როგორც ყარსილან და ბარდავიდან ერანში აბრეშუმი გაქმონდათ. იყად. ი. ჯავახიშვილი ანნიშავს, რომ, თუ „რამდენად უნდა ყოფილიყო მე-12 ს-ში, თამარ მეფის დროს განვითარებული საქართველოში აღმიცემობა, უფრო იქიდან შეიძლება დავინახოთ, რომ საუკეთესო მატყლი ვაჭრებს საქართველოში ისეთი შორეული კვეყნიდან შემოჰკონდათ, როგორც ქ. ალექსანდრის იყო ისტორიკოსი მოგვითხოვთ, რომ თამარ მეფემ „იწყო ალექსანდრის ვაჭართვან მიღებულისა მატყლისაგან რთვდა და ქმნად შესამოსალისაო“.

საქართველოს შესვეუჩები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვაჭრობის განვითარება-აუკავებას. დავით აღმაშენებელმა, მაგალითად, მოგზაურ-ვაჭართათვის ქარგასლები და სასტუმროები ააგო, „აღმენა ქიდინ მდინარეთა ზედა სასტიკთა და გზანი საწყინოდ სავალნი ქვა-ფენიდ ყვნა“. თამარ მეფეც აშენებს გზის პირას უუნდუებს ანუ სასტუმროებს. ყველაფერი ეს გამიზნული იყო, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაცხოველებისათვის.

სამწაროდ, იმღრინდელ ქართველ ისტორიკოსებს საქართველო მწირი ჩვენებები შემოუნახავთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ივ.

ჯვარიშვილს იმკურებილი აქვს ქართული წყაროებიდან ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც ეხება საქართველოს სავაჭრო ურთიერთობას დასავლეთთან და აღმოსავლეთთან. ვარდობა გააჩვებული იყო არაბეთთან, ერანთან, ბიზანტიისთან. „მობარდადე“ სოვლაზებს ბალადიდან და ერან-არაბეთის სხვადასხვა ქალაქებიდან შემოქმედდათ: აფი ბალდალური, ჭუბაჩა — (მოცლე სამოსლი, პერანგივით), მატყლი, ლრი, სხვადასხვა ძირიასი ქსოვილები, რომელთაც „ტურფას“ უწოდებდნენ; ოქროქსოვილები, რომელსაც ზარქმი ეწოდებოდა; ნელსაცხებელი — ბალასანი, მუშკი და ქალური, თათრული აღვიჩები სადაფით შეგვული, პატარა ყუთები ზარედნებიან წიდებული, ოქროს ზოდები — ზარქანი; ფოლადი, ძეირფასი თვალ-მარგალიტი, ბადაზშანური ლალი, იავუნდი, ფირუზი, სადაფი და ბროლი.

ბიზანტიიდან შემოქმედდათ: ქსოვილები — კუბასტი (ლეჩიქი), სტავრა (-ოქროქსოვილი), ოქროქსოვილი „საერამანგი“; ყოველგვარი სამღვდელმასტური და სეკულური ნივთები: ხატები, სურათები და სხვ.

სომხეთიდან — „ტაბასტაც სომხური“, რაც აედ. ნ. მარის მიხედვით, ძეირფას სომხურ ფარდავებს უნდა ნიშანვდეს და სხვ.

ჩვენი აბეკოლოგების გამოვლევებიდან ირკვევა, რომ XI-XIII სს-ში საქართველოში შემოქმედდა ბიზანტიური მოცირებული და თეთრეკუცანი ჭურჭელი (სახუმი, ქუთასი, ვანი, ფოთი, ციხისძირი, გონია და სხვ.), სომხური და ერანული ფაიანი (რუსთავი, თბილისი, დმანისი, გუდარეხი, უგარმა).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საანტერესოა ნაქალაქარ დმანისის გათხრები, რომლის შედევრად გარევა, რომ ქალაქს თვისი დროშე სავაჭრო ურთიერთობა შემონა, ერთის მხრივ, ჩრდილოეთ შევიზუალისპინგრების ქალაქებს, რომელთაც ნ. მარის აზრით, „საქართველოს სამეცნიერების ძრტყინვალური ხანაში კვლავ მოიპოვეს მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში“. ნ. მარი მრავალი წლების მანძილზე თხრიდა სომხეთის ძეველ დედქალაქებს ანისის, რომელიც როგორც ქალაქი, შიორედ XII-XIII სს-ში აყვავდა. გათხრების შედეგად იგი ასკვნიდა, რომ ამ ქალაქზე ვაღიარება ცხოველი მიყოფებული სავაჭრო არტერია. ანისი გადაიქცა საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რისი მოწმობაც არის იქ ქარვასლებისა და მის მახლობლად ათეულობით ხილების მშენებლობა.

რომ საქართველოს სახელმწიფოს XI-XIII

სს-ში ფრიად დილი მნიშვნელობა პქონდა სა-
ერთაშორისო გაჭრობაში, ამის დამაღასტურე-
ბელი ფაქტია მთელ მის ტეტიტორიაზე იმ
დროს გარცელებული ბიზანტიური ოქროს და
ტრაპეზუნტული კვრცხლის მონეტების გვერ-
დით, სხვადასხვა მუსლიმანური ქვეყნების სპი-
ლენძისა და ვერცხლის მონეტები.

ამგარი გაცხოვებული სავაჭრო-ეკონომი-
ური ურთიერთობა ინერციით კარგა ხანს
გრძელდება XIII ს-შიც, მიუხედავად მონლოლ-
თა შემოსევისა, რომელმაც, რა თქმი უნდა, უარ-
ყოფითი გავლენა იქონია ამიერკავკასიის ქალ-
ქების ეკონომიურ და კულტურულ-კეთილდღე-
ობაზე, მაგრამ XIII ს-ის ბოლოდან და
XIV ს-ში ჯერ მონლოლთა და შემდეგ თემურ-
ლენგის ურდოების დამანგრეველი თარეშის

შედეგად ქვეყნის ეკონომიკა მოიშალა, ქალა-
ქები დაკინდა და მოსახლეობისაგან დაცარი-
ელდა. ამას დაემატა ისიც, რომ დასავლეთისა-
და აღმოსავლეთის შემაერთებელმა სავაჭრო
მაგისტრალებმა შექმნილი პოლიტიკური გოთა-
რების გამო სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს. ყვე-
ლაფერ ამას შედეგად მოჰყვა XV ს-ში ერთიანი
საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც მთელ
კავკასიას ერთიანებდა, ცალკეულ სამეფო-სამ-
თავროებად დაშლა. შემდგომშიც მახლობელ
აღმოსავლეთში პოლიტიკური მოვლენები არა-
კეთილსაურველად წარიმართა და იმიერკავ-
კასამ და, კერძოდ, საქართველომ საბოლოოდ
დაპკარგა თავისი ოდინდღელი მნიშვნელობა სა-
ერთაშორისო გაჭრობაში დასავლეთსა და აღმო-
სავლეთს შორის.



କର୍ମପତ୍ରିକା

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

სომხეთის ამავი, ფიქრი და გულისხმა

სწორედ ასე მონათლა თავისი რჩეული პოეტური შემოქმედება კარლო კალაძემ.

და მართლაც, ყველაფერი, რაც მის ორ სოლი-
დურ ტამშა თავმოყრილი, არის ჩევნი თანა-
მედროვე თუ წარსული ცხოვრების მრავალ-
წანნაგოვანი სინამდვილე, სხვადასხვაგოვა-
როვანი ასპექტით ღანახული და გააზრებული.
ეს არის —

မဝါဒ၊ ရွှေလှိုင်တံ့သံမာရီ၊ ၃၁၊ ၁၉၆၂၊ ၁၇၈၄

დაფიქტებაც და ძიებაც,

სიხარულიც და წესილიც...

კარლო კალაძემ, როგორც პიოტრმა, საინტერესო გზა განვლო აციანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე.

ეს გზა მეტად მყავილდ აისახა მის ორ ტომში, სადაც თქვენ იპოვთ ოცანი წლების სო-ციალურ-პრობლემური ლექსების თუ კულტურული ათიანი წლების სატრადიციალო ლირიკის, ორმოცა-ანი წლების პატრიოტული სიმძაფრით დაღ-დასმულ თუ სამოცავანი წლების მოქალაქეობ-რივ-პოლიტიკური პოზიციის ნიმუშებს. კულტურან და ყველაფერში ჩანს მისი, როგორც თანამედ-როვეობის მსატვრის, განსაკუთრებული ინტე-რესი დიდი პრობლემებისადმი, ეპოქისეულ მოვლენებისადმი და ამ მოვლენათა პოეტური შეცნობის ორიგინალური ასპექტების ძიება-მინება.

ამიტომაც არის ალბეჭდილი ეპოქის მთავარი
ეტაპების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
უზლიერი ცხოვრების დამახასიათებითი მოვალ-

ებით კ. კალაძის მთელი შემოქმედება, ამის გამო, რომ, ბუნებრივად, ეპოქის გამოცდილება თავისებურ ეტაპობრივ გამოხატულებას პოლობს კ. კალაძის პოზიტივი. ამ პოზიტივის კანონ-ზომიერული თავისებურება სწორედ ისიც არის, რომ რა უფრო სრულყოფილი ხდება ეს გამოცდილება, მით უფრო იხვეწება მხატვრის მთელი შემოქმედება, მეტ სრულყოფილებასა და ფართომომცველობით უნჯვალის იძენენ ცალკეული პოეტური სახეები თუ მთელი ხატვან-აღჭმითი სისტემა. თვით ეს ისტორიული გამოცდილება, მისი პერსპექტიული განვითარებით, ყოველთვის ზემოქმედებდა კ. კალაძის პოზიტივი. იგი ეხმარებოდა პოეტს, როგორც გოთე იტყოდა, ცოცხლად შეეგრძნონ სინამდვილე და ყოველთვის შეენარჩუნებინა ამ სინამდვილის ამონაზოგის უნარი

კარლო კალაძის შემოქმედებისათვის ნიშნე-
ულია არა საერთოდ პრობლემური სიმახულე,
არამედ ამ პრობლემათა კონკრეტულ ეტაპობ-
რივ ფარგლებში მოქცევა; მისი პოეტური
აღმა-შეწერებითი დამოკიდებულება ამი თუ
იმ პრობლემისადმი მოცემულია ვარკვეული
ჟრიალის ლექსებში. პოეტის ამ ჟრიალის ლი-
რიკა რომელიაც გარკვეული სიჩშირის ტალ-
აზება მომართული და დაუინებით ქმნის სტერე-
ოტიპულ-შთამბეჭდავ პოეტურ ცდერას. ეს მო-
წმობს აშკარა მისწრაფებას პოეტური აზრის
გამიზნულობისაკენ, მთელი მისი სტრიქის
გარკვეული ესთეტიკური ამოცანისადმი და-
კვებდებარებისაკენ, პოეტური აღქმის პრო-
ცესის გარკვეულ კალაპოტში მოქცევისაკენ.
იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თავისი სა-
თქმელი ამა თუ იმ საგანზე პოეტმა სწორედ
გარკვეულ დროს უნდა თქვას ამომწურავად,
რომ მომავლში აღარ დატბორუნდეს მას. და
თუ ხანდახან მის პოეტურ სულს მაინც მოუნდე-

ଶା ମିଥିରୁନ୍ତେବେ କାପରନ୍ଦି ମନ୍ତ୍ରିଙ୍କେବିଲା ତା କରିବଲୁ-
ମେଧିବିଲୁଏକ, ଏହି ମେତାଲୁଲାଦ ମାତି ଉଠିଗାରି ଗାବେଶ-
ନ୍ତର ଲାଦ ମତଳାନାଦ ଶେମନ୍ତମେଲୁଦେବିଟି ଆଖିଲିଲ
ଶ୍ରୀଯୁତୀ ପାଶିରିଲା ଶେନାରହିନ୍ତେବିଲାଏକ ଫିଲାଗୁରା!

ასეთი დაუინგბითი წვდომა, ღრმა სტერეოოფ-
პული მონახაზი როგორლაც ცალკე ჩაალებად
ჰქიანვს, ვთქვათ, ოციანი თუ ოცდათიანი წლე-
ბის, ომის დროინდელ თუ თანამედროვე გრა-
ძის მის ლექსებს.

პირებული აზრის ამგვარი იღებულ-თემატიური
გამანაცილება, როდესაც პირველ პლანზე გამო-
დის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების თუ
ლირიკული გმირის სულიერი მდგომარეობის
გარეველი ასპექტით ხილვა, თავისებურ, ორი-
გინალურ ხასიათს აძლევს კ. კალაძის მთვლ-
შემოქმედებას, კერძოდ — მის ლირიკას. ასეთი
კონცენტრირებული პოეტური ხილვით, ძირი-
თადად, ხაზგასმლიას სწორედ მთელი ეპოქის
გარეველი პერიოდების ხასიათი და აღმიარება
რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა აღნიშ-
ნულ პერიოდებში.

დაცნულოთ ოციანი წლებით. კ. კალაძის ოცანი მდგრადი წლების პოეზიისათვის დამახასათებელია უფრო მეტი გატაცება სოციალურ-პოლიტიკური თემატიკით, ახალი ადამიანით, მეცნიერების ისტორიულად აუცილებელი მსხვერევისა და ახლის ასევე აუცილებელი დამეკიდრების პათოსით („ნახტომი გულიდან“, „ენგურის მთები“, „მხედრული“, „ბალადა“, „ვყოფილვარ ცაში“, „ზღვის მიერ მიტოვებულ მთებში“, „ჭოროხის ვზით“, „ამბავი ფარელ ამხანგების, თქმული კარლო კალაძის მიერ“, „უჩარდიონინი“). სწორედ ამ პათოსის მრავალფეროვან აღქმაა პოეტის მთავარი საზრუნვა ამ დროს. ამიტომ არის შეზღვებული ოციანი წლების მისი ლირიკა შეძარი პატრიოტული მოტივით თუ ინტიმური განწყობილებებითც („ძახილი აღმოსავლეთს“, „ზამთარი“); ამიტომ ისმის მის ლექსებში „ტანდახეხილი“ კლდეების გმინვაც და მკვიდრდება მთებში „გათხრილი გზების“ შთამბეჭდავი სურათც; ამიტომ ხორციელდება წარსულის რათაც; ამიტომ ხილვა ახალი სამშობლის მშვერფარაგიდან („გველი ქართული წარწერები“); ვალებიდან („გველი ქართული წარწერები“); ამიტომ წმიდაუწმენ აწუხებს პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედი, ასე მჭიდროდ დაკავშირებული ახალი საქართველოს სინამდვილესთან, ახალი დროის პოეტურ სტიქიასთან:

გარბოდა ოერგი და, ქორბულა მთებიდან
გაფრინდა მერანი — ჭარ და ჭარ!..

— ସୁର୍ଯ୍ୟଙ୍କିଳଣ, ଏହି ପାଇଁ କାହାର ଗ୍ରାହକମିଶନଙ୍କୁ —
— ଉଚ୍ଚର୍ଗିଲାଣ୍ଡ, ଏହି ପାଇଁ କାହାର — ଉଚ୍ଚର୍ଗିଲାଣ୍ଡ କାହାର!
... ଗ୍ରାହିତ୍ବ ଦା ଗ୍ରାହକତ୍ବାଟି! ଲାନ୍ଡିଂ-ଲା ଗାଢାଶ୍ଵରା
ୟୁଦ୍ଧକର୍ତ୍ତାଙ୍କରିତା ସିରାଜେଶ୍, ଶାଶ୍ଵତ ଦା କରୁଣ୍ଣେ.
ଫିରୀବା — ରାଜୀବା — ତାହା ରାମିଶ ବ୍ୟାପଙ୍କରେ —
— ଏକାକ୍ରମେ କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା କୁର୍ରା

(„სირბილის შეძახილი“)

Ծպառատանոն Ծլեզին Մշմովմերգեթա՛նո կը լլաց
Ըստմոնանքնութեան Ընկառաց, Ցեր Օջալու
Ռէյքիս Ներմիթն Հանգուատա ցամաչեց ցամարտուլո
Պորագուլ-շհրենօնալո ցլումերենո. Եղմբա ոյս
Մշպացեթած Արևո Ծայցանուրեցնուլո Տանօցագործեթ
Հրոց Կոյցով Տաներեցըս Ցուցեցնեցտան, Ցաշրամ
Վի Ցուցեանտա Եցցուու Տակցեցի Ցանկ Ցոմմալոց-
Հրեցնուլած Ներմիթրաօ („Տաճամո“, „Հրցան“,
„Ցորէս Յանեցնուլո“, „Ցահրցիրա“, „Ցահրցիրա“,
„Ցայցէ Երտո Ցոյցնո“, „Ըուս Տաճամելոնի“, „Ցամմո-
Հրեթա“, „Ցացեցնուլու Ըօլո“, „Յալաճա Տոյցարցնո-
սա“, „Հրմանօ Ըոյցիսած“, „Ցոյցիսօցրուո ցանցաց-
Խուլուն“). Վի Ծրուուս Եցու Սեց Կոյց-Ըօլցենցա-
Ռուց, Հրցանուլաս „Եցրուուսիս ցանուալցեթո“,
Տիշորց Ես Ըուս Ծորուցնուլ Տոլցա-Օթմուու ցլումերենո
Մերութեան („Կալմաստա Ամեցցո“, „Տօնժածարցը Ցո-
Խուլուան Ցեխցուրա“, „Ալունին Քալ-Վայու Ըա-
Մեցնուրուո“).

მთელი ეს მეტად მღიდარი გამა განწყობილებებისა როგორლაც თავისებურ გამოხატვას

ପ୍ରକାଶକ ପରିଷଦ

ଓৰূপৰ বাজাৰটোৱে আৰু কোৱাৰ পৰি আৰু কোৱাৰ পৰি

პოულობს ქ. კალაძის ლექსში „მაქვს ერთი წიგნი“. ეს წარმოდგენილია როგორც ჩვენი წარ-სულის შეცნობა, ისე დღევანდელი დღის განცდა და მომავლის განცვერებაც. კონკრეტული პოე-ტური სახე „ერთი წიგნის“ მრავალმხრივი განხოგადების ფუნქციას იძენს. ეს არის: სამშო-ბლოზე, ქართულ სიტყვაზე ფიქრი, პოეტის მოწოდებისა და ადგილის შეცნობა, პოეტური ჟაგონების წყაროს ძება, დაფიქრება ცხოვ-რების მწვავე პრობლემებზე, პიროვნების და-უმორჩილებელი სულის აპოლოგია... ხოლო ყველავე ეს მინისენგბიათად დიდი ქართველი პოეტის კონკრეტული სახის ასოციაცური წარმოსახვითაა გააზრებული:

...მაქვს ერთი წიგნი ფიქრო გასართველად,
მთაწმინდის ერთი შემოლამება!

...და ისე როგორც ასი წლის წინათ:
თვალისუწყდომელ წამივათ ჩქარი
ჩვენს დარბაზებშიც გაიცლის ჩრდილად!
...სხვა ჩემდა ბედად რა უნდა მწამდეს,
ხელთ სხვა რა წიგნი მაქვს გადაშლილი,
სად გამითონდეს, სად დამიღამდეს,
სად ვაახო ჩემი ბარათაშვილი?!

ორმოცანი წლების შემოქმედებაში, ბუნებ-რივად, ძლიერ გაქანებას პოულობს პატრიოტუ-ლი ლირიკა, რომელსაც გამოხატებს ბევრი სხვადასხვა ფოკუსი აქვს: ომი და ფიქრები საშობლოზე, ადამიანთა სიმამაცე და უკვდავე-ბა, შორეული წარსულის გმირთა გახსნება, ქართველი ქალი — სამთბლოს სიმბოლური სახე, მშობლიური მიწა-წყლის მფარველი და მამოძრავებელი ძალა შორეული პრძოლის ველებზე გასული ქართველი კაცისა, პოეტის უშუალო შეხევდრა ომის ქარცეცხლთან, თბი-ლის, რომლის სიღადის შეცნობა თუ ბერძე წუნილიც განსაკუთრებით სწორედ ომის წლებ-ში იჩენს თავს და ა. შ.

1941-45 წლების ლექსგბში მსოფლიო ომი დანახულია როგორც, ერთი მხრივ, ადამიანთა დიდი ორაგედია, ხოლო, მეორე მხრივ, მათი გამოცდისა და ჭრთობის უძლიერესი თუ უსას-ტიკესი ფერტორი. პოეტი იმს გაიზრებს არა მისი გიგანტური ბატალიებით და მასშტაბებით, არამედ რიგოთი მებრძოლის კონკრეტული სუ-ლიერი მდგომარეობით, მისი მიკროგანცდებთ. ლირიკული გმირი ხან ზურგიან არიგიანლუ-რად აღიქვამს ფრონტს და ხანაც — უშუალო სანგრების სუნთქვას გამოგვცემს. მაგრამ, სა-დაც არ უნდა იყოს იგი, ალაზნის ველზე თუ თერგის ნაპირებზე, წარმოსახული მშობლიური ცაცხების ძირას თუ „ტორებდალეშილი ბალის კარებთან“, ყველან მისი სულიერი მომართუ-ლობა ერთია. „ქართულ ბალადაში“, „საარტი-ლერიო დუელში“, „კავკასიონში“, „ბუქრაულ-ში“ ქართველი მეორის სახე დახატულია მკვეთ-რი, მთამბეჭდავი ფერებით. ქართველი მებრძო-

ლი აქ წარმოსახულია არა თაგზეხელადებულ მეორად, არამედ გონიერ გმირად, ვინც იცის, რას ეწირება მისი სიცოცხლე, მისი მთელი გამოცდილება.

ამიტომ ლაპარაკობს მისი გმირი ასე გულ-დაჯერებით თავის დიდ შინაგან სიმართლეზე („წერილი დედას“) და ამიტომ არის ურევეი გახა ბუქრაულის რშმენა, რომ იგი შესცვლის „მსჯავრს უბედურებსა“.

სწორედ ეს რშმენა მშობლიური მიწის უკვდა-ვებისა, მისი მუდმივი განახლებისა გამსჭვა-ლავს ქ. კალაძის ომისძროინდელ ლირიკას ოპტიმიზმის უძლევი სულით. ჯერ კიდევ მცე-მებთა შორეული გრიალის ხმელში გაისმის მისი დაჯერებული გულის ხმა:

ეზოდ მწვანე მოლი მიყვარს,
ცაცხის ჩრდილქვეშ გაგებული,
ბინად — ძველი წაბლის ოდა,
ჩემი ხელით აგებული,
მთის ფერდობი მოშრიალე,
ახლად გავენახებული!
...ახლა მესხეთს ჩამოგასახლდი,
ჩემია და ჩემად მინდა!
დაცემული სისხლის წვეთი
აქ დრო-უამაც ვერ აშმინდა,
ფრთადაჭრილი შევარდდენი
ისევ მხარჭე შემაცრინდა!

(„მესხეთში“)

აქ გაცხადებული ქართული სულის დაბრუ-ნება ძველ მიწაზე მეტად სიმპტომური იყო სწორედ 1944 წლისათვის (ლექსის დაწერის დრო). თავის ძველისძველ მიწებზე კვლავ და-მევიღებისაკენ მისწრაფების სულისკვეთება, ამ სანუკეარი ოცნების გარდაცმა. პრეტიკის საგნად ძლიერ ახლო იყო იმიდან კვლავ მშობ-ლიურ მიწასთან დაბრუნების საყოველთაო-სა-ხალხო განწყობილებასთან.

პატრიოტიზმის ეს მომძლავრებული მოტივი თავის ბუნებრივ გაგრძელებას პოულობს უშე-ალოდ მისისშემდგომი პერიოდის ლირიკულიც, მაგრამ არა მექანიკურად; მაში კლინდება ახალი თვისისბრივი ელემენტი, ომის წლებში დახატულ ფიქრთა უფრო გულდინჭი განსხა, ძველ ეროვ-ნულ ტკიფილებთან მთი დაკაშირება, კონკრე-ტული ეროვნული ცნობიერების მეტი მასშტა-ბური განვითარა („კაბაბერის ველი“, „კავკასიონ-ზე“, „წარწერა ქვაზე“, „ალბანა, საირმე“, „ზღვა და რიწის ტბა“, „ლაზური ბალადა“, „მტკვრის ტალღები“, „თბილისის დილა“, „სამგორის ველ-ზე“, „პურის ყანებში“, „დნეპრის ნაპირი შორს, არას, განა?...“, „გურამიშვილის საფლავთან“, „შეხევდრა“).

ამ პერიოდის ლექსებში შემჩნევა აგრეთვე; მიბრუნება სოფლური „იდილიისაკენ“ („დედა“, „ჩემი სოფელი“, „წაბლის ტყე“, „ხელადა“, „არაკი ბუქრის წინ“, „სოფლელი გოგო და მთი-

შპი სკანი“, „დელი ქელქები“). მაგრამ კ. კალაძისათვის სოფელი ეგზოტიკური გატაცების სკანი და არ არის ან ბავშვობის ღრისის მოგონებებს კი არ აღძრავს. ეს არის დიდი ცხოვრების საჩიტოელი და გარემო. მისი განუზომელი მაღლი შენაგანი სულიერი სისპერაცის თავისებური წყარო.

სადაც არ უნდა ვიყო, ვით ხვედრა, ბოლოს აქ მოდის ჩემი გზა-კვალი...
...აქ არის ჩემი ეჭო მზიანი,
მუდამ ხაამო და საყარელი,
როგორც ჩარგალი, როგორც ყვარელი,
როგორც ბესიკის ბალის შრიალი,
(„ჩემი სოფელი“)

სოფელი და დედა პოეტისათვის ერთგვარად განუყრელი ცნებებია. დედა და ქრა — ეს იგივე დიდი სამობლო თავისი კონკრეტული გისამართით, ხოლო კონკრეტული მისამართი კონკრეტული პოეტური სახეა: „ძველთა ქველი ზინა“, „ყარდაბალი ფიცრული“, „შუა ცეცხლით გადანისლული“, „კვირით გადანისლული“. პოეტი თიტქოს გაკვრით ამბობს —

განა მხოლოდ ჩრდილოეთში,
განა მხოლოდ ორგის მხარეს,
განა მხოლოდ შორეული
გრძოლის ველი ატიალეს,
მწუხარების გრიგალებმა
ამ ფიცრულზეც ვადიარეს!..,

მაგრამ ამ „კვამლით გადანისლული“ ფაცრულის მჟღელი ისტორიაში გააშეარავებულია მთელი ეპოქების სისახტიცეც და მოცემულია უქროზი კერის აპოლოგიაც:

ჩვენი მისვლის უმაღ ზრუნვით
შეიჩევა ფრთხი თავშლის,
აფრთვენდება ჩვენი ცეცხალი.
და მუხლდაბალ სუფრას გაშლის.
...ჩვენც აქ მისთვის ვაკრიბებით,
მისთვის ვკიფვარს ჩვენა კრა, —
დავის, როგორც დედის ვული,
როგორც დედის თვალთა ცერა!

(„დედა“)

შობლიური კერის განუქაველი სურნელი უამსხეულოს კ. კალაძის ლექსებს: „მეღოვები“, „მამწვევებელი ქალი სოფლად“, „როგორ დეგება გატაფხული“. ეს ამოწურულავი, მუდიშ ჭაბუკური გატაცების თემა პოეტისათვის.

შემტევ ღვება ახალი პერიოდი პოეტის შემოქმედებაში თემატიკის, საგანთა თუ მოვლენათა გაზრდების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ გამოხატვის საგანი, მასალა, ე. წ. „პირველადი მატერია“ ამ დროს თავისთავად დიდად არ ვასხვავდება წინა პერიოდისაგან: იგივე შობლიური პერიოდი, იგივე პატრიოტული

მოტივები, იგივე გარემო. მაგრამ ყოველივე ეს სრულიად ახალ გააზრებას, ახალ ასპექტს იძებს და, ამდენად, ახალ, დამოუკიდებელ ფენომენად იქცევა.

„კლდეთა ფურცლები“ მისცა სათაურად ორმოცდათანი წლების შუალედში შექმნილ ამ ღვესებს პოეტმა.

პირველყოვლისა, აქ ყურადღებას იქცევს ქართული ქვის, ქართული მაღნის საგალობელი („ალისფერი მარმარილო“, „თეთრი ქვა“, „გზა ტყიაბულისკენ“, „გვიმრის ფოთოლი“, „ლაგის ნამსხრევი“, „კლდეთა ფურცლებშე მინაწერი“, „მთების დარბაზი“, „ასეა, როცა თავს შეგაყვარებს“ „ტბა ხარისთვალა“). მაგრამ ქართული ქვა თუ მაღნი — ეს საოცარი მაღლი ქართული ბუნებისა — პოეტისათვის თავისთავად არა-ფერია. მათ უდიდეს ძალასა და მშენებების ანიჭებს ადმინისტრაცია, ამდენად წიაღისეულის აპოლოგია პოეტის შემოქმედებაში ვლანდება ამავე დროს, როგორც აღამინის ყოვლისმძღვე უნარის, მისი გარღვევის დალის, შემოქმედებითი შრომის დიდება.

ორმოცდათანი წლების მიწურულსა და სამოციანი წლების დამდეგს ქმნის კ. კალაძე თავის ახალ პრობლემურ ციკლს „შვაი ზღვის პირა სახლი ავაგე...“

ზღვის „თემატიკა“ აღრეც ვლინდებოდა პოეტის ლირიკუში („ზღვა“, „ზღვის მიერ მიტოვებულ მთებში“, „ისევ ზღვა“). მაგრამ ეს იყო ერთგვარი წინამონხაზი დიდი პრობლემისა, რომელსაც ფართო ეროვნული ინტერესურაცია სწორედ უფრო გვან უნდა მიეღო. ასეც მოხდა. ამ ფართო და ორიგინალური რკალის ლექსებში არა მარტო დახატულია ქართული ზღვის საოცარი, მომეჯალიერებული სურათები, არამედ გახსნილია მისი მნიშვნელობაც ქართველი კაცისათვის.

ზღვა, როგორც საოცარი ძალით შთაგონებული პოეტური სახე, მთელი მისი მომხიბლველობით ჭერ კიდევ გალატიონ ტაბიები შემოიყვანა ქართულ პოეზიაში თავისი განუშეორებელი. პირობითად რომ ვთქვათ, აჭარული თუ აჭარული ციკლებით. კ. კალაძეს ამ შემთხვევაში გარევეული ძლიერი და არც თუ შორეული დიდი ტრადიცია დახვდა წინ. ასე რომ გალატიონის შემდევ ამ თემის მხატვრული გაზრება გარევეულ გაბედულ ნოვატიონბას მოითხოვდა პოეტისაგან. და ჩვენ ამგარი ნოვატიონბის — თვალსაჩინო ესთეტიკური მოვლენის — მოწმენი ვართ.

კ. კალაძე ზღვის ლექსებს, მისი ნაირების შეუდარებელ პერიოდებს ახალი სამიზნე მოუნახა. იგი ამ ციკლში თვითონ გამოჩნდა, რო-

გიორგი ვაჩავლიაძე

ცხოვრიშის ამგავი, უირი და გულისობრივი

გორც ქართული ზღვის სანაპიროს ტრადიციული მკიონი.

სწორედ ეს მოტივი გასდევს და ერთ ლირიკულ ჩანაფიქრად ჰქონდება მთელ ამ საკმაოდ მოზრდილ პოეტურ ჩატარებას, („საქართველოსკენ იჩქარის გემი“, „ეს რა დიდებულ დღეს დაცვესწარი“, „მთების მშვიდე კალთა“, „ენგური“, „ათონი დღისით“, „აფხაზური გაზაფხული“, „ქართული სიმღერა“, „ჩემს ბაღში“, „დიოსტერია“, „შავი ზღვა“, „ლამე ზღვისპირად“ და სხვ.):

მას შემძლია ზღვის გულში ჩავვვე, მისი მიწა და წყალი მშეურია, იქ არის ჩემი ქალაქი წალექვეშ, იქ არის ჩემი დისტაცია! ...მე სხვა იძელით თვალს ვერ გავახელ და მომთაბარედ ვერსად ვერ წავალ... შავი ზღვის პირად სახლი ავაგე, კოლხეთის ერთი მკიონი მეცა ვარ!

(„შავი ზღვის პირად სახლი ავაგე“)

ამასთან, პოეტის ეს განწყობილება და მრწამისი მეტად ბურებრივად, ქართველი კაცისათვის დამახსასიათებელი ტაქტითა და გულგაშლილობით ესამება მის მეგობართა და მომქმეთა მიმართ პატივისცემის დადგ გრძნობას:

ჩანჩქერების ხტომა გესმის და ზვირთების ჩქარი ტაში, აფხაზურად შრიალებენ ტყის ფოთლებიც ბიჭვინთაში!

(„ვისაც ლურჯა ცხენი უყვარს“)

ორი ტომის ლირიკას აგვირგვინებს ძირითადად უკანასკერელი წლების მნიშვნელზე შექმნილი ლექსები, რომლებშიც უკვე ნაცნობ მოტივებით ერთად, ბევრი ახალი თემა შემოტანილი და ორიგინალურად გაზრდებული.

ეს ლექსები პოეტს შემთხვევით როდი გაუერთონება საერთო სათაურის ქვეშ — „ჩემს ბაღში“. აქვე მოთავსებული ერთ-ერთი ლექსის ეს სათაური შეიძლება ყველაზე უკეთ გამოხატვებს მთელ იმ მრავალგვარ განწყობილებებს, კ. კალაძის უკანასკერელი ლექსები რომ შეიცვენ.

ცნება „ჩემი ბაღი“ ამ ლექსებში მეტად ფართო განზოგადებით ფუნქციას იქნენ. მასში აღბათ უნდა ვივარაუდოთ მთლიანად სამშობლოც და პოეტის უშუალო გარესაყაროც, ფქროთა და გრძნობათა დაუსრულებელი ჭიდილს ასპარეზიც და გაკონტრეტებული პოეტური სახეების მდიდარი გალერეაც, მოვლენების უშვერი დინებაც და სახეთა თუ საგანთა პოეტური აღმისი კონტრეტული იმსულებიც, ყოფა-ერების ცვალებადი არსიც და სიცოცხლის მუდმივი განახლების პროცესის აუცილებელი ხასიათიც.

უკველივე ამის განვენა ხდება კონკრეტული, მეტად მდიდარი ეროვნული მატერიალური გარემოს თუ ასევე მეტად მრავალმხრივი სულიერი სამყაროს ფარგლებში ცნება „ჩემის“ შესაბამისად. ამიტომ იღებს კონტრეტული სურათის სოდენ გაბედულ განზოგადებითს ხასიათს:

განდა ხეებთან ერთად გასცემ პასუხს დროებას —

მათ ტოტებშია ქარიშხალიც და მყუდროებაც! ...ბაღი პატარა კუნძულია პატარა სოფლის, მაგრამ ცა მისი, საოცნებოდ ყოველთვის მყიფნის.

...რაა თუ შუბლი ლამის ცვარმა არ დამისცვლა, ჩემს ბაღში თუ არ შევამჩნიე გარსკვლავთა ცვენა!

უკველი დილა ისე უნდა ალაპარაკდეს, რომ ჩემი ფართოდ გახელილი თვალი არ აკლდეს! („ჩემს ბაღში“)

ამ რიგის ლექსებში გაშეარავებულია, ერთი მხრივ, პოეტის დიდი რწმენა და ამ რწმენის უსაზღვრო სიყვარული, გააზრებული გაზაფხულის ალეგორიული სახით თუ მუდმივი განახლების პროცესის ორიგინალური ინტერპრეტაციით („გზაზებულის დღეა...“, „ფიქრები“, მწველი ფიქრები სამშობლოსა და მსოფლიოს ბეღზე, მის მომავალზე, ადამიანზე, საერთოდ, ქართველ კაზზე — კერძოდ („მე და ჩემი დილა“, „ვერციონ მთებზე გადმომდგარ ოდებს“, „ყორანი“, „მაგონდება განთიადი“, „დარიალი“, „გასასტრება ღამით მოსკოვი — თბილისი“) და, მეორე მხრივ, გადატანილი მძიმე დღეების ტრაგედია („სოლანლური“, „ტიციანი და პაოლო“, თაობათა ურთიერთობა („ისევ ფიქრები“, „გზა“) თუ წინაპართა და მეგობართა გასტენება („აკაზი“, „გაფა სახალხო დღესასწაულზე“, „უშანგი ჩენიძეს“, „იგლისი, წყნეთი“).

როცა კალლო კალაძის მთელ პოეტურ შემოქმედებას გაიზრებთ, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიქციოს ერთმა მეტად სინტერესო მოვლენამ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით იმ საყურადღებო ფაქტს, რომ ყოველ გარევეულ პერიოდს პოეტის შემოქმედებაში ახასიათებს ინტერესის გამახვილება რომელიმე გამორჩეულ პრობლემაზე. და ამ საინტერესო მოვლენას ემატება მეორე, ასევე საინტერესო ფაქტი ჩვენი პოეტური მეტყველების მთელს პრაქტიკაში.

როგორც წერ, ყოველი ასეთი ეტაპბრივი ლირიკული რეალი პოეტის შემოქმედებაში მთავრდება დიდი თუ მცირე ფორმის ეპიკური ჟანრის ნაწარმობით. იგი რეალის როგორილაც თავისებური გვირგვინია, რომელშიც შეწყვლია პოეტის ამ პერიოდის ლირიკული განწყობილებანი, ასლა უკვე ეპიკურ გაზრებას რომ იღებენ.

ავილოთ პოეტის ცაიანი წლების სოციალურ-პოლიტიკური ლირიკა გმბატყებული საზოგა-დოებრივი ცხოვრების გამოხატვის თავისი ტენ-დენციით. რით გვიგვინდება იგი? ორი ეპიკუ-რი პლანის ნაწარმოებით — „ამავი აჭარელ მხსნავების...“ და „უჩარლიონი“. ოცდაათანი წლების ლირიკას, რომელსაც საზოგადოებრივ-სოციალურ მოტივებთან ერთად ჰქვე ძლიერ ნაკადა ერთვის ინტიმურ-ლირიკულ განწყო-ბილებათა შემცველ ლექსის, ასევე ავარიგვი-ნებს ეპიკური ასევეტით გაზრდებული ციკლი „ხერთვისის განთაღდები“, ორიგინალური ეპისი „ბალადა სიყვარულისა“ თუ „მთების ეპისი“. ორმციანი წლების ლირიკას ძირითადად გა-მსჭვალვეს სამამულო რმის, სატრიოტიზმის თე-მატიკა. და აქაც ხომ ამ ვრცელი ნაკადის ბოლო-სართია პოემა „მზე ცეცხლის კვამში მოდიონ-და“. ორმოცდაათანი წლების მეორე ნახევრის და სამოციანი წლების ლირიკა, მისი მდიდარი თემატური ნაირსახეობის მიუხედავად, სამყა-როს პოეტური ხილვის კონცეფციის თვალ-საზრისით ჩვენ ძირითადად მაიც ერთი მთლი-ანი პოეტური განწყობილების ჩატარები მოვაწყი-ეთ. ამ რეალის ასევე შემაკავშირებელ გვირგვი-ნად გვევლინება ორიგინალური ლირიკული პოემები „ფერი გზადაგზა“, „მამა“, „მედი-ნადა“, რომელგმიც მოცემულია ახლა უკვე ეპი-კური გაზრდება ამ პერიოდის ძირითადი თემე-ბისა და პრობლემებისა: ა) სამშობლოს, მისი ბუნების, ქართველი კაცის, ქართული ქვის აპო-ლოგია („ფიქრი გზადაგზა“), ბ) თობათა ურთი-ერთობა, მამებისა და შვილების პრობლემა („მამა“), გ) შობლიური შიწა და ადამიანი, აფახვეთი („მედინადი“).

ეს მოვლენა საყურადღებოა არა იმდენად ლირიკულ-ეპიკური უანრების კანონზომიერული მონაცემების თორიგინალური ტენციის გა-მომდვრებით, რომდენდაც პოეტის მისწრა-ფებით უფრო მეტად სრულყოს, შინაგანად გამდიდროს, უფრო ფართო და მეტად ყოვ-ლისმომცველი განადოს თავისი ლირიკული გმრი, გააღმამოს და გაართულოს მისი შინა-განი, სულიერი სამყარო; მეტი სისტულით და-ინახოს, იგრძნოს, გამოხატოს აღსაქმელი საგანი თუ თემა.

ამისათვის ესაკიროება მას სხვადასხვაგარი განწყობილებების შემცველი თუ სხვადასხვა-გვარი მანერით დაწერილ ლექსთა მრავალ-ფერვანი გამა, სადაც თანაბარი ძალით უდერს მძაფრად გამოხატული პოლიტიკურ-საზოგადო-ებრივ-სოციალური იდეაც და მკაფიო ინტი-მური განწყობილებებიც. ამ და სხვა ამვარ გამათა პარმონიული შეხამება ქმნის ხან მეტად მაღალ (მომწოდებლურ-პათეტიკური) და ხანაც ღაბალ (სათუთი) რეგისტრებში ფერებულ ერთ მთლიანსა და შინაგანად ძლიერ პოეტურ სიმღერას მისი მრავალი ნიუანსით.

კარლო კალაძის პოეზიაში აღრინდელი ლირი-კული სილალის ადგილს თანამათან იშერს და-ჯიქრების, მოვლენათა სიღრმის მიების, განსჯის ტენციით. შესაძლოა, ამას ნაწილობრივ ეწი-რება, კიდეც აღრინდელი პაეროვნება და სი-მსუბუქებისა, მაგრამ სამაგიეროდ იგი იძენს მეტ გოსოლოლოგიურ ფუნქციას, უფრო „დინჯი“ და ერთგვარიდა „სოლიდურიც“ ხდება.

რასაკვირველია, გონებისეული განსჯის ეს მომძლვერება სრულებითაც არ ნიშანას ემო-ციური შთაგონებულობის უკუგდებას, პირიქით. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ სწორედ ასალი ფსიქოლოგიური სიღრმეების დინჯი-ძიება, მისწრაფება ამ სიღრმეების წვდომისაცნ-უფრო მეტად მოწესრეგებული რიგის სახეს აძლევს ემოციათა ძლიერ გამოვლენას პოეტის ლირიკუში.

თუ აღრე პოეტი, ვთქვათ იტყოდა —

იმას ვამბობდი... პო, ჩემს თვალწინ
ჩამაფიქრებლად

ხეების ხელი ძღვები ჰყიდია, და ირევიან,
მაღლა კანკალით უკანასკნელი ფოთოლი
კვდება

და ამოვარდნილ ქარის ხმებია!

და, ამგვარად, თუმცა საინტერესოდ გამო-ლენილ, მაგრამ მანც ლაპიდარულად რეალი-ზებულ ემოციურ პასუს შექმნიდა, ახლა მის მისულას ბუნების მოვლენებთან თუ აღამიანთა ყოფასთან მეტი გონებისეული ელემენტი გა-მსჭვალავს, შინაგანად უფრო დამუხტულიც არა და უფრო შეფარულიც:

შეც დამრჩა ცის ქვეშ ჩემი სალამ,
ჩემი ცცენება, ჩემი ღრუბლები,
სიხარულისა და სევდის გამო
ქვეყანას მეც აქ ვესაუბრები.

ან

მე ვარ ქვის ლოდი, გაკვამლული და
გაბჭარული.

მე ვარ ბაგრატის მკერდის ნატეხი.
ნაჩუქურომევი, ნაშენები, ვით სასწაული
თავზე ამ ქალაქს მე თვით ვადექი!

დაფიქრების, ჩარმავების შედევად ჩიდება-ისეთი ახალი პოეტური სახეები თუ სურათები, როგორიცაა: ათონი დღისით თუ ათონი ღამით, ათას ერთი დღის თუ ათას ერთი ღამის მირა-ჟები, შავი ვარდი თუ ქარისაგან გურამიშვილი-ვით გატაცებული ღრუბელთ ფთილები, „ურ-თხილი ფიქრით ფიქრის მიწობილი“ ტრტებევუშ მღგარი წყვილი ლინდები თუ ნაპერწყლებით დაჭორულილი ჭერი, როგორც საუკუნეთა სია-ვესთან ადამიანის ჭიდილის და გამარგვების სიმბოლური გაზრება და ა. შ.

გოოჩი მორგვილება

ცხოვრების ამბავი, ციდრი და გულისტამა

კველაზე მეტად ამ ტენცენტრამ თავისი
კონცენტრირებული გამოხატეა პირები თრივინა-
ლური მანერით დაწერილ, შედარებით ვრცელი
ქლანის ნატარმოებში — „მამა“.

„ମାତା“ ର୍ବନ୍ଦା ମିଶିବିନୀଟ ସାର୍ବତ୍ରାଳ ନାରୀରମଣେ-
ବାଲ କୁ କାଳାବିଦିଶ ଶେମର୍ଜମ୍ବେଲ୍ଫେଲ୍ଡଶିର. ଏହି ସାନ୍ଦର୍ଭରେ-
କୋ, ରା କୃତକିଂଚିତାପ ଏହି ର୍ବନ୍ଦା ଶ୍ଵେତ୍ରେଧିତ ଥିଲା:
ଅଶ୍ରୀକିମା ରା ଶମତ୍ରିଯିବି ଶ୍ଵେତ୍ର୍ସିଲ୍ଲେଶ୍ୱରି ଗାମିଗ୍ରୂପ୍-
ନିର୍ବାଚି, ଏହିବି ବିକ୍ରେତାରେ ରା ମିଶି କ୍ଷେତ୍ରଶାଖାରିର୍ଭେ-
ବିନ୍ଦିତାପ, ହରିଶ୍ଚାଲ ଶିଳ୍ପାଳୁଙ୍କରିବିଜ୍ଞାନ ମନ୍ଦିରରେବିଦିଶ
ବିନ୍ଦିରମ୍ଭିତ୍ତି ଶ୍ଵେତକିଂଚିତାପ, ଶ୍ଵେତାଲଙ୍କ ତମେଶୁରି ଲେ-
ତୀର୍ଥମାନିଶ ତମାଳସାକ୍ଷରିକିମିତାପ, ଶ୍ଵାଳ୍ଲୋଦି ଅଧିକାର-
ନିକ ଅଶ୍ରୀକାଳି ତୀର୍ଥମାନିଶ ଗୁରୁତ୍ବିନ୍ଦି ଗାମିକିତା ରା
ନିର୍ବାଚିଶୁରି ଶ୍ଵେତାଲୁଙ୍କିମାତାପ, ହରିଶ୍ଚାଲ ରା ଶିଳ୍ପା-
ମନ୍ଦିରରେବିଦିଶ ମନ୍ଦିରରେବିଦିଶ ଶ୍ଵେତାଲଙ୍କ ଶ୍ଵେତାଲି
ମନ୍ଦିରରେବିଦିଶ ମନ୍ଦିରରେବିଦିଶ ଶ୍ଵେତାଲଙ୍କ ଶ୍ଵେତାଲି

ဗျာတ်တော်အုပ်ဖြစ်ပါတယ် ဒဲလာဘာတ ဗျာ အရိုင် ၁၄၀
တာဝန်ပါ — မီမံမာတာ လူ ဖွေ့ကြတာ တာဝန်ပါတယ် —
ဖျော်ဖြတ်ရှာ၊ မာတာ ဂာတာဆောင်၊ မာတာ ရာဇ်ကြံရောင်
လောမာန်ပါ၊ ဒီခွေ့ကြပါ၊ လိုင် မီသွေ့ကြပြေပါ ဖျော်
မောက်ဖွေ့ကြပါ ဖွံ့ဖြေရောင်ပါ ပွဲဖွံ့ဗျာ။ အော်မာဆို
ဗျာတ်ဖြစ်လော်ဖွဲ့လော် ဤတော်အုပ် ဖျော်ဖြတ်ရောင်
တာဝန်ပါတယ် စုစုပေါင်း ရှေ့ကြပ်ရောင် ဖျော်ဖြတ်ရောင်
တာဝန်ပါတယ် စုစုပေါင်း ရှေ့ကြပ်ရောင် မီစိုင်ပါတယ်။ „မီမံမာ“ အရိုင်
တွက်ပေးပြောရှု၊ ဤတော် မီနှစ်ပါ၊ အဖွဲ့ဝင်ပေါက်ရာဖွား လူ
လုပ်လော်ပါ လူ၊ မီတော် မီနှစ်ပါ၊ အင်္ဂာရိပါတယ် ရှေ့
လုပ်လော်ပါ လူ၊ မီတော် မီနှစ်ပါ၊ အင်္ဂာရိပါတယ် ရှေ့

სურათი, რომლითაც იწყება პოემა, ფსიქოლოგიურად მეტად მძაფრია. იგი როგორიცაც „შემთხვევულია, როგორც პოემის გმირის ისკვებით, უფრისებითა და მოგონებებით („რა ვიღონო, რა ვთქვა, მჯერა თუ არ მჯერა — დამიგაბნა მზერა დაბლა თავის დახრამ, ჩემი მკვდარიც ველაზ დაკტირე, მაგრამ დავიტირო იქნება ჩემი შედის-

წერა!“), ასევე მძიმე განწყობილებების შეცნობით („ზინ ღიმილი მომყვა... მაგრამ რაღაც პევით მე და ჩემი ღამე, ვგრძნობ, უცეცხლოთ ვიწვით“).

და აი, ამ საერთო დაბაბულობის თუ შინაგანი
მღელვარების სიტუაციაში გმირინდება შეიღო-
თან სასაუბროდ შემოსული ლანდი მამისა, ვინც
მეოთხედი საუკუნის შემდევ ამოარღვის „ქვა და
ლორდი“ და შინ „მიწამიყრილი ამოსუნთქვა“
შემოიტანა. ამ სურათის მომღევნობა პასუებში
ეს გულის სიღრმემდე შემძრავი მირავი ბუ-
ნებრივად გადადის ჩეალური სინამდვილის
მაღალ პოეტურ გაცხადებაში. ხოლო ამ გადა-
სცლის ორიგინალურად გააზრებულ მომენტიად
უნდა ვიგულისისხმოთ მამის მონალოვი, რომლის
უაღრესად ჰუმანისტური და ოპტიმისტური
მუხტი უცრად ანელებს მძიმე ატმოსფეროს
და სრულებით ათავსოულებს თხრობას, არა-
სასიამოვნო დანაშრევებისაგან. მისი სული თავი-
სუფალია გაბოროტების თუ შუბისძიების გრძ-
ნობისაგან, რადგან მისთვის უცნობია „მწუხა-
დავებულ გმირთა“:

არ გვინოს, დაღლილ გულს აღმოხდეს
გმინვა,
ავგაცივით, მძვინვარ დრო-უას დაგსდო
ბრალი, —
ან ისეთი რა მძულს,
ან ისეთი ვინ ვარ —
რომ დავტოვო ქვეყნად მძულვარების დათო!

მისთვის მთავარია შინაგანი სიმართლის ურევი რწმენა და ეპოქის შეილის ვალის შეცნობა „რომ ჩევნ მყერლში ერთხელ მომზუდეული ული სუუკნის ერთხელ მოსუნთქვას ეყოს!“). მიტომაც დაბრუნების ამ ყამის მამამ მოიტანა ითხეა არა „რისოთხის?“, არამედ — „რას შეციტო, შევილო, ოცდშვიდი წელი?“ მან კარგად ცის, თუ რა დატოვა „ბრძოლამ“, სიცოცლეების მა და ონტერესებს, რას დატოვებს შეიღი.

და ას, იუგება თვით პოეტის მონილოგი —
იდი ღლარება მთელი თაობისა, ისტორია
ული მეოთხედი საუკუნისა მისი დაზი
მითი და აურაცხელი მსხვერპლით, ოჩნასული
ქმართებითა და რომანტიკით, მძაფრი ტეი-
ლებითა და შეფოთვარებით, ვონების ფონტა-
ნის უსაზღვრო გაქანებითა და კაცობრიობის
მავლის ბეჭებ ღრმა დაფიქრებით...

როგორც ორთოდოქსული რწმენის შემოწმებისა და განმტკიცების საშუალებას:

კველაფერი ცდაა, კველაფერი დროა,
დრო კი ისე ღრმა და ისე ხელვიშროა —
რომ ძლივს ვტებავ ახლა

წილი როგორ ჰყარა
თქვენ, იმედი მაინც არის იქ თუ არა?

და მოხუცი მამაც მიპასუხებს: — არის,
ვით სიცოცხლე ჩვენი, შუქი ჩვენი ოვალის!

ამ ფართო პორტოზონტზე გაშლილი ისტორიას
ხილვის პრიცესში პოემში თანდათან შემდიდე
მესამე თაბაძის სახე. მამასთან გაბაასებულ
შეიღი ახლა უკვე თვით აღმოჩნდება მამის
როლში და მას მეყვევილრეობით გადაცემა ხოლ
შე მამის შუქილიც შეიღის ბეჭდზე და დაღია
იძელიც მომავლისა (, შენს ფიქრებთან მიყვარს
ხელჩართული შემბა, დამაბეჭოს მინდა სიცა-
შუკე შენძა"). იგივე საზრუნვად, იგივე უიქ-
რები, იგივე კითხვა — როგორია მისი გზაზე
რას მოამარს იგი თავისი დავუჯაცების შე-
მდგომ მეოთხედ საუკუნეს?

პოემის ფუნალში ეს სამი სახე განსაკუთრებულ სიმბოლურ, მინიჭებითს ფუნქციას იღენს როგორც წარსულის, აშენებისა და მომავლის მთლიანობის. მათი მეტყველეობითი კაშირის უზყვეტობის შემცნება („ყველა წამი იშვიილობა“).

ପ୍ରାମିଳୀତେବେଳୁ, ଉନ୍ନତାଙ୍କ ନୀ ହାମିଲେଣ୍ଡା ରାମଟ୍ରେକ୍‌
ଟୀ ମେଡିକୁଲିନ୍ ପ୍ରାକ୍ଷେଳନ୍ଦିତ ହେବେ ଆମା ଦା ଏହି ବେଳୁ
ଯାଏ ଜୀବନକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ

James 3:1-6; 1 Cor. 10:14

క్రైస్తవ వార్గం కుండలి ప్రాణికి మొదటి విషయాలను అందించాలి.

ამასთანვე, კ. კალაძის შემოქმედებაში არის თაობათა, მათაც და შეიღლა ურთიერთბიძის გმოხარტვის მეორე ასპექტიც. მე პრობლემას თან მისცვლისას პყიტრი ყოველზეს ისტორიულ ჰეშმარიტების ფარგლებში ჩემგა. როდესაც დღის წესრიგში დგას მწვავე სოციალური კონფლიქტი, მისი გადაწყვეტაც კლისტობრივი ძალთ ჭიდილის, პროგრესულის ისტორიული ჰერსეპერივის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. გავის ხსენოთ ბააღურის კონფლიქტი შეილებთან — პასანთან და ხატიჯესთან („ამბავი აჭარელ აზნაურების...“) ან უჩარლიონის თაობისა ცულ დას თაობასთან („უჩარლიონი“) — ეს „ლელევისა და ქარიშხლის გამოვლინილი“ ისტორიები.

„ჰუარელი ამსნაგების ამბავში“ ხალხურა
ეპოსის ტრადიციული ფორმის გამოყენება
პოეტს დაგეხმარა პრობლემის რომანტიკულ გა-
ძლებასა და გადაწყვეტაში. „ჰუარელიში“ კი
ეს რომანტიკული საბურველი მოსნილია და
რეალური ცნოვების მთელი სისასტიკე ერთ-
გვარად ზეღმეტად გაშეშვლებულადაც კი არის
შარმოლგანილი. თუმცა პოემის მთავარ კმიტოთა
ბედის იმგვარი კონტასტირება, როდესაც
ერთი ილუსტრაცია, მაგრამ ცოცხლობს (პრინციპი:
მოკვდეს, რათა ოცოცხლოს!), ხოლო მეორე
ცოცხლობს, მაგრამ მკვდარია (პრინციპი: სა-
ცოცხლეშივე სიკვდილი), პრობლემის ორიგი-
ნალური და ასევე გაბეჭდული გადაწყვეტის
პირველი ცდა იყო ქართულ საბჭოთა პოეტურ
ეპოსში.

ଓ পৰৱেলুমাৰা শৈক্ষণিক, বৰষালুৰীপ্ৰ ক. ফাৰ্লাদ-
ইস উচ্চাবন্ধুবৰ্ণেলি ঢ়েবদিৰ শৈক্ষণ্যেভৰণৰ জন-
কুশলি মন্ত্ৰী প্ৰেসেন্ট, অৱৰী সাৰাংশৰ জন্যে দু তাৰিখ
ৰাখলৈ স মন্ত্ৰিযোগৰিলো এডমিনিস্ট্ৰেশন পৰৱেলুমাৰাৰ আৰ-
মে ট্ৰেজেচুৰা ঔষ্ঠেৰীলো লোকৰিঙ্গুলো পৰৱে মুহূৰ-
নাইড়— যে বৰ্ষেভৱে সুবৰ্ণাবৰ্ণ সিলেক্টৰা উত্তোলন-
কৰিলো শৈক্ষণিক “উচ্চাবন্ধু” এডমিনিস্ট্ৰেশন, বৰষালুৰী
শৈক্ষণিক প্ৰেসেন্ট আৰ হিমৰ্জিনৰ নিকটেৰে শৈক্ষণিক-
অধিবক্তৃতা পৰিবহন কৰিব।

କେବଳ ସାହିତ୍ୟରେ କଥା ନାହିଁ କିମ୍ବା ପାଦିତାରେ କଥା ନାହିଁ ।
ଯେତେ କଥା ନାହିଁ ଏହା କଥା ନାହିଁ ।

www.ijerpi.org | ISSN: 2278-5626 | Impact Factor: 3.42 | DOI: 10.1524/IJERPI.2018.0602

ଶିଳ୍ପିଙ୍କର ମାନକତ୍ୱରେ

ნისა; შედინადის პირადი ტრაგედია „ტალღასა-ვით გაჭაღარავება“ „მიტოვებული ნაპირის ძებნიში“, როდესაც ბოლოს და ბოლოს ნაპირი თითქოს ნაპოვნია, მაგრამ იგი მაინც უცხო აღმოჩნდება.

შესაძლოა, ეს ბოლო კონცეფცია სადაც იყოს: მართლაც, არაომ არ ხერხდება ადამიანის დაბრუნება საკუთარ ეროვნულ სეულთან? რატომ ხდება ასეთი სრული სულიერი გაუცხოება შედის უკუღმართობით საკუთარ კრას მოწყვეტილი დამამიანისა? არის თუ არა სრულ-ყოფილ და მოტკირებული ამ მხრივ მხატვრული სახე? შესაძლოა, აქ ვლინდებოდეს ერთავარ ნკლი იმ პოემისა მაგრამ იგი მაინც საინტერესო ეპიკურ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება ჩევნი ერისათვის მეტად მტკირებული და სათუთა პრობლემის ორიგინალური გააჩრებითაც და მაღალმოეტური მეტყველებითაც.

ორიოდე სიტყვაც კ. კალაძის პოეტური ეპოსის თავისებურებაზე კ. კალაძე ერთ-ერთი პირელია მათ შორის, ვინც ჩევნი დროის პოეტურ ეპოსში წარმატებით განხორციელა ეპიკურისა და ლირიკულის სიზთხი. ლირიკული ელემენტი განსაკუთრებით მომდლავრებული მის გმირე ეპიკური პლანის ისეთ ნაწარმოებებში, როგორიც არის „იმერული მოთხოვნა“, „მთების ეპოსი“, „ბალადა სიყვარულისა“, „ვაჟა სახახო დღესაწაულზე“, „ჯარისკაცები თერგის ნაპირებზე“, „მამა“ და სხვ. საერთოდ, კ. კალაძისათვის არ არსებობს ეპოსი შთამბეჭდვად გამოვლენილი ლირიკული ელემენტის გარეშე. იგი თვალსაჩინო ფუნქციას ასრულებს თვით ერთი შეცდითი ტრადიციული მანერით დაწერილ პოემებშიც კი („უჩარდიონი“, „მზე ცეცხლის კვამში ამოდიოდა“, „მედინადი“). პოეტის ღრმა რწმენით, თანამედროვე ეპიკოსი მუდაშ თან უნდა ახლდეს თვის გმირებს. როგორც მათი ამბავის არა მხოლოდ მომთხოვნელი, არა-მედ უშეალო მონაწილეც. ამიტომ ხედებიან დღესასწაულზე ვევს მისი გმირები და პოეტი ერთად („შეცყვურებს ხალხი, შეყყურებო ალუდა, მე და მინდია“); ამიტომ არის, რომ მთელი პოემა „მზე ცეცხლის კვამში ამოდიოდა“ შესრულებულია როგორც ეპიკოსი პოეტის ლირიკული საუბარი თვის გმირებთან, ხოლო „მედინადში“ ყველგან აშეარა მისი „თანა-არსებობა“ პოემის მთავარ გმირთან.

თვისი პოეტური კრედიტი კ. კალაძეს ბევრჯერ გამოიტვებას („მე ჩემი გულით, ჩემი ქართულით“, „მსურს — ჩემი გულისთქმა გაგაგონით“, „ჩემს სიკაბუკეს — ჩემი კალარა ხვდება, ვით ქუჩილს ცის მყუდროება“ და სხვ.). ისინი უზრაღებას იქცევენ ასაქერელი საგნის თვისი ბური გაზრებით, პოეტურ სახეთა, სიტუაციათა, გრძნობათა და ფიქრთა იმგარა წარმოსახვით. როდესაც ყველივე ეს გამოყენებულია მთავარი პოეტური მრწამსის გამოხატვის პარალელურ

მონახაზებად, გარსამოსად თუ შინაგანი წედომის საშუალებადაც ერთსა და იმავე დროს.

უსიტყვოდ ვის რა ვეზიარო, ვის რა გავანდო? მოკვდები, სიტყვის ნაპერწყალი რომ არ ავათო!

...ცაში ანძები ამღერებულ ლექსებს იშერენ, თქვენს გამოთიშვას, სარკმელებო, ვერ დავიჭრება!

თქვენი აწყობა რეინავ, ქვიტკირო

ურითომოდ როგორ წარმოვიდგინო...

...უველა სწრაცვა დედამიწის უველა ფრთისნების —

ანარეკლია მხოლოდ სიტყვის, მხოლოდ ოცნების...

...ახერ დაწერილს წავშლი ასხერაც,

აპა, დედა, ვისაც არ სჭრა —

მეც მიმოვნა, წყვილი სიტყვა მეც

დამკარგია...

— დაშვრა ამაოდ! — ვინ იტყვის ისევ, გულწართმებული ვინ არის ისე...

გულში თუ არა — სისხლის წვეთი სადლა ვეძომ!

...ლექსი რომ არა — ნესტანივით
ცისფერთავალება,

ქვეყნად სიცოცხლე სულზე უცრო ვის
ეყვარება?

(,,იმათ, ვინც ლექსი აითვალწუნეს“)

ასე, არა დეკლარაციულია, არამედ მოვლენებისა და ფაქტების საერთო კონცენტრირებული აღმით არის გაშეარავებული პოეტის დამკიდებულება საერთოდ მხატვრული ფენომენისადმი, კერძოდ, თვისი თვისადმი, როგორც შემოქმედისადმი.

ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ პოეტის კრედიტის გამომხატველ ლექსებშიც ძლიერად ვლინდება მთელი მისი ლირიკის დამახასათებელი. თვისება: ლირიკულ თუ ეპიკურ თხრობაში ერთმანეთს შეუხამოს თავისი ეპოქის ამბება, ამ ეპოქის ადამიანთა განწყობილებანი და საკუთარი სულიერი მდგომარეობა. კ. კალაძის ლექსების დიდი უმრავლესობა სწორედ ამ შემეცნებითა და ესთეტიკურ საწყისს ეყყარება.

ჩევნი აზრით, ეს განსაკუთრებულ სილადეს ანიჭებს მის ლირიკას, სადაც კონკრეტულის პოეტური განზოგადება და მეორადი — მხატვრული — სინამდვილის შექმნა ფართო მასშტაბებს ღიას.

კ. კალაძის პოეზია შეტად გვეკირველება ძირითადი ტენდენციის, მოვლენებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. მასში არის დამკვიდრების დიდი პათოსიც და უარყოფის მბატობი ელემენტიც, მაგრამ ყოველივე ეს ეყყარება მოვლენებში გარკვევის, მათი ობიექტური შეფასების პრინციპს. კ. კალაძის შემოქმედებაში შეფასებას, მსჯავრდებას ყოველთვის წინ უსწრებს მოვლენის არსში გარკვევა, რაც

ასე კლასიკურად გამოიხატა ჯერ კიდევ სპინოზას ცნობილი ფორმულით: „ყოველთვის, როდესაც კი ადამიანთა მოქმედებაზე დაფიქტრებულვარ, იმით კი არ დამდწყია, რომ დამეცნა, დავღონებულიყავ ან დამეგმო, არამედ პირველყოვალისა გამეგო იგი“.

მხოლოდ ასეთი დამკუიდებულება იძლევა ჰეშმარიტი მხატვრული განზოგადების, როგორც ობიექტური ხატვანი სინამდვილის შექმნის, საშუალებას.

კ. კალაძის მანერისათვის დამახსიათებელია მეტად შთამბეჭდავი, კოლორიტული და, ამავე დროს, საოცრად დინამიკური პოეტური სახეები. მაგალითად, როდესაც იგი იტყვის: „მთაზე ავალთ და ქარივით თან ავიტან დილის ღრუბლებს“ („მედინადი“), „ელავდეს ლურჯა და უფრო ბასრი სირბილით მოჭრილ მანძილს ისროდე“ („ნახტომი გულითან“) ან „დედა-მიწიდან წამოდგა ვაჟა, მიწა ჩვენს თვალწინ ამოარვია“ („ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა მთაწმინდაზე“), თქვენ თითქოს უშუალოდ შეივრჩნოთ და იშვებოთ იმ წარმოსახეითი ხატვანი სურათის რეალობას მათში სწორედ აუცილებელი, ცხოვრუბისეული დინამიკური სიცხოველის ელემენტების შეტანის გამო. ხშირად კი დიდ სურათზე მოხატულ დეტალი ისეთი შთამბეჭდავია, რომ სამუდამოდ ეჭვდება მეხსიერებას, როგორც დამოუკიდებელი ფრაგმენტი. „და ნაბადი როგორც ლანდი შერჩათ ბიჭებოთ“, — ამბობს პოეტი „მედინადში“, როდესაც ასტამურის შემოსვლას და მასთან შეგებებას აღწერს. მხოლოდ მხატვრის თვალს შეეძლო დანარა და ფრაზიას წარმოედგინა ნაბადი, როგორც მისი „ბიბლიური“ პატრიონის ლანდი. და კიდევ რამდენი ასეთი სახე მოიპოვება კ. კალაძის პოეზიაში!

დიდი ხანია ლიტერატურის თეორიაში არსებობს ერთმანეთის საპირისპირო ჟეჟედულებები ლირიკის არსის, მისი დანიშნულების, რაობის თაობაზე. ერთი ფიქრობენ, რომ ლირიკაში უნდა ღომინანტობდეს „მაქსიმუმი-ბგერა“, მეორენი „მაქსიმუმ-მელოდიას“ ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო მესამეთ „მაქსიმუმ-აზრი“ მიაჩნიათ ლირიკის ბირთვად. საბჭოთა ესთეტიკური აზრის დამკიდებულება ამ თეორიებისადმი ცნობილია: ცალკე ალებული არც ერთი მათგანი არ შეიძლება გამოხატავდეს ლირიკის დედაარსს. ჰეშმარიტი ლირიკული ქმნილება ემყარება მაღალ აზრსაც, მელოდიურ გამართულობასაც და ბგერათა შუსიკალურ კანონზომიერულ მონაცემება-შეწყვილებასაც. ამ სამი კომპონენტის მხოლოდ სინთეზური შერწყმა ქმნის ლირიკის მთელ მაღლს. ამის დადასტურებაა საუკეთესო საბჭოთა ლირიკოსების მდიდარი პარტიკა ჩვენშიც, საქართველოშიც. ხოლო ამ პარტიკაში თავისი ადგილი უჭირავს კ. კალაძის პოეტურ შემოქმედებას.

რასკვირველია, კ. კალაძის ყველა ლექსით პოემა როდია თანაბარი პოეტური შთაგნებით დაწერილი. მოიპოვება მის ლირიკაში „მშრალი“ თუ „ცივი“ სტრიქონებიც, კოჭლი ფრაზებიც, ნაკლებექსპრესიორებული და პოეტურ სამოსელშემოძარცვული ლექსიციც („კოლხეთის ლამე“, „კოლორის“, „ქართველ მეომრებს“). მაგრამ ეს ხომ თითქმის ყველა ჰეშმარიტი შემოქმედის ხვედრია! მთავარი ისაა, რომ კ. კალაძის პოეზია ერთი მთლიანი ლირიკული სიმღერაა, რომელშიც აისახა ჩვენი ეპოქა თავისი ძირებული სოციალური ძვრებით, სულიერი გარდაქმნებით, აღამანთა რთული ინტიმური განწყობილებებითა და დიდი იმედებით.



ექ. გერეაპის „ქრისტიანული ხელოშვილის“ გამო

ყოველგვარი სერიოზული კრიტიკის წინა პირობას თავისი იბივეტისა დამი პატივისცემა წარმოაღევს. პატივისცემაში, ცხალია, არ იგულისხმება გუნდრუკის მარცხნივ და მარჯვინ მიმოკრება, არამედ მხატვრული ნაწარმოების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა (არა მხროლო გადაეკითხა) და ავტორისადმი კეთილისმუშაველი დამოიდებულება. იქნებ ვცდებოდეთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, კრიტიკოსმა არც მშინ უნდა მოჰკილოს კალამს ხელი, თუ მხატვრულ ნაწარმოებში ერთა იდეაზე არაფრის შესახებ წერა თავსუუკავებლობაა და სხვა არაფრი... კალმის გასვრაც არა ღირს. ასეთ შემთხვევებში სიტყვაზე მეტად სიჩრუმე კლას. ამის შესახებ აღმა განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ კრიტიკოს აქვთ ბაქარაძეს, რომელმაც რეზო ჭერიშვილის ახალი რომანი— „დალის“¹ — შესახებ „ცისკრის“ მერვე ნომერში გამოიქვეყნა საქართველოს კრიტიკოსს უწენიშვილი შენიშვნებით. რომანში კრიტიკოსს ვერავითარი ლირუსბა ვერ აღმოჩენია და მას რ. ჭერიშვილის სერიოზულ მარცხად მიიჩნევს. ასეთი გამანალიზრებული დასკრინა მწერლის მიმართ, რომლის ტალანტში ეჭვი აღბათ არც აკ. ბაქარაძე ეპარება, უდავოდ სკრუპულობური ანალიზის შედეგად და ერთგარი შინაგანი ტკივილითაც კი უნდა გაკეთებულყო. სამწუხაროლ, ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, ხშირად იტელევა ისეთი ელმერნტარული მოთხოვნილებაც კა, როგორიცაა რომანის ტექსტის ცოდნა. აი, ამის მაგალითებიც:

1. აკ. ბაქარაძე მწერალს უსაყველურებს, ელგუჭა ეაშაქესა და დალი შელიას შორის ასაკობრივი სხვაობა რომ არის და დალი რომ ქმარი ჰყავს, ეს რეზო ჭერიშვილსაც დავიწყდა და ელგუჭასაც (გვ. 102). თავი რომ დავანებოთ

ამ კონტექსტში ავტორის უადგილოდ მოხსენიებას (რ. ჭერიშვილს რომ „დავიწყებოდა“, საინტერესოა, ამ ფაქტებს აკ. ბაქარაძე რა საშუალებით შეიტყობდა?). თურმე ელგუჭასაც უფრო ქრისტიანი მთ თემაზე: „იმ ქალს ჩემს სიცოცხლეში არ დაელაპარაკები, ბოლოს დაბოლოს, რა ჩემი ტოლია“ (I, 65); „ვინ ელგუჭა, სად დალი? ყველაზრისთვის თავი რომ დაგვენებებინა, ერთი მაინც ლექტორი იყო, მეორე— სტუდენტი“ (II, 32).

2. აკ. ბაქარაძე: „(ელგუჭა) ჭერ იყო და გაუბედაობის გამო, ქალათ უბრალო დალაპარაკებას ვერ ბედავდა. მერე კა, მოერია თუ არა გაუბედაობას, მა შინ ვე (დაყოფა ჩვენია. თ. კ.) დალის გაბახება მოინიდომა. სხვისი მანქანით, სხვის აგარაზზე სხვისი ცოლი წაიყვანა და მისი გაუბატიურება მოიწადინა“ (102). ჭერთი, ქალ-ვაჟის გაცნობიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიღრე დალი სხვის მანქანში ჩაუგდებოდა და სხვის აგარაზზი შეჰქვებოდა ელგუჭას, მეორეც არის და, საიდან დაასკვნა კრიტიკოსმა, რომ ვაემა ქალის გაუბატიურება სცადა?

3. აკ. ბაქარაძე: „რა განიცადა ელგუჭა ტრაგიულად? დალის სიკვდილობა არაფრი“ (106). ისევ უყურადღებობა! რომანის დასწყისში კითხულობთ, რომ დელის გარდაცყალება ელგუჭამ ძალზე ავადმყოფურად განიცადა, „უცდად გაჩდა და მოულოდნელად დაავიწყდა რომანის, რით მოკვდა და როგორ დაასაფლავეს დედა. ვიღაცამ თქვა, ამას შეხსიერების გამოთხვევა ჰქვიაონ“ (I, 22). დიღი სულიერი ტკივილი იგრძნო ელგუჭამ დალის „ლალატის“ გამო, ამასაც ავადმყოფური მოელენები მოჰყვა.

აკ. ბაქარაძე რომანის მთავარ პერსონაჟს ახასიათებს როგორც ზედაცემულსა და ვარყუნილ ადამიანს, სულიერ და ზეობრივ იმპოტენტს, არარობას, რაღაც გარდამვალ რგოლს პიტე-

1 უნარნალ „ცისკრი“, 1970 წ., 1—6.

კანორობსა და homo sapiens-ს შორის. ყველაზე მეტად ამას კრიტიკოსი შემდეგი საბუთებით ამტკიცებს:

1. ელგუჯა ხიდან უთვალთვალებს, როგორ
წვება ბაღრი კილტე კანონიერ მეუღლესთან;
 2. ელგუჯა აღამანთა სულიერ შესაძლებლობებს
ხელის გადაწყვით ზომებს; 3. ელგუჯა თავსეცუ-
რად ელის საწოლში მასპინძლის ქალშვილს;
 4. ელგუჯას მოქნარება აუტყვლება საყაჩარელი
ქალის დასაფლავების ეამს. ჩვენც ამავე თანა-
მიდევრობით განვიხილოთ ეს საბუთები:

1. კრიტიკულმა ისე ჭარბობადგინა ელგუჯას ხე-
ზე ძრომა და ოცლოვალი, თაოქოს ამ უკა-
ნასკენებს ის აინტერესებდეს, თუ „როგორ წევ-
ბა ქმარი ცოლთან“. ასეთი აგაღმყოფური ცნო-
ბისმოყვარეობა მართლაც რომ ცვედანს გუ-
ლისმარევი ეროტიკაა. მაგრამ ელგუჯას ის კი არ
აინტერესებს, თუ როგორ წევბა დალი ქმარ-
თან, არამედ — დაშვება თუ არა დალი ქმართან.
ქალს ხომ იგი უყვარდა; სულიერად რაღაც
მას ეკუთვნოდა, გულუბრყვილო ელგუჯას აზ-
რით, სხეულითაც მისი ერთგული უნდა დარჩე-
ნილყო. როდესაც ელგუჯამ დალი და მისი
შენიანი მეუღლე ერთად იხილა, მაშინდა შე-
უჯდა ეშვის ჟია და თავგზა დააყარგვინა. რა-
ტომ გამორჩა კრიტიკოსს მხედველობიდან, რომ,
როცა უოლტერი დაწევა, „ელგუჯა ოთახისევნ
არც იხედებოდა...“ (IV, 86), რომ ხიდან ჩამოს-
ვლისთანავე მას საშინელი პირის ღებინება აუ-
ტიდა, რომ ამის შემდეგ „დალის, რომელიც
მან მოღლლტედ გამოიცხადა, ალარ ელაპარკე-
ბოდა...“ (IV, 89). ასე რომ, ელგუჯას საჭირ-
ელი არაფრით არ ეგუება კრიტიკოსის მიერ და-
ნახულ საჭირისის უღონო ვნებას. ამ უკუღმარ-
თულად გაგებულ ეპიზოდზე განა ღირდა ამდე-
ნი მელნის ღვრა და ლიტერატურული თუ
ცხოვრებისეული ასოციაციების გალვინიძეა? ჯერ
იყო და ელგუჯას საჭირელი არზაყან ზეამბა-
იას მოქმედებას შეეუდარეთ და არც თუ ორაზ-
როვანად გადავუკარით, რომ ეს პლავატია; ლი-
ტერატურული წინაპრის დაღვენის შემდეგ თან-
დათან ეშვში შევეღით და ელგუჯას ცხოვრე-
ბისეული პროტოტიპი მოიგინიეთ. აღწერილუ-
სიტუაცია მართლაც რომ იყოს ნასესხები, „მა-
ვანი და მავანი კინორეესისორის“ ცხოვრებიდან,
მაშინც დიდი უტეშტობა იქნებოდა კრიტიკო-
სის მხრივ ასეთი „აღმოჩენის“ გაკეთება; ათ-
გზის უტეშტობაა, როცა მკითხველს ვაცნობო
ტრავდას, რომელსაც ელგუჯა ვაშაძის მმავ-
თან საირთო აზაონორი აქვს.

ბულება“ (102). მწერლისა და თავად პეტრონა-
უს დამკუიდებულება ამ ეპიზოდისადმი ჩანს;
ამის დასანახად სულ მცირე რამ არის საჭირო—
მეტი გულისყურით წავიკითხოთ ეს აღვილი:
ხეზე ასული ელგუჯა „მთელი ასებით გრძნობ-
და, რა უხერხულ მდგომარეობაშიც შეიძლება
ჩაიგრძნილიყო, მაგრამ აღარაფერს ერიდებო-
და... რა უნდოდა ამ შუალებებზე ხეზე, რა უნ-
დოდა სხვას იჯაში?.. დიდი ოთახის ბინადარ-
ნი წყარიად, უშფოროველად ემზადებოლონენ და-
საძინებლად. ელგუჯა აქ რა მოხელე იყო, მისი
ვის რა ემართა“... (IV, 85—86). აკ. ბაქრაძის
აზრით, ეს აღაბათ საკმარისი არ არის. მაში რა
უნდა ეძნა მწერალს? რადგან ცდუნებას ვერ
გაუძლო და ელგუჯა ხეზე აძვრინა, ალბათ ამ-
ბის თხერბამ განზე უნდა გადადო და ლაშათი-
ანად შეეხურებინა თავისი პეტრონაჟი, რათა
მკითხველებს არ შექმნილა ილუზია, თით-
ქოს რ. ჭეიშვილს მოხწონს საყარალი ქალის
ნახევის ეს ხერხი და მთაც მოუშოდებს ელგუ-
ჯას მაპბატონ. რომანებში, ჩვეულებრივ, და
„დალიშიც“, კრძალ, მრავალი ეპიზოდია. გა-
მოდის, რომ რ. ჭეიშვილმა უნდა ჩაავლოს მკი-
თხეველს ხელი, დაატაროს რომენის გვერდები
და აუქსნას: ამან ქმრიანი ქალი შეიყვარა — ეს
ცუდია, ქმრიანი ქალი სხვას გაუმიგნურდა —
ესეც არანავლები ცოდვაა, ქმარმა მოდალატი
ცოლს სცემა — ეს კიდევ უარესი; მე ამგვარი
საჭირები არ მომზონს და, გვთავათ, ნურც
თქვენ ჩაიდენ ამას... და აღარ ვვერებოდა
რომანი „დალი“. გვერებოდა მაღარე თხელება
უმცროსი ასახის მოსწავლეთათვის.

2. აკ. ბაქრაძე ელგუჯას გონიგბრივ სიცუბჭიო
არს ამტკიცებს იმით, რომ თურქმე იგი ხელის
გადაწევით ზომავს აღამანის სულიერ შესაძლებლობებს. ბიცეფსებით ჰკუუ-გონენბის ვაზომდვა მართლაც დიდი სიბრიუგვეა და კრიტიკოსთან
ამის შესახებ სადაც არაუგრა გვევწენოდა,
რომ რ. ჰკუუშვილს ამის მსგავსი რამ ეწეროს.
რომანში აღწერილია ბანკეტი. სადაც ელგუჯას,
ცნობილ მოჭიდავეს, თმაღლბს სთხოვენ; მას
კი თვისი ავალყოფნა აკაცებს, იცის, რომ
სმა ავნებს, მაგრამ ბოლოს გაითაქრებს: თუ ამ
ხალხს, რომელსაც ხელს წკითაც გაუადუშივ,
ლგინო არ სწყონს, არც მე დამატებს რამესო.
რა შუაშია აქ აღამანის სულიერი შესაძლებლობები? რაში ერთი: ან კრიტიკოსი სათანადოდ
არ იცნობს ტექსტი, ანდა გარევეული მოსაზრებით
მას აყალბებს. მესამე გზა, რომ აკ. ბაქრაძეს
ლვინის სმა აღამანის სულიერ შესაძლებლობათ გამოვლენად მიაჩნია — უნდა გამოირჩიოს.

3. ამავე ბანკეტის ბოლოს მთვრალი ელგუჯა მასპინძლებმა ფალქე ოთხში მოასვენეს. „პრო-

ଟାଇପ୍ କରିବାକୁ ନୀତିରେ

ବାବ. ପଦ୍ମରାମଙ୍କିଳି ଏବଂ ପରିଚିତିକାଣ୍ଡର ଶବ୍ଦରେ ବିବରଣୀ କରିଛନ୍ତି।

ვიანციული უტიფრობა“ არისო მისი ფიქრი იმის შესახებ, რომ „აღმაგ განგებ დალეკ თათაში მაწვევენ და მეტე ბელაც მომაკოთხავთ“ (V, 45). ისე გვავიწყდება (ან ვივიწყებთ), ამ გაფიქრებას წინ რა უძროდა: ბანკეტზე ბელა სულ ელგუჯათან ცეკვავდა, „ქალი უმიზეზიდ იცნოდა“ და როცა გვერდით თათაში განარტოვდნენ, „ბელა კისრჩებ მოეხვა და ტუჩებზე დააცხრა... ისინი გამეტებით ბურჯგნიდნენ ერთმანეთს“ (V, 43). შემდეგაც რამდენიმეჭერ გაიმეორეს ეს სეანის. ყოველავე ამის შემდეგ უპრიანია, რომ ნასამ კაცს (პროვინციიდან იქნება იგი თუ მეტროპოლიდან) გარკვეული ილუზიები შექმნოდა.

და ბოლოს, ელგუჯას პირუტყვობის დამაგვირგვინებელ საბუთად ა. ბაქრაძე მიიჩნევს მის საქციელს დალის დაქრალვის ქამს. მართლაც, ნორმა ღური რი ადამიანისაგან ასეთ სიტუაციაში მთქნარება და თვლება უხეში ცინიჩმია. მაგრამ იყო კი ელგუჯა კაშაძე იმ მომენტში ნორმალური? წინა ღამით იგი ხომ ძალით შეიძრა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და განაცხადა, ჩემი მშა მშა შეთვარებუ ძალით გააგზავნეს და მალე ყველას იქითკენ გაგვისტუმრებენ. რატომ გმორჩია კრიტიკოსს მხედველობიდან ფურქიური დაავადების სხვა სიმპტომებიც: ცედრის დანახვაზე ფეხის პარალიზება, ლრმა ძილი იქვე, საფლავებს შორის; დასასრულ, თვით მწერალი გვეუბნება, რომ მშიძე ფსიქიურმა ტრავია ელგუჯას მეზესირება ნაწილობრივ დაუბნელა. ის, რასაც ა. ბაქრაძე პერსონაჟს უზენობად და გულგრილობად უთვლის, სინამდვილეში დალისადმი ლრმა და ტრავიული გრძნობის გამოვლენაა. ერთგან კრიტიკოსი ცინიკოსობასა და მიზანორიგობას სწამებს რ. ჭეიშვილს, ერთ-ერთი შენი პერსონაჟის პროტოტიპი კლინიკური ავალმყოფა და შეშლილის დაცინგა მწერლობში არ ეკადრება. განა კრიტიკას კი ეკადრება ავალმყოფის ლანძლვა და ფსიქიური აშლილობის გამოვლენი სიმპტომებით გასი სულიერი ღისებების განსაზღვრა? სიტყვაშ მოიტანა და, არც ის პერსონაჟი გაუწირავს ავრერიგად რ. ჭეიშვილს. ის, რა ათქმევინა ლიტერატურას მის შესახებ: „სხვათაშორის, არც ისე მოთავებულია, ერთი შეხედვით რომ ჩანს. მუშაობს, ელექტრომონტორი. აზაფერი არ ეშლება, რომ იცოდე. ცოლ-შეილს აჩხენს, მტერმოყვარე იცის და მეტი რა გინდა“... (II, 8).

როგორც დავითანახეთ, კრიტიკოსის მიერ ელგუჯა გაშაძის უცილობისა და უზნეობის ნიშუშად მოტანილი ოთხივე საბუთი გაუგაბრობაზეა დაფუძნებული. საერთოდაც, ელგუჯა — როგორც ტიპი — მეითხელიში, თუ ის წინასწარ არ არის ტერდენციურად განწყობილი, ამგარ საშინელ ემციერებს არ აღმარის. ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ არც სხვებზე ნაკლებია: საშუალო სკოლა აქტოს მედალზე დამთავრა, სწავლობს, ჭიდაობს, კითხულობს, შეძლებისდავა-

რად ცდილობს გაერკეს არსებობის ურთულებ პრიბლებებში, შინაგანად კეთილია, მისიყვარულე, არც ძალიან გულადი, არც ზედმეტად მშიშარა, მოკლედ, საშუალო ადამიანის თავისი ინტელეტითა და ტემპერამენტით და, როგორც ყველა მშა რანგის კაცი, არც თუ ძალზე საინტერესო. ხანდახან ლექსებსაც წერს. ცოტა მეტი ამბიცია რომ ჰქონოდა და ხელიც გაეწავა, იქნებ ლიტერატურის სხვა სფეროებსაც გადასწვდომოდა.

მწერალმა გვიჩვენა, რომ ელგუჯას არ ეყო ძალა და ინდივიდუალობა ქალაქის ატმოსფეროში ში წინ აღდგომოდა მაცნე ზეგაულენას; თბილისმა იგი მოღრიყა. შემთხვევითი არ არის, რომ ელგუჯას, ამ სულიერად არდინარულ პირვენებას, აეტორმა სხვა სფეროში (სპორტი) გამოაჩინინა თავი. გლეხური სიეშმაკით ელგუჯა მიხვდა, თავისი შეზღუდული ბატიქმიყვარების დასკმაყოფილებლად ეს გზა უფრო აღვილი და ნალი იყო. და საკმაოდ ზუსტად დანახული ფსექოლიგიური დეტალია, რომ „გონების მოვარიშენი“: ხალგზერდა ლიტმუშაკი, დიმიტრი, ვიგუშა, გურამ ყვავაძე და სხვები „სხეულის მოვარიშენ“ ელგუჯას მეტ პატივს ცემენ, ვიდრე ერთმანეთს.

მაგრამ ხშირად სწორედ ორდინარობა იჩენს დიდ გამძლეობას: თბილისმა ელგუჯა მოღრიყა, მაგრამ ვერ დაშმუქნა. ის ჯანსაღი საწყისები, რაც მასში იყო, მინავლდა, მაგრამ არ ჩაქრალა. საჭირო განტა დიდი სულიერი შერყევა და... იწყება, დაიწყო, უნდა დაიწყოს კათარზისი. მწერალმა აქ წერტილი დასვა. მან ვიჩივენა — დასკვნების გაეთხება მკითხველზე.

ა. ბაქრაძის ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა: რომანის პერსონაჟთა ხსიათი და მათი ურთიერთდამკიდებულება ლოგიკურ წინააღმდეგობაშია, „ზნეობრივად, მხატვრულად და ლაგიცურად დალ შელიასა და ბაღრი კილაძის ცოლებრიბა ტყუილა“ (108), ასევე სიცრუე დალისა და ელგუჯას სიყვარულიც. ამ დებულების სიცრინისაფინი მთავარ მოქმედ პირთა დასასიათება არის გადამწყვეტი. რამდენად სწორად გაუგა კრიტიკოს ელგუჯას სახე, ეს ზემო გამოჩნდა; სამწუხაროდ, სხვათა პორტრეტებიც ტენდენციურად და სქემატურადა დახატული. კრიტიკოსს, ცხადია, შეუძლია მათი ხასიათის სუსტ მხატვებზე აქცენტის გადატანით თავისი ვარაუდისათვის ხელსაყრელი მოდელი შექმნას და შემდგომ ამ თავისივე სქემისაგან ქვაჭავე აღარ დატოვოს. ეს გზა აღვილია, მაგრამ ნაკლებად კომსტრუქციული. ა. ბაქრაძე სწორედ მას ირჩევს ხშირად. ნაცვლად იმისა, რომ ენდოს პერსონაჟთა მწერლისეულ დახასიათებას და აეტორის ჩანაფერი უშაულოდ რომანის ტექსტის ანალიზიდან გამოიყვნოს და უჟაფასოს, კრიტიკოსი ვარაუდის სახით მაშერს რ. ჭეიშვილს დებულების, რომელსაც შემდგომ ადვილად აღვევს. მაგალითად: „იქნებ რ. ჭეიშ-

ვილს ეგონა, კონტრაპუნქტული ხერხით დაფხა-
ტეო ელგუჯას სულიერი მდგომარეობა“... „იქ-
ნებ ელგუჯა გაორებული პიროვნება და მისი
ფიქრები და საცილი ეწინააღმდეგება ერთმა-
ნების“... „შეიძლება კაცმა იფიქროს, დიმიტრი
პაროლიულად განასახიერებს ცრუ ფილოსოფი-
ასო“... „იქნებ დალისა და ელგუჯას ურთიერთო-
ბაში პიგმალიონის პრობლემა დასმული“... და
ყველა ამ „იქნებ“-ისა და „შესაძლოა“-ს გასა-
ბათილებლად ილევა ცრო და მკითხველის მოთ-
მინება. ვითომ მწერლის კონცეციის ვარ-
ღვევთ, სინამდვილეში კი საკუთარ პიროვნებს
ვებრძეთ.

ბადრი კილაძისა და დალი შელის დახმარ-
ოვების დროსაც კრიტიკოსი ნაცლები წინააღმდე-
გობის გზით მიდის და ცოცხალი ადამიანური
ხასიათების ნაცვლად შიშველ სქემას წარმოვვა-
დების: კილაძე აფერისტი, ჭურდი, სადისტი და
კაცისტევლელია, დალი კი — დახვეწილი ინტე-
ლიგენტი. მათი ცოლებრობა სიცრუეა, ვინაიდან
მწერალი გვარშმუნებსო, რომ დალი სულიერად
და ხოსტიულად მატლებული ქალია. რ. ჭეშ-
ვილს კი არც ბადრისთვის გამოუბამს სატანის
კუდი და არც დალისთვის — ანგელოზის ფრთხე-
ბი. ბადრი კილაძე ძლიერი პიროვნება, ამავე
დროს — ნიშიერიც. ამ თვისებათა შეჩრწყმისაგან
ჯვარიც შეიძლება მივიღოთ და ბარიც. მივიღოთ
ბარიც (ა. ბაქრაძეს უკვირს: „მხატვარი კაცი რა
სუბიექტური და ობიექტური მიზეზების წყა-
ლობით გახდა კრიმინალური დამნაშავე?“ —
ვისაც რამდანის გარემო და აღმოსფერო პარობ-
ტიუმად მიაჩინა, მისგან ასეთი კითხვა, რბილად
რომ ვთქვათ, არალოგიურია). ბადრი გა-
რენულადაც შთამბეჭდვადა და ეს მომენტიც
მნიშვნელოვანი იქნებოდა დალი შელიასათვის
(და კვლა ნორმალური ქალისათვისაც). დალი
კი სუსტი პიროვნება არცთუ ისე მდიდარი სუ-
ლიერი სამყაროსა და საშუალო ინტელექტით.
მისი ხასიათი ქალურობის კვანტისენციას წარ-
მოდგენს კვლა ნიშანდობლივი დადებითი თუ
უარყოფითი ატრიბუტებით. მიუხედავად ამისა
(იქნებ — სწორედ ამიტომაც), დალის სახე შე-
ტად ცოცხალი, დამაჯერებელი და სიმპათი-
ურია, დალი შელის ტრაგედია ის არის, რომ
გადამწყვერი ნაბიჯის გადასადგმელად მას სუ-
ლიერი ძალა არ ჰყოთნის. ქმრისადმი დალატი
მხოლოდ სუსტი პროტესტია ბადრის შინაგანი
დესპოტიზმის წინააღმდეგ, ქალური სტიური
შურისმიერა. უფრო ღრმად და შორს დალი ვერ
იყორება, თუმცა ეს ნაბიჯი მას ელგუჯასადმი
ნამდგილობა და ძლიერმა გრძნობამ გადაადგმევი-
ნა. არ არის გამორიცხული, რომ უტყვემა ჭიდილ-
მა უფრო ძლიერ პიროვნებასთან საპასუხო რე-
აქცია გამოიწვია; ქვეცნობიერად დალი შელიამ
თავისი ყურადღება ბადრის ანტიპოზე —
ელგუჯაზე შეაჩერა. მასთან ურთიერთობაში, და-
ლის ვარაუდით, თავად უნდა ეკარნახა თავისი
ნება. მაგრამ დაახლოებას თან მოჰყვა ერთგვა-

რი გულაცრუებაცა და განზიდვაც, რაც თითქმის
ყოველთვის ნიშანდობლივია მგვარი კავშირი-
სათვის. „ამასაც მოვცებრიდი“, — გაიფიქრა და-
ლიმ ელგუჯასთან უკანასკნელი შეხვედრისას. ეს
იყო დასტყვისი დასასრულისა. დალის სატელი-
რო შეცდომა ისიცაა, რომ იგი ხედავს მხო-
ლოდ ალტერნატივას: ან სხვის ნებას უნდა ემო-
რჩილებოდეს, ან საკუთარი სურვილების ტყვე
იყოს. ადრე დალი თავს იმით ინუგეშებდა, რომ
„საკუთარი სურვილების, სიმოვნების დათრ-
გუნვა შეიძლება ქალს მეტ თავისუფლებას ანი-
კებდეს“ (III, 58), მაგრამ ეს მანც არ არის
სრული თავისუფლება. არის მესამე გზაც, გზა
სნისა, რომლისთვისაც დალი მზად არ იყო.
ამიტომ მისი ტრაგიკული ბოლო მხატვრულად
და ლოგიკურად გვართოლებულია.

ამრიგად, რ. ჭეშვილის რომანის გმირები საკ-
მაოდ ჩეულებრივი აღმინიშნები არიან ონდავ
უჩვეულო, გამძაფრებულ სიტუაციაში. დალი
შელია შორს არის იდეალიზაციისაგან, რასაც
აკ. ბაქრაძე მიაწერს ავტორს, ელგუჯა და ბალ-
იც არ არიან დაცემისა და არარამდს ეტა-
ლონები, როგორადც ისინი კრიტიკოსს ესახე-
ბიან. აქედან გამომდინარე, არც ამ პერსონაჟთა
ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ზე-
ობრივ, მასტერულსა თუ ლოგიკურ სიცრუეს.

აი, კიდევ ერთი ნიშუში რომანის პერსონაჟ-
თა ხასიათის ბაქრაძისებული ანალიზისა. მას რა-
ტომდაც მიაჩინა, რომ „დიმიტრის მიმართ ავ-
ტორის დამოკიდებულება ირონიზებულია (თუ:
ირონიზებულა, თ. კ.“). რ. ჭეშვილი კი წერს:
„(დიმიტრი) კატეგორიულად უარყოფდა თანა-
მდებობას, საყვეპლოთოდ გავრცელებულ აზ-
რებს და შეხედულებებს, კარიერით მომვებულ
სახელს და ფულს... სიკეთით და გულშროფელო-
ბით უფრო იგებდა სხევების გულს, ვიღრე სა-
კუთარი ფილოსოფით, რომელიც, კაცმა რომ
თქვას, არც ჰქონია“ (111, 38). კრიტიკოსი ასე
ასასიათებს დიმიტრის: „დილიდან საღამოდე
ბარში ზის და მოველებული სენტენციებით
მოსაუბრებს ყურს უჭერავს“ (110). დიმიტრი
კი, პირიქით, სენტენციების, მენტორობისა და
ლაყბობის მტერია. თანაც დღისით იგი აკურა-
ტულად ასრულებს თავის სამასურებრივ მო-
ვალობას. შემდეგ: „არც მისი პიროვნება და
არც მისი აზრები არავიზე (თუ: არავიზე, თ. კ.)
არავითარ შეგვალენას არ ახდენს. მის ნათევადის
ერთ ყურში შეუშებენ და მეორედან (თუ: მე-
ორიდან, თ. კ.) გაუშებენ. მაშ, რაც სჭირდება
მწერალს დიმიტრის! ას მხატვრულ ამოცანას ემ-
სახურება იგი? ეს ძნელი დასადგენია“ (110).

ჯერ ერთი, დიმიტრის ზეგავლენა სხვაგზე
და, კარბოლ, ელგუჯაზეც, დიახაც რომ დადა-
მორეც არის და, მწერალს განა იმისთვის შე-

თავაზ კაბათანთრაპა

აპ. ბარკაძის „პრიტიკული შეიცვლებების“
გამო

მოჰყავს პერსონაჟი, რომ მის სიტყვებს ყური მიაქციან და დაუჭერონ? უცაური ღებულებაა! ა. ბაქრაძე საყმაო აღილს უთმობს ელგუჯას მიერ მეხსიერების დაკარგვას და შემდგომ გან-კურნებას: „(დასის სიკვდილის) მერე კი ელ-გუჯას Nachgeschichte მწერამა ფსიქოლოგიური ექსერიტენტისათვის (?) გამოიყენა. ამ ნა-წილში ელგუჯაზ ჭერ მეხსიერება დაკარგა, მე-რე მოკვდა(?) და ისევ აღორძინდა(?). (გაიხსე-ნეთ რასკოლნიკოვის აგადმყოფობა და აღორძი-ნები)“ (106): საკითხავად, რატომ უნდა გაიხსე-ნოთ მაინცდამანიც რასკოლნიკოვის აგადმყოფო-ბა და არა, ვთქათ, საკუთარი ბებიისა? განა ისეთ თვალსაჩინა ანალიგიასთან გვაქვს საქმე, რომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე ამგვარი ფრაზა დავაგდოთ და მკითხველს მიგანიშნოთ, რომ აქ პლაგიტია? შემდეგ: „საწყალი ელგუჯა, მიმის გამა, რომ ყოველ წუთს მეხსიერებას კარ-გავს და პირადი ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი ავიწყება, ვეღარ ახერხებს ვერაფრის განცდას. დალის სიკვდილი როგორდა განიცაროს, როცა დალიც დაავიწყდა, მასთან ურთიერთობაც და ამ ქალის სიკვდილიც. საკუთარი ბედი, შემთხ-ვევით სიკვდილი თუ აღორძინება როგორდა გა-ნიცაროს, როცა ესენიც დავიწყებას მიეცა. პერ-სონაუმ ტრაგიული განცდების ჩევნებას რომ თავი აარიდოს, მწერალმა ეშმაური ხერხი მო-იგონა — დავიწყება. ფსიქიატრების ენაზე ამ მოვლენას არ ვიცი რა პევია (კაცმა რომ თქვას, ამის ცოდნა სწორედაც რომ არ გვაწყვეტდა. თ. კ.), მაგრამ ლიტერატორების ენაზე კი მი-ფუჩიჩებად იწოდება...“ (106—107).

თვავდ განსაჭრე, არის თუ არა რაიმე ლოგი-კა მგვარ ეცვებას და ვარაუდებში. თუ რ. ჭე-იშვილის გმირის ტრაგიული განცდის ჩევნება ვერ ხელეწიფებოდა და ამ მიზნით დაუკარგა მახსოვრობა ელგუჯას, შემდგომ რადღა აღუდ-გინა? გამოდის, რომ ეს პრობლემა რომაში მხოლოდ ხუთით ფურცლითა გადატანილი. მეხსიერების დაკარგვიდან მის აღდგენამდე პე-რიოდიც ამავე მიზეზით დავიწყეთ პერსონაუმ ავტორმა. კი მაგრამ, დროის ამ მონაცემთში რა-ღა იყო ტრაგიული გამსაცდელი, არტემისთან ჭიდაობა თუ ის, რომ ევარა ბიჭებმა მასს სრობით ყურთინ დენის გამიშვლებული მათული მია-დეს და შეკირებული ელგუჯა კონმებანიკოსმა ძლივს მთაბრუნა (ამ პროცესს ა. ბაქრაძე მა-ლაფუარდოვნად „სიკვდილსა“ და „აღორძინე-ბას“ უწოდებს, რათა შემდგომ მწერალს უსაყ-ველუროს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მომენ-ტები არ განაცდევინა პერსონაჟს)?! გაუგებარია, რად მიაჩინა ა. ბაქრაძეს ელექტროშეკი ტრა-გიულ ტრავმად: „ლიტერატურიში ჩშირად მი-მართავენ ხერხს, რომლის თანამადა ტრაგიული ტრავმა (ლაფსუსია. თ. კ.) ტრაგიული ტრავმი-თვე (აქაც! თ. კ.) იყურნება“ (107).

კრიტიკოსის ეცვი ჩვენ უსაფუძლო გვგო-ნია. გუგებრობის სათავე ტრაგიული განცდის

ჩევნების ხერხებსა და საშუალებებში უნდა ვე-ძიოთ. მწერალი ამ განცდებს გვიჩვენებს, კრი-ტიკოს ჰერის, რომ კიდეც მოგვასმენინოს. ცხადია, ორივე მეთოდი აქვს არსებობის უფლე-ბა. მიზომაც უმჯობესი იქნებოდა რ. ჭეიშვი-ლის პროზისათვის ნიშანდობლივი ეს მანერა შე-ვემზნია და შეგვეფასებინა, ვიზრე მისთვის მწერლური ინიბაზობა შეგვეწამებინა.

სამწუხაოდ, რ. ჭეიშვილმა ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა ერთი მოტივის დამუშავებისა, რომელსაც პირობითად შესაძლოა უწმოდოთ გზები, რომ მეღთაც ჩვენ ვირ-ჩევთ. ფსიქოგენურმა ამნეზიამ ელგუჯას მეხ-სიერებიდან თბილისში ცხოვრების მონაცემთი მთლიანად ამოაგდო. რ. ჭეიშვილმა ყოველგვა-რი ხელვნური რობისა და თხრიბის რეალისტურ პრინციპებზე ძალაცანების გარეშე მოახერხა დრო უკან დაბრუნებინა. ელგუჯა იქ უკვე სხვა გზის იჩინეს, მაგრამ იგი ისე სწრაფად წყდება, რომ მკითხველმა არ იცის, სად მიიყ-ვანდა იგი რომანის გმირს.

საგანგებოდ უნდა აღინიშვნოს ერთი მრავალ-ტანგული საკითხი: ა. ბაქრაძე ხშირად პერსონა-ჟსა და ავტორის აიგვებს. „დალი“ ავტობიოგ-რაციულ უანრს არ განეკუთვნება; რ. ჭეიშვილი-სათვის თხრიბის არც ისეთი მანერაა ნიშანდობ-ლივი, როცა ნაწარმოების ესა თუ ის გმირი ივ-ტორის იდეების, მსოფლმხედველობისა და აზ-რების რუპორია. მაშასადამე, არც ელგუჯა და თომი ვაშაძების ან გურამ ყვავაძის მსჯელობა-ნი, ბაქრაძისული ტრემინით — ეს „პროგნოცი-ულ მედიტაციები“ — უნდა მიწეროს რ. ჭეიშ-ვილს. მწერლის ირონია აქ ამგრადა. საცავარია, რომ კრიტიკოსი, რომელიც საგანგებოდ განხიზავს „დალის“ ავტორის ირონისტობას, სადაც აშკარა ირონიაა, მი მომენტებს სერიოზულად აღიქვემდის. სეუთი პასაუები ძირითადად პერსონაჟთა დასახა-სიათებლად არის მოხმობილი და დამთულიდებე-ლი ლირებულების პრეტენზია არცა აქვთ. ელგუ-ჯასაგან, თომა ვაშაძესაგან, ბიჭები კენჭაძისა და თუნდაც ყვავაძისაგან, როგორადაც მათ ჭეიშვილი ხატავს. სწორედაც რომ მოულოდნე-ლი და ხელვნური იქნებოდა გენეტიკის, კოს-მოსისა და ფიზიკის საკითხებზე ღრმა და ორიგი-ნალური მსჯელობა. მას ხომ, სამწუხარო, პრო-ფესიონალებიც ვერ ახერხებენ ყოველთვის. ვა-ნა დიდი სხვობაა მი „ღმილისმომგვრელ პრო-ვინციულ მედიტაციებსა“ და ამ მსჯელობას შო-რის: „ცხოველს არსოდეს უფიტირა სიცოცხლის მიზანსა, აზრისა და დამანულებაზე. ასეთი ფიქ-რი წმინდა ადამიანური პრობლემაა. ჩშირად გვა-ვიზუდება, — წუხს ა. ბაქრაძე, — რომ ადამიანი მაშინ გახდა homo sapiens, როცა კრიტი-კული აზროვნების წყალობით, ეჭვის თვალით შეხედა გარემომცველ სინამდვილეს და უკა-თესი მოიწადინა. უკეთესის სურვილმა დაბადა.

პროგრესი. ამდენად, კრიტიკული აზროვნება და პროგრესის განუყრელი ცნებებია. ისინი უერთ-მანეთოდ არ არსებობენ. ელგუჯა ვაშაძეს კი კრიტიკული აზროვნების უნარი არ გააჩნია...” (106). ამ მართლაცდა ღიმილისმომგვრელი ტარადის მიზანია დაამტკიცოს, რომ ა) ადამიანი არ ასებობს თვალინერ კრიტიკული აზროვნებისა, ბ) ელგუჯას არა აქვთ კრიტიკული აზროვნების უნარი, გ) ელგუჯა არ ყოფილი ადამიანი. ამ ნატრიუ სილოგიზმში რა მიზნით მოვიტმოვ პროგრესის ცნება, ეს ჩვენთვის ჭერჩერობით გამოცანაა.

ა. ბაქრაძის აზრით, რ. ჭეიშვილი ირონისტია და არა ფსიქოლოგი. „დალი“ მარცხს ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ „მოულოდნელად ირონისტმა რეზოუ-ჭეიშვილმა ფსიქოლოგი რეზო ჭეიშვილის მანტია მოისხა“ (106), რის გამოც ფსიქოლოგიური ირონიული აირიათ. თავი რომ დავანებოთ უაზრი ქართული (უნდა იყოს „ფსიქოლოგის მანტია მოისხა“, ვინაიდან—თუ ასებობს ფსიქოლოგი რეზო ჭეიშვილი, მაშინ საკუთარი მანტიის წამოსხმა მთელ სარკაზმს უკარგავს ფრაზას), განა ირონიული და ფსიქოლოგიური ურთიერთგამორჩეველი ცნებებია? მაღლი ანგის ირონია ხომ მთლიანად ფსიქოლოგიურია.

მართლია, რეზო ჭეიშვილი ფსიქოურ პროცესებს მთელი სიგრძე-სიგანით არ აანალიზებს (ეს არაა მისი ამცლუა), მაგრამ მის ირონიას უდავოდ მოეძებება ფსიქოლოგიური საფანელი. იგი დიასტაც ჟუსტი ფსიქოლოგია; სხვანარად შეუძლებელია ისე დაყვირო და აჩვევონ ადამიანის ხსიათი სულ ორითდე ფსიქოლოგიური დეტალით, რამდენიმე ჭკვეთით შეტანით, როგორც ამას რ. ჭეიშვილი ახერხებს.

კრიტიკისის დებულება, რომ მშერალმა ინტელექტუალურ დუელში ყოველთვის უნდა აქობოს მყითხველს, ვინც არ უნდა იყოს ეს მკითხველი—თუ აქ პოეტურ ფიგურასთან არა გვაძეს საქმე—აბსურდია. აქ არეულია მხატვრული აზროვნება და ინტელექტური. ჭეიშვილიც თურმე დამარცხებულა ამ დუელში, ვინაიდან მან „ცერ აჭაბ მყითხველს ვერც აზროვნების და ვერც გმოციური სიმახვილის (?) თვალსაზრისით“. ვერ აჭაბა იმიტომ, რომ მას თურმე არა აქვს დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა და სააზროვნო სისტემა(?). იგი მხოლოდ ამბის მოყვილია, „ამბის მოყვილას კი აუდ თუ კარგად ყოველი კაცი ახერხებს“ (110). მაგრამ ეს ხომ კიმის (ყოფილი კიმოთეს) თვალსაზრისია, რომელიც ცხვირიაბზეკით ამბობდა ახალგაზრდა მშერალთა ნაშერებზე, ასე ხომ მეც მოვახერხებონ და უკვირდა, რომ „ასე ვერ ახერხებდა“. სად კიმოთე კეთილადე და სად აქარ ბაქრაძე? კრიტიკოსს თუ დავესესხებით, სადაც

წესია, ა. ბაქრაძემ კიმოთეს ნეკით უნდა გადაუწიოს ხელი.

ა. ბაქრაძემ თავისი სტატია ტრადიციულად დამათავრა მშერლის გამომსახულებითი ხერხების კრიტიკითა და ენობრივ უზესტობათა ჩამოთვლით. ამ ნაწილში კრიტიკოსს განსაკუთრებით ჰმარტოებდა ტაქტი და სიფრთხილე, ვინაიდან ენის სფეროში დაგა სიტყვის სტატურან მისავე ბადალ ტალანტის მოთხოვს. აქ კრიტიკოსს თუ თვალი არ არის მომადლებული მჩატვების ნიჭით, თუ ღრმად არ არის შეჭრილი მშობლიური ენის სტიქიაში, მისი ჭიდალი ხელვანიან მუდამ მარცხით დამთავრდება. ასე დამართა ა. ბაქრაძესაც და ეს არ იყო მარცხდამაინც მოულოდნელი, თუ გავისხენებთ ზოგიერთ აღგილს მისი სტატიისა: „ერთ-ერთმა მათგანმა ღია და დარჩენილი ელექტრი ტრი მა ვთ ულები გადმოწია...“ (106); „მთელი ეს ლაბარაჟი არ სცილება ელემენტარულ ცნობა არ ში ამყითხულ საყველოთაოდ ცნობილ ცნობებს ბეს ს (110); „ამ კაცის ცოლია დალი შელია. მაშინ დალი შელია ვანლა არის? მშერლის გარეგანი დასხვითებათ პირ ველი ლამაზი ქალი თბილი ის ში არ ში ის“ (108). ყოველ ლიტერატურის შეუძლია მოიზრდილ ნაშარმობში რამდენიმე ორთვერაციულ-გრამატიკულ სახის შეცდომისა და სტილისტურად გაურჩდავი ფრაზის აღმოჩენა (ამის შესაძლებლობს, სამშუხაროდ, იძევეთ „დალი“) და, ცხადია, არც კრიტიკოსს გაუშევა ხელიდან ეს შემთხვევები. ეს ეხება მცენა ზენისათ, ნოტების ნიშნისა და მეთქმის ნაწილაჟის ნაცვლად-თ კოს ხმარებას თუმცადა, აქაც, რევაზ ერთსათავისა არ იყოს, ა. ბაქრაძეს ზედმეტი ზაფრა მოპრევია და შეცდომის საილუსტრაციოდ სწორი ფორმა აქვს მოხმობილი: რ. ჭეიშვილი წერს: „გიგუშამ მოგართვათ-თქვა, უთხარი“ (V, 55); ა. ბაქრაძის მიხედვით ეს ასე უნდა გასწორდეს: „გიგუშამ მოგართვათ-მეთქმის, უთხარი“).

რაც შეეხება ბაქრაძისეულ რეცეპტებს, რომელ კონტექსტში რა სიტყვა როგორი სისშირით უნდა იხსაროს რ. ჭეიშვილმა, ვიმეორებთ, ასე ლრმად შეჭრა მშერლის კომპეტენციაში კრიტიკოსისაგან ენის სტილისტურ-ეჭსპარესულ საშალებათა პოეტურად წვდომის უნარს მოითხოვს. ვაკებაზრია, რად არ მოსწონს კრიტიკოსს სიტყვები: ჩიგუდული და გადატანილი არ არის, რომ სჭობია კონტა კეტი ს ჭადრების დაფაზე ფიგურების გადასაღილებლად.

რომანში ვკითხულობთ: „მაგიდაზე გორა-გორად ეწყო ემალირებულ გობებზე დალაგებულა“.

თამაზ კვაშაგათირაპა

პ. ბაქრაძის „რიტიკული შენიშვნების“ გამო

თეფუშები” (V, 55). ქრისტიანი დაინტერესება, მაიც რა ეწყო მაგილაჲე, გობები თუ თეფუშებიო? ვიმეორებთ: გობებზე დაღვებული თეფუშები. განა გვაქვს აქ რაიმე ორაზროვნება?

რ. ჭეიშვილს უწერია: „გიბეში ახალი იღებული სტადენდია ედო და ფულმა ბარძაყი გასწვა“ (1, 56). ამბათ „ბარძაყი დასწვა“, თორემ „ბარძაყი გასწვა“ რა უბედურება? — კითხულობს აკ. ბაქრაძე. მართლაც უბედურებაა, თუ ვერ ვამჩნევთ, რომ მწერლის მიერ ნახმარი ფორმა ამ მოქმედებას ანაზღეულობის და დინამიურობის ელფერს ანიჭებს.

უსიმოვნო შთაბეჭდილება გვრჩება, როცა კრისტიანი დაუდევრად იმოწმებს აფგილებს რომანიდან, თანაც თავის შეცდომას მწერალს ახვევს თავს, შემდეგ კი უსწორებს: „...ქალმა შესწივლა და სიმწარმისაგან მუხლები ჩაეკეცა (თუ მუხლები მოეკეცა?)“ — უწინვევს აკ. ბაქრაძე. ავტორს კი უწერია: „სიმწარმისაგან მუხლებში ჩაიცეცა“ (V, 56).

წვრილმანი კიძევიტია და სხვა არაფერი აკ. პაქრაძის ჩივილი, სიტყვა მელოტის რ. ჭეი-

შვილი არ აჭიქნებს თავის რომანშით. ვფიქრობთ, ამ უაქტის დადგენისათვის დახარჯული დრო უფრო რაციონალურადაც შეიძლებოდა გამოყენებინა კრისტიანის. ანდა, განა საკადრისია საქართველოს შეურაცხოფა დასწომო მწერლის იმ ფრაზისათვის, რომელსაც რომანში ახალზელანდიელი მეცნიერი მმბობს: საქართველო ასე ლამაზია, როგორც დალი შელია. ძალზე ხომ არ გაგვიტაცა ყველგან და ყველა-ფერში სიმბოლოების ძიებამ?

* * *

უოველივე ზემოთქმულიდან იმის ილუზია ნურავის შეექმნება, თთქოს რომანი „დალი“ უზაღლო ნაწარმოებად მიგვაჩნდეს. ზოგიერთი საკითხის შესახებ ჩვენ შესაძლოა არანაკლებ პრინციპული ხასათის დავა მოგვიხდეს ფერორთონ, მაგრამ ამჯერად თვით რომანს გამოწვლილვითი ანალიზი არ განვეიძრახვს. ჩვენ მხოლოდ იმის დასაბუთებას შევეცადეთ, რომ აკ. ბაქრაძის „კრისტიკული შენიშვნები“ რ. ჭეიშვილის ახალი რომანის შესახებ არ წარმოადგენს ობიექტურსა და საფუძვლიან კრისტიანს.

საბა ჯაფარიშვი

ვიზიტორის მნიშვნელო — მეცნიერული კომუნიზმის ვუძემდეგელი

ვერ კიდევ 1895 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „1895 წლის 5 აგვისტოს ახალი სტილით (24 ივლისი) ლონდონში გარდაცვალა ფრიდრიხ ენგელსი. თვისი მეგობრის კარლ მარქსის შემდეგ (რომელიც გარდაცვალა 1883 წელს), ენგელი კველაზე შესანიშნავი მეცნიერი და თანამედროვე პროლეტარიატის მასწავლებელი იყო მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში. მას შემდეგ, რაც ბევრა კარლ მარქსი ფრიდრიხის ენგელს შეახვედრა, ამ ორი მეგობრის ცხოვრების გზა მათ სავრთო საქმედ იქცა. ამიტომ იმის გასაგებად, თუ რა გააკეთა ფრიდრიხის ენგელმა პროლეტარიატისათვის, საჭიროა ნათლად გაქონდეს შეფეისებული მარქსის მოძღვრების და მოღვაწეობის მნიშვნელობა თანამედროვე მუშაობა მოძრაობის განვითარებაში“ (ვ. ი. ლენინი. თხ. ტ. 2, გვ. 5).

კაცობრიობის ისტორიაში მარტლაც არ იცის სხვა მაგალითი არც ასეთი მეგობრობისა და არც ასეთი თანამშრომლობისა. ეს იყო კაფშირი უმაგალითო. თვისი ცხოვრების ნახევარი გზა ენგელსმა მარქსის ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს შესწირა ენგელი თავას დიდ მეგობარში ხედავდა ეპოქის უდიდეს გვინის, მეცნიერული სოციალიზმის შემქმნელს, იგი მისთვის მარტლაც იყო „რუსო, ვოლტერი, პოლაბი, ლესინგი, პანე და ჰეგელი შეერთებული ერთ პიროვნებაში“ (სუ დაახასიათა 24 წლის კარლ მარქსი მოსე ჰესე).

„კაპიტალის“ ავტორი ენგელისათვის იყო ამავე დროს უდიდესი მეცნიერი კველა დროისა, თუკადიდე და ანტიმედი, ნიუტონი და დარვინი გაერთიანებული ჰეგელია და არის ტორელესთან.

ამიტომ ენგელი დაბეკითებით მოიხოვდა,

რათა ახალი მოძღვრებისათვის ეწოდებინათ მარქსიზმი, „მარქსი უფრო მაღლა იდგა და უფრო შორს ხედავდა, უფრო ფართო პორიზონტის პატრონი იყო და უფრო სწრაფად ჭრებითა, ვიდრე ჩვენ ყველანი. მარქსი გენიოსი იყო. ჩვენ დანარჩენი კი, საუკეთესო შემთხვევაში ტალანტები ვიყავით“ — წერდა ფრ. ენგელსი მარქსის სიკვდილის შემდეგ (ფრ. ენგელი. ლულვი ფეიირბაზი. გვ. 40).

მარქსი, თვისი მხრივ, ყველა შემთხვევის დროს აღნიშნავდა, რომ უნგელსოდ თეორიას არასოდეს არ ექნებოდა ისეთი სახე, რაც ჰქონდა, რომ გადამტყუცებით მნიშვნელობის საკითხები ენგელსის მიერ იყო აღმოჩენილი, რომ ენგელსმა პირველად განცემრიტა კაპიტალიზმის ისტორიული ტენდენცია, პირველმა აღმოჩენილი კაპიტალისტური ეკონომიკის შინაგანი წინააღმდევობანი, პირველმა მიუთითა კაპიტალისტური საზოგადოებაში კრიზისების არსებობაზე.

მარქსი მმობდა, რომ ენგელია არის „ნამდვილი უნივერსალური ლექსიკონი, შრომის უნარით აღსავს დღისა და ღამის ყოველ უამს, სულ ერთია მაძღარია თუ მშეირი... წერასა და მოსაზრებაში სწრაფია როგორც ეშმაკი“ (ფ. მერინგი ი. აკად. მარქსი) გერ. გამოც. გვ. 239).

მარქსისა და ენგელის უმწიველო მეგობრობის ისტორიაში არ იცის ბურჟუათომცული არცერთი მომენტი. ურთიერთშესაბაზო მათ არასოდეს არ ჰქონიათ რამე დასაფარავი. საინტერესოა აღნიშნოს ერთი დეტალი: ერთხელ კ. მარქსის კეთილმა, მაგრამ არაშორისმჭერეტელმა პანოვერელმა მეგობარი, ექიმია კუგელმანმა, მარქსის რალაც შუამდგრმლობა შესთავაზა ენგელის წინაშე. განრისხებულმა მარქსმა აი რა უპასუხა კუგელმანს: „თქვენ შემცდარად გაქვთ წარ-

მოდგენილი ჩემი დამკიდებულება ენგელსთან. იგი ჩემი ყველაზე ინტიმური მეგობარია. მე არავთარი საიდუმლო მისგან არა მაქვს. ის რომ არ ყოფილიყო, დიდი ხანია ხელი უნდა მომექიდა რამე „სარფიანი საქმისათვის“. ამატომ ვერავთარ შემთხვევაში ვერ დავუშევ, მესამე პირი ჩაერთოს ჩვენს შუა და ჩემთვის იშუამდგომლოს მის წინაშე“ (კ. მარქსი. წერილი გუგლმანისადმი. 1933 წ. გამოც. გვ. 19).

ცნობილია, რომ ახალგზირდა ვ. ი. ლენინს იტაცებდა მარქსისა და ენგელსის ეს მეგობრობა.

„ველებური გაღმოცემები, — წერდა ენგელსი სიკვდილის გამო დაწერილ ნეკროლოგში ლენინი, — მოვითხოობენ სხვადასხვა ამსაცემების მაგალითს მეგობრობის შესახებ. ეპრობას პროლეტარიატს შეუძლია თქვას, რომ მის მეცნიერება შექმნა ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღმატება თვით ძველთა ყველაზე ამაღლვებელ თქმულებებს ადამიანთა მეგობრობის შესახებ (ლენინი. თხ. ტ. 2. გვ. 14).

ფრიდრიხ ენგელს მარქსთან მისვლამდე განვითარების დადგ გზა ჰქონდა გავლილი. 1841 წლის შემოდგომაზე ენგელი ბერლინში რომ ჩავიდა, მარქსი ბერლინიდან უკვე წასულიყო. მემარცხენე ჰეველიანელების მოძრაობა სულ უფრო და უფრო რადიკალური ხდებოდა. ყველან გაისმოდა აკორდი მოხალობული რევოლუციისა. ენგელი, ერთის მხრივ, პრუსიის მეფის ჯარში არტილერისტად მსახურობდა, მეორე მხრივ, მემარცხენე ჰეველიანელების წრეში ტრიალებზე, როგორც პუბლიცისტი და ფილოსოფონის. მემარცხენე ჰეველიანელების მოძრაობით შეშინებულმა მთარიობამ, გერმანული იდეალიზმის მათუსალა შელინგი ბერლინში ჩამოიყვნა, ჰეველის კათედრა მისცა და დაავალა ჰეველის გავლენის აღმოფენება. თითქმის 50 წლით ადრე შელინგი იენაში ჰეველთან ერთად ჰემიდა გერმანულ იდეალიზმს და ახალ გერმანის. ჰეველი დიდი ხანია საფლავში იყო და ახლა შელინგი ღრმადმოხუცებული, განსწავლული კაცი, მოსულიყო ბერლინში და ჰეველის კათედრაზე კითხულობდა ლექციებს გამოცადების საწმუნოების გადასაჩინად და იცვლდა ძველ ქვეყანას ჰეველის დალექტივის შეტევებისაგან. შელინგის მრავალრიცხვოვან მოსწავლით წრეში იჯდა ახალგაზირდა ჭარისკაცი — არტილერისტი, ბეჭითად იწერდა ლექციების შინაარსს, არ სტროებდა არცერთ სიტკვას და მოხუცებული ფილოსოფონის წინააღმდეგ გადამწევეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ეს უცნაური ჭარისკაცი იყო ფრიდრიხის ენგელი. შელინგის გამანადგურებელი კრიტიკა, ჰეველის დაცვა, კლერიკალური რეაქციის წინააღმდეგ გრძოლა, რადიკალიზმისა და ათეიზ-

მის ქადაგება — ას რა დროშიც გვევლინება ახალგაზირდა ფილოსოფონი. თავის ფილოსოფიურ სტრიქებში ენგელს უკიდურესი რევოლუციური დასკვნები გამოჰყავს ჰეველის დიალექტივისაგან. უნდა ნათლად აღინიშვნოს ის გარემოება, რომ პირეველად ენგელსმა აქადაგებინა ჰეველის დალექტივის ნამდვილი ათეიზმი. ამ დროისათვის არცერთ მემარცხენე ჰეველიანელს, არც ფეირბაბს და არც მარქსს ამგვარი უკიდურესი რადიკალიზმი და ათეიზმი არ წამოუყენება.

1842 წლის 12 აპრილს ენგელი პირეველ თავის სტრატიას ათავსებს „რაინის გაზეთში“, ე. ი. მანაჩელე, სანამ კარლ მარქსი დაწყებდა თავის ისტორიულ თანამშრომლობას რაინლანდის დემოკრატებისა და მემარცხენე ჰეველიანელების ამ რუპორში. როცა მარქსმა რევოლუციის ცენტრი დაანთო, „რაინის გაზეთში“ და მთელი გერმანიის ყურადღება მიიღორ, ენგელი დილინგდა მასთან დაახლოებას, მაგრამ ამაღლ. 1842 წლის ნოემბრის თვეში ენგელი მანჩესტერში მიემგზავრება და მარქსის გასაცნობად კულტზე გაივლის. მარქსი ბერლინიდან საიდუმლო წერილით გააფრითხებს, ენგელი ბრუნე ბაჟურის კაცათ და ამიტომ ცივად მიიღო იგი „რაინის გაზეთის“ რედაქციაში. ამ შეხვედრით უკმაყოფილო და მომავალი კომერციული მოღვაწეობისადმი ზიზლით აღსავა ენგელი 1842 წლის უკანასკნელ დღეებში ესტურმა კაბიტალიზმის ნისლიან სამშობლოს.

ინგლისში მისვლის დღიდანვე ენგელი იწყებს კაბიტალიზმის სერიოზულ შესწავლას, რამაც განახორციელებინა მისი გულისინადები, დავავშირა და დაამეგობრა მარქსთან.

მსოფლიოში ისტორიის მსგავსი დღელების შემცველი რევოლუციური აზრი საბოლოოდ რომ მომზიდულ კარლ მარქსში. მან თავის „გერმანულ-ფრანგულ პატრიარქში“ მთელს მოწინავე და რაღაც კლურად მოაზროვნე ევროპას მოუყარა თავი. ჟურნალის უახლოეს თანამშრომელთა რივებში აღმოჩნდა ფრ. ენგელსიც. ამ ურნალში გამოქვეყნდა მარქსის „კრიტიკა ჰეველის სამართლის ფილოსოფიისა“ და ენგელის „ნიზვეტი პოლიტიკური ეკონომისის კრიტიკასთვის“. გამოირგვა, რომ ეს ორი აღმანი ერთმანეთისაგან დამთუკიდებლად ახალი მსოფლებელების გამომუშვების წინაშე იდგა: ასეუბულის ურიტიკას თავისებრივი აღმარებები მაეუვნა, როგორც სოციალიზმის აღარებამდე მაეუვნა, როგორც წინაშე ინდუსტრიული პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ანტილი ბორგავდა.

1944 წლის ზაფხულში ენგელი ესტურმა მარქსის, რომელიც მაშინ პარაზიზი ცხოვრისტიდა. მარქსმა დაინახა, რომ ფრ. ენგელი, დაწყეტილი გენიალური წერილისა, იყო იგვე პირი, ისე ცივად რომ გაისტუმრა „რაინის გაზეთის“ რე-

დაქცილან 1842 წლის ბოლოს. ამ შეხვედრის შესახებ შემდეგში ფრ. ენგელი მოგვითხრობს, მყისვე გამოირკვა მარქსისა და ჩემი სრული თანხმობა ცველა თეორიული საკითხის სტეროში და ამ ღლიდან ჩვენი საერთო საქმე დაიწყო.

ამ ღლიდან ორი გენიოსი ადამიანის ძალა შეერთდა ახალი მსოფლმშედველობისა და ახალი მეცნიერების შესაქმნელად. უპირველს ყოვლისა, სჭირო იყო ანგარიშის გასწორება საკუთარ ფილოსოფიურ სინდისთან, სჭირო იყო მემარტენე ჰეგელიანელებისა და მთელი ჰეგელიანელების კრიტიკა. „შმინდა ოჯახში“ მარქსი და ენგელი იწყებენ ამ საქმეს, „გერმანულ იდეოლოგიაში“ (1865 წ) მთავრდება ეს პერიოდი. იდეალისტური დაილექტიკა კრიტიკულად დაძლევულია, მატერიალისტური დაილექტიკის ძირითადი პრინციპი ჩამოყალიბებულია, ისტორიის მატერიალისტური აქსნა შექმნილია. იმდროინდელი საცენზურო პირობების გამო ამ შრომის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა და მარქსი შემდეგში ლაპონიურად გვატყობინებს, რომ მათ მანუსკრიპტი სამოვნებით დუუმებს თაგვების პატრიცემულ კრიტიკას, რადგან ძირითადი ამოცანა — ურთიერთშეთანხმება მთლიანად მიღწეული იყო.

საბოლოო აკორდი ამ პერიოდისა იყო „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელშიც ის იარაღიც იქნა გამონახული, „კომუნიზმის ფილოსოფია“ მსოფლიო ისტორიულ სინამდვილედ რომ უნდა ექცია, ე. ი. თეორია პროლეტარიატის დიქტატურისა.

როდესაც ოქტომბრის რევოლუციამ საშუალება მოვაცა მთლიანად გავცნიბოდით მარქს-ენგელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, გამოიკვევა, რომ მართალი იყო ენგელი, როცა მარქსის სიკვდილის შემდეგ გვატყობინებდა, მე ახალი თეორიასთვის ზოგიერთი სპეციალური საკითხი, მართალია, დამოუკიდებლად დავამუშავე, მაგრამ თეორია მთლიანად აღებული, კარლ მარქსმა შექმნაო. მართლაც, მანუსკრიტის მძიმე ტომებით თავითან ბოლომდე თითქმის ხელით არის დაწერილი.

დაწყო მარქსისა და ენგელის ცხოვრებისა და შემოქმედების ახალი პერიოდი. მარქსი გახდა უდიდესი ეკონომისტი ცველა ღრიოსა და შეუდგა „კაპიტალის“ წერას, ხოლო ენგელი აგრძოვებს ფულს, რათა მარქსს ეკონომიკური არსებობის პირობები შეუქნას. ამავე ღრის, ცხადია, ენგელი ფართო მეცნიერულ მუშაობასაც აწარმოებს.

მარქსი ამ ღრის ძირითადად ისტორიის დაილექტიკას ჰქმნიდა, ენგელი კი ემზადებოდა ბუნების დალექტიკის შესაქმნელად.

როდესაც სამოცდაათარი წლების დასაწყისში გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში ცნობალი არევ-დარჭვა შეიტანა ევგენი დიურინგმა, მარ-

ქსმა ენგელს დავალა დაეწერა დიურინგის გამანადგურებელი კრიტიკა და გამოემულავნებინა ახლად მოვლენილი „მეცნიერული კომუნიზმის“ წვრილბურულუაზიზონმია. ეს მოცანა ჩინებულად შეასრულა ფრ. ენგელსმა თავის შესანიშნავ ნაშრომში — „ანტი-დიურინგი“. ახალი ღრიოს მეცნიერულ ლიტერატურაში ეს წიგნი მარქსის, „კაპიტალის“ გვერდით ყველაზე გავრცელებული და აღიარებული წიგნია.

„ანტი-დიურინგის“ სახით ენგელსმა შექმნა მარქსიზმის ნამდვილი ენციკლოპედია. „მარქსი და მე, — წერს „ანტი-დიურინგის“ წინასიტუაციაში ენგელი, — თითქმის ერთადერთი ადამიანები ვიყავით, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიიდნ შეგნებული დალექტიკა რომ გადავარჩიეთ და იგი ბუნებისა და ისტორიის ახსნისათვის გმოვიყენეთ“ (ფრ. ენგელი, „ანტი-დიურინგი“ ქართული გამოც. გვ. 10).

დალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიის ის ფორმა, რომელიც დღეს მას ქვეს, ის ცნებები, რომლის სახით ჩვენ დღეს ამ მოძღვრებას ვიცნობთ, პირველად „ანტი-დიურინგის“ ვეტორმა ჩამოყალიბა. მარქსისტული ფილოსოფიური ტერმინოლოგია, რომელიც დღეს იმარტება, აგრძელებელ „ანტი-დიურინგიდან“ გამომდინარეობს. ენგელსმა ამ წიგნში მოგვალა ფილოსოფიის ყველა საკითხის მარქსისტული ინტერპრეტაცია. ეკი იქნა პირველად დალექტიკი დალექტიკურისა და მეტაფიზიკური აზროვნების წესის ცნობილი დაპირისპირება. ამ შრომაში მიუთითა ენგელსმა ჰეგელის ფილოსოფიაში მეთოდისა და სისტემის გადაულახავ წინააღმდევობაზე.

თეორიული ბუნებისმეტყველების უძირითადესი ცნებები, ცნება მატერიისა და მორჩაობისა, ნივთისა და ძალისა, ორგანულისა და არაორგანულისა, სამყაროს მექანიკისა და უსასრულობისა, დროისა და სივრცისა და მრავალი სხვა, ენგელსმა მარქსისტული მეტლით პირველად გაარკვა „ანტი-დიურინგში“. მან აქვე გამოჯნა მატერიალისტური დალექტიკა ჰეგელის იდეალისტური დალექტიკისაგან, დაადგინა და საუფელიანად გაარკვა მატერიალისტური დალექტიკის კატეგორიები და კანონები. ამავე ღრის, სადაც საჭირო იყო, ოსტატურად დაიცვა ჰეგელი მექანიკისტი დიურინგის შეტევებისაგნ და ქვეყანას აჩენა, რომ უნაყოფო იყო დიურინგის პრეტენზია, როცა სურდა მოვლენილიყო დალექტიკის ახალ თეორეტიკოსად. ენგელის კრიტიკის შემდეგ დალექტიკისა და ტერმინის სიტყვაში დაურინგი სერიზულად აღარავის

საბა ჯაფარიშვი

ფილიდრის ენგელი — მიცნივრული კომუნიზმის ფულების ფულები

მოუხსენებია. „ანტი-დიურინგის“ ბოლო ნაწილში ენგელსმა არაჩეულებრივი სიცხადით აჩვენა ის ისტორიული გზა, რომლის გავლით თანამედროვე სოციალიზმი მეცნიერებად იქცა. პოპულარულად, ამავე დროს მეცნიერული სილრმითა და სიზუსტით უჩვენა, პირველად როგორ დასაბუთა კარლ-მარქსმა კაპიტალიზმის იმანენტური კანონების აღმოჩენით, რომ სოციალიზმი არის ისტორიული აუცილებლობა. რომ მთახლოებულია დრო, როცა ექსპროპრიატორები იქნებათ ექსპროპრიორებულნი, როცა კაცობრიობა გააკეთებს ნახტომს აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში. იქვე გაანადგურა მემარტენენ ბურჟუაზიული თეორია საზოგადოებრივი განვითარების შესახებ. ე. წ. ძალმომრეობის თეორია და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების ოსტატურად გამოყენებით უნაკლოდ დაალაგა სახელმწიფოს მარქსისტული თეორია.


ენგელსმა „ანტი-დიურინგი“ გამოიყენა მარქსის მეცნიერული იდეების პოპულარიზაცია-სათვის, ხაზგასმით აღნიშნა და აჩვენა, რა მნიშვნელობა პეტონდა მეცნიერებისათვის მარქსის მოვლინებას.

„ანტი-დიურინგის“ შემდეგ ენგელსი პეტონის

„ბუნების დიალექტიკას“. აქ პოზიტიური ფორმით ის უნდა გაკეთებულიყო ბუნებამშეცნიერების მიმართ, რაც მარქსმა „კაპიტალში“ საზოგადოებამცნიერების მიმართ გააკეთა. როგორც ცნობილია, ენგელსმა ეს საქმე ვერ დაამთავრა. კარლ მარქსის გარდაცვალებამ ენგელსი რედაქტორის კაბინეტში ჩაკეტა. მას ბოლომდე უნდა მიყვანა და გამოეცა გენიალური მეცნობრის დატოვებული ლიტერატურული განჩი. ენგელსმა ჩინებულად შეასრულა ეს ამოცანა. „კაპიტალის“ ხელნაწერებზე მუშაობას თთქმის არაადამიანური შრომა დასჭირდა; მარქსის ეკონომიკური ნაწერების რედაქტორი თვითონ უნდა გამხდარიყო უდიდესი ეკონომისტი. 1890-იანი წლებისთვის ენგელი იყო ჰეშმარიტად უდიდესი ეკონომისტი მთელს მსოფლიოში. მისი თავდებია ის შენიშვნები და შესწორებები, რომელიც რედაქტორს შეუტანა პირველ დროის ისტორია“.

75 წლის წინათ შეწყდა ფრიდრიხ ენგელის ეს გრანდიოზული შრომა. კარგად თქვა მარქსისა და ენგელის ისტორიული საქმის მონაწილეობა პოლ ლაფარგმა. „მათს სახელს გაერთიანებულს მოიხსენიებს თავის ფურცლებშე ყველა დროის ისტორია“.





კ უ ბ

ჩარლზ უაიტის
ახალი ნახატების
ალბომი

ახალათან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ცნობილი ამერიკელი პროგრესული მხატვრის ჩარლზ უაიტის ახალი ნახატების ალბომი. ალბომში შეტანილი ნამუშევრები ეძღვნება ზანგების ცხოვრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. უაიტის ყველა ახალ ნამუშევრაში მკვეთრად იგრძნობა პოლიტიკური აზახი, რომელიც მხატვარს სამართლიანად მიზნია უკეთესი გომავლისათვის ბრძოლის იარაღად.

მეტროპოლიტენ- მუზეუმის იუბილე

ნიუ-იორკის ცნობილ მეტროპოლიტენ-მუზეუმს 100 წელი შეისრულდა. დაარსებიდან დღემდე მუზეუმი წარმოადგენს მსოფლიო კლასიკური ნიმუშების საგანძურებელოს. იუბილასთან დაკავშირებით მუზეუმის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საზღვარგარეთული და ნაციონალური ხელოვნების ნიმუშების 9 დიდი გამოცემის მოწყობას. ეს გამოცემი მუზეუმის შენობაში მოწყობა მოჩიგობით მიმდინარე წლის დამდეგამდე. უკვე მოეწყო პირველი გამოცემა, რომელიც მიეძღვნა შუა საუკუნეების ხელოვნებას. გამოცენაზე წარმოდგენილი 350

ნამუშევარი შეკრებილი იყო სახელმწიფო მუზეუმებიდან, კერძო კოლექციებიდან და მსოფლიოს 16 სახელმწიფოს ეკლესიებიდან.

იაპონია

თეატრი „ნო“

იაპონიაში, ერთმანეთის მეზობლად მდგარეობს რამდენიმე თეატრი — „ნაიუძა“ — ევროპული ტიპის ჩვეულებრივი თეატრი, „კაბუკი“ — შუა საუკუნეების დრამატული თეატრი და ყველაზე უძველესი — კლასიკური თეატრი „ნო“. იგი XIII საუკუნეში შეიქმნა.

თავისი კანონებით სათეატრო წარმოდგენები ძალიან ჰგავს დევლ-ბერძნულ კლასიკურ ტრაგედიას. ქაც და ქაც სცენაზე გამოდის ორი მსახიობი — სიტტ და ვაკი (როგორც მათ უძინავთ) წამკვანეობისათვის გარტიორი მსახიობების გუნდი და სცენაზე არის გუნდი და ორკესტრი. სცენა საზი მხრიდან ლია. გუნდი მაუზურებლებს აუწევს მსახიობების გამსვლას და ვალრე მსახიობების სცენაზე ცეკვავენ, გამოხსცემი პირსის შინაარსს. თეატრის მსახიობები მხოლოდ მამაკაცები არიან, რომელებიც როლის მიხედვით იკვებენ ქალის ან მამაკაცის ნიღაბს, აცვიათ მდიდრული, ფუზიუშა ტანსაცმელი, მათ სცენაზე დაჭვებათ რამდენიმე მამაკაცი, რომლებიც

ტანსაცმელს უსწორებენ, აწვდიან საჭირო ნივთებს, მაგრამ ისინი, წესისამებრ, ყოველთვის შეუმჩნეველი რჩებიან იაპონელი მაულებლისათვის. „ნო“ დღემდე მეტად პოპულარული თეატრია იაპონიაში.

ინგლისი

ჩაიკოვსკის უფრისი
უცნობი დროისადმი

ჩაიკოვსკის ფართო კოლეგიუმდენციაში მნიშვნელოვანია კომპოზიტორის მიმოწერა ნადეჟდა ფონ მეკონ, რომელიც გამოჩნდილ კომპოზიტორის ტალანტის თაყვანისმცემელი იყო. მათ წლების განმავლობაში ჰქონდა მიმოწერა. ამ არაჩეველულებრივი მიმოწერის ისტორია მოთხოვნილია წიგნში, რომელიც ლონდონის გამოცემლობა „დენის ლაბორატორია“ გამოსცა. ეს ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნია, მისი ავტორია ნადეჟდა ფონ მეკის შვილიშვილი გალინა ფონ მეკი. იმავე გამომცემლობაში გამოვიდა პეტრე ილიას ჟე ჩაიკოვსკის ავტობიოგრაფიული წიგნი „წერილები ღანას“, რომელსაც საფუძვლად დაედო კომპოზიტორის 601 გამოუქვეყნებელი წერილი-



ერნესტ ჰემინგუეის გარდაცვალების შემდეგ მეტობის ლიტერატურული შემცვიდრეობის დიდი ნაწილის

არსებობა დღემდე უცნობი იყო. კუბის ერთ-ერთი განკის სეიცში აღმოჩნდა მწერლის მიერ საკუთარი ხელით შენახული ხელნაწერების დიდი რაოდენობა. 1962 წელს მწერლის არქივის დიდი ნაწილი აღმოჩნდილ იქნა ფლორიდის ერთ-ერთი ბარის შენობაში, სადაც ხელნაწერები შეუნახავს თვით ჰემინგუეის. მწერლის ქვრივის დავალებით, პენსილვანიის უნივერსიტეტის ორმა პროფესორმა ახლანან დაამთავრეს ჰემინგუეის სელნაწერების ინვენტარიზაცია, რომელსაც 6 თვის განმავლობაში აწარმოებდნენ. ვაკ დოკუმენტს შორის აღმოჩნდა 4 რომანი, 19 მოთხოვბა, ვა ლექსი, 11 ნარკევი, მრავალრიცხოვანი მონახაზი და წერილი. ამ უცნობ ნიჭარმოებთა შორის უცვლაზე მნიშვნელოვანია რომანი „გიმი ბრინი“, რომელიც ავტორია 1927 წელს დაწერა. რომანში აღწერილია ახალგა-

ზრდა ვაჟის თავგადასავალი, რომელიც რევოლუციონერ მამას ჩიყავოდან პარიზში მიაცილებს.

საცრანგეთი

„ალექსანდრე ნიკელი“
ლიონის რევენის
სცენაზი

ახალგაზრდა ქორეოგრაფია ვიტორიო ბიაუიმ ლიონის ოპერის თეატრის სცენაზე დაგა მარტინ ბალეტი „ალექსანდრე ნიკელი“ სპექტაკლში გამოყენებულია სერგეი პროკოფიევის მუსიკა.

გაზეთი „პროგრე დე ლიონი“ აღნიშნავდა, რომ „ლიონელი მაყურებლები აღფრთვანებული არიან ოპერა-ბალეტი. დამდგმელმა რეჟისორმა და მსახიობებმა შექმნეს ერთ-ერთი ლამაზი ფრესკა. სპექტაკლი თეატრალურ მოვლენად იქცა და სამართლიანად დაიმსახურა დადი მოწონება“.

აცრავ მორუას
„მემუარები“

პარიზის გამომცემლობა „ფლამარიონმა“ გამოსცა ანდრე მორუას „მემუარები“. მორუამ ამ წიგნზე მუშაობა დაიწყო 1967 წელს და გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით აღრე დამთვარა.

„ანდრე მორუას „მემუარები“ მეტად საინტერესო მასალაა არა მარტო ავტორის ბიოგრაფიის შესასწავლად, არამედ იმტომაც, რომ მათში ნათლადა წარმოდგენილი საფრანგეთის ისტორიული ცხოვრების საინტერესო მასალები, — წერდა გაზეთი „ფიგარო ლიტერეტი“. XX საუკუნის საფრანგეთის ლიტერატურული ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია ანდრე მორუას შემოქმედების გარეშე. წიგნში განსაკუთრებით საინტერესოა იმ გამოჩენილი ფრანგი მწერლების პორტრეტები, რომელებთანაც ავტორი მეგობრობდა.

„მემუარები“ მწერალ პუმანისტის ბრწყინვალუნაცა ნაწარმოებია“.

უცნალი გააფორმა თ. მირზაშვილმა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშვილიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვლეხანოვის პროს. № 91.

ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/გ. მდივნის — 95-08-86. განცოფილებების: ვოლფინ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 25-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაშენობად 11/IX-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 24/X-70 წ., ქაღალდის ფორმატი 70×108¹/16. ფაზიური ნომერი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეკვ. № 2757. უე 02200. ტირაჟი 20.600.

საქ. ქა ცე-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ქ ვ ი რ ვ ა ს ო მ ე გ მ გ რ ე ბ მ!

გრძელდება ხელმოწერა შურნალ „ცისპარზე“ 1971 ჭლისათვის.

ხელის მოწერის ფასი:

1 ტლით — 7 გან. 20 კაპ.

ნახევარი ტლით — 3 გან. 60 კაპ.

3560 60 353.

634/203

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236